

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ შიუკაშვილი

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების ტიპოლოგიური
შედარება - შეპირისპირება

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის
დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნუნუ გელდიაშვილი - პროფესორი
მანანა ღარიბაშვილი - პროფესორი

თელავი

2016 წ

შინაარსი

შესავალი	4
----------------	---

თავი I

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების სტრუქტურული ტიპოლოგია

§1. ზღაპრის, როგორც მხატვრულ-შემოქმედებითი ჟანრის რაობა	7
§2. ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების დასაწყისისა და დასასრულის ფრაზათა ტიპოლოგიური მიმართებანი	9
§3. მეტატექსტის სტრუქტურა ხალხურ ზღაპრებში	17
§4. სიტყვათა და წინადადებათა რიგი ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების მეტატექსტებში	25
§5. ლექსიკური განმეორება, როგორც მეტატექსტის კონსტიტუენტების დაკავშირების საშუალება	32
§6. სინონიმური ჩანაცვლება მეტატექსტებში	37
§7. წინადადებათა ტიპები ზღაპრებში	40
§8. დროის ურთიერთმიმართება ზღაპრებში	48

თავი II

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების ფრაზეოლოგიის ზოგი საკითხისათვის

§1. ენობრივი ფორმულების კომპონენტური ანალიზი	55
§1.1. ინიციალური ენობრივი ფორმულების კომპონენტური ანალიზი	57
§1.2. მედიალური ენობრივი ფორმულების კომპონენტური ანალიზი	63
§1.3. ფინალური ენობრივი ფორმულების კომპონენტური ანალიზი	73
§ 2. იდიომების ლექსიკური ანალიზი	78
§3. იდიომების მორფო-სინტაქსური ანალიზი	90
§3.1. სახელური იდიომები	91
§3.2. ზმნური იდიომები	99

თავი III

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების სემანტიკური ასპექტები

§1. ანთროპონიმთა სემანტიკა	112
§2. სომატურ ერთეულთა სემანტიკური ასპექტები	124

თავი IV

ტროპული მეტყველება ხალხურ ზღაპრებში

§1. ეპითეტი	131
§2. შედარების სახეები	138
§3. მეტაფორა	141
§4. გამეორება	144
§5. ჰიპერბოლა	145
§6. სიმბოლო	148
§6.1. ბოროტების სიმბოლიკა	149
§6.2. სიკეთის სიმბოლიკა	162
§6.3. ფერთა სიმბოლიკა	168
§6.4 რიცხვების სიმბოლიკა	174

თავი V

ხალხური ზღაპრების თარგმანის სტილისტიკის ენობრივი

ელემენტები

§1. რიტმი და ინტონაცია	179
§2. ეროვნული კოლორიტი	181
დასკვნა	188
გამოყენებული ლიტერატურა	195
საანალიზო წყაროები	200
დანართები	201

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების ტიპოლოგიური შედარება - შეპირისპირება. ამ თუ იმ საკითხის ტიპოლოგიურ ჭრილში კვლევა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საკვლევი ობიექტის მრავალმხრივ ანალიზს და შემდგომ შესაბამისი დასკვნების განზოგადებას, რაც ვფიქრობთ, უდავოდ, განაპირობებს ტიპოლოგიური ძიებების აქტუალობას.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენს იზომორფიზმებისა და ალომორფიზმების დადგენა და ამის საფუძველზე, გარკვეული უნივერსალიების გამოვლენა. ამისათვის ნაშრომში გაანალიზებულია ისეთი საკითხები როგორცაა ხალხური ზღაპრების სტრუქტურული და სემანტიკური მიმართებანი.

არამონათესავე ენების შეპირისპირებითი შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს, უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოვავლინოთ შესასწავლი ენების თავისებურებანი. საენათაშორისო კონტრასტული ანალიზი ბევრ შემთხვევაში გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე შიდაენობრივი, რადგან იძლევა საშუალებას, აღმოვაჩინოთ ამა თუ იმ ენის ისეთი თავისებურებები, რომელთა დადგენა ძნელი იქნებოდა მხოლოდ ერთი ენის კვლევისას. შედარება, როგორც შესასწავლ მოვლენათა შორის მსგავსება-განსხვავების გამოვლენის მეთოდი, კვლევის ძირითადი საშუალებაა როგორც ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში, ისე ტიპოლოგიაში; ენათა გრამატიკული აგებულების სრული განსაზღვრა მხოლოდ შედარებითი-შეპირისპირებით ხერხდება (მეგრელიშვილი, 2009).

ნაშრომის მეცნიერული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ პირველად ხორციელდება ხალხური ზღაპრების მონოგრაფიული კვლევა კონტრასტულ ჭრილში, კერძოდ, ქართული და ინგლისური ენების მასალაზე დაყრდნობით. შეპირისპირებითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა, დაგვედგინა ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების სტრუქტურული და სემანტიკური მსგავსება-განსხვავებანი; გამოგვეკვეთა უნივერსალური და სპეციფიკური ნიშან-თვისებები, რამაც, ერთი მხრივ, თვალსაჩინო გახადა ის განსხვავება, რომელიც

შესაპირისპირებელ ენებს შორისაა; მეორე მხრივ, წარმოაჩინა ცალკეული ენის შიგნით შესასწავლი მოვლენის ბევრი ახალი, მანამდე გაუთვალისწინებელი მხარე.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ზღაპარი, როგორც ტექსტი, მართლაც, საინტერესო და სპეციფიკურ სტრუქტურულ - სემანტიკურ მთლიანობას წარმოადგენს; იგი ენის გამოხატულების უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა, სადაც ფაქტობრივად რეალიზებულია ნიშანდობლობები ენის თითქმის ყველა დონეზე და, ამავდროულად, შესანიშნავადაა წარმოჩენილი კულტურული უნივერსალიებიც.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება ენათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით. კვლევის შედეგად მიღებული კონტრასტული გამოკვლევა და მასში თავმოყრილი ენობრივი მასალა გარკვეულ წვლილს შეიტანს ტიპოლოგიური ლინგვისტიკისა და მისი მომიჯნავე დარგების (კომპარატივისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, ფსიქოლინგვისტიკა და ა.შ.) შემდგომ განვითარებაში; შესატყვისი მიმართულებებით კვლევის გაგრძელება - გაღრმავებაში. დისერტაციის ცალკეული დებულებები და მასში გაანალიზებული მასალა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის; მთარგმნელთათვის; გამოკვლევა სასიკეთოდ წაადგება უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს სპეცურსებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში.

კვლევის მეთოდები: ძირითადად ვეყრდნობით კვლევის ალწერით, შედარებით, ტიპოლოგიურ, თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, რაც უაღრესად ფასეული გამოდგა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

ალწერთი მეთოდი. ალწერთი მეთოდი ლინგვისტიკის ყველაზე ძველი და ამავე დროს თანამედროვე მეთოდია. ამ მეთოდის საშუალებით მოვახდინეთ თითოეული ენის თანამედროვე ეტაპზე არსებული მახასიათებლების კლასიფიცირება და მასალის მომზადება კონტრასტული კვლევისათვის.

შედარების მეთოდი. ამ მეთოდის საშუალებით შევაპირისპირეთ ხალხური ზღაპრის ტექსტები, მეტატექსტები და ზღაპრის თარგმანები, რის საფუძველზეც

დადგინდა ძირითადი თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს ქართულ და ინგლისურ ენებს.

ტიპოლოგიური მეთოდის შედეგად მივიღეთ ლექსიკურ - სემანტიკურ და მორფოლოგიურ-სინტაქსურ სტრუქტურათა ერთიანი სურათი.

თვისობრივი მეთოდის საფუძველზე დადგინდა სტრუქტურათა შემადგენელ ელემენტთა შიდა ურთიერთმიმართებანი; გამოვლინდა ორი განსხვავებული სისტემის მქონე ენისათვის დამახასიათებელი როგორც უნივერსალები, ისე რეალები.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდმა მოგვცა იმის საშუალება, რომ ზღაპრის ტექსტებში დაგვედგინა სომატური იდიომების, ენობრივი ფორმულების და საკრალური რიცხვების სტატისტიკური მონაცემები.

კვლევის პროცესში საჭირო გახდა კულტურათაშორისი (იგივე კონტრასტული) პრაგმატიკის პრინციპების გათვალისწინება, რადგანაც მან საშუალება მოგვცა, ერთმანეთს შეგვედარებინა ფუნქციებით სხვადასხვა ეროვნულ-ენობრივი კულტურები, კერძოდ, კომუნიკაციური წესები, რიტუალები და სტერეოტიპები ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში.

საანალიზო წყაროები: ნაშრომში საანალიზო მასალად გამოყენებულია XIX-XX საუკუნეების ხალხური ზღაპრები.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან, რომელიც შეადგენს 200 ნაბეჭდ გვერდს. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა, საანალიზო წყაროები, ინტერნეტმასალის ელექტრონული ვებგვერდები და ლექსიკონების ნუსხა. ნაშრომს დანართის სახით ახლავს საილუსტრაციო ემპირიული მასალა.

თავი I

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების სტრუქტურული ტიპოლოგია

ზღაპრის, როგორც მხატვრულ შემოქმედებითი ჟანრის რაობა

ზღაპარი ხალხური სიბრძნის ერთ–ერთი ყველაზე უფრო ძველი და პოპულარული ჟანრია. იგი ძალზე დიდი ხნის წინათ ზეპირად შეუქმნია ჩვენს წინაპრებს. ზეპირად, ვამბობთ, რადგანაც იმ შორეულ წარსულში ხალხმა ჯერ კიდევ არ იცოდა ასოების წერა. შემდეგ კი ამ ზეპირად მონათხრობს ხალხი მოსმენით იმახსოვრებდა და კვლავ ზეპირად გადასცემდა შთამომავლობას. მრავალი ასეული წლის განმავლობაში ეს ზეპირი ფანტასტიკური მოთხრობები ასე გადადიოდა კუთხიდან კუთხეში თაობიდან თაობაზე [[www.http:/ burya-yaga.ru](http://burya-yaga.ru)].

განსაკუთრებით დიდი იყო ზღაპრის დანიშნულება მანამ, სანამ ხალხი დამწერლობას განავითარებდა, მაგრამ არც დამწერლობას და არც წიგნს ზღაპარი არ მოუსპია. იგი მწერლობის მხარდამხარ ვითარდებოდა და ვრცელდებოდა, რადგანაც მას თავისი საკუთარი ფუნქცია და ტრადიცია ჰქონდა. ასე მოაღწია ზღაპარმა უხსოვარი დროიდან ჩვენამდე. ცხადია, მას თავისი უძველესი სახე უცვლელად არ შერჩენია, ის განვითარებადი საზოგადოების თანამგზავრი იყო და მასთან ერთად თვითონაც ვითარდებოდა. საზოგადოების შესაბამისად იცვლებოდა ზღაპრების მოტივები და იდეები, იხვეწებოდა ფორმა და, ბოლოს, მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელდა, ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ზეპირსიტყვიერი ჟანრი [[www.http:/ burya-yaga.ru](http://burya-yaga.ru)].

„ზღაპარი“ ერთ–ერთი ძველი ტერმინია საქართველოში. „მოგონებული ტყუილი ამბავად შემჭერვებული და არა ქმნილი მყოფობით“, – ზღაპრის ასეთ კლასიკურ განმარტებას გვამღევეს სულხან–საბა ორბელიანი. ეს „ამბავად შემჭერვებული“ მხატვრული გამონაგონი ზეპირსიტყვიერი ხელოვნების უძველესი ჟანრია და ხალხის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაყოფი [ბაბლუანი, 2008: 3].

ინგლისურ ენაში ტერმინი „ზღაპარი“ არის სიმბოლო, ნიმუში მოკლე მონათხრობისა, რომელიც შესაბამისად შემოსულია გერმანული და შვედური

ტერმინებიდან. ზღაპარი - გერმანულად „Marchen“, წარმოადგენს სიტყვის „Mar“ კნინობით ფორმას, რაც ნიშნავს ცნობას, ინფორმაციას, მონათხრობს. ისევე როგორც იგავ-არაკი და ნოველა, ზღაპარი მიეკუთვნება ფანტასტიკურ მონათხრობთა რიცხვს, რომელშიც ჯადოსნური ამბებია მოთხრობილი. განასხვავებენ ზეპირად გადაცემულ ხალხურ ზღაპრებს, რომელთა წარმოშობა ანონიმურია და ე. წ. მხატვრულ ზღაპრებს, რომელთა ავტორები თხრობის მანერასა და მოტივებს ხალხური ზღაპრებისაგან იღებენ და მათ ვარირებას ახდენენ [ქორჟოლიანი, 2006: 184].

ზღაპრების კლასიფიკაციის პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ საკვლევ საგანს წარმოადგენს ზღაპართმცოდნეობაში. ფოლკლორისტიკაში დღემდე ზღაპრების კლასიფიკაციის რამდენიმე წესია ცნობილი. თეორიული თვალსაზრისის სხვაობიდან გამომდინარეობს კლასიფიკაციის ნაირსახეობა. საკმარისია მივუთითოთ ამ ბოლო ხანებში საერთაშორისოდ გავრცელებულ კლასიფიკაციაზე, რომელიც შეიმუშავა ფინურმა სკოლამ, კერძოდ, მისმა ცნობილმა წარმომადგენელმა აარნემ (Antti Aarne, Verzeichnis der Marchentypen, 1911). მისი სისტემით, ზღაპრები გაიყოფიან სამ ქვეჟანრად: 1. ზღაპრები ცხოველების შესახებ; 2. საკუთრივ ზღაპრები და 3. ანეკდოტები. ყველაზე რთული და მრავალფეროვანია მეორე ჟანრი - „საკუთრივ ზღაპრები“. აარნე ამ ჟანრს შემდეგ ჯგუფებად ყოფს: 1. ჯადოსნური ზღაპრები, 2. ლეგენდისებური ზღაპრები, 3. ნოველისტური ზღაპრები, 4. ზღაპრები უგუნური ეშმაკის (დევის...) შესახებ.

ქართული ზღაპრების თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც პროფესორ მ. ჩიქოვანს ეკუთვნის, მიღებულია შემდეგი ჯგუფები: 1. ცხოველთა ეპოსი, 2. მისნური, ანუ ჯადოსნური ზღაპრები, 3. საყოფიერო-ნოველისტური ზღაპრები, 4. საგმირო ეპოსი, 5. ლეგენდები და 6. ანეკდოტები [http://elasevenia.blogspot.com/2012/12/blog-post_6874.html].

§2. ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების დასაწყისისა და დასასრულის ფრაზათა ტიპოლოგიური მიმართებანი

„ხალხური ზღაპრის კომპოზიციურ ელემენტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ დასაწყისისა და დასასრულის მზა ფორმულებს. ცნობილია, რომ ზღაპრის სიუჟეტები მოარულია და ამ თვალსაზრისით მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში გასაოცარი მსგავსება შეინიშნება. ცხადია, ზღაპრის მზა ფორმულებს შორის ფუნქციური თვალსაზრისით მსგავსება იქნება, მაგრამ მეორე საკითხია, რა ხერხებსა და საშუალებებს მიმართავს მეზღაპრე ამ ფუნქციების შესასრულებლად სხვადასხვა ლინგვოკულტურულ გარემოში“ [ჟღენტი, 2009: 201].

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ზღაპრის დასაწყისი და დასასრული ფორმულების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ქართული ზღაპრის დასაწყისსა და თვით ზღაპრის შინაარსსა და რიტმს შორის გარკვეულ მსგავსებას ხედავს ქ. სიხარულიძე [სიხარულიძე, 1976: 114].

თ. ქურდოვანიძე გამოყოფს ორი ტიპის დასაწყის ფორმულებს. პირველი ტიპის ფორმულები თავისი შინაარსით არ ამჟღავნებენ კავშირს ზღაპრის შინაარსთან, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეული ფუნქციით იხმარებიან. ეს ფუნქცია, პირველ რიგში, გულისხმობს მსმენელის ყურადღების მობილიზებას, ზღაპრის მოსასმენად საჭირო გარემოს შექმნას და მეზღაპრის ოსტატობის ჩვენებას. მაგალითად, **„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ტყეში ჩიტი მომკვდარიყო“** (ქურდოვანიძე, 1983, 67). ზღაპრის დასაწყისის მეორე ტიპს ქართულში წარმოადგენს ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმულა **„იყო და არა იყო რა იყო ერთი...“** და მისი გავრცობილი ვარიანტი **„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო შაშვი მგალობელი ღმერთი თქვენი მწყალობელი“**. თ. ქურდოვანიძე აღნიშნავს, რომ ზღაპრის ასეთი დასაწყისი ორიგინალურად არის შერწყმული ზღაპრის სიუჟეტთან (ქურდოვანიძე, 1983, 67-84). ასეთი დასაწყისი ფორმულით მთხრობელი ამცნობს მსმენელს, რომ იწყებს გამონაგონი ამბის მოყოლას, ამბისა, რომელიც თან მოხდა და თან არც მომხდარა. ასეთი დამოკიდებულება მოსათხრობი ამბის მიმართ ოპოზიციური წყვილით მარადიულობის ელემენტის ყოფნის აღმნიშვნელი ზმნის დადებითი და უარყოფითი ფორმით გამოიხატება. ქართული ზღაპრის ამ დასაწყის ფორმულაში არ

ჩანს ადგილის აღმნიშვნელი მარკერი, ის ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია. სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული ზღაპრის ასეთი დასაწყისი ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებს [სიხარულიძე, 1976: 110-113].

„იყო და არა იყო რა...“ - ამ წინადადებით იწყება ქართული ხალხური ზღაპარი და მას ბავშვობიდან იცნობს ყველა ადამიანი. რა შინაარსი დევს მასში? ეს „უცვლელი“ ტრადიციული სემანტიკის მატარებელი ფრაზა - „იყო და არა იყო რა...“ დამოუკიდებელ სიტყვებად დავყოთ და ჩავუკვირდეთ მათ შინაარსს სიტყვა : „იყო“ – შინაარსობრივი შესატყვისი: - „ყოფნა“, რაღაც უცნობი „სუბსტანციის“ არსებობა, „დაშვებულება“... - იგულისხმება „რადაცის“ არსებობა.

„და“ – კავშირი – „რადაცეებს“ შორის კავშირი; არსებულსა და შემდგომს - ორყოფიერებას (დაშვებულებას) შორის კავშირი.

„არა“ – უარყოფა, არარსებობა, რადაცის შეუძლებლობა...

„რა“ – ამ შემთხვევაში ყველაფერია - „სამყარო“, ყოფიერება, ღმერთი, ყოველივე... და ამასთან, ასევე, შესაძლებელია, მასში იგულისხმებოდეს „არაფერი“. ამ ფრაზის სემანტიკაში, თავისთავად, იგულისხმება ღმერთებამდელი სამყარო, სამყაროს შექმნამდე რადაცის „არსებობა“, ან „არარსებობა“, ან „ყველასთვის შეუცნობელი უსასრულობის“ არსებობა. ეს ფრაზა გაგონებისთანავე ზღაპრის განწყობას გვიქმნის და მას მხოლოდ „ზღაპრის სამყაროში“ გადაჰყავს ადამიანი [ცინცაძე, ქართული ზღაპრის დასაწყისის უძველესი კოსმოგონიური პლასტი, <https://ka.wikipedia.org/wiki/>].

ქართულ ხალხურ ზღაპარში, ისევე როგორც ინგლისურ ხალხურ ზღაპარში, ამ ფრაზის შემდეგ იწყება მოქმედება - სხვა სამყაროს გაჩენა. ქართულ ზღაპარში, როგორც წესი, მხოლოდ ამ ფრაზის შემდგომ მოდის ფრაზები: „ღმერთი ჩვენი მწყალობელი“, „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“, „იყო ერთი მებადური“ და ა.შ. ანუ, ამ მყარი და ტრადიციული სემანტიკის მქონე ფრაზის შემდეგ როგორც შინაარსობრივად, ასევე, სტრუქტურულად, მეორადი ხდება ყველაფერი.

შეპირისპირებამ ცხადყო, რომ, ქართულის მსგავსად, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებსაც ხატოვანი დასაწყისი აქვს, რომელიც შემდეგი ფრაზითაა წარმოდგენილი

- „Once upon a time” „იყო და არა იყო რა“ - ტექსტებში დასტურდება მისი რამდენიმე ვარიანტი:

1. „Once upon a time, and be sure 'twas a long ago, there lived a poor woodman in a great forest“ The three wishes, <http://www.surlalunefairytales.com>

„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი მეტყევე, რომელსაც სახლი დაბურულ ტყეში ედგა“ [მათიკაშვილი, 1983: 133].

2. „Once upon a time, and a very good tune it was, though it was neither in my life nor in your time, nor many one else's time, there was an old man and an old woman“ Jack and His Golden Snuff-Box, <http://www.surlalunefairytales.com>

„ძველად, იმ ბედნიერ დროში, სანამ ჩვენ გავჩნდებოდით ამ ქვეყნად, ერთ უღრან ტყეში მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა“ [მათიკაშვილი, 1983: 93].

3. „In Norrway, long time ago, there lived a certain lady, and she had three daughters“ Black Bull of Norrway, www.surlalunefairytales.com

„დიდი ხნის წინათ ნორუეიში, ერთი ქალი ცხოვრობდა, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა“ [მათიკაშვილი, 1983: 45].

4. „There was once a widow that lived on a small bit of ground, which she rented from a farmer“ The Red Ettin, www.surlalunefairytales.com

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ქვრივი, რომელსაც მდიდარი მემამულის მიწაზე ერთი პატარა ქოხი ედგა“ [მათიკაშვილი, 1983: 86].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინგლისური ხალხური ზღაპრების დასაწყის ფორმულაში ზმნის ფორმაში ხაზგასმით არის მოცემული ამბის გარკვეული განგრძობადობა დროში, რაც თხრობის დროს სრულიად ბუნებრივია. ზმნა „ყოფნა“, „to be“ გამოყენებულია წარსულ დროში „was“ და მოსათხრობი ამბავი დროის სიღრმეშია გადატანილი.

ინგლისური ხალხური ზღაპრის დასაწყისში ხშირად ენაცვლება ერთმანეთს ზმნები „There was“ – „იყო“, „There lived“ - „ცხოვრობდა“. ორივე ზმნა „იყო“ და „ცხოვრობდა“ მიუთითებს რეალური საგნის, პერსონაჟის ან ნივთის არსებობას წარსულში. ფუნქციით ის ერთსა და იმავე დროს ცხოვრობდა და არსებობდასაც ნიშნავდა.

ზღაპრის დასაწყისს „იყო და არა იყო რა“ - ს როგორც ქართულში, ასევე, ინგლისურში, ძალიან ხშირად მოსდევს „ერთი“ და როგორც განუსაზღვრელი

ნაცვალსახელი, ისე დასტურდება ზღაპრებში. ხალხური ზღაპრების დასაწყისი ფორმულა, შეიძლება ითქვას, რომ არასდროს მიემართება აბსტრაქტული სახელებისაკენ, ის ყოველთვის მიემართება ერთი კონკრეტული არსებითი სახელისაკენ. ზღაპრებში უმეტესად დასტურდება დასაწყისი ფორმულის მიმართება ვინ და რა ჯგუფის, სულიერი და უსულო სახელების მიმართ. მაგალითად, ქართულ ხალხურ ზღაპრებში: „იყო ერთი დედაკაცი“, „ერთი ცოლ-ქმარი“, „ერთი მდიდარი ხელმწიფე“, „ერთი პატარა გორაკი“, „ერთი მთა“, „ერთი ქოხი“ და ა.შ.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში: „there was a farmer“- “იყო ერთი ფერმერი” (The Three Sillies), „there was a boy named Jack“ – „იყო ერთი ბიჭი სახელად ჯეკი“ (Jack and the Giant-killer), „there were three bears“-„იყო სამი დათვი“ (The Story of the Three Bears), „there was a a poor widow“ –„იყო ერთი ღარიბი ქვრივი“ (Jack and the Beanstalk) and etc. ამით მსმენელს თავიდანვე ექმნება გარკვეული წარმოდგენა ამა თუ იმ პერსონაჟის ვინაობისა და რაობის შესახებ, ხოლო ნათქვამის მხატვრული დასაბუთება კი შემდეგ, სიუჟეტის განვითარების პროცესში, ხდება. მთხრობელი მსმენელთან ერთად ფეხდაფეხ მიჰყვება თავის პერსონაჟს და სიუჟეტურ საფეხურებს ისე გაატარებს, რომ დადებითი პერსონაჟი ზღაპრის ყოველ ეპიზოდში სძლევს უარყოფითს და, ბოლოს, სიკეთე ბოროტებაზე გამარჯვებას ზეიმობს.

დასაწყისისაგან განსხვავებით, ქართული ხალხური ზღაპრის დასასრული უფრო ნაირგვაროვანია. ყველასათვის ცნობილია, რომ ქართულ ხალხურ ზღაპარს აქვს აბსტრაქტული, დალოცვითი და სხვა ტიპური დაბოლოებები. თითქმის უპირობოდ გავრცელებული ფორმაა: „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“. ზღაპრის ასეთი დასასრული ფსიქოლოგიურ ეფექტს ახდენს მსმენელზე. წერტილს უსვამს წარმოდგენას, წარმოსახვას, ირეალურობას და უმაღლესად გადაჰყავს მსმენელი რეალობაში. სწორედ ეს არის ზღაპრის დასასრული ფორმულის დანიშნულება და არსი, რასაც აქვს ოპოზიციური სახე და დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია ადამიანზე.

გარდა ტრადიციული ხალხური ზღაპრის დასასრული ფორმულისა, საანალიზო ტექსტებში დასტურდება აგრეთვე იუმორითა და დალოცვით გაჯერებული, გართულებული ფორმულები. მაგალითად:

1. „ელასა, მელასა ჭიქა მეკიდა ყელასა; მთქმელსა და გამგონებელსა ჭირი გაშორით ყველასა“ [ხალხ. სიტყვ. ტ I, 1972: 155].
2. „ელასა, მელასა ჭიქა მეკიდა ყელასა, ბატონს ძილი ჩვენ ზღაპარი“ [ხალხ. სიტყვ. ტ I, 1972: 155].
3. „ელასა, მელასა ჭიქა მეკიდა ყელასა, მსმენელსა და გამგონესა ძილი გაამოთ ყველასა“ [ხალხ. სიტყვ. ტ I, 1972: 153].

ქართული ხალხური ზღაპრის დასასრულის ფორმულათა შორის აღსანიშნავია სხვა საინტერესო - ჰიპერბოლური ვარიანტებიც. მაგალითად:

1. „მთას ურემი ავიტანე წამოვიდა გორებითა აქ სიციცხლით დავიძახეთ საიქიოს ცხონებითა“ [ხალხ. სიტყვ. ტ I, 1972: 152]
2. „ტყეში შეველ შავადა ხე მოვჭერ კავადა თქვენი მტერი და ორგული ყველა დასხდნენ ავადა, თუ რამ თავი მოგაწყინეთ ნურას უკაცრავადა“ [ხალხ. სიტყვ. ტ I, 1972: 133].
3. „ალი, ართალი, მალი, ართალი ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი“ [ხალხ. სიტყვ. ტ I, 1972: 336]. დასახელებული მაგალითები ერთეული შემთხვევები არ არის, ისინი დამახასიათებელია ქართული ხალხური ზღაპრებისათვის.

ქართული ხალხური ზღაპრების დასასრულისაგან განსხვავებით, ინგლისური ხალხური ზღაპრების დასასრული შედარებით არახატოვანია და სხვადასხვა მრავალფეროვანი წინადადებით მთავრდება, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ განსაზღვრულ სიტუაციაში. ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში სხვადასხვანაირადაა გამოხატული ზღაპრის დასასრული. მაგალითად:

1. **„And the king married his daughter to the young man that had delivered her, and gave a noble’s daughter to his brother; and so they all lived happily all the rest of their days“** The Red Ettin <http://www.surlalunefairytales.com>

„გახარებულმა ხელმწიფემ თავისი ასული უმცროს ვაჟს მიათხოვა, არც მისი უფროსი ძმა დაივიწყა, ისიც დააქორწინა და სიკვდილმდე ტკბილად ცხოვრობდნენ“ [მათიკაშვილი, 1983: 92].

2. **„Jack should soon build a castle for his witty wife for superior to the king’s, which he did, and they lived there happily ever after“** Gobborn Seer, <http://www.surlalunefairytales.com>

“მალე ჯეკმა თავის ჭკვიან ცოლს ათასჯერ უფრო მშვენიერი სასახლე აუშენა, სადაც დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ” [მათიკაშვილი, 1983: 108].

3. **„I can assure you, when they all got together, they had a very merry time of it. And there we will leave them“** The King of England and his Three Sons, <http://www.surlalunefairytales.com>

„მერწმუნეთ ბევრი ილხინეს, ბევრიც იმხიარულეს, ჰოდა, ჩვენც იქ დავტოვოთ ისინი. დაე, მათსავით შენც აგისრულდეს საწადელი, ჩემო მსმენელო“ [მათიკაშვილი, 1983: 125].

4. „**And he caused the old washer wife and her daughter to be burnt. And they were married, and he and she are living happy to this day, for aught I know**“ Black Bull of Norrway, <http://www.surlalunefairytales.com>

„შემდეგ ბოროტი მრეცხავი და მისი ქალიშვილი ცეცხლში ჩააგდებინა, ქალზე ჯვარი დაიწერა, და დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად“ [მათიკაშვილი, 1983: 51].

ინგლისური ხალხური ზღაპრის თითქმის ყოველი დასასრული სიმბოლოა სიკეთის გამარჯვებისა ბოროტებაზე. თითქმის ყველა ხალხურ ზღაპარს, როგორც ქართულში, ასევე, ინგლისურში, აქვს ბედნიერი დასასრული.

ამდენად, მიუხედავად სხვადასხვა სისტემის ენებისა, დასასრულ ფორმულებს ძირითადად ერთი ფუნქცია აკისრია - დასასრული ფორმულის საშუალებით ზღაპრებში სრულდება თხრობა. მთხრობელი გამოხატავს თავის შეხედულებებს, დამოკიდებულებას ამა თუ იმ ამბის მიმართ, ზღაპრის სამყაროს მიმართ.

ამავდროულად, გარდა ზემოაღნიშნული ფუნქციებისა, მიგვაჩნია, რომ ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები უშუალოდ უკავშირდებიან ზღაპრის ქრონოტოპს ანუ დროისა და სივრცის ურთიერთმიმართებას [Бахтин, 1986: 121-122], რაც განსაზღვრავს ზღაპრის მდგრადობას რეალურ სინამდვილესთან მიმართებით. ძალზე საინტერესოა, როგორია მხატვრული ქრონოტოპი ზღაპრებში და რა ენობრივი საშუალებებით გამოიხატება იგი?

დრო ორი კონტრასტული ენის ზღაპრებში წარსული დროის იმპერფექტით გამოიხატება: „იყო და არა იყო რა იყო ერთი“ „Once upon a timethere was“. რაც შეეხება ადგილს, ქართული ხალხური ზღაპრების დასაწყისში ადგილი ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული, მაგრამ „ყოფნა“ აუცილებლად გულისხმობს ადგილსაც. შესაბამისად, ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისში ადგილი იმპლიციტურია ანუ ფარულია. რასაც ვერ ვიტყვით ინგლისურ ხალხურ ზღაპრებზე. ინგლისური ხალხური ზღაპრების დასაწყის ფორმულებში ადგილი გარკვეულწილად ექსპლიციტურ ანუ აშკარა, თვალსაჩინო ხასიათს ატარებს.

რაც შეეხება განხილული ხალხური ზღაპრების დასასრულ ფორმულებს, ისინი არ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ თხრობის პროცესის დასასრულად. თხრობის პროცესთან ერთად სრულდება ზღაპრის დრო. ზღაპრის დასასრულ ფორმულაში შესაძლებელია საბოლოოდ მითითებული იყოს მოქმედების ადგილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის მზა ფორმულები ზღაპრის ქრონოტოპის დასაწყისი და საბოლოო მარკერებია [ჟღენტი, 2009: 212].

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამაც, რომ ზღაპრის ზოგიერთ დასასრულ ფორმულაში გრამატიკულად დრო ხან წარსულში გვხვდება, ხან კი - აწმყო დროშია გადატანილი, რაც განხილულია ამავე თავის ბოლო ქვეპარაგრაფში.

მიუხედავად იმისა, რომ რეფერენცია თითქოს მიმართულია წარსულისადმი („იყო“), ზღაპარი შორსაა დროსა და სივრცეში ყოველგვარი დაკონკრეტებისაგან და მხოლოდ ეფემერულ ტემპორალურობას ავლენს. ასევე ეფემერულია ზღაპრის სივრცული სტრუქტურაც. იგი მხოლოდ ძალზე ზოგადი არქექტიპული ოპოზიციებით იქმნება, მაგალითად: **ზემო-ქვემო; აქ-იქ, მაღლა-დაბლა, მარჯვნივ-მარცხნივ**. ამ ეფემერულ დრო-სივრცეში „შეფუთულია“, დამალულია ზედროული და ასეთივე ეფემერული აღსანიშნი [კვაჭანტირაძე, 2002].

ბუნებრივია, ზღაპრის დრო არ არის არც ღია და არც ისტორიული, ის პირობითია. ჩვენ არ ვიცით, როდის ხდებოდა, ვიცით მხოლოდ ის, თუ რაზე მოგვითხრობდა ზღაპარი, რომ ის ოდესღაც იყო. ის არ არის ღია, რადგან ზღაპრის ფორმულები მისი დასაწყისისა და დასასრულის მარკერებია. პირობითობა ექსპლიციტურია, როგორც ქართული, ასევე, ინგლისური ხალხური ზღაპრების დასაწყისში, რადგან ორივე მათგანში დასაწყისის ფორმულა **ყოფნა / არყოფნის** ოპოზიციით გამოიხატება. კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქრონოტოპის შიდა სტრუქტურულმა ოპოზიციურობამ, რაც აშკარად ჩანს ქართული ხალხური ზღაპრის მზა ფორმულაში, სადაც მნიშვნელოვნად ხაზგასმულია ადგილის გარემოებათა ოპოზიციური წყვილების **იქა/აქა** გამოყენება. რაც შეეხება ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში სტრუქტურულ შინაგან ოპოზიციურობას, მსგავსი რამ არ დასტურდება. ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ვხვდებით ისეთი ტიპის დასასრულ

ფორმულებს, სადაც მთხრობელი დამკვირვებლის როლში გვევლინება. ზღაპრის გამირებმა დიდი წვეულება გამართეს, მაგრამ ზღაპრის მთხრობელი სუფრასთან არ ზის, ის მათთან არ არის, ან კარს მიღმა დატოვებს და არაფრით გაუმასპინძლდნენ. თუმცა, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში არ არის მითითება ზღაპრის მთხრობელის ტოპოსზე (ადგილზე), რაც იმპლიციტურად, ანუ ფარულად ტოპოსს გულისხმობს. მაგალითად: „ისეთ გემრიელ ღვეზელს შეეცნენ, იმის გახსენებაზე, ეხლაც კი ნერწყვი მომდის და განა ეს ცოტას ნიშნავს?“ – „**They had at least as fine a black pudding for their supper as the heart of man could desire**“, „წვეულება გამართეს“- „**They give a dinner party**“, „იყვნენ ბედნიერები და გახარებულები“ – „**They all were happy and funny**“, „მერწმუნეთ ბევრი ილხინეს, ბევრიც იმხიარულეს“ – „**I can assure you, when they all got together, they had a very merry time of it**“, “მას შემდეგ ბედნიერად ცხოვრობდნენ” – „**They were living happy to this day, for aught I know**“, “დაე, მასავით შენც აგისრულდეს საწადელი, ჩემო მსმენელო” – „**And there we will leave them**“.

ამდენად, ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები მხატვრული ქრონოტოპისა და მისი ენობრივი ერთეულების გამოხატვის თვალსაზრისით, ახლოს დგანან როგორც ზღაპართან, ასევე, მისი რეალური სამყაროს შინაგან ოპოზიციურობასთან.

მიუხედავად სხვადასხვა სისტემის ენებისა, საანალიზო ენების ზღაპრების დასაწყისი ფორმულები მიემართებიან კონკრეტული (სულიერი და უსულო) არსებითი საგნისაკენ. აღმოჩნდა, რომ, როგორც ქართული, ისე, ინგლისური ხალხური ზღაპრების პერსონაჟების მდგომარეობა დასაწყისშივე ირკვევა და გვაწვდის მზა ცნობას პერსონაჟთა ვინაობისა და ტიპობრივი ბუნების შესახებ.

რაც შეეხება დასასრულ ფორმულებს, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ქართული ხალხური ზღაპრებისათვის დამახასიათებელია ხატოვანი დასასრული და გართმულობა, რაც მრავალფეროვანი ფორმით გადმოიცემა. ინგლისური ხალხური ზღაპრების დასასრული კი არახატოვანია. რითმი არ არის დამახასიათებელი და ზღაპრის დასასრული სხვადასხვა მრავალფეროვანი წინადადებებით მთავრდება. მიუხედავად მათი ასეთი განსხვავებულობისა, ორივე ენაში ზღაპარი ბედნიერად სრულდება.

§3. მეტატექსტის სტრუქტურა ხალხურ ზღაპრებში

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრები არაერთი თავისებურებით გამოირჩევა. ისინი სტრუქტურულად მეტად საინტერესოსა და სპეციფიკურ სინტაქსურ მთლიანობას წარმოადგენენ. როგორც ქართული, ისე ინგლისური ხალხური ზღაპრები შედგება ერთმანეთთან ჯაჭვურად დაკავშირებული მეტატექსტებით და მათ მთლიანობას სწორედ მეტატექსტების აზრობრივი კავშირი და ურთიერთობა განაპირობებს.

მეტატექსტი არის წინადადებაზე მაღალი იარუსის ენობრივი სამეტყველო ოდენობა, რომელსაც ახასიათებს აზრობრივი მთლიანობა. ეს უკანასკნელი კი იქმნება დამოუკიდებელ წინადადებათა განსაკუთრებული ორგანიზებულობით, სპეციფიკური გაბმულობით [სერგია 1989: 124]. მეტატექსტის კომპონენტია წინადადება და არა წინადადების წევრი. მეტატექსტს აინტერესებს არა მთავარი და დამოკიდებული წინადადებები, არამედ დამოუკიდებელ წინადადებათა თანმიმდევრობა, კერძოდ, ამ თანმიმდევრობის არსი, სპეციფიკა და მექანიზმი. მეტატექსტში პირველი წინადადების (ზოგჯერ მეორისაც) მთავარი და ძირითადი დანიშნულება მიკროთემის ნომინაციაა. მომდევნო წინადადებები კი ემსახურება დასახელებული მოკროთემის გაშლას [სერგია 1989: 125].

თითოეული მეტატექსტის ინფორმაცია - ეს არის სხვადასხვა ინფორმაცია ზღაპრის ამა თუ იმ პერსონაჟის შესახებ და ამ ინფორმაციათა გაერთიანება საბოლოოდ ქმნის ტექსტის სტრუქტურულ მთლიანობას. ქართულ ზღაპარში - „თერთმეტი ძმა“ თითქმის ყველა მეტატექსტის მიკროთემა ძირითადად უკავშირდება ზღაპრის სათაურს თეთრთმეტ ძმას, სადაც მომდევნო წინადადებები ემსახურება დასახელებული მიკროთემის გაშლას. ზღაპარში - „ია ხათუნი“ რვა ძმისა და მათი ერთი დის საინტერესო თავგადასავალია გადმოცემული და ტექსტს ერთი რეფერენტი გააჩნია - „ია ხათუნი“. ასეთივე ვითარება გვხვდება ინგლისურ ზღაპარშიც - „ინგლისის მეფე და მისი სამი ვაჟიშვილი“, სადაც მეტატექსტის მომდევნო წინადადებებში საუბარია ინგლისის მეფისა და მისი სამი ვაჟიშვილის

გმირულ თავგადასავალზე და მასში შესული მეტატექსტების მიკროთემა უკავშირდება თავად ზღაპრის სათაურს.

ენობრივი ერთეულები შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირადაც: სიტყვა - შესიტყვება - წინადადება - მეტატექსტი და ტექსტი, სადაც სქემის ყოველი წინა სიდიდე მომდევნოს კომპონენტია.

ზოგჯერ აზნაცს ემთხვევა მეტატექსტი, თუმცა, მეტწილად მეტატექსტი რამდენიმე აზნაცისაგან შედგება, ანდა, პირიქით, ერთსა და იმავე აზნაცში რამდენიმე მეტატექსტია გამოყოფილი. მეტატექსტისა და აზნაცის თანაფარდობაში გასარჩევია რამდენიმე ტიპური შემთხვევა: 1. როცა მეტატექსტი ემთხვევა აზნაცს; 2. როცა მეტატექსტი შედგება ორი ან რამდენიმე აზნაცისაგან; 3. როცა ერთი აზნაცი შეიცავს რამდენიმე მეტატექსტს. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვა სიდიდეებთან [სერგია, 1989: 134].

საანალიზო მასალის შესწავლამ მოგვცა მეტად საინტერესო სურათი. როგორც ქართულში, ასევე, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, გამოიკვეთა რამდენიმე ერთნაირი და მსგავსი შემთხვევა. კერძოდ:

როცა მეტატექსტი ემთხვევა აზნაცს. მაგალითი ქართული ზღაპრიდან:

„როცა ასფურცელას გაეღვიბა, ნახა, ხეზეა მიბმული. უნდოდა აშვებულიყო, განძრევაც ვერ ჰქნა. მიიხედ–მოიხედა, ძმები იქ აღარ იყვნენ. მიხვდა ყველაფერს და ღმერთს შეევედრა: „ღმერთო თუ მე ვტყუოდე ჩემ ძმებთან, აქვე ამ ხეზე გამაშეშე, და თუ ჩემი ძმები ტყუოდნენ ჩემთან, ეს ხე ძირიან–ფესვიანად მომაგლეჯინეო! - თქვა ეს მიინძრ–მოინძრა და ხე ძირიანად მოიგლიჯა“ [„ასფურცელა“ 1986: 21].

მაგალითი ინგლისური ხალხური ზღაპრიდან:

„Once upon a time there was an old king who had three sons; and the old king fell very sick one time and there was nothing at all could make him well but some golden apples from a far country. So the three brothers went on horseback to look for some of these apples. They set off together, and when they came to cross-roads they halted and refreshed themselves a bit; and then they agreed to meet on a certain time, and not one was to go home before the other. left“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html> „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მოხუცი მეფე, რომელსაც სამი ვაჟიშვილი ჰყავდა. ერთხელაც, ხელმწიფე ძალიან ავად გახდა, ისე ავად, რომ მისი მორჩენა შეუძლებელი შეიქმნა. რა არ სცადეს, რა წამალი არ მოუტანეს, მაგრამ არაფერმა უშველა. ბოლოს სასახლის

ექიმმა თქვა: შორეულ ქვეყანაში რომ ოქროს ვაშლები იზრდება ჩვენს ხელმწიფეს ის თუ განკურნავსო. როცა ეს ვაჭიშვილებმა გაიგეს, თავ-თავიანთ რაშებზე შესხდნენ და ოქროს ვაშლების საძებნელად გასწიეს. იარეს, იარეს, კარგა მანძილი გაიარეს და ერთ გზაჯვარედინს მიადგნენ. აქ ძმები შეჩერდნენ, ცოტა დაისვენეს, დანაყრდნენ და და თქვეს: ამა და ამ დროს სამივენი ამ ადგილას შევიკრიბოთ და სახლში ერთად დავბრუნდეთო. მერე ერთმანეთს დაემშვიდობნენ და თავ-თავიანთი გზით წავიდნენ. უფროსმა-ვალენტინმა მარჯვნივ გაუხვია, საშუალო ძმა-ოლივერი პირდაპირ წავიდა, ხოლო საწყალი ჯეკი გზას დაადგა, რომელიც მარცხნივ მიდიოდა“ [მათიკაშვილი, 1983: 108].

როცა მეტატექსტი ორი ან რამდენიმე აბზაცისაგან შედგება.

მაგალითი ქართული ხალხური ზღაპრიდან:

„ერთ ჭალაში ხშირად თავს იყრიდნენ სხვადასხვა მხეცები. როცა მხეცებში ლომი გაერეოდა, ყველა ნადირს კანკალს დააწყებინებდა. ლომი სათითაოდ იტაცებდა მათ და შეექცეოდა.

შეიკრიბნენ მხეცები მოსალაპარაკებლად, როგორ დავაღწიოთ თავი ლომის ბრჭყალებსო. დიდი ხნის თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს ლომს სამუდამო სარჩო დავუნიშნოთ, ჩვენვე მიუტანოთ და ვთხოვოთ, თავი დაგვანებოს და ნუ გვაფრთხობსო ყოველდღეო. წავიდნენ და ეს დადგენილება ლომს მოახსენეს. ლომი დათანხმდა, მხოლოდ პირობა დაუდო ერთი წუთიც არ გადააცილონ დანიშნულ დროს, თორემ დაგეცემით და ერთიანად ამოგჟღელეთ ყველასო. იმ დღიდან მხეცები სათითაოდ მიჰგვრიდნენ ხოლმე ლომს რომელიმე ცხოველს“ [ხალხური სიტყვიერება, 1972: 136].

მაგალითი ინგლისური ხალხური ზღაპრიდან:

„Centuries of years ago, when almost all this part of the country was wilderness, there was a little boy, who lived in a poor bit of property and his father gave him a little bull-calf, and with it he gave him everything he wanted for it.

But soon after his father died, and his mother got married again to a man that turned out to be a very vicious stepfather, who couldn't abide the little boy. So at last the stepfather said:

'If you bring that bull-calf into this house, I'll kill it.' What a villain he was, wasn't he?

Now this little boy used to go out and feed his bull-calf every day with barley bread, and when he did so this time, an old man came up to him -- we can guess who that was, eh? -- and said to him: 'You and your bull-calf had better go away and seek your fortune.'

So he went on and he went on and he went on, as far as I could tell you till tomorrow night, and he went up to a farmhouse and begged a crust of bread, and when he got back he broke it in two and gave

half of it to the bull-calf“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/littlebullcalf.html>

„მრავალი წლის წინათ, როცა თითქმის მთელი ქვეყანა გაუვალი ტყით იყო დაფარული ერთი პატარა ბიჭი ცხოვრობდა. ბიჭის მშობლები მეტად ღარიბები იყვნენ, მაგრამ შვილი ძალიან უყვარდათ და ერთხელ ნიკორა მოზვერი აჩუქეს. მალე ბიჭის მამა გარდაიცვალა და დედა ხელმეორედ დაქორწინდა. მამინაცვალი ბოროტი კაცი გამოდგა, გერი დანახვისთანავე შეიძულა და მისი თავიდან მოშორება განიზრახა. ერთ დღესაც ბიჭს უთხრა: თუ ეგ საძაგელი მოზვერი ეზოში კიდევ შემოგიყვანია, იცოდე, მოვკლავო. ბიჭიც ადგა და მოზვერი ტყეში გაუშვა, მაგრამ უყურადღებოდ კი არ დაუგდია, ყოველდღე გემრიელ ქერის პურს აჭმევდა. ერთხელაც, ის იყო მოზვერს საუზმე მიუტანა, რომ საიდანლაც მოხუცი კაცი გაჩნდა და უთხრა: უკეთესი იქნება, თუ შენ და შენი მეგობარი აქედან წახვალთ, იქნებ სხვაგან ბედს ეწიოთო. ბიჭს ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა, მოზვერს რქაში ხელი ჩაავლო და თან წაიყვანა. იარეს, იარეს, იმდენი იარეს, რომ ადამიანის ენა ვერ აღწერს და სადამო ჟამს ერთ ფერმას მიადგნენ. ბიჭმა აქ პურის ქერქი ითხოვა, შუაზე გატეხა, ნახევარი თავისთვის დაიტოვა და ნახევარიც მოზვერს მისცა“ [მათიკაშვილი: 1983 : 52].

დაკვირვებამ ცხადყო, რომ მოცემული ზღაპრის მეტატექსტები ქართულში შედგება ორი, ხოლო ინგლისურში ოთხი - აბზაცისაგან.

როცა ერთი აბზაცი რამდენიმე მეტატექსტს შეიცავს. მაგალითი ქართული ხალხური ზღაპრიდან:

(1) „იყო ერთი ღარიბი კაცი, სახელად ნასია. ისეთი მჩატე იყო, რომ ქარის შემობერვაზე ერთ კილომეტრზე გადავარდებოდა. (2) ერთხელ ნასია ქარმა სკაში ჩააგდო. თამაშობდა ნასია ფუტკრებში და იყო: მოიმწყვდევდა ათას ფუტკარს ხელში და ხოცავდა. (3) ერთხელ ნასიამ ქალაქზე დაწერა: „მე ვარ ბიჭი ნასია. ცალი ხელით მომიკლავს ათასი კაცია“. ქალაქი მინდვრად დააგდო. (4) ქალაქი ხელმწიფის ვეზირებმა ნახეს, რომ მინდორში ვიღაც კაცი გორავს. ეს ნასია იყო. თურმე სკიდან ამოეგდო ქარს და მიწაზე გორავდა. ნასია ხელმწიფეს მიჰგვარეს და სახელმწიფო ტანისამოსით შემოსეს“ [ხალხური სიტყვიერება, 1972: 154].

მაგალითი ინგლისური ხალხური ზღაპრიდან:

(1) „On the next Monday, Lazy Jack went once more, and hired himself to a cattle-keeper, who gave him a donkey for his trouble. Jack found it hard to hoist the donkey on his shoulders, but at last he did it, and began walking slowly home with his prize. (2) Now it happened that in the course of his journey there lived a rich man with his only daughter, a beautiful girl, but deaf and dumb. Now she had never laughed in her life, and the doctors said she would never speak till somebody made her laugh. (3) This young lady happened to be looking out of the window when Jack was passing with the donkey on his shoulders, with the legs sticking up in the air, and the sight was so comical and strange that she burst out into a great fit of laughter, and immediately recovered her speech and hearing. (4) Her father was

overjoyed, and fulfilled his promise by marrying her to Lazy Jack, who was thus made a rich gentleman. They lived in a large house, and Jack's mother lived with them in great happiness until she died <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/lazyjack.html> (1) „ორშაბათს ჯეკი ისევ გავიდა სახლიდან სამუშაოს სამეზობლად და ერთ ჩარჩთან დადგა, რომელმაც მუყაითი შრომისათვის სახედარი უბოძა. ბიჭს დედის დარიგება გაახსენდა, სახედარი რის ვაი ვაგლახით მხრებზე შეისვა და მძიმე-მძიმედ სახლისაკენ გაუდგა გზას. (2) სწორედ ამ გზის პირას მდიდარ ვაჭარს სახლი ედგა. ვაჭარს ერთადერთი მზეთუნახავი ასული ჰყავდა, მაგრამ საბრალო ქალი ყრუ-მუნჯი იყო და სიცოცხლეში არასდროს გასცინებია, ექიმებმა მამას უთხრეს, სანამ შენ ასულს ვინმე არ გააცინებს, მანამ არაფერი არ ეშველებაო. (3) ქალმა სწორედ მაშინ გადმოიხედა ფანჯრიდან, როცა ჯეკმა მისი სახლის წინ ჩაიარა ძვირფასი ტვირთით. სახედარი ისე საცოდავად ასავსავებდა ფეხებს ჰაერში, რომ ვაჭრის ასულმა თავი ვერ შეიკავა და გულიანად გადაიხარხარა. იმ წუთსავე ყურთასმენაც დაუბრუნდა და ენაც ამოიდგა. (4) თურმე ნუ იტყვით, ვაჭარს დათქმული ჰქონდა, ვინც ჩემს ქალს მოარჩენს, ჩემი სიძეც ის გახდებაო. გახარებულმა მამამ დანაპირები შეასრულა და თავისი ასული ჯეკს მიათხოვა. ასე რომ, ჯეკი მდიდარი კაცი შეიქმნა, მერე ცოლთან და დედასთან დიდ სახლში გადავიდა და დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ“ [მათიკაშვილი, 1983: 67].

როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, დასახელებული მაგალითებიდან პირველ აბზაცში, ოთხი მეტატექსტი გამოიყო. ზღაპრის ტექსტებმა მეტატექსტის ნაირგვარი და, მართლაც, საინტერესო სურათი მოგვცა. შეპირისპირებითმა კვლევამ ცხადყო, რომ ქართული ზღაპრებისაგან განსხვავებით, ინგლისურ ზღაპრებში დადასტურდა მეტატექსტთა ურთიერთდაკავშირების ისეთი სპეციფიკური საშუალებები როგორცაა: კითხვითი და ძახილის ნიშნები. ყველა სახის წინადადებამ (თხრობითი, კითხვითი, ძახილის), როგორც მეტატექსტთა დაკავშირების საშუალებამ, შეიძლება დაამთავროს ერთი მეტატექსტი და ამდენად, გაწყვიტოს თხრობის ძირითადი ხაზი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი მიკროთემიდან მეორეზე გადასვლა ხდება დამაკავშირებელი წინადადების საშუალებით, რომელიც, თითქოსდა, აზრობრივი ხიდია ორ მეტატექსტს შორის. დამაკავშირებელი წინადადებით მომდევნო მეტატექსტი უერთდება წინამავალს, მაგრამ იმავე წინადადებით იგი განცალკევდება წინამავალისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამაკავშირებელი წინადადებები იმავდროულად საუკეთესო საშუალებაა ერთი მეტატექსტის მეორისაგან გამოსაყოფად [სერგია 1989: 225].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში შეგვხვდა ისეთი მეტატექსტი, სადაც კითხვით წინადადებასთან ერთად გამოყენებულია შორისდებული **oh!** - ოჰ! ძახილის ნიშნით და ის ორ მეტატექსტს ერთმანეთთან აზრობრივად აკავშირებს.

„Jack soon went searching for giants again, but he had not ridden far, when he saw a cave, near the entrance of which he beheld a giant sitting upon a block of timber, with a knotted iron club by his side. His goggle eyes were like flames of fire, his countenance grim and ugly, and his cheeks like a couple of large flitches of bacon, while the bristles of his beard resembled rods of iron wire, and the locks that hung down upon his brawny shoulders were like curled snakes or hissing adders. Jack alighted from his horse, and, putting on the coat of darkness, went up close to the giant, and said softly: **‘Oh! are you there?’** It will not be long before I take you fast by the beard. The giant all this while could not see him, on account of his invisible coat, so that Jack, coming up close to the monster, struck a blow with his sword at his head, but, missing his aim, he cut off the nose instead. At this, the giant roared like claps of thunder, and began to lay about him with his iron club like one stark mad. But Jack, running behind, drove his sword up to the hilt in the giant’s head so that it fell down dead. This done, Jack cut off the giant’s head, and sent it, with his brother’s also, to King Arthur, by a Waggoner he hired for that purpose“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

საინტერესოა, რამდენად არის შენარჩუნებული თარგმანში სასვენი ნიშნები.

„ერთი მილი არც კი ექნებოდა გავლილი, რომ გოლიათის ბუნაგიც გამოჩნდა. ხედავს, გამოქვაბულის წინ, დიდ მორეზზე თვითონ გოლიათი დამჯდარა, გვერდზე რკინის უზარმაზარი კომბალი მოუდვია და გზას გაჰყურებს, ეტყობა ნადირობიდან ძმის დაბრუნებას ელოდებოდა. ჯეკი ადგილზე გაშეშდა, მასზე პირქუში და საზარელი შესახედაობის არსება არსად ენახა. გოლიათი გადმოკარკლული თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა, ლოყები ვაშლივით დაბრაწოდა, განიერ მხრებზე ჩამოშვებული თმები კი ჩხრიალა გველებს მიუგავდა. ჯეკმა უჩინმაჩინის ხალათი ჩაიცვა, გოლიათს ფრთხილად მიუახლოვდა და დაუყვირა: - **აჰა ხარ, არა? ცოტაც მოიცადე, მაგ გაბურძმებულ წვერს ღერღერა დაგაგლეჯ!** გოლიათი ძალიან გაოცდა, იყურება ირგვლივ, ვერაფერს ხედავს, ხმა კი საიდანლაც ესმის, ამასობაში ჯეკი ჩუმად მიეპარა და ხმალი მოუქნია, მაგრამ მოქნევა წაუხდა და გოლიათს მხოლოდ ცხვირი ჩამოათალა. ტკივილისაგან გამწარებული გოლიათი ღრიალით წამოხტა და მოწინააღმდეგეს რაც ძალი და ღონე ჰქონდა რკინის კომბალი დაუშინა, გოლიათს ხმალი შიგ ზურგში ჩაურჭო და ბოლო მოუღო, მერე თავი მოაჭრა და მისი ძმის თავთან ერთად მეფე არტურს გაუგზავნა“ [მათიკაშვილი 1983: 29 - 30].

როგორც ვხედავთ, მთარგმნელს კითხვითი წინადადება **are you there?** - **აჰა ხარ, არა?** სრული შესაბამისობით გადმოაქვს თარგმანში, ხოლო რაც შეეხება მის

მომდევნო წინადადებას **It will not be long before I take you fast by the beard'**- „ცოტაც მოიცადე, მაგ გაბურძენულ წვერს ღერღერა დაგაგლეჯ!“ დედნისგან განსხვავებით ქართულ თარგმანში მთარგმნელს ცვლილებები შეაქვს და წინადადებას ძახილის ნიშნით გამოყოფს.

მეტატექსტი, სადაც ორ მეტატექსტს აზრობრივად ერთმანეთთან აკავშირებს ძახილის წინადადება.

„Now there was a little hole in the wall rather high up, and Jack's wife tried to reach up into a chest there after 'crooked and straight', but at last she asked the king's son to help her, because his arms were longest. But when he was leaning over the chest she caught him by the two heels, and threw him into the chest, and fastened it down.

So there he was, both 'crooked and straight'! Then he begged for pen and ink, which she brought him, but he was not allowed out, and holes were bored that he might breathe. When his letter came, telling the king, his father, he was to be let free when Gobborn and Jack were safe home“


<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/gobborn.html> „ქალმა ბარათი წაიკითხა და იარაღების ასაღებად წავიდა, რომლებიც კედელში ჩადგმულ ერთ დიდ სკივრში ეწყო. მაგრამ ქალი ვერ შესწვდა და უფლისწულს სთხოვა: - იარაღები მალაა, მე ვერა ვწვდები და იქნებ შენ მოახერხო მათი ჩამოღება. უფლისწული ფეხისწვერებზე შედგა და სკივრისაკენ გადაიხარა. ქალსაც ეს უნდოდა, ამაზე უფრო მრუდე და სწორ ხერხს რას ვიპოვიო. მეფის შვილს ხელი ჰკრა, შიგ ჩააგდო და სახურავი მაგრად ჩაუკეტა. მხოლოდ სამი ხვრელი დატოვა ღია, - უფლისწული არ დაიხრჩოსო. ასე რომ ჯეკის ცოლმა ზუსტად შეასრულა გობორნის დანაბარები.

ცოტა ხნის შემდეგ უფლისწულმა საწერ-კალამი მოითხოვა და მამას მისწერა: თუ ჩემი სიკეთე გინდა, გობორნს და მის ვაჟს გასამრჯელო მიეცი და შინ გაუშვიო“ [მათიკაშვილი, 1983: 107,108]. მოხმობილ მეტატექსტში ძახილის წინადადება „**So there he was, both 'crooked and straight'!**“ რომელიც მეტატექსტების დამაკავშირებელია, მთარგმნელს შემდეგნაირად აქვს ნათარგმნი „ქალსაც ეს უნდოდა, ამაზე უფრო მრუდე და სწორ ხერხს რას ვიპოვიო“, სადაც ის ძახილის ნიშნის მაგივრად წინადადების ბოლოს წერტილს სვამს და ამთავრებს აზრს. გარდა ამისა, თარგმანში ვხვდებით წინადადების სტრუქტურის ცვლილებას. მთარგმნელი იყენებს გრამატიკული ტრანსფორმაციის ისეთ მეთოდს როგორცაა დამატება, რომლის დროსაც ხდება თარგმანში დამატებითი ელემენტის შეტანა. ზემოთ მოყვანილ ზღაპრის

მეტატექსტში **“and holes were bored that he might breathe”** - სამი ხვრელი დატოვა ღია, - უფლისწული არ დაიხრჩოსო, დამატებითი ელემენტია - სამი.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში მეტატექსტთა ურთიერთდაკავშირების საშუალებად, როგორც ნიშანდობლიობა, გამოიყენება კითხვითი და ძახილის წინადადებები.

ამგვარად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე, მივედით დასკვნამდე, რომ მეტატექსტი და მეტატექსტთა ურთიერთდაკავშირების სპეციფიკური საშუალებები ზღაპრებში წარმოადგენს იმ პროდუქტიულ ტექსტობრივ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ხდება სხვადასხვა სისიტემის ენებზე ფიქსირებული ზღაპრების აღწერა და შეფასება. როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში მეტატექსტებმა გვიჩვენა რამდენიმე იდენტური შემთხვევა.



განხილულ მეტატექსტებში მხოლოდ ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში შეგვხდა მაგალითი, სადაც მეტატექსტები ერთმანეთისაგან გამოყოფილია კითხვითი და ძახილის ნიშნებით. საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მხოლოდ ინგლისურ ზღაპრებში კითხვითი და ძახილის წინადადებები ტექსტის სტრუქტურული ორგანიზაციის, ერთიანი გაბმული ტექსტის წარმოქმნის ერთ-ერთი აქტიური და ნაყოფიერი საშუალებაა.

§4. სიტყვათა და წინადადებათა რიგი ქართული და ინგლისური

ხალხური ზღაპრების მეტატექსტებში

ტექსტის ლინგვისტიკაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სიტყვათა რიგი, რომელიც მეტატექსტის კომპონენტთა, დამოუკიდებელ წინადადებათა დაკავშირებას გულისხმობს. „სიტყვათა განლაგების მნიშვნელობა საერთოდ დიდია ყველა ენაში“. ეს ასეა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, სინტაქსური თუ სტილისტიკური თვალსაზრისით.

ქართული წინადადება სემანტიკურად მდიდარი და დატვირთულია. სტრუქტურულად კი ერთიანი და მთლიანი, მნიშვნელობით მრავალფეროვანი, გამომსახველობისუნარიანობით კი სხარტი და მოქნილი, რაც განპირობებულია სიტყვათა პირდაპირი თუ ინვერსიული წყობით და იმის შესაძლებლობებით, რომ წინადადების ნებისმიერი წევრი (მთავარი თუ მეორეხარისხოვანი) განივრცოს ერთი ან რამდენიმე სიტყვით [სერგია,1989: 172].

ინგლისური წინადადება, ქართული წინადადების მსგავსად, სემანტიკური თვალსაზრისით დატვირთულია, ხოლო სტრუქტურულად – ერთიანი, თუმცა, გარკვეულწილად ცვალებადი, რაც განაპირობებს წინადადებაში სიტყვების ინვერსიულ და პირდაპირ წყობას.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სიტყვათა რიგი ქართულ წინადადებაში თავისუფალია. ასე მაგალითად, წინადადებაში მოჯამაგირემ ხარები გამოუშვა სამი წევრია და სიტყვათა განლაგების ექვსი ვარიანტია შესაძლებელი: 1. მოჯამაგირემ ხარები გამოუშვა 2. მოჯამაგირემ გამოუშვა ხარები 3. გამოუშვა ხარები მოჯამაგირემ 4. გამოუშვა მოჯამაგირემ ხარები 5. ხარები გამოუშვა მოჯამაგირემ 6. ხარები მოჯამაგირემ გამოუშვა [ხალხ. ზღაპრები,1976: 272]. როგორც ვხედავთ, სიტყვათა რიგის შეცვლისას წინადადების წევრებს შორის სინტაქსური კავშირი არ ირღვევა და არც მათი სინტაქსური ფუნქცია იცვლება: გამოუშვა - ყველა შემთხვევაში შემასმენელია, მოჯამაგირემ - ქვემდებარე, ხარები - პირდაპირი დამატება.

კვლევა ადასტურებს, რომ ასეთი თავისუფლება ზღაპრის ენისათვის ნორმას არ წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში სიტყვათა რიგი მყარია. წევრთა გადასმა-გადმოსმის დროს რომელიმე მათგანმა შეიძლება გაწყვიტოს სინტაქსური კავშირი ერთ სიტყვასთან და სხვა სიტყვას დაუკავშირდეს. მაგ., „მეორე დღეს ღარიბმა კაცმა

ოქრომჭედელს თავისი ორმოცდაათი თუმანი უკანვე გაუგზავნა“. ამ წინადადებაში ზედსართავი სახელი (ღარიბმა) ქვემდებარის განსაზღვრებაა. მაგრამ ის, რომ ქვემდებარის შემდეგ გადავსვათ, გაწყვეტს მასთან სინტაქსურ კავშირს, მომდევნო სიტყვას (პირდაპირ დამატებას: ოქრომჭედელს) დაუკავშირდება და მის განსაზღვრებად იქცევა.

წინადადების წევრების გადასმა-გადმოსმის დროს შეიძლება სულ დაირღვეს სინტაქსური კავშირი და ხელთ შეგვრჩეს მხოლოდ სიტყვები (და არა წინადადება). მაგალითად: „საბნელოს ჩაჯდა ამირან, შემოიკრიბა ფეხები, თუ ამის მეტი არა ვარ, სამზეოს რას ვეხეტები?!“ [ხალხ. ზღაპრები, 1976:862]. ამ წინადადებაში თუ სიტყვებს დავალაგებთ ასე: **შემოიკრიბა საბნელოს თუ ამის მეტი არა ვარ ამირან ჩაჯდა რას ვეხეტები სამზეოს?! სიტყვებს შორის გაწყდება სინტაქსური კავშირი, რის გამოც ისინი წინადადებას ვერ ქმნიან და, ცხადია, აზრსაც ვერ გადმოგვცემენ** [კვაჭაძე, 1988:12].

როგორც ზემოთ განხილული შემთხვევებიდან ჩანს, სიტყვათა განლაგებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს წესიერი სინტაქსური კავშირისათვის. ამასთანავე, სიტყვათა განლაგების როლი, როგორც სინტაქსური საშუალებისა, ქართულში შედარებით მკრთალია, მაგრამ როგორც სტილისტიკური საშუალება, იგი მეტად მნიშვნელოვანია და ფართოდაც არის გამოყენებული [კვაჭაძე, 1988:12].

სიტყვათა წყობით ქართული და ინგლისური ენები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. ბუნებრივია, არ არსებობს აბსოლუტურად მკაცრი ან თავისუფალი სიტყვათა წყობის მქონე ენები. საქმე თავისუფალი გადაადგილების ხარისხშია, რომლითაც წინადადების წევრებს მის ფარგლებში შეუძლიათ მოძრაობა. ამ თვალსაზრისით, ფლექსიური ენები უფრო თავისუფალია, ვიდრე ფლექსიის არამქონენი და, შესაბამისად, რაც უფრო დაბალია ფლექსიის ხარისხი, მით უფრო დიდია სიტყვათა წყობის მნიშვნელობა. ინგლისური ენისთვის სიტყვათა შემდეგი წყობაა დამახასიათებელი:

ქვემდებარე + შემასმენელი + დამატება + სხვადასხვა სახის გარემოება [მესხი, 2014:26].

მაგრამ სიტყვათა რიგი ისეთ დამოუკიდებელ წინადადებაში, რომელიც მეტატექსტის კომპონენტია, თავისუფალი არ არის. მეტატექსტის კომპონენტ წინადადებაში

სიტყვათა რიგი გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ეს კანონზომიერება კი გამომდინარეობს მეტატექსტის მდგენელი წინადადებების ადგილით მთლიან სტრუქტურაში. ამ სიტუაციისათვის ი. ა. კრავჩუკმა შემოიტანა „სიტყვათა სინტაქსური თანაფარდობის პრინციპი“, რომლის შესახებაც წერს: „სიტყვათა სინტაქსური თანაფარდობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვებს, რომლებიც გამოდიან ზეფრაზული მთლიანობის ორი ან რამდენიმე მეზობელი წინადადების დამაკავშირებელ საშუალებად, შეუძლიათ იდგნენ წინადადების დასაწყისში ან შუაში, მაგრამ არა ბოლო ადგილზე. წინადადების ბოლო ადგილზე ასეთი სიტყვების განლაგებით სინტაქსური თანაფარდობის პრინციპი დაირღვევა, მნიშვნელობა დამახინჯდება, ანდა, ზეფრაზული მთლიანობის შინაარსი შეიცვლება“ [Кравчук, 1970:12].

ქართულ ხალხურ ზღაპარში დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა სწორი თანამიმდევრობით დალაგებას და ამიტომ ინფორმაცია მასში მარტო სიტყვებით კი არა, სიტყვათა თანამიმდევრობითაც, სიტყვათა დალაგების წესითაც გადმოიცემა: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ბერიკაცი. ეს ბერიკაცი უშილოდ დაბერებულიყო. ისიც და მისი ცოლიც სულ იმას ევედრებოდნენ ღმერთს, რომ შვილი მიეცა მათთვის. გავიდა ხანი და მიეცათ შვილი, მაგრამ უბედური ბერიკაცი კი მოკვდა“ [ზღაპ.“ირმისა”,1987:3]. მეორე წინადადებაში დასახელებულია „ერთი ბერიკაცი“. მომდევნო წინადადება კი ახალ-ახალ ცნობებს გვაწვდის ამ ბერიკაცის შესახებ. მესამე წინადადება მეორეს უკავშირდება სიტყვებით – „ეს ბერიკაცი“, ხოლო მეოთხე წინადადება კი ნაცვალსახელით – „ისიც“, რომელიც ამ ბერიკაცს გულისხმობს. რაც შეეხება ბოლო წინადადებას, იგი აზრობრივ კავშირს ამყარებს წინამავალ წინადადებებთან სიტყვებით – „უბედური ბერიკაცი“.

წარმოდგენილი სიტყვები: „ეს ბერიკაცი“, და „ისიც“, დგანან დამოუკიდებელ წინადადებათა თავში და ამ წინადადებებს მიაერთებენ წინამავალთან. თუ ამ სიტყვებს შევუცვლით ადგილს და სხვა ადგილას, მაგალითად, ბოლოში გადავიტანთ, წინადადებათა აზრი დამახინჯდება, მეტატექსტის შინაარსი და სტრუქტურა კი შეიცვლება. იგივე შეიძლება ვთქვათ ბოლო წინადადებაზეც. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ შემთხვევაზეც, როცა წინადადებაში შემავალი ზედსართავი სახელი (უბედური) ქვემდებარის (ბერიკაცი) განსაზღვრებაა და,

როგორც წესი, წინ უსწრებს მას. ბუნებრივია, ითქვას: „**უბედური ბერიკაცი კი მოკვდა**“. მაგარამ არ ითქმის: „**ბერიკაცი უბედური კი მოკვდა**“. ამიტომ წინადადების წევრების გადასმა–გადმოსმას სხვადასხვა შედეგი მოსდევს. ამ შემთხვევაში სიტყვის ადგილი მყარია.

ახლა ერთ-ერთი ასეთი მეტატექსტის ასეთ წინადადებას დავაკვირდეთ:

„**იყო და არა იყო რა იყო ერთი ცოლი და ქმარი. ქმარი მეტისმეტად ზარმაცი იყო, არაფერს აკეთებდა, მხოლოდ იჯდა, ჭამდა და ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა და ხან მეორეზე. ცოლი კი შრომობდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქმარსაც ჰკვებავდა, აცმევდა და თავის თავსაც**“ [ხალხური სიტყვიერება ტ I, 1972: 141].

პირველ წინადადებაში დასახელებული არიან **ცოლი** და **ქმარი**. მეორე და მესამე წინადადებები კი სათითაოდ გვაწვდიან ცნობას მათ შესახებ. აზრობრივადაც უკავშირდებიან როგორც ერთმანეთს, ასევე წინამავალ წინადადებას სიტყვებით „**ცოლი**“ და „**ქმარი**“, და ამ შემთხვევაშიც მათთვის ადგილების შეცვლა წინადადების სტრუქტურის შეცვლას გამოიწვევს.

მსგავსი ვითარებაა ინგლისურ ხალხურ ზღაპრებშიც, სადაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა თანამიმდევრობას და სიტყვის ადგილს წინადადებაში. სიტყვის კონკრეტულ ლექსიკურ მნიშვნელობასა და მის სინტაქსურ ფუნქციას განაპირობებს სწორედ მისი ადგილი წინადადებაში. სიტყვას ადგილს თუ შევუცვლით, მისი სინტაქსური ფუნქცია შეიცვლება და წინადადების საერთო მნიშვნელობაც სრულიად სხვა ხასიათს მიიღებს. ზოგ შემთხვევაში სიტყვათა გადაადგილებით წინადადება გადაიქცევა სიტყვების გროვად, რომელიც არავითარ აზრს არ გადმოსცემს, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი – ერთსა და იმავე სიტყვას შეუძლია შეასრულოს წინადადების სხვადასხვა წევრის ფუნქცია იმის მიხედვით, თუ რომელ ადგილზე დგას იგი. ამასთან დაკავშირებით წინადადების საერთო მნიშვნელობაც იცვლება. ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში სიტყვათა ფიქსირებული ადგილები მტკიცებითი ფორმის წინადადებაში ასე ნაწილდება – პირველ ადგილზეა ქვემდებარე, მეორეზე – შემასმენელი, მესამეზე – დამატება და ბოლოს, მეოთხე ადგილზე – სხვადასხვა სახის გარემოება.

ინგლისური ენისათვის სიტყვის ადგილს წინადადებაში ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომ აქვს, რომ არსებით სახელს დაკარგული აქვს

ბრუნვები. როგორც ცნობილია, თანამედროვე ინგლისურში არსებით სახელს მხოლოდ ორი ბრუნვა გააჩნია – საერთო და ნათესაობითი. ნათესაობითი ბრუნვის ფუნქცია წინადადებაში ამოიწურება განსაზღვრების ფუნქციით, ხოლო სხვა დანარჩენი ფუნქციები, კერძოდ კი, ფუნქციები ქვემდებარისა, დამატებისა, განსაზღვრებისა, შემასმენლის სახელადი ნაწილისა და გარემოებისა, საერთო ბრუნვის ფუნქციებში შედის [ებრალიძე,1986:237].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში თუ სიტყვებს, რომლებიც წინადადების თავში დგას, ადგილს შევუცვლით და გადავადგილებთ, წინადადების შუაში ან ბოლოში, მნიშვნელოვნად დაირღვევა და დამახინჯდება აზრი ზღაპარში, ასევე, შეიცვლება მეტატექსტის შინაარსი და სტრუქტურა. ეს კი დამადასტურებელია ყოველივე იმისა, რომ სიტყვათა რიგი ისეთივე მყარია ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, როგორც ქართულში, თუმცა, ეს განსაკუთრებით ინგლისურისთვისაა ნიშანდობლივი. ვნახოთ, რას ნიშნავს ეს პრაქტიკულად: „Once upon a time, and be sure ‘twas a long time ago, there lived **a poor woodman** in a great forest, and every day of his life **he** went out to fell timber. So one day he started out, and the good wife filled his wallet and slung his bottle on his back, that he might have meat and drink in the forest. He had marked out a huge old oak, which, thought he would furnish many and many a good plank. And he was come to it, he took his axe in his hand and swung it round his head as though he were minded to fell the tree at one stroke. But he hadn’t given one blow, when what should he hear but the pitiful lest entreating, there stood before him a fairy” <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/threewishes.html> “იყო და არა იყო რა იყო, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა იყო **ერთი ღარიბი მეტყევე**, რომელსაც სახლი დაბურულ ტყეში ედგა. ყოველ ცისმარე დღეს **მეტყევე**, შემის საჭრელად დადიოდა. ერთ დილითაც, წესისამებრ ცოლმა აბგაში საგზალი ჩაუდო, არ მოშივდესო, დოქში წყალი ჩაუსხა, ზურგზე მოჰკიდა და სამუშაოდ გაისტუმრა. მეტყევეს საფიცრად ერთი დიდი მუხა ჰქონდა შერჩეული და იქითკენ გაეშურა. აი, მუხაც გამოჩნდა. კაცმა ცულს ხელი დაავლო, რაც შეეძლო ზევით ასწია და ისე მოიქნია, თითქოს ერთი დარტყმით აპირებდა ამოდენა მუხის წაქცევას“ [მათიკაშვილი, 1983: 133].

პირველ წინადადებაში დასახელებულია **„ღარიბი მეტყევე“**. მომდევნო წინადადებები კი ახალ–ახალ ცნობებს გვაწვდის ამ ღარიბი მეტყევის შესახებ. მეორე წინადადება პირველს უკავშირდება სიტყვით – **„მეტყევე“**, ხოლო მეხუთე წინადადება სიტყვით – **„კაცმა“**, რომელიც ამ ღარიბ მეტყევეს გულისხმობს.

წარმოდგენილი სიტყვები – „მეტყვე“, „კაცმა“ უკავშირდებიან აზრობრივად წინამავალ წინადადებას. თუ ამ სიტყვებს შევუცვლით ადგილებს და გადავაადგილებთ სხვადასხვა ადგილას, დავამახინჯებთ წინადადების აზრს და შევუცვლით მეტატექსტს შინაარსს. ეს კი გამოიწვევს სტრუქტურული მთლიანობის დარღვევას.

ნიშანდობლივია, რომ ინგლისური ზღაპრის მეტატექსტებში წინადადებები ერთმანეთს ჯაჭვურად უკავშირდებიან: „Now, it happened in these days that King Arthur’s only **son** asked his father to give him a large sum of money, in order that **he** might go and seek his fortune in the principality of Wales, where lived a beautiful lady possessed with seven evil spirits. The king did his best to persuade his son from it, but in vain; so at last gave way and the **prince** set out with two horses, one loaded with money, the other for himself to ride upon“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

„ერთხელ მეფე არტურის ერთადერთმა ვაჟიშვილმა ბედის საძებნელად წასვლა გადაწყვიტა და მამას სთხოვა მგზავრობისათვის საჭირო ფული მომეციო. ყმაწვილს განსაკუთრებით უელსისაკენ მიუწევდა გული, რადგანაც გაგებული ჰქონდა, იქ მოჯადოებული მზეთუნახავი ცხოვრობს, რომელიც ბოროტ სულს ჰყავს შეპყრობილიო. მეფემ ბევრი ეხვეწა შვილს ნუ წახვალ, მაგრამ ამაოდ. უფლისწულმა რაც დაიჩემა, ვეღარ გადაათქმევინეს. რაღას იზამდნენ, მეფემ ორი ცხენი შეაკაზმვინა, ერთი - ფულითა და საჭირო ნივთებით დატვირთეს, მეორე უფლისწულს გადაულოცეს“ [მათიკაშვილი, 1983: 23].

მოცემული მეტატექსტი შედგება სამი წინადადებისაგან, რომელთაგან პირველ წინადადებაში დასახელებულია მეფე არტურის ერთადერთი „ვაჟიშვილი“, ამავე წინადადებაში მეფე არტურის ვაჟიშვილი მოხსენიებულია ანაფორული ნაცვალსახელით – „He“ - „მან“, რომელიც მოცემულ მეტატექსტში „ვაჟიშვილის“ ანაფორაა. მეორე წინადადებაში მეფე არტურის „ვაჟიშვილი“ - „son“ მოხსენიებულია, როგორც „უფლისწული“ - „Prince“, რომელიც მეფე არტურის ვაჟიშვილის ლექსიკური განმეორებაა, ოღონდ სინონიმური ჩანაცვლებით. „Prince“ ამ წინადადებაში გვხვდება, როგორც სინონიმური ჩანაცვლება. ამ მეტატექსტში გვაქვს წინადადებათა ჯაჭვური დაკავშირება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მყარია არა მხოლოდ სიტყვათა რიგი, არამედ წინადადებათა რიგიც როგორც ქართული, ისე ინგლისური ხალხური ზღაპრების

მეტატექსტებში. ასევე, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ბევრად მეტია ქართული თარგმანის ემოციურ-ექსპრესიული იერი.

ვ. სერგია აცხადებს, რომ „მეტატექსტში შემავალი დამოუკიდებელი წინადადებების ადგილის შეცვლა ცვლის და ამახინჯებს მეტატექსტის სემანტიკურ მთლიანობას და სტრუქტურულ ერთიანობას“ [სერგია,1989:173].

1. „წავიდა ვაჟი და აი შემოხვდა ნაცნობი ადგილები“.
2. „აი, ხევიც ის უძირო უფსკრული“.
3. „ყორანი მაშინლა მომკვდარიყო“.
4. „ამოეგსო ხევი და თვითონაც გამხმარი ეგდო კლდის წვერზე“.
5. „ვაჟს თვალთ დაუბნელდა, მოაგონდა ქალის სიტყვები, გაბედა უკან დაბრუნება, მაგრამ მიწა, ბედისწერა არ უშვებდა“ [ზღაპ. „მიწა თავისას მოითხოვს“,1987:130]. ვთქვათ, ამ მაგალითში წარმოდგენილი წინადადებებიდან პირველი წინადადება გადავსვით მეოთხე ადგილას და პირიქით, მეოთხე-პირველის ადგილზე, მესამე წინადადება მეხუთე ადგილზე და ა.შ. ვნახავთ, რომ მეტატექსტის კომპონენტთა ასეთი გადაადგილება გამოიწვევს შინაარსის დამახინჯებას და დაარღვევს სტრუქტურას, როგორც ერთიანსა და მთლიანს. ასეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე ინგლისურ ზღაპრებშიც. ისინი ერთმანეთის მსგავსია და წინადადებათა რიგის თანამიმდევრობა ისეთივე მყარი, როგორც ზემოთ დასახელებულ ქართულ მაგალითში.

1. „There once lived a king and a queen as many a one has been“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/nixnought.html>

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე-დედოფალი“ [მათიკაშვილი,1983: 125].

2. „They were long married and had no children“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/nixnought.html>

„ხანი გადიოდა, მაგრამ ცოლ-ქმარს შვილი არ ეძლეოდა“ [მათიკაშვილი,1983: 125].

3. „But at last a baby-boy came to the queen when the king was away in the far countries“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/nixnought.html>

„მაგრამ აი, ერთხელაც, როცა მეფე შორეულ ქვეყანაში სამოგზაუროდ წავიდა, დედოფალს ვაჟი შეეძინა“ [მათიკაშვილი,1983: 125].

4. „The queen would not christen the boy till the king came back, and she said, "We will just call him - Nix Nought Nothing - until his father comes home."“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/nixnought.html>

„მაგრამ რაკი ქალს არ უნდოდა ქმრის ჩამოსვლამდე ბავშვისათვის სახელი დაერქმია,

ასე გამოაცხადა, სანამ მეფე დაბრუნდება, უფლისწულს არამქვია დავუძახოთ“
[მათიკაშვილი, 1983: 125].

5. „But it was long before he came home, and the boy had grown a nice little laddie“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/nixnought.html>

„ხელმწიფე კი კარგა ხანს არ დაბრუნებულა. ამასობაში ბავშვს ხუთი წელი შეუსრულდა“
[მათიკაშვილი, 1983: 125].

6. „At length the king was on his way back“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/nixnought.html>

„ბოლოს, როგორც იქნა, ომებისა და ბრძოლებისაგან დაქანცული მეფე თავის ლაშქართან ერთად შინისაკენ გაეშურა“ [მათიკაშვილი, 1983: 125].

**§5. ლექსიკური განმეორება, როგორც მეტატექსტის კონსტიტუენტების
დაკავშირების საშუალება**

ენობრივ-სტილისტიკური გამომსახველობითი საშუალებების შესწავლისას ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ლექსიკურ განმეორებაზე ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების მეტატექსტებში.

ლექსიკური განმეორება დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების ერთ–ერთ გავრცელებულ, ტიპურ საშუალებას წარმოადგენს და ავტორი მას ესთეტიკური შთაბეჭდილებების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება – გამძაფრების მიზნით მიმართავს. როგორც ქართულში, ისე ინგლისურ ზღაპრებში ამის მრავალი მაგალითი გვაქვს.

ლექსიკურ განმეორებას, როგორც მეტატექსტის კონსტიტუენტების დაკავშირების საშუალებას მრავალი მეცნიერი შეეხო და ისინი ერთხმად აღიარებენ ამ საშუალების დიდ ძალას და შესაძლებლობებს. გამეორება ხალხური ენის ემოციურობის ერთ-ერთი მაცოცხლებელი ელემენტია [ლლონტი, 1966: 281].

ნ. ნ. ლეონტიევას მიაჩნია, რომ აზრობრივი განმეორება შეიძლება იყოს აშკარა ან ფარული, აშკარა მდგომარეობს ერთი და იმავე სიტყვებისა და გამოთქმების, ხოლო

ფარული - სინონიმების ხმარებაში, სემანტიკურად ნაწილობრივ გადამკვეთ სიტყვათა გამოყენებაში [სერგია, 1989:165].

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრები, ორივე შემთხვევის გამოყენებით ხასიათდება. მაგალითად, ქართულ ხალხურ ზღაპარში, აშკარა ლექსიკური განმეორებაა:

„მენახირე“ - სხვად ქცეული **მენახირე** ქვისლებს წყალთან დაუხვდა. სიძეებს **მენახირე** წყლის პატრონი ეგონათ და წყალი გვინდა ვიყიდითო! - უთხრეს.

- არ ვიყიდითო! - უთხრა **მენახირემ**.

- მაშ რა ვქნათ, უწყლოდ როგორ წავიდეთ, ხელმწიფე კვდებაო! - შეწუხდნენ სიძეები.

-წყალს არ ვიყიდი, მაგრამ რადგან ასეა საქმე, მოგყიდით, მაგრამ ფასად ყურის ბიბილოებს მოგაჭრითო.

- მოაჭრევენეს სიძეებმა ყურის ბიბილოები **მენახირეს** და წაიღეს წყალი“ [ხალხური სიბრძნე: ტ I, 1963: 298].

ფარული ლექსიკური განმეორება ქართულ ხალხურ ზღაპარში.

„მკითხავი საგონებელში ჩავადრა. მერე ერთი ლექსი მოაგონდა და თქვა:

ახტი კალია, დახტი კალია

ვაი შენ ჩემო თავო.

რა ძალათ მოგკალია მეფემ და ნაზირ-ვეზირებმა ერთად დაიძახეს: - გამოჩენილი **გულთმისანი** ყოფილაო“ [ხალხური სიტყვიერება, 1972:156].

ახლა ვნახოთ, ინგლისური ხალხური ზღაპრიდან მაგალითები, სადაც აშკარადაა გამოკვეთილი ლექსიკური განმეორება. „It was then a quarter to one, when he called out, **Swan, swan**, carry me over, in the name of the old Griffin of the Greenwood.' No sooner said than done. A **swan** under each side, and one in front, took him over in a crack“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„უფლიწული წყალთან მივიდა და დაიძახა: **„გედო, გედო**, მწვანე ტყის ფასკუნჯს გაფიცებ, გადამიყვანე იქითა ნაპირზე!“ ჯერ ეს სიტყვები არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ საიდანღაც სამი **გედი** მოფრინდა“ [მათიკაშვილი, 1983: 114].

ამ მეტატექსტში კი ერთმანეთთან აზრობრივად აკავშირებს დამოუკიდებელ წინადადებებს არსებითი სახელის **„გედის“** ლექსიკური განმეორება.

ფარული ლექსიკური განმეორება ინგლისურ ხალხურ ზღაპარში.

„At midnight she went as before, and was angry with the **demon** for letting the handkerchief go. ‘But now,’ quoth she, ‘I will be too hard for the king’s son, for I will kiss thee, and he is to show me thy lips.’ Which she did, and Jack, when she was not standing by, cut off **Lucifer’s** head and brought it under his invisible coat to his master, who the next morning pulled it out by the horns before the lady. This broke the enchantment and the **evil spirit** left her, and she appeared in all her beauty“
<http://www.authorama.com/english-fairy-tales-21.html> „შუადამისას **ბოროტმა სულმა** მზეუნახავი კვლავ ეშმაკთან მიიყვანა. ჯეკიც უკან გაჰყვა მათ. გაბრაზებულმა ქალმა **ლუციფერს** შავი დღე დააყენა ხელსახოცის გამო. მაგრამ ამჯერად, - დასძინა მან - უფლისწულს აღარაფერი უშველის, რადგანაც შენს სამებნელად შორს დასჭირდება წასვლა, - თქვა თუ არა ეს, **ლუციფერს** აკოცა და ოთახიდან გავიდა. ჯეკსაც ბევრი აღარ დაუყოვნებია, **ეშმაკს** ჯადოსნური ხმლით თავი მოჰკვეთა. დილით უფლისწულმა ეშმაკის თავი მზეთუნახავს მიართვა. როგორც კი ქალმა ლუციფერის რქები დაინახა, ჯადო აიხსნა და მის სხეულს **ბოროტი სული** გამოურდა“ [მათიკაშვილი, 1983: 27].

ლექსიკურ განმეორებაში გამოიყოფა **კონტაქტური** და **დისტანციური** განმეორებები.

კონტაქტურად მიიჩნევენ განმეორებას, როცა ლექსიკური ერთეული მეორდება მეზობელ წინადადებაში, ხოლო, როცა სიტყვა მეორდება ერთი ან რამდენიმე წინადადების შემდეგ, მას დისტანციურ განმეორებას უწოდებენ [სერგია, 1989:165].

მაგალითად, ქართული **„ია ხათუნის“** ზღაპარში ყოველი წინამავალი წინადადებიდან მომდევნოში მიზანდასახულად მეორდება ლექსიკური ერთეული. ამიტომ, ამ მეტატექსტში ვხვდებით კონტაქტურ ლექსიკურ განმეორებას:

„ია ხათუნის დედობილი ჩაწვა, მოიავადმყოფა თავი და კვნესა დაიწყო. ქმარმა ჰკითხა: რა გიშველისო, - მე სხვა არაფერი მიშველის, თუ **ია ხათუნს** დაჰკლავთ და იმის გულ-ღვიძლს მაჭმევთ მოვრჩებიო თუ არა და მოვკვდებიო. ქმარი ძალიან შეწუხდა, რადგან შვილივით უყვარდა **ია ხათუნს**. - აბა, როგორ დავკლავთ, - უთხრა ცოლს, - ჩვენ ხომ **ია ხათუნს** შვილად ავიყვანეთ. თავის დედ-მამასავით გვიცქერის, გვენდობა და ახლა რომ დავკლავთ, ხალხს რა ვუთხრათო. ცოლის „ავადმყოფობით“ ძალიან რომ მობეზრდა, ბერიკაცმა მოჯამაგირეს უთხრა: წაიყვანე **ია ხათუნს**, დაკალი და გულ-ღვიძლი მომიტანეო“ [ხალხური სიბრძნე: ტ I, 1963: 310].

ამ მეტატექსტის დამოუკიდებელ წინადადებებს ერთმანეთთან აზრობრივად აკავშირებს ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის, საკუთარი არსებითი სახელის – „ია ხათუნის“ განმეორება.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში **კონტაქტურ განმეორებასთან** ერთად ასევე ვხვდებით **დისტანციურ განმეორებას**. ზღაპარში ცურმოჭრილი ფურირემი ვხვდებით ისეთ მეტატექსტებს, სადაც აშკარად დასტურდება დისტანციური განმეორების მაგალითი.

„მოიძადა ბიჭმა საგზალი, გადაიკიდა თავისი სანადირო თოფ-იარაღი, გამოემშვიდობა დედას და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ცხრა მთა გადაიარა, ცხრა ტყვე გაკვეთა, ცხრა მინდორი გადათელა და ბოლოს ერთ განმარტოებულ სახლს მიადგა“ [ცურმოჭრილი ფურირემი: 495]. ამ მეტატექსტში ვხვდებით დისტანციურ განმეორებას, სადაც სიტყვა ცხრა ყოველი ორი სიტყვის შემდეგ მეორდება.

დაკვირვებისათვის საინტერესო ობიექტს წარმოადგენს ზღაპრებში, ისეთი მეტატექსტი, სადაც ფერების სიტყვასიტყვით განმეორება ვხვდება.

„ახლა მიდი ბატონთან და უთხარი: მოურავის ფულით გიყიდოს ოცი თეთრი ხარი, ოცი - წითელი და ოციც - შავი. ისიც უთხარი რომ ხარების ღირებულებაში სხვისი ან თვითონ ბატონისა გროში არ ერიოს, თორემ შენს ბრძანებას ვერ ავასრულებ-თქო. აყიდვინე ხარები გაირეკე, წადი. სამ მთას რომ გადაივლი, თეთრი არწივი შეგხვდება, თეთრი ხარები მიეცი და გაგიშვებს. კიდევ სამ მთას რომ გადახვალ, წითელი არწივი დაგხვდება და იმას წითელი ხარები მიეცი, ხოლო მეცხრე მთასაც რომ გადახვალ, იქ შავი არწივი დაგხვდება და შავი ხარებიც იმას მიეციო“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 564].

კვლევისას, საინტერესო ეპიზოდი ვნახეთ ქართული ხალხური ზღაპრის „მეცხვარის, ბრმა დევისა და ფეიქრის შეგირდის“ ერთ-ერთ ეპიზოდში, სადაც ნათლად ჩანს დისტანციური განმეორება.

„ბიჭმა გარეკა შავი მთისაკენ ცხვარი. ერთი შავი მეცხვარე გამოვიდა, ხელში შავი ჩომბახი ეჭირა, შავი ნაბადი ესხა, შავი ცხვარი და შავი ძაღლები ახლდა. მერე წითელ მთაზე გარეკა ბიჭმა ფარა. გამოვიდა წითელი მეცხვარე, გამოირეკა სულ წითელი ცხვარი და წითელი ძაღლები, თვითონაც წითელი ნაბადი ესხა და ხელში წითელი კომბალი ეჭირა. ასევე ნახა ბიჭმა თეთრ მთაზე, თეთრ ჩომბახიანი თეთრი მეცხვარე თეთრი ცხვრით. შელოცვების მსგავსი ფორმულების ასეთი გამეორებანი ჯადოსნურ ზღაპრებში მათი იდუმალი ბუნებისა და მაგიასთან ღრმა კავშირის მაუწყებელია“ [ოქროშიძე: 121].

რაც შეეხება ინგლისური ხალხური ზღაპრების მეტატექსტებს აქაც ქართულის მსგავსად, ვხვდებით განმეორების სახეებს კონტენსიურ და დისტანციურ განმეორებებს მაგალითად:

“Jack ran as fast as he could, and the **ogre** came rushing after, and would soon have caught him only Jack had a start and dodged him a bit and knew where he was going. When he got to the beanstalk the **ogre** was not more than twenty yards away when suddenly he saw Jack disappear like, and when he came to the end of the road he saw Jack underneath climbing down for dear life. Well, the **ogre** didn't like trusting himself to such a ladder, and he stood and waited, so Jack got another start. But just then the harp cried out: ‘Master! Master!’ and the **ogre** swung himself down on to the beanstalk, which shook with his weight. Down climbs Jack, and after him climbed the ogre“ <http://www.authorama.com/english-fairy-tales-15.html> “მირბის ჯეკი და მისდევს **დევი**. აი, დაეწია, უნდა დაიჭიროს, მაგრამ ჯეკი მოხერხებულად დაუსხლტა ხელიდან და დაწინაურდა, როცა ჯეკმა ლობიოს ღეროს მიაღწია, **დევისაგან** სულ ოციოდე ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული უეცრად ბიჭი სადღაც გაქრა. იყურება **დევი** აქეთ - იქით, იყურება სად არის ჯეკი! ამასობაში გზაც გათავდა. ქვევით ჩაიხედა. ხედავს, ჯეკი ლობიოს ღერს ჩამოჰკიდებია და თავდაუზოგავად ძირს მიცოცავს. მაგრამ ამ დროს ქნარმა ისევ მორთო ყვირილი: „ოსტატო! ოსტატო!“ **დევი** ლობიოს ღეროს დაეკიდა, რომელმაც მისი სიმძიმისაგან ქანაობა დაიწყო“ [მათიკაშვილი, 1983: 16].

აღნიშნულ ინგლისურენოვან ტექსტში ნაჩვენებია კონტენსიური გამეორების მაგალითი.

ლექსიკური განმეორების ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს სიტყვათშეხამება, რომელიც ქართულ ხალხურ ზღაპრებში ხშირად გამოიყენება, როგორც მეტატექსტის კომპონენტთა დამაკავშირებელი საშუალება. ზღაპარში **„გაუცინარი ხელმწიფე“** ვკითხულობთ:

„იყო ერთი **გაუცინარი ხელმწიფე** და ჰყავდა სამი ვაჟი. ამ ვაჟებს **გაუცინარი ხელმწიფის** შვილებს ეძახდნენ. წამოიზარდნენ თუ არა, უფლისწულებმა მამის გაუცინარობის მიზეზი ჰკითხეს: - რა გინდათო? - ჰკითხათ გაუცინარმა მამამ.

- ჩვენ **გაუცინარი ხელმწიფის** შვილებს გვეძახიან და რათ ხარ გაუცინარიო?

- მიაწოდა უმცროსს ხელმწიფემ ჯამით ღვინო და უთხრა: - აბა დალიე ეს ჯამი, ერთ სილას შემოგკრავ და მერე გეტყვიო! - ჩამოართვა ჯამი ღვინო და დალია. შემოჰკრა **გაუცინარმა ხელმწიფემ** სილა, მაგრამ ფეხიც ვერ მოაცვლევინა“ [ხალხური სიბრძნე: ტ I, 1963: 125].

ამ მეტატექსტში მეორდება სიტყვათშეხამება „გაუცინარი ხელმწიფე“, რომელიც ერთმანეთთან სემანტიკურად აკავშირებს დამოუკიდებელ წინადადებებს.

ქართული ხალხური ზღაპრების მსგავსად, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებშიც გამოიკვეთება ისეთი მეტატექსტები, სადაც ყოველი წინამავალი წინადადებადიდან მომდევნოში მიზანდასახულად მეორდება სიტყვათშეხამება. მაგალითად:

„The old King fell very sick one time, and there was nothing at all could make him well but some **golden apples** from a far country. So the three brothers went on horseback to look for some of those **golden apples** to recover their father“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„ერთხელაც ხელმწიფე ძალიან ავად გახდა, ისე ავად, რომ მისი მორჩენა შეუძლებელი შეიქმნა. რა არ სცადეს, რა წამალი არ მოუტანეს, მაგრამ არაფერმა უშველა. ბოლოს სასახლის ექიმმა თქვა: შორეულ ქვეყანაში რომ ოქროს ვაშლები იზრდება ჩვენს ხელმწიფეს ის თუ განკურნავს, როცა ეს ვაჟიშვილებმა გაიგეს, თავ თავიანთ რაშებზე შესხდნენ და ოქროს ვაშლების სამებნელად გასწიეს“ [მათიკაშვილი, 1983: 108].

ამდენად, როგორც ქართული ისე ინგლისური ხალხური ზღაპრების მეტატექსტებში დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების ერთ-ერთ ტიპურ საშუალებას ლექსიკური განმეორება წარმოადგენს, რომელიც ზღაპრებში ესთეტიკური შთაბეჭდილების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება–გამძაფრების მიზანს ემსახურება.

წ6. სინონიმური ჩანაცვლება ხალხური ზღაპრების მეტატექსტებში

ზოგჯერ ლექსიკური განმეორების ნაცვლად მეტატექსტის კონსტიტუენტების დასაკავშირებლად გამოიყენება სინონიმური ჩანაცვლება, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ სინონიმები ან სინონიმური გამოთქმები გამოიყენება იქ, სადაც საჭიროა ლექსიკური განმეორება.

სინონიმური ლექსიკის გამოყენებას აქვს არა მხოლოდ უშუალო სინტაქსური მნიშვნელობა, არამედ მისი მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა აზრობრივი ურთიერთობა გამოიხატოს წინადადებებს შორის. გარდა ამისა, ჯაჭვური სინონიმური დაკავშირება მეტყველებას ხდის უფრო მოქნილს, სხვადასხვაგვარს და თავიდან გვაცილებს ერთი და იმავე სიტყვის განმეორებას. მოვიყვანოთ მაგალითი

ქართული ხალხური ზღაპრიდან.

„ერთ ჭალაში ხშირად თავს იყრიდნენ სხვადასხვა მხეცები, როცა ლომი გაეროდა, ყველა ნადირს კანკალს დააწყებინებდა. ლომი სათითაოდ იტაცებდა მათ და შეექცეოდა“ [ხალხური სიბრძნე: ტ II, 1964: 136]. პირველ წინადადებაში დასახელებულია - **„მხეცები“** და მის მაგივრად მეორე წინადადებაში ნახმარია სინონიმური ჩანაცვლება - **„ნადირი“**, ხოლო მესამე წინადადებაში, სინონიმური ჩანაცვლება ხდება ნაცვალსახელით - **„მათ“**, რომელიც ამასთან ერთად გამოდიან. ახლა სანიმუშოდ მოვიყვანოთ და შევადაროთ ინგლისური ხალხური ზღაპრის ერთ-ერთი მაგალითი: „Now, it happened in these days that King Arthur’s only **son** asked his father to give him a large sum of money, in order that he might go and seek his fortune in the principality of Wales, where lived a beautiful lady possessed with seven evil spirits. The King did his best to persuade his **son** from it, but in vain; so at last gave way and the **Prince** set out with two horses, one loaded with money, the other for himself to ride upon“ <http://www.authorama.com/english-fairy-tales-22.html> „ერთხელაც მეფე არტურის ერთადერთმა **ვაჟიშვილმა** ბედის სამეხნელად წასვლა გადაწყვიტა და მამას სთხოვა მგზავრობისათვის საჭირო ფული მომეცო. **ყმაწვილს** განსაკუთრებით უელსისაკენ მიუწევდა გული, რადგანაც გაგებული ჰქონდა, იქ მოჯადოებული მზეთუნახავი ცხოვრობს, რომელიც ბოროტ სულს ჰყავს შეპყრობილიო. მეფემ ბევრი ეხვეწა **შვილს**, ნუ წახვალო, მაგრამ ამაოდ“ [მათიკაშვილი, 1983: 23].

ეს მეტატექსტი შედგება სამი წინადადებისაგან. პირველ წინადადებაში დასახელებულია - **„ვაჟიშვილი“**, და მის მაგივრად მეორე წინადადებაში ნახმარია სინონიმური ჩანაცვლება - **„ყმაწვილი“**, მესამე წინადადებაში ასევე გამოიყენება სინონიმური ჩანაცვლება - **„შვილი“**, რომლებიც ამასთან ერთად გამოდის როგორც სამი წინადადების აზრობრივი დაკავშირების საშუალება.

სინონიმურ ჩანაცვლებას უახლოვდება ე.წ. „სემანტიკური განმეორება“, რომელიც ე.ფ. სკოროხოლდკომ შემოიტანა. მისი აზრით, სემანტიკური განმეორება - ეს არის ზოგიერთი არაგრამატიკული მნიშვნელობის, ზოგიერთი სემანტიკური ნიშნის მთლიანობის განმეორება.

სემანტიკური განმეორება, როგორც მეტატექსტის კომპონენტების დაკავშირების საშუალება, განიხილა აგრეთვე ს.ი. გინდინმა, განმეორების ეს სახე, მისი აზრით, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ფუნქციონალური ერთობა, ლექსიკური, სინონიმური და ძირეული განმეორებებისა, რომლებიც ამჯერად

მიიღება, როგორც სემანტიკური განმეორების კერძო შემთხვევები. შეიძლება ითქვას, რომ „სემანტიკური განმეორება ახლოს დგას სინონიმურ ჩანაცვლებასთან, მათ შორის არსებითი და პრინციპული განსხვავება არ შეინიშნება. სემანტიკური განმეორება გულისხმობს, რომ მეორდება აზრობრივად ურთიერთ – დამაკავშირებელი, ერთი სემანტიკური ველის სიტყვები [სერგია, 1989:168]. ვნახოთ მაგალითები ჯერ ქართული, ხოლო შემდეგ ინგლისური ხალხური ზღაპრებიდან.

„იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა სამი **ვაჟი**. **სამივეს** მეზობელი ხელმწიფის მზეთუნახვი ქალი უყვარდა. ამ ქალის სიყვარულს **ძმები** ერთმანეთს არ უმხელდნენ. **თითოეულს** კი ეგონა, მართო მე მიყვარსო“ [ხალხური სიტყვიერება, 1972: 131].

„ბედად ცაზე **ღრუბლები** გაჩნდა. დაიქუხა, დაიგრიალა, გააგრიალა და გამოაგრიალა თავისი რკინის ბურთები ცაზე და კოკისპირულად დაუშვა წვიმამ“ [ხალხური სიბრძნე, 1964:139].

პირველი მეტატექსტის პირველ წინადადებაში დასახელებულია საზოგადო სახელი „**ვაჟები**“, რომლებსაც მომდევნო წინადადებებში ცვლის აზრობრივად დაკავშირებული ვაჟების ველის სიტყვები: „**სამივე**“, „**ძმები**“, „**თითოეული**“. ეს სემანტიკური განმეორება მოცემულ დამოუკიდებელ წინადადებათა ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირების საშუალებაა, რაც ქართულ ხალხურ ზღაპრებში მათი ხშირი გამოყენება მკაფიოდ იგრძნობა.

“Once upon a time there was an old king who had three **sons**; and the old king fell very sick one time and there was nothing at all could make him well but some golden apples from a far country. So the three **brothers** went on horseback to look for some of these apples“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html> „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მოხუცი მეფე, რომელსაც სამი **ვაჟიშვილი** ჰყავდა. ერთხელაც ხელმწიფე ძალიან ავად გახდა, ისე ავად, რომ მისი მორჩენა შეუძლებელი შეიქმნა. რა არ სცადეს, რა წამალი არ მოუტანეს, მაგრამ არაფერმა არ უშველა. ბოლოს სასახლის ექიმმა თქვა: შორეულ ქვეყანაში რომ ოქროს ვაშლები იზრდება ჩვენს ხელმწიფეს ის თუ განკრწავსო. როცა ეს ძმებმა გაიგეს, თავ-თავიანთ რაშებზე შესხდნენ და ოქროს ვაშლების საძებნელად გასწიეს“ [მათიკაშილი, 1983: 108].

ამ მეტატექსტის პირველ წინადადებაში დასახელებულია - „**ვაჟიშვილები**“, რომელსაც მომდევნო წინადადებაში სიტყვა - „**ძმები**“ ცვლის ეს მისი სინონიმური ჩანაცვლება. ეს სემანტიკური განმეორება მოცემულ დამოუკიდებელ წინადადებათა

ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირების საშუალებაა, და ინგლისურ ზღაპრებშიც ისეთივე მკაფიოდ და მეტი სიხშირით გამოიყენება, როგორც ეს ვნახეთ ქართულ ხალხურ ზღაპრებში.

მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ჩანს, მთქმელი განმეორებას, იქნება ეს ლექსიკური თუ სინონიმური, განმეორება, იმთავითვე, ზღაპრის წარმოშობის პირველივე საწყისიდან მიმართავდა, როგორც აზრის უფრო მეტი სიძლიერით გადმოცემის ერთ-ერთ საშუალებას. განმეორება, ასეთ შემთხვევებში არა თუ ნაკლებად ანელებს ინტერესს, არამედ სიტყვასა და ზოგადად ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპარს უფრო მეტ მხატვრულ ძალას აძლევს.

§7. წინადადებათა ტიპები ზღაპრებში

წინადადება დამოუკიდებელი ერთეულია და გაბმულ მეტყველებაში, ჩვეულებრივ, ნაწილია ნათქვამისა. იგი აზრობრივად სხვა წინადადებებთან არის დაკავშირებული და ამიტომ ზოგი რამ ცალკე აღებული წინადადების მიხედვით შეიძლება არ იყოს ნათელი. ზოგი წინადადება სრულად გამოხატავს აზრს, ხოლო ზოგი მომდევნო წინადადებაში აღნიშნულ მოქმედებას პირველი წინადადებით ხსნის ან პირიქით, ბოლო წინადადების მიხედვით ხდება წინ მდგომი წინადადება გასაგები.

აგებულიების მიხედვით ქართულში გვაქვს სამი ტიპის წინადადება: მარტივი, შერწყმული და რთული.

მასალის განხილვა გვარწმუნებს, რომ ქართული ხალხური ზღაპრები შედგება შერწყმული და რთული წინადადებებისაგან, უმეტესად კი – შერწყმული წინადადებებისაგან. მაგალითად:

1. „ამასაც გასცდა ვაჟი, მოათავა ხმელეთი და მიადგა ზღვის პირს. აუარა და ჩაუარა ზღვას. ერთი დღე იარა, მეორე და ვერაფერს შეხვდა. მესამე დღეს დაინახა სადღაც შორს მბრწყინავი სარკე. ვაჟი წავიდა მისკენ და ნახა, რომ ეს მბრწყინავი სარკე სალი მინის სახლი იყო. შემოუარა ვაჟმა და ვერსად უპოვა კარები. ბოლოს ერთგან შენიშნა პატარა ხაზი, მივიდა იმასთან და ნახა, რომ კარი იყო: გააღო და შევიდა“ [მიწა თავისას მოითხოვს, 1987: 3].
2. „რაკი სამი პასუხი ათქმევინა, ვაშლი ისევ კოლოფში ჩავარდა და მეფემ ჯიბეში ჩაიდო. მწოლიარე კაცი წამოდგა, მოეხვია მეფეს და გადაკოცნა: რამდენი კაცი ეცადა და მე სიტყვა

ვერ მათქმევინეს! რაც გინდა დამავალე, ეხლა ყველაფერს აგისრულებ“ [ხალხური სიტყვიერება, 1972: 147].

3. „იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ტრიალ მინდორში გავიდა. მინდვრის შუაში ერთი ირემი იდგა და რქები ცისთვის ჰქონდა მიბჯენილი“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 433].

აგებულების მიხედვით ინგლისურ ენაში წინადადება არის: მარტივი, შერწყმული, რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი.

შედგენილობის მიხედვით ინგლისური მარტივი წინადადება შეიძლება იყოს გაუვრცობელი ან გავრცობილი.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ყველაზე მეტად ჭარბობს მარტივი გავრცობილი წინადადებები, იშვიათად კი გვხვდება მარტივი გაუვრცობელი წინადადებები.

„So she took Jack into the kitchen“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

„მან სამზარეულოში შეიყვანა ჯეკი“ [მათიკაშვილი, 1983: 12].

„Jack mounts his Arab steed“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„ჯეკი არაბულ რაშს მოახტა“ [მათიკაშვილი, 1983: 114].

ინგლისურ ენაში მარტივი წინადადება შეიძლება იყოს შერწყმული. როდესაც წინადადებაში არის ორი ან მეტი სიტყვა, რომელთაც ერთნაირი სინტაქსური ფუნქცია აქვთ, მათ ეწოდებათ წინადადების ერთგვარი წევრები, ხოლო ერთგვარწევრებიან მარტივ წინადადებას ეწოდება შერწყმული წინადადება [ებრალიძე, 1986: 229].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება სხვადასხვა სახის შერწყმული წინადადები.

რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან. მაგალითად:

„In the morning he and the King went on to the fields“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jacksnuffbox.html>

„მეორე დღეს, როგორც კი ინათა, ხელმწიფე და სტუმარი ერთ მინდორზე გავიდნენ“ [მათიკაშვილი, 1983: 99].

რამდენიმე გარემოება ერთ საერთო წევრთან.

„Off poor Jack rides over hills, dales, valleys, and mountains“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„გაუდგა ჯეკი გზას, გადაიარა გორაკები და მინდვრები, მთები და ხეობები“
[მათიკაშვილი, 1983: 109].

„She looked **here** and **there** and **everywhere**“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/oldwitch.html>

გარდა მარტივი და შერწყმული წინადადებებისა, ინგლისური ხალხური ზღაპრებისათვის დამახასიათებელია, როგორც რთული თანწყობილი, ისე რთული ქვეწყობილი წინადადებები.

ინგლისური ხალხური ზღაპრების ტექსტებში რთულ თანწყობილ წინადადებებში მარტივი წინადადებები უკავშირდებიან ერთმანეთს **and** (- და), **for** (- რადგან) **but** (- მაგრამ) მაერთებელი კავშირებით. თუმცა შესაძლებელია უკავშირო მიერთებაც.

„He took Jack on his shoulders **and** carried him towards his castle“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>.

ჯეკი ზურგზე მოიკიდა და კოშკისაკენ წაიღო“ [მათიკაშვილი, 1983:20].

„Master, we’ll do well enough, **for** I have an uncle lives within two miles of this place“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

„ნუ გეშინია, - დაამშვიდა ჯეკმა. - აქვე, ორი მილის მოშორებით ბიძაჩემი, უზარმაზარი სამთავიანი გოლიათი ცხოვრობს, იმასთან მივალთ“ [მათიკაშვილი, 1983: 24].

რაც შეეხება რთულ ქვეწყობილ წინადადებებს, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება ისეთი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც მთავარ წინადადებებს უერთდებიან მაქვემდებარებელი კავშირებით. განვიხილოთ დამოკიდებული წინადადებების სახეები ინგლისურ ზღაპრებში.

1. „Jack said to him **that** he wanted to see the king“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jacksnuffbox.html>.

დასახელებული ზღაპრის მაგალითებიდან პირველ შემთხვევაში მთავარი წინადადებაა - **Jack said to him** (ჯეკმა უთხრა მას), ამ წინადადების აზრი არ არის დასრულებული, რადგან არ ჩანს, თუ რა უთხრა ჯეკმა მას. ხოლო წინადადება - **he wanted to see the king** (მას სურდა მეფის ნახვა) ეს წინადადება ასრულებს მთავარი წინადადების შემასმენლის **said**-ის მიმართ დამატების ფუნქციას და მთელს წინადადებას აზრობრივად დასრულებულ ხასიათს აძლევს, რის მიხედვითაც

ვამბობთ რომ ის დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა, რომელიც მთავარ წინადადებას უერთდება - **that** (რომ) მაქვემდებარებელი კავშირით.

2. „**If everything round about you turns blue, I have beaten the old one**“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>.

ამ წინადადებაში მთავარი წინადადებაა - **I have beaten the old one** (ის ამ შემთხვევაში გულისხმობს დევს - დევი მომკლავსო), ხოლო დამოკიდებულია - **everything round about you turns blue** (თუ ველი გალურჯდა), რომელსაც წინ ერთვის მაქვემდებარებელი კავშირი - **if** - თუ.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში საკმაოდ საინტერესოა დიალოგი. ვნახოთ ქართულ ხალხურ ზღაპარში გავრცელებული დიალოგის ფორმები.

„დევი საღამოზე მოდის შინ და დაიბორძიკა ცხენმა.

– აჰუ, შე სატიალევ, იქნება ივანე ცისკარი გაშინებს, შენა ნახავ, რომ იმის მძოვრს ყორნები სჭამდნენ და იმისი სისხლი ღვარივით მიდიოდეს, – წამოიძახა დევმა. მოვიდა დევი შინ, დაინახა ივანე და შესჭყვივლა: ცისკარო, სამტროდ მოხველ თუ სამოკეთოდ?

– სამტროდ მოველი, – უთხრა ცისკარმა, – შენთან მოკეთეობა რას გამომადგება!

– შეუბერე მიწასაო, – დაუძახა დევმა

– შეუბერე და მანდა ხარო, – უპასუხა ცისკარმა“ [რაზიკაშვილი, 1952:88].

ახლა ვნახოთ, ინგლისურ ზღაპრებში წარმოდგენილი დიალოგის ნიმუშები.

”So he took the cow's halter in his hand, and off he starts. He hadn't gone far when he met a funny-looking old man who said to him: "Good morning, Jack."

"Good morning to you," said Jack, and wondered how he knew his name.

"Well, Jack, and where are you off to?" said the man.

"I'm going to market to sell our cow here."

"Oh, you look the proper sort of chap to sell cows," said the man;

"I wonder if you know how many beans make five."

"Two in each hand and one in your mouth," says Jack, as sharp as a needle.

<http://www.authorama.com/english-fairy-tales-15.html>

„ჯეკმა რძეთეთრას კისერზე თოკი მოაბა და გზას გაუყენა. დიდი მანძილი არ ექნებოდა გავლილი, რომ წინ სასაცილო შესახედაობის ბერიკაცი შემოეყარა.

– გამარჯობა, ჯეკ, – მიესალმა მოხუცი. – გაგიმარჯოს, – უპასუხა ჯეკმა, თანაც ძალიან გაუკვირდა, საიდან იცის ჩემი სახელიო.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა კაცმა.
– ბაზარში მივდივარ, ძროხა უნდა გავყიდო.
– ძალიან კარგი, – თქვა მოხუცმა, – მაგრამ შენ თუ ჰკვიანი ბიჭი ხარ, მითხარი, რამდენია ხუთი ლობიო?

– რამდენი თითიც გაქვს ხელზე. – მიუგო სხაპასხუპით ჯეკმა“ [მათიკაშვილი, 1983: 9].
ქართულ ხალხურ ზღაპრებში ყველაზე ხშირად შეინიშნება ზმნები: „უპასუხა“, „უთხრა“, „მიუგო“ და დიალოგში აქტიურად გამოიყენება. ის დიალოგს ხან იწყებს და ხან ამთავრებს.

– ტახტი რა ჩვენი საქმეა, ბაგაში დავიძინებთო, - უთხრეს ძმებმა.
დეემა შეიყვანა ძმები გომურში და ბაგაში დააწვინა, თვითონ ტახტზე გაიშოტა და ხვრინვა ამოუშვა. დილით დეემა გაიღვიძა და დედას უთხრა:

- დედი, პური მშია და მაჭამე რამეო.
- ჩადი, შვილო და გომურში, კიდობანში ორი პური დევეს და შეჭამეო, - უთხრა დედამ [ასფურცელა, 1976: 522].

ზღაპრის დიალოგებში ზმნა „უთხრა“-ს პარალელურად უხვად გვხვდება „უპასუხა“, „მიუგო“ ზმნის ფორმები. ისინი ერთმანეთის სინონიმებია და ზღაპრის ტექსტებში ხშირად ჩაენაცვლებიან ერთი მეორეს.

- ძმებო, გძინავთ, თუ გღვიძავთო?
- მღვიძავსო, - უპასუხა ხუთკუნჭულამ.
- რა არ გაძინებსო? - ჰკითხა დეემა.
- შენი ბარტყების ყიყინიო! - მიუგო ხუთკუნჭულამ, როგორც ქალისაგან იყო დარიგებული [ხუთკუნჭულა, 1976: 454].

ანალოგიური ვითარებაა ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, სადაც უმეტესად გვხვდება ზმნები: „say“, „tell“, „said“.

„The second daughter next says to her mother: 'Mother, bake me a bannock, and roast me a collop, for I'm going away to seek my fortune“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

„შემდეგ შუათანა დამ გამოაცხობინა დედას კვერი და ბედის სამეზნელად წავიდა“ [მათიკაშვილი, 1983: 46].

„The oldest of them said to her mother: 'Mother, bake me a bannock, and roast me a collop, for I'm going away to seek my fortune“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

„ერთხელ უფროსმა ქალიშვილმა დედას უთხრა: - დედი, კვერი გამომიციხვე ბედის საძებნელად უნდა წავიდეო“ [მათიკაშვილი, 1983: 45].

„she told him all that had befallen her, and he told her all that had happened to him“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

„ქალი მოუყვა, თუ რა გადახდა თავს, ვაჟმაც უამბო თავისი თავგადასავალი“ [მათიკაშვილი, 1983: 51].

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართული ზმნა „უთხრა“ პოლისემანტიურია, რომელიც როგორც ძველი არქაული სტილი ისე შემორჩენილა და დამკვიდრებულა ხალხურ ზღაპრებში.

ქართული ხალხური ზღაპრის დიალოგებში ხშირად დასტურდება სხვათა სიტყვის ნაწილაკი „ო“, რომელიც დართულია სიტყვის ბოლოს, იმის მიუხედავად, სახელია ის თუ ზმნა. სიტყვის ნაწილაკი „ო“ ეკუთვნის არა მთქმელს, არამედ პერსონაჟს. ასეთი ნაწილაკიანი სიტყვების შემდეგ ხშირ შემთხვევაში წერტილი ისმება. მაგრამ არის შემთხვევები ზღაპრებში, სადაც მის შემდეგ გვხვდება როგორც კითხვითი, ისე ძახილის ნიშნები.

„შავჩიტა რაშმა იცოდა, რომ დევი უსათუოდ დაედევნებოდა და გზაში ქალს უთხრა:

- აბა, უკან მიიხედე, ხომ არაფერო მოსჩანსო?

ქალმა მიიხედა და, შორს ბუზისტოლა რაღაც დაინახა - სავარცხელი გადააგდო! - უთხრა შავჩიტამ“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 531].

აღ. ღლონტის თქმით „ო“ ყოფილა ხალხური თხრობის სტილის მოუცილებელი ელემენტი. ურთიერთსაუბარი, გაბმული დიალოგი ყოველთვის ამ ნაწილაკით გადმოიცემოდა. მთქმელი (ავტორი) ერთურთს უპირისპირებდა საკუთარსა და სხვის (პერსონაჟის) ნათქვამს“ [ღლონტი, 1966: 294].

სხვათა სიტყვის ნაწილაკი „ო“, ინგლისური ენისათვის არ არის დამახასიათებელი და შესაბამისად, ის არც დიალოგის ფორმებში და არც ზღაპრის თხრობაში არ გვხვდება. ინგლისურ ზღაპრებში „ო“ ნაწილაკის მაგივრად ჩნდება „რომ“ კავშირი. ქართულ ენაზე თარგმნის დროს კი მთარგმნელი ქართული ენის სინთეზური ბუნების გამო, თხრობაში ძალზე ხშირად იყენებს სხვათა სიტყვის

ნაწილავს „ო“ -ს და ურთავს მას სიტყვის ბოლოს. „The oldest of them said to her mother: 'Mother, bake me a bannock, and roast me a collop, for I'm going away to seek my fortune“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html> „ერთხელ უფროსმა ქალიშვილმა დედას უთხრა: - დედი, კვერი გამომიცხვე, ბედის სამებნელად უნდა წავიდეთ“ [მათიკაშვილი, 1983: 45]. როგორც ვხედავთ, გარკვეული ცვლილება განიცადა ამ წინადადებამ თარგმნის დროს. მთარგმნელმა, დედანში გამოყენებული „რომ“ კავშირი ამოიღო და მის მაგივრად შემოიტანა სხვათა სიტყვის „ო“ ნაწილავი.

ქართული ხალხური ზღაპრების წინადადებებში ნიშანდობლიობაა პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გამოყენება.

პირდაპირი ნათქვამი, უმეტესად ქართულ ხალხურ ზღაპრების დიალოგებშია.

„ - ვინ ხარ? - უთხრა დევის დედამ, - პური არ მიძევს, ცეცხლი არ მინთია, წადი საიდანაც მოსულხარ, თორემ ჩემი შვილი მოვა და შეგჭამს“ [რაზიკაშვილი 1952: 66].

„ჩიტმა უთხრა: - აი, ის დედაკაცები რომ სხედან და მაწონს შეექცევიან, ხომ ხედავ?

- ვერ ვხედავ, - უპასუხა ძალღმა.

- მაშ, მე მივალ, დავიწყებ ნელა ფრენას, ისინი დასაჭერად გამომიდგებიან. მიდი შენ და მაწონს მიაძები“ [რაზიკაშვილი 1952:78].

ვნახოთ, თუ როგორ არის გადმოცემული ირიბი ნათქვამი წინადადებებში.

ცნობილია, რომ „როცა პირდაპირ ნათქვამს გადავაკეთებთ ირიბად, მაშინ პირდაპირი ნათქვამი დამოკიდებულ წინადადებად იქცევა და მთავარს შეუერთდება „რომ“ (ინგლისურ ენაში **That**) ან სხვა კავშირით (ან შესაძლებელია კავშირი არ იქნეს გამოყენებული). მაგალითად:

„დევები ძლივს ელოდნენ დაღამებას, რომ დაეგლიჯათ ხელმწიფის შვილი ნაწილ-ნაწილ“ [რაზიკაშვილი 1952: 126].

„წავიდნენ როსტომთან და უთხრეს, რომ ქალაქში ერთი გმირი მოსულა და საჭიდაოდ გითხოვსო“ [რაზიკაშვილი 1952: 182].

„ვაჟმა გამოჰკითხა ყველაფერი. გაიგო, რომ ეს ქალი ხელმწიფის უფროსი ქალი ყოფილიყო“ [რაზიკაშვილი 1952: 86].

ანალოგიური ვითარებაა ინგლისურ ზღაპრებშიც. ქართული ზღაპრების მსგავსად, ინგლისურ ზღაპრებშიც პირდაპირი ნათქვამი ძირითადად დიალოგშია გამოყენებული მაგალითად:

„The Giant roared out at this like thunder: who 's there?

Jack answered: - None but your poor cousin Jack.

Quote he : - What news with my poor cousin Jack?

He replied: Dear uncle, heavy news, God wet!

Prather , - quote the giant, - what heavy news can come to me? I am a giant with three heads and besides thou newest I can fight five hundred men in armor, and make them fly like chaff before the wind. - Oh, but, quote Jack, - here's the king's son a – coming with a thousand men in armor to kill you and destroy all that you have” <http://www.authorama.com/english-fairy-tales-22.html>

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება რთული ქვეყნობილი წინადადებები ირიბ ნათქვამში, სადაც ავტორის შემცველი წინადადება მთავარ წინადადებად არის გადაკეთებული, ხოლო პირდაპირი ნათქვამის შემცველი - დამატებით დამოკიდებულ წინადადებად.

„The old king, her father, and her mother the queen, came up and said that this was the right time to marry her“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/celtic/guleesh.html> - ეს არის რთული ქვეყნობილი წინადადება, სადაც მთავარი წინადადება არის „The old king, her father, and her mother the queen, came up and said“ (მოხუცი მეფე, მისი მამა, დედა დედოფალი მიუახლოვდნენ და თქვეს), ხოლო დამატებით დამოკიდებული წინადადება კი - **this was the right time to marry her** (სწორედ ეს დრო იყო დაქორწინებისა), რომელიც **that** კავშირით უერთდება მთავარ წინადადებას.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ირიბ ნათქვამში დამატებით დამოკიდებულ წინადადებას აქვს მტკიცებითი ფორმის წინადადების სიტყვათწყობა, კერძოდ, ასეთი - ქვემდებარე – შემასმენელი – დამატება – გარემოება. „He asked me once, if I was sorry for my bargain“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/celtic/jackhismaster.html>

საანალიზო დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართული და ინგლისური ზღაპრის ტექსტებში წინადადებების სტრუქტურა მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. თუ ქართულ ტექსტებში უმთავრესად ვხვდებით შერწყმული და რთული წინადადებების მაგალითებს, ინგლისურენოვან ზღაპრებში უმთავრესად მარტივი გავრცობილი წინადადებები გვხვდება, თუმცა დასტურდება შერწყმული და რთული წინადადებების მაგალითებიც.

კვლევის მიხედვით დასტურება, რომ ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში დიალოგი მთავარ ადგილს იჭერს. ორი სხვადასხვა სისტემის ენის ზღაპრის წინადადებებში პირდაპირი და ირიბი ნათქვამი ძირითადად გამოყენებულია დიალოგში. ორივე ენაში, პირდაპირი ნათქვამი მდიდარია აზრის გამომსახველობითი საშუალებებით, ზუსტი და ემოციურია ირიბ ნათქვამთან შედარებით. იგი მხატვრული სახის შექმნის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

§8. დროის ურთიერთმიმართება ზღაპრებში

დროის კატეგორია მრავალი მეცნიერული დისციპლინის კვლევის საგანია, მათ შორის ლინგვისტიკის კვლევის საგანიც. საკვლევი ფენომენი გარკვეული კუთხით განიხილება სხვადასხვა მეცნიერების შემთხვევაში [ბოლქვაძე, 2005: 42].

დროის სემანტიკური თუ გრამატიკული ველის შესწავლისას მეცნიერების ვერც ერთი დარგი გვერდს ვერ აუვლის ლინგვისტური კვლევის შედეგებს [ჭიკაძე, 2012: 244].

ლინგვისტიკისათვის დრო ფუძემდებელი ფენომენია, რომელსაც ახასიათებს მოქმედება მისი მიმდინარეობის მომენტის შესაბამისად და შეისწავლება მის ენობრივ გამოხატულებაში [ბოლქვაძე, 2005: 42].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროის კვლევა ზღაპრის ენაში. ლინგვისტური დროის შესწავლა, როგორც ზოგადი სახის ფენომენი, სხვადასხვა სისტემის ენათა ზღაპრებში (ქართული და ინგლისური) მსგავსება - განსხვავებათა დასადგენად. აწმყო, წარსული, მომავალი დროის ურთიერთმიმართების გამოხატულება შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენებით, რათა დადგინდეს ერთი და იმავე ენობრივი მოვლენის სხვადასხვაგვარი ქცევა, რომელიც არსებობს ორ სტრუქტურულად განსხვავებულ ენაში.

ლინგვისტიკაში დროის ფენომენის ორგვარი გაგება არსებობს: აბსოლუტური და ფარდობითი. აბსოლუტური დროის ფორმების ცნებაში მოიაზრება მოქმედების მიმართება ტემპორალური სამგანზომილებიანი სისტემის მხოლოდ ერთ რომელიმე მონაკვეთთან.

აწმყო → წარსული → მომავალი

რაც შეეხება ფარდობითი დროის ფორმებს, მათი რეალიზაციის უცილობელ პირობად გვევლინება მოქმედების მინიმუმ ორი პროცესის არსებობა, რომლებიდანაც ერთი მეორესთან გარკვეულ ტემპორალურ მიმართებაში იმყოფება. ამგვარი მიმართებების შემდეგ სახეობებს არჩევენ: ერთი მოქმედება უსწრებს მეორეს, მოსდევს ან ემთხვევა მას. ასეთი ფარდობითობა აღინიშნება როგორც აწმყო, ისე წარსულ და მომავალ დროებში. ფარდობითობა დროის ფორმებში განისაზღვრება ერთი დროის მიმართებით მეორესთან [აბულაძე, 1986]. ტემპორალურობა როგორც დეიქტიკური კატეგორია, აღნიშნავს ამა თუ იმ დროითი განზომილების მიმართებას სუბიექტთან.

ისეთ ენას, რომელთა ტემპორალური სისტემა ექვემდებარება აბსოლუტურ და ფარდობით, ანუ რელატიური დროის ფორმებად დანაწევრებას, ეკუთვნის ინგლისური ენა. დეკლარკის თეორიის თანახმად, ინგლისურში გვაქვს როგორც აბსოლუტური დროის ისე რელატიური დროის ფორმები. აბსოლუტური დროის ფორმებია: **Present (აწმყო), Past (წამყო), present perfect (აწმყო სრული დრო), future (მომავალი);** რელატიური დროის ფორმებია: **past perfect (past in past) (წარსული სრულის დრო), conditional (პირობითი კავშირებიან ფორმები).**

დეკლერკი განასხვავებს აბსოლუტურ და ფარდობით დროებს. მისივე თქმით, აბსოლუტური დრო ისეთი დროა, რომელიც გამოხატავს „უშუალო ტემპორალურ კავშირს ტემპორალურ ნულოვან წერტილთან (=t0)“ [Declerc, 2006: 25].

რაც შეეხება ფარდობით დროს, ის გამოხატავს ცალკე ტემპორალურ კავშირს ვითარებით და მიმართებით დროებს შორის. შესაბამისად, ფარდობითი დრო გამოიხატება შემდეგი ტემპორალური მიმართებებით [Declerck 2006:25].

Anteriority წინადროულობა	როდესაც, ვითარების დროს უსწრებს მიმართულების დრო.
Simultaneity თანადროულობა	როდესაც, ვითარების დრო ემთხვევა მიმართულების დროს.
Posteriority შემდეგდროულობა	როდესაც, ვითარების დროს მოსდევს მიმართულების დრო.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ინგლისურ ზღაპრებში, ფარდობითი დრო სამსაფეხურიან ორიენტაციას იძლევა. კერძოდ:

წინადროულობა - anteriority ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გამოხატულია მაშინ, როდესაც მიმართულების დრო მოცემულ შემთხვევაში **past perfect** (წარსული პერფექტი) წინ უსწრებს **past simple** (მარტივი დროით გამოხატულ) ვითარების დროს.

Past perfect (Past in the past) + past simple (ნამყო სრული (წარსულის წარსული) + მარტივი წარსული)

„He **had** long grey hair, and his teeth were curling out of his mouth, and his finger- and toe-nails **had not been** cut for many thousand years“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„გრძელი თეთრი თმა მხრებამდე სცემდა, უშველებელი ღოჯები მოუჩანდა, ხელებზე კი იმ სიგრძე ფრჩხილები გაზრდოდა, თითქოს ათასი წელია არ დაუჭრიაო“ [მათიკაშვილი, 1983: 110].

მოცემულ მაგალითში მოქმედება, რომლებიც გამოხატულია სრულყოფილი წარსული დროით - **had not been**, წინ უსწრებს მეორე მოქმედებას წინადადებაში **had** წარსულ მარტივ დროს.

თანადროულობა - simultaneity ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გამოხატულია იმ დროს, როდესაც ვითარების დრო ამ შემთხვევაში **past simple** (მარტივი წარსული) და მიმართულების დრო **past simple**, ასევე მარტივი წარსულის ფორმით გადმოცემული დრო ინგლისურ ზღაპრებში ემთხვევა ერთმანეთს. თანადროულობა, რომელიც ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში წარსული განუსაზღვრელი ფორმით გვხვდება თხრობისას ხშირად გამოიყენება. იგი ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ერთ-ერთი წამყვანი ფორმათაგანია.

Past simple + past simple (წარსული განუსაზღვრელი + წარსული განუსაზღვრელი)

„So Valentine **took** the right, and Oliver **went** straight on, and poor Jack **took** the left“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„უფროსმა –ვალენტინმა მარჯვნივ გაუხვია, საშუალო მმა–ოლივერი პირდპირ წავიდა, ხოლო საწყალი ჯეკი გზას დაადგა, რომელიც მარცხნივ მიდიოდა“ [მათიკაშვილი, 1983: 108].


შემდეგდროულობა - posteriority ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, როდესაც ვითარების დროს, რომელიც გადმოცემულია ძირითადად **past simple** (მარტივი წარსულით) მოსდევს მიმართულების დრო ზღაპრებში, რომელიც გადმოცემულია

მოდალური ზმნის would + ინფინიტივიანი ფორმით. ეს უკანასკნელი კონსტრუქცია ინგლისურში გამოიყენება მომავალი დროის გადმოსაცემად.

„I **thought** you would have guns with you, and that you **would not mind** killing me if you saw me“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„ვიფიქრე, ამათ თოფი ექნებათ და თუ შემნიშნეს, ნამდვილად მესვრიან - მეთქი“ [მათიკაშვილი, 1983: 120].

ინგლისურში ფარდობითი ანუ რელატიური დროის ფორმებს მიეკუთვნება Conditional - პირობითი კავშირიანი წინადადებებიც. გამოიყოფა სამი ტიპის პირობითი წინადადება [ზამბახიძე, 2008: 179].



პირობითი წინადადებები, ინგლისურში შედგება ისეთი მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისაგან, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან: If კავშირით დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მოქმედების რეალურ და არარეალურ პირობითობას ახლანდელ, წარსულსა და მომავალ დროში [ზამბახიძე, 2008: 179].

ჩვენ მიერ განხილულ ინგლისურ ზღაპრებში უმეტესად დასტურდება პირველი და მეორე ტიპის რეალური და არარეალური პირობითი დამოკიდებული წინადადებები, სადაც ერთმანეთთან მიმართებაში ორი სხვადასხვა დრო იკვეთება. მის გამოსახატავად პირველი ტიპის მთავარ წინადადებაში ზმნა გვხვდება **მომავალ სრულ დროში**, ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა - **აწმყო მარტივ დროშია (present simple tense)**. მაგ. „You will have to leave your own horse here with me until you come

back again, and tell me everything about how you get on“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

მეორე ტიპის მთავარ წინადადებაში გვხვდება კონსტრუქცია **would + ინფინიტივი**, ხოლო დამოკიდებულში ზმნა შემოდის **წარსულ მარტივ დროში (past simple tense)**. მაგ. „I **would go** if I **had** a new dress to wear“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/celtic/fairbrowntrembling.html>

თუმცა მსგავსი ტიპის წინადადებებში ინგლისურენოვან ზღაპრის ტექსტებში ხშირად გვხვდება ინვერსიული კონსტრუქცია.

„Gobborn Seer could see she was a witty woman, and he **asked** her **if** she **would marry** his Jack“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/gobborn.html>

აბსოლუტური და ფარდობითი ლინგვისტური დროის ფორმები სხვადასხვა ავტორთან მოიხსენიება განსხვავებული ტერმინებით: პირდაპირი - დამოუკიდებელი, არაპირდაპირი - მიმართებითი დროის ფორმები (ვებერი, 1954), (ფურცელაძე, 2001). აბსოლუტური ლინგვისტური დრო გარკვეულ მიმართებაშია მეტყველების მომენტთან. როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი დრო გულისხმობს გარკვეული სახის მიმართებებს. ერთ შემთხვევაში მიმართებები მყარდება უშუალოდ მეტყველების მომენტთან, მეორეში - სხვა რომელიმე მოქმედების მიმდინარეობის დროსთან. შესაბამისად, მართებული იქნებოდა პირველ შემთხვევაში გამოგვეყენებინა ტერმინი „დრო“ მისი უზუალური გაგებით ხოლო მეორეში მიგვემართა ბლუმფილტისეული ცნებისათვის „ტაქსისი“, რომელიც სრულ შესაბამისობაშია შანიძის ტერმინთან „თანამდევრობა“ [შანიძე, 1973].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში თხრობა ძირითადად წარსული დროის თხრობითი კილოს მნიშვნელობით მიმდინარეობს, რომელიც არის ზღაპრის ენის ყველაზე მეტად გამოკვეთილი და დამახასიათებელი სტილი.

„სასახლის წინ, როგორც ყველა ხელმწიფეს, იმასაც საუცხოო ბაღი ჰქონდა გაშენებული. ბაღი სავსე იყო უცხოური და ნაირ-ნაირი ხილით, ყვავილებით და ხელმწიფე ძალიანაც უფრთხილდებოდა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 145].

„იყო ერთი ბებერი ოქრომჭედელი. ჰქონდა აუარებელი სიმდიდრე, მაგრამ ცოლი არა ჰყავდა და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ახალგაზდა და თანაც მთლად მზეთუნახავი ქალი მოეყვანა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 161].

მაგრამ ქართულ ხალხურ ზღაპრებში წარსული დრო ხშირ შემთხვევაში

უკავშირდება აწმყოს. ვნახოთ, წარსულისა და აწმყო დროის ურთიერთმიმართება ქართულ ხალხურ ზღაპრებში. **წარსული + აწმყო:**

„შევსხედით ცხენებზე და წავედით, მივედით სახლთან, მაგრამ ვერც ჭადარი შევარხიეთ და ვერც კარებად აფარებულ გორას ვუყავით ძვრა. ვდგევართ პირშერცხვენილები და აღარ ვიცით, რა ვქნათ. ამასობაში თვითონ დევიც მოვიდა, ნახა, რომ არც ცეცხლი ანთია და არც ხმიადია გამომცხვარი და ბავშვივით დაგვტუქსა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 496].

„ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ტრიალ მინდორში გავიდა. მინდორს არც თავი უჩანდა, არც - ბოლო. დგას ასფურცელა და იყურება აქეთ-იქით, აღარ იცის, რომელ მხარეს წავიდეს. ბოლოს ადგა, მოზიდა მშვილდი და ისარი გაისროლა, - სადაც ეს ისარი დაეცემა, ჩემი ბედიც იქ იქნებაო“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 527].

განხილულ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ასევე დასტურდება **აწმყო**სა და **წარსული** დროის ერთიანი პლანი. **აწმყო + წარსული.**

„მიხტის ქალი და მისდევს ხალიჩა. ირბინა ქალმა და იცურა ხალიჩამაც, გაათავეს მინდორი და ბოლოს ერთ უშველებელ კლდეს მიადგნენ. ქალმა ისკუპა და ამ ცაში აწვდილ კლდეს ბუმბულივით გადაევილო“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 491].

„უყურებს უფლისწული და ხედავს, რომ მის ქვეშ გაფენილი ვარდი უკვე ჭკნება, სტუმრის ქვეშ კი ნაფენ ვარდს კი ჭკნობა ჯერ ოდნავადაც არ დასტყობია - ისევ ღაღანი გააქვს. ღვინოც ასევე - თუმცა უფლისწული ბევრს აძალეზდა და ქალი თვითონაც ყოველ თასს ცლიდა მაგრამ დათრობისა არაფერი ემჩნეოდა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 532].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში თხრობის დროს ფიქსირდება ისეთი შემთხვევა, როდესაც წარსული დროის წყვეტილის მწკრივის ფორმით გამოხატული ზმნების გვერდით გვხვდება მომავალი დროის მყოფადის მწკრივის ზმნები.

წარსული + მყოფადი:

“ჩავარდა ბატონი საგონებელში: რა ქნას, რით მოიშოროს თავიდან აბეზარი მოჯამაგირე. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ასეთ ხერხს მიმართა: ერთ დღეს წაიყვანა თავისი ცოლი ტყეში, ხეზე შესვა და უთხრა: - მე ჩვენს მოჯამაგირეს სანადიროდ წამოვიყვან და აქეთ ამოვატარებ, როცა დაგიახლოვდებით, სამჯერ „გუგუ“ დაიძახე. მოჯამაგირე იფიქრებს, ყავლი გამსვლიაო და წავა, თორემ სხვანაირად თავიდან ვერ მოვიშორეთ და დაგვლუპავსო“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 273]. აბსოლუტური გაგებით დრო წარსული ფორმით გვხვდება, მაგრამ შემდგომ წინადადებებში, მომავალი დრო იჩენს თავს და როგორც

რელატიური დროის მნიშვნელობით მიემართება წარსულ დროის ფორმასთან.

კვლევამ გვიჩვენა რომ ორი სხვადასხვა სისტემის მქონე ენათა ზღაპრებში დროთა თანამიმდევრობა გამოხატულია დროის შემდგომ მომენტთან ან სხვა მოქმედებასთან და ის ემყარება თანადროულობასა და შემდეგდროულობას. რაც შეეხება ინგლისურ ზღაპრებში დროთა მიმართების გრამატიკული კატეგორია ემყარება სამ დიფერენციალურ ნიშანს - წინადროულობას, თანადროულობასა და შემდეგდროულობას. ქართულ ხალხურ ზღაპრებში წარსულ დროში შესრულებული მოქმედება და ინგლისურში წარსული დრო ერთდროულია: წყვეტილი - past simple (წარსული განუსაზღვრელი დრო). ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში დადასტურდა დროთა შემდეგი ურთიერთმიმართება.

ქართული ხალხური ზღაპრები	ინგლისური ხალხური ზღაპრები
აწმყო - წარსული	Past simple – past perfect მარტივი წარსული წარსული სრული დრო
წარსული - აწმყო	Past simple – past simple მარტივი მარტივი წარსული წარსული
წარსული - მყოფადი	Past simple – would + infinitive მარტივი would + წარსული - ინფინიტივი
წარსული - წარსული	Future simple – present simple მომავალი მარტივი დრო + აწმყო მარტივი დრო
	Would + infinitive – past simple would + წარსული ინფინიტივი მარტივი დრო

თავი II

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების ფრაზეოლოგიის ზოგი საკითხისათვის

§1. ენობრივი ფორმულების კომპონენტური ანალიზი

ფრაზეოლოგიზმები ყოველთვის ენობრივი სისტემის განუყოფელი და ორგანული ნაწილია. ტრადიციული მიდგომით, ფრაზეოლოგიური ერთეული ეწოდება სიტყვათა ისეთ მყარ შესიტყვებას, რომლის მნიშვნელობა მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობამდე არ დაიყვანება და რომელიც ფუნქციონირებს ყოველგვარი წესებისა და რეგულაციების გარეშე.

ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრების თანახმად ფრაზეოლოგიზმი ეწოდება ნებისმიერ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც ახასიათებს:

- სტრუქტურული მდგრადობა;
- მონოლითური ტრანსფორმირებული მნიშვნელობა;
- ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა.

ფრაზეოლოგიური ერთეული არის სიტყვათა ჯგუფი, რომელიც ენაში არსებობს მზა ფორმით და წარმოადგენს მდგრად ენობრივ წარმონაქმნს. ფრაზეოლოგიზმები ლინგვისტურ ლიტერატურაში იდიომატიზებულ ლექსიკურ ერთეულებად მოიხსენიება. ისინი წარმოადგენენ ენის განუყოფელ ნაწილს და განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ მისი ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში [Dobrovol'skij,1980: 40].

ფრაზეოლოგიზმები ხატოვანი ენობრივი საშუალებებია, რომლებიც გადმოგვცემენ ერის ზნე-ჩვეულებებს, მათ მისწრაფებებს, კულტურას. ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს რთულ ენობრივ ერთეულებს. ფრაზეოლოგიურ ერთეულში შემაჯალ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ისინი მყარ გამოთქმებს წარმოადგენენ [Wood,1986: 6].

ზეპირსიტყვიერი ხელოვნების სხვა ჟანრების მსგავსად, ზღაპარმა დროთა განმავლობაში განიცადა გარკვეული ცვლილებები, მათ შორის სტილისა და ენის თვალსაზრისით. მათში ხშირად გამოიყენება ფრაზეოლოგიური გამონათქვამები,

თუმცა, ზღაპრის ენა განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მყარი ფორმულებით ხასიათდება, ისინი სხვა გამომსახველობით საშუალებებთან ერთად ზღაპრის განსხვავებულ სტილს ქმნიან.

ცნობილია, რომ მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ერთმანეთს ემსგავსება არა მხოლოდ სიუჟეტით, საერთო ადგილებითა და მოტივებით, არამედ მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების, „მზა ფორმულების“ არსებობითაც. ზღაპრის ტიპობრივ საერთო ადგილებს ანუ უნივერსალებს წარმოადგენენ სპეციფიკური ტრადიციული წარმონაქმნები - მზა ფორმულები, აღწერილობები (ეპიზოდები), მაგიური მოქმედებები [ქურდოვანიძე, 2012: 148].

ზღაპრის კომპოზიციას ქმნიან ტრადიციული ტიპობრივი მზა ფორმულები, სადაც შედის: დასაწყისი, დასასრული, გადაადგილების, ეპიზოდების შემაკავშირებელი გამონათქვამები. სწორედ მათი საშუალებით ენიჭება ზღაპრის კომპოზიციას სტაბილურობა. არაერთი მკვლევარი შეეხო ზღაპრის სტრუქტურას ენასა და სტილს. ყველა სპეციალისტი აღიარებს „მზა ფორმულათა“ უდიდეს წვლილს საზღაპრო სტილის სპეციფიკურობის შექმნაში [ბაბლუანი, 2009: 20].

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრებისათვის დამახასიათებელი, მყარი გამონათქვამები სამ ჯგუფად იყოფა: ინიციალური, მედიალური, და ფინალური ფრაზეოლოგიური გამონათქვამები.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ინიციალური ტიპის ფორმულები წარმოადგენენ სიუჟეტის ჩარჩოს. მათი დანიშნულებაა მსმენელთა ყურადღების მობილიზაცია, ზღაპრის მოსასმენად განწყობის შექმნა.

ქართული ხალხური ზღაპრის უნიკალური დასაწყისი „იყო და არა იყო რა, იყო ერთი...“ ძალიან ღრმა და ყოვლისმომცველი ფორმულაა.

ზღაპრის ენობრივი ფორმულების სტრუქტურის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ დონეს. აღნიშნული კომპონენტების ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე, პასუხი უნდა გაეცეს ისეთ უმთავრეს კითხვებს, როგორცაა:

- რა ტიპის მზა ფორმულები არსებობენ ხალხურ ზღაპრებში?
- რა ნიშნები და თავისებურებები ახასიათებთ?

- როგორია მათი სტრუქტურული ურთიერთმიმართება განსხვავებული სისტემის მქონე ენებში და ა.შ.

კომპონენტთა ანალიზის საფუძველს წარმოადგენს ენობრივი ფორმულების სხვადასხვაგვარი ორ-, სამ-, ოთხ-, ხუთ და მრავალ კომპონენტიანი სტრუქტურა, რომლის თითოეული კომპონენტი განსაზღვრული მორფოსინტაქსური ნიშან-თვისებით ხასიათდება.

§1.1. ინიციალური ენობრივი ფორმულების კომპონენტური ანალიზი

კვლევის შედეგად ქართულსა და ინგლისურ ენებში, ხალხურ ზღაპართა მიმართებაში, გამოვლინდა ინიციალური ენობრივი ფორმულების სხვადასხვაგვარი სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი და მრავალ კომპონენტიანი სტრუქტურა.

ქართულ და ინგლისურ ენებზე ფიქსირებლ ზღაპართა ინიციალურ მყარ ფორმულებში შემავალ კომპონენტთა გათვალისწინებით, გამოვავლინეთ სხვადასხვა კომპონენტიანი სტრუქტურული ჯგუფები და ისინი დავყავით შემდეგი იერარქიით-უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ. კერძოდ, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ინიციალურ გამოთქმებთან დაკავშირებით მივიღეთ სამკომპონენტიანი, ოთხკომპონენტიანი, ხუთკომპონენტიანი, ექვსკომპონენტიანი და შვიდკომპონენტიანი ინიციალური ენობრივი ფორმულების შემდეგი სტრუქტურები:

- a (V) + b (NUM) + c(N) - იყო ერთი მჭედელი
- a(V) + b(CONJ) +c (PTC) + d(V) + e (PRO) - იყო და არა იყო რა
- a (V) + b (NUM) + c (ADJ) + d (N) - იყო ერთი ბებერი ოქრომჭედელი
- a (N) + b (ADJ) + c (PRO) + d (V) - ღვთის უკეთესი რა იქნებოდა
- a (V) + b (N) + c (ADJ) + d (N) + e (PRO) + f (ADJ) - იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

კომპონენტთა შედგენილობის მიხედვით დასაწყისის ფორმულა - იყო და არა იყო რა ხუთი კომპონენტისგან შედგება. სტრუქტურულად კი ეს კონსტრუქცია ასე გამოისახება: a (Verb) + b (conj) + c (particle) + d (Verb) + e (Pro) . შესაბამისად, მოცემული ფორმულის დახასიათებისას გამოვლინდა შემდეგი შიდამიმართება:

$$V + \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \left\{ \text{CONJ} \right\} + \left\{ \text{PTC} \right\} + V \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{PRO} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, დასაწყისის ამ ფორმულაში ზმნას წამყვანი პოზიცია უკავია. შემდეგი კომპონენტია „და“ კავშირი, მომდევნო კომპონენტი უარყოფითი ნაწილაკი „არა“, შემდეგ ისევ სახელობით ბრუნვაში გაფორმებული ზმნა-შემასმენელი „იყო“. მისი შემდგომი კომპონენტები კი ნაცვალსახელებია. კითხვითი ნაცვალსახელი „რა“. როგორც ვხედავთ, ინიციალურ ფორმულაში ზმნა-შემასმენლის სინტაქსური გამეორება გვხვდება, რომელიც ორგზის მეორდება ორი კომპონენტის გამოტოვებით. მოცემულ მზა ფორმულაში შეინიშნება სიტყვათა წყობის მუდმივი რიგი, რადგან შეუძლებელია ამა თუ იმ კომპონენტის სინონიმით შეცვლა ან ახალი კომპონენტის ჩართვა. ზემოთ ნახსენები ინიციალური მზა ფორმულა, როგორც ქართული, ასევე ინგლისური ხალხური ზღაპრების მუდმივი ელემენტია. მისი პროცენტული მაჩვენებელი ქართულში შეადგენს - 104.28%-ს.

მოცემული სტრუქტურის მქონე ინიციალური ფორმულა **a (V) + b (NUM) + c(N)** შედგება სამი კომპონენტისაგან, სადაც პირველ კომპონენტს წარმოადგენს ზმნა-შემასმენელი, მეორეს - რიცხვითი სახელი, მესამეს - არსებითი სახელი. ასეთი თანამიმდევრობის ინიციალურ ენობრივ ფორმულაში ზმნა ხშირ შემთხვევაში მხოლოდ რიცხვში დგას. თუმცა ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება, ისეთი ინიციალური ენობრივი ფორმულები, სადაც ზმნა მრავლობით რიცხვშია, რიცხვითი სახელი და მისი მომდევნო არსებითი სახელი გვხვდება ნარიანი რიცხვითი სახელის ფორმაში. მაგალითად, **იყვნენ სამნი ძმანი a (V) + b (NUM) + c (N)**. ზმნა ორივე შემთხვევაში საწყის პოზიციაზეა. შესაბამისად, მოცემული ტიპის ენობრივი ფორმულების დახასიათებისას გამოვლინდა შემდეგი შიდამიმართებანი:


$$\begin{aligned} \text{CNX} &= V + \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{NUM} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} \\ \text{CXN} &= V + \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: pl} \end{array} \right\} + \text{NUM} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: pl} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: pl} \end{array} \right\} \end{aligned}$$

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ენობრივ ფორმულებთან მიმართებაში კომპონენტების ლექსიკო-გრამატიკული თავისებურებების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ოთხკომპონენტიანი ინიციალური ფორმულების ორი სხვადასხვა ვარიანტი: ა) სახელური (NP) და ბ) ზმნური (VP). სტრუქტურულად კი ეს კონსტრუქციები ასე გამოისახება:

VP = a (V) + b (NUM) + c (ADJ) + d (N) - იყო ერთი ბებერი ოქრომჭედელი

NP = a (N) + b (ADJ) + c (PRO) + d (V) - ღვთის უკეთესი რა იქნებოდა

მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, მოცემული ფორმულების სტრუქტურული შიდა მიმართებანი ასეთია:



პირველი ზმნური ენობრივი გამოთქმას, რომლის პირველ კომპონენტად, ბუნებრივია, წარმოდგენილია ზმნა და ის ამ ფორმულაში წამყვან პოზიციას იკავებს. შემდეგ მოდის მხოლობითი რიცხვით გაფორმებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოთხკომპონენტიანი ინიციალურ ფორმულაში მესამე კომპონენტად ხშირად დასახელებულია ზედსართავი სახელი, რომელსაც მოსდევს მხოლობით რიცხვში მდგარი არსებითი სახელი. ჩვენ მიერ შესწავლილი ქართული ხალხური ზღაპრებიდან ოთხკომპონენტიანი ენობრივი სტრუქტურის მქონე ინიციალური ფორმულა - იყო ერთი ბებერი ოქრომჭედელი, დადასტურდა 20 ერთეულით, რომლის პროცენტული მაჩვენებელია ასე გადანაწილდა - 26.4%.

სახელურ ენობრივ ფორმულაში - ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, პირველ კომპონენტად დასახელებულია ნათესაობითის ბრუნვით გაფორმებული არსებითი სახელი, მეორე კომპონენტად წარმოდგენილია აღმატებითი უფროობითი ხარისხის ფორმის ზედსართავი სახელი, მას მოსდევს ნაცვალსახელი და მეოთხე კომპონენტად სახელდება ზმნა, რომელსაც მხოლოდ პირველი სერიის მწკრივთა ფორმები მოეპოვება, უწყვეტელ-ხოლმეობითი. მწკრივის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით, უწყვეტელი და ხოლმეობითი სხვაობას არ ქმნის, ამიტომაც მათ


ერთად წარმოვადგენთ. ეს მზა ფორმულა ხალხურ ზღაპრებში დადასტურდა - 40 ერთეულით, ხოლო მისი პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს - 52.8%.

a (V) + b (N) + c (ADJ) + d (N) + e (PRO) + f (ADJ) - იყო შაში მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, შედგება ექვსი კომპონენტისგან. პირველ კომპონენტად დასახელებულია სტატისტიკური ზმნა წარსულ დროში, მეორე და მეოთხე კომპონენტს წარმოადგენს არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში. მესამეს -და მეექვსეს ზედსართავი სახელები, ხოლო მეხუთეს - მრავლობით რიცხვში მდგარი კუთვნილებითი ნაცვალსახელი.

$$\begin{aligned}
 CXN = & V \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + ADJ \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \\
 & PRO \text{ poss} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: pl} \end{array} \right\} + ADJ \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}
 \end{aligned}$$

მოცემული ტიპის ინიციალური ენობრივი ფორმულა ზღაპრებში დადასტურდა 12 ერთეულით. პროცენტულმა მაჩვენებელმა კი შეადგინა - 15.84%.

ინიციალური ენობრივი ფორმულების პროცენტული მაჩვენებელი ქართულ ხალხურ ზღაპრებში




რაც შეეხება ინგლისური ხალხური ზღაპრის ინიციალურ მზა ფორმულებს, შესაძლებელია ისინი დავყოთ შემდეგ ქვეჯგუფებად, რომლებიც წარმოგვიდგება შემდეგი ვარიანტებით:

- **Once upon a time** - a (ADJ) + b (IN) + c (DT) + d (N)
- **There was a woman** - a (EX) + b (V) + c (DT) + d (NN)

- **There was once a woman - (EX) + b (V) + c (RB) + d (DT) + e (NN)**
- **There was once a poor woman - a (EX) + b (V) + c (RB) + d (DT) + e (JJ) + f (NN)**


ინგლისური ხალხური ზღაპრის ინიციალური ენობრივი ფორმულა შინაარსობრივად ახლოს დგას ქართული ხალხური ზღაპრის ინიციალურ ფორმულასთან. თუმცა, სტრუქტურული თვალსაზრისით განსხვავებულია. მაგალითად, განვიხილოთ სტრუქტურულად ინგლისური ხალხური ზღაპრის ინიციალური ფორმულა. **“Once upon a time there was”** სქემატურად ასე გამოისახება:



წარმოდგენილი სქემა შეესაბამება ექვსკომპონენტის მყარ გამონათქვამთა ერთეულებს. პირველ კომპონენტს წარმოადგენს ზმნიზედა, მეორეს მაქვემდებარებელი კავშირი, მესამე კომპონენტს არტიკლი, მაგრამ ამ გამონათქვამში ის მსაზღვრელია მის მომდევნო მხოლოდობით რიცხვში გაფორმებული არსებითი სახელისა. მეხუთე კომპონენტად წარმოდგენილია ეგზისტენციალური ერთეული, რომელიც „არსებობას“ ნიშნავს, ის ინგლისური ხალხური ზღაპრებისათვის ხშირ შემთხვევაში გამოიყენება, როგორც ინიციალური ფორმულის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი. რაც შეეხება ბოლო კომპონენტს, წარმოადგენს ზმნა „was“, „იყო“ მარტივ წარსულ განუსაზღვრელ დროში. ამ ფორმულაში ნათლად ვხედავთ, რომ ზმნა იკავებს ბოლოკიდურ პოზიციას. ერთი შეხედვით შეუძლებელი ჩანს ამ მზა ფორმულაში სიტყვათა წყობის რიგის დარღვევა, რადგანაც აღნიშნული ფორმულა ინგლისურ ზღაპრებში წარმოადგენს ტრადიციულ გაფორმებას. მისი სიტყვათა რიგის სიმტკიცე აიხსნება სემანტიკური მონოლითურობით ზღაპრის ენაში. მოცემული ენობრივი ფორმულა პროცენტულად ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში შეადგენს - 86.48%.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში სამკომპონენტური ინიციალური გამოთქმები არ დასტურდება და შესაბამისად პირველ ქვეჯგუფში გამოვყოფთ ისეთ ოთხკომპონენტურ გამოთქმას, სადაც პირველ კომპონენტად წარმოდგენილია ეგზისტენციალური ერთეული „არსებობა“ **a + (EX) + b (V) + c (DT) + d (N)**, აღნიშნული ერთეული ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში მზა ფორმულების მუდმივ ბირთვს წარმოადგენს. მეორე კომპონენტია ზმნა, რომელიც წარსული განუსაზღვრელი დროის ფორმითაა გადმოცემული. მესამე - განუსაზღვრელი არტიკლია, რომელიც განსაზღვრავს მის მომდევნო კომპონენტს არსებით სახელს.

მოცემულ ხუთკომპონენტურ ინიციალურ გამოთქმას ინგლისურში **a (EX) + b (V) + c (RB) + d (DT) + e (NN)** ოთხკომპონენტური გამოთქმების მსგავსად, ეგზისტენციალური ერთეული, ანუ ხალხური ზღაპრების მუდმივი ბირთვი წარმოადგენს, რომელსაც მეორე კომპონენტად მოსდევს ზმნა წარსულ განუსაზღვრელ დროში. შემდეგი კომპონენტი ენობრივ ფორმულაში წარმოადგენს ზმნიზედა, შემდეგ მოდის განუსაზღვრელი არტიკლი, რომელიც განსაზღვრავს მის მომდევნო არსებით სახელს.




ჩვენ მიერ განხილული 184 ინგლისური ხალხური ზღაპრიდან ოთხკომპონენტური და ხუთკომპონენტური ენობრივი ფორმულები დადასტურდა - 29 და 32 ერთეულით. მათი პროცენტული მაჩვენებელი კი ასე გადანაწილდა ოთხკომპონენტური - 53.36 %, ხოლო ხუთკომპონენტური - 58.88 %.

ექვსკომპონენტური ინიციალური ენობრივი ფორმულა ასე წარმოგვიდგება: **a (EX) + b (V) + c (RB) + d (DT) + e (JJ) + f (NN)**; მასში პირველ კომპონენტად წარმოდგენილია ეგზისტენციალური მუდმივი არსებობის ბირთვი, მეორე - ზმნა

წარსულ განუსაზღვრელ დროში, მესამე - ზმნიზედა, მეოთხე - განუსაზღვრელი არტიკლი, მეხუთე - ზედსართავი სახელი, ხოლო მეექვსე - არსებითი სახელი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინიციალური ფორმულა სახელურ გამონათქვამს მიეკუთვნება, მოცემულ ფორმულაში ზმნა, ზმნიზედა, განუსაზღვრელი არტიკლი და არსებითი სახელი ზმნურ ფრაზას ქმნიან.

ინიციალური ენობრივი ფორმულების პროცენტული მაჩვენებელი ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში



§1.2. მედიალური ენობრივი ფორმულების კომპონენტური ანალიზი

მედიალური ენობრივი ფორმულები ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში კომპონენტთა შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს სამ, ოთხ, ხუთ, ექვს, თხუთმეტ და თექვსმეტ კომპონენტანი. როგორც ქართულში, ასევე, ინგლისურში ხალხური ზღაპრის მედიალური გამონათქვამები გამოიხატება მრავალ მოქმედებაში მაგიური საგნებით, სივრცობრივ გადაადგილებაში, ქცევადობაში და ა.შ.

მედიალურ „მზა ფორმულას“ ქართულ ხალხურ ზღაპრებში წარმოადგენს, მაგალითად: „ჩემი შიშით ცაში ფრინველი არ დაფრინავს დედამიწაზე ჭიანჭველა არ დაცოცავს და შენ როგორ გაბედე აქ მოსვლა?!“

კომპონენტთა შედგენილობის მიხედვით ქართული ხალხური ზღაპრის მზა ფორმულა „ჩემი შიშით ცაში ფრინველი არ დაფრინავს“ შედგება ექვსი კომპონენტისაგან. ეს კონსტრუქცია სტრუქტურულად შეიძლება ასე გამოვსახოთ:

$$a \text{ (POSS)} + b \text{ (N)} + c \text{ (N)} + d \text{ (N)} + e \text{ (PTC)} + f \text{ (PRED)}$$


მოცემულ სტრუქტურაში პირველი კომპონენტი წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვით გაფორმებული კუთვნილებითი ნაცვალსახელით, მეორე ერთეული - აბსტრაქტული არსებითი სახელია. პირველი კომპონენტი - კუთვნილებითი ნაცვალსახელი დამოკიდებულია მომდევნო კომპონენტზე, რომელსაც ითანხმებს მოქმედებით ბრუნვაში. მესამე - თანდებულნიანი ფორმის არსებითი სახელია, რომელიც დგას მიცემით ბრუნვაში, მეოთხე - არსებითი სახელი, მეხუთე - უარყოფითი ნაწილაკი, ხოლო მეექვსე - პირველი სერიის აწმყოს წრის ზმნაა და ის ამ ენობრივ ფორმულაში ბოლოკიდურ პოზიციაზეა. შესაბამისად, მოცემული ტიპის ენობრივი ფორმულის დახასიათებისას გამოვლინდა შემდეგი შიდამიმართებანი:

$$\text{PRO} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE : nom} \\ \text{NUMBER : sg} \end{array} \right\} + \text{N} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE : ins} \\ \text{NUMBER : sg} \end{array} \right\} + \text{N} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE : nom + POST} \\ \text{NUMBER : sg} \end{array} \right\} + \text{N} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE : nom} \\ \text{NUMBER : sg} \end{array} \right\} \\ + \left\{ \begin{array}{l} \text{neg/particle} \end{array} \right\} + \text{V} \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES I} \\ \text{NUMBER :sg} \end{array} \right\}$$

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ხშირია ისეთი ენობრივი ტიპის ფორმულები, სადაც თავსდება უარყოფითი ნაწილაკების (არ, ვერ) შემცველი ერთეულები. სწორედ ზემოთ დასახელებული ტიპის ფორმულაში ვხვდებით უარყოფით „არ“ ნაწილაკს. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი ნაწილაკის ამოღება და წართქმით გამოთქმად გადაქცევა აკარგვინებს მზა ფორმულებს მნიშვნელობას და ფორმას. მყარ ენობრივ გამონათქვამებში მეტად საყურადღებოა გრაფიკული ნიშანი. ამ გამონათქვამს ბოლოში ერთვის **კითხვით-მახილის ნიშანი**, რაც უფრო მრავალფეროვანს და ემოციურ-ექსპრესიულ იერს აძლევს გამონათქვამს. რაც შეეხება ინგლისურ ხალხურ ზღაპრებს, ზემოთ ნახსენები მზა ფორმულის იდენტური ენობრივი ფორმულა გვხვდება მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურიდან თარგმნილ ქართულ ხალხურ ზღაპარში „ასფურცელა“.

„for fear of thee bird cannot fly in heaven, nor can worm creep on earth“ - said his mother
 [Wardrop. M. 1894: 68].

„შენი შიშით აქ ცაში ფრინველს ვერ გაუჭაჭანებია და ხმელეთზე ჭიანჭველას და აქ ადამიანის შვილი როგორ მოხედავდაო?“ - უთხრა დედამ [ხალხური ზღაპრები, 1976: 520].



მოცემული ენობრივი ფორმულის სტრუქტურის დახასიათებისას გამოიკვეთა შემდეგი სახის ურთიერთმიმართება: პირველ კომპონენტს წარმოადგენს მაქვემდებარებელი კავშირი, მას მოსდევს მხოლოდით რიცხვში მდგომი არსებითი სახელი, მესამე კომპონენტად წარმოადგენილია - წინდებული, მეოთხე კომპონენტად დასახელებულია „thee“ „შენი“ კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელიც არის მოძველებული ფორმა და, როგორც ჩანს, ინგლისურ ხალხურ ზღაპარში მას შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახის ფორმა. მეხუთე კომპონენტს წარმოადგენს - არსებითი სახელი, მეექვსე კომპონენტად წარმოადგენილია მოდალური ზმნა „შეძლება“, რომელიც უარყოფით ფორმაში დგას, მას მოსდევს საწყის ფორმაში მდგომი ზმნა. შემდგომი ერთეულია არსებითი სახელი „heaven“, „ზეცა“, რომელიც წინამავალ ზმნას „fly“ „ფრენას“ „in“, „ში“ წინდებულით უკავშირდება და ქმნის ზმნურ გამონათქვამს. მომდევნო კომპონენტი უარყოფითი ნაწილაკი „nor“ წარმოადგენს კავშირს ამ ფორმულაში. „Can“ მოდალური ზმნა, რომელიც უარყოფით ნაწილაკს მოსდევს საწყის ფორმაში დგას და ითანხმებს მომდევნო საწყის ფორმაში მდგომ ორ ზმნას წინდებულთან არსებით სახელთან და ისინი ასევე ქნიან ზმნურ ფრაზას.

ქართულსა და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ასევე ჭარბობს „სვლა“ ზმნასთან დაკავშირებული ფრაზები. ყველა ზღაპრული ფიქცია, რომელიც

გვხვდება, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, ასეთი ხატოვანი ფორმულით იწყება: „**ბევრი იარა თუ ცოტა იარა**“, რომელიც ძირითადად პერსონაჟთა გადაადგილების გადმოსაცემად არის გამოყენებული. გზის ეტაპი მშობლიური სახლიდან ტყის ქობამდე, კოშკამდე, ერთ უკაცრიელ ადგილამდე, დევის სახლამდე და ა.შ ხშირ შემთხვევაში ასეთი ენობრივი ფორმულით იწყება: „**ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ახლო იყო თუ შორს**“. ეს ფორმულა ზღაპრის ენაში გზის აღწერის უარყოფას შეიცავს. ჩვენი დაკვირვებით, ზღაპარი მოქმედების მომენტს გადაახტება ხოლმე. ზღაპრებში მოძრაობა თითქმის არასოდეს არ არის დაწვრილებით აღწერილი, იგი ორიოდ სიტყვითაა მოხსენიებული. ის უზარმაზარი მანძილითაა დაცლებული, მაგრამ ეს მანძილი წამში იფარება. გმირი ამ მანძილს გადაიფრენს. ეს გადაადგილების ამსახველი ფრაზები, რომელიც უმეტესად „**იარა**“ ზმნის შემცველია, მეორდება.

„**ბევრი იარა თუ ცოტა იარა**“, ან „**იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა**“. „**ბევრსა**“ და „**ცოტას**“ შორის რადიკალური აქსიოლოგიური დაპირისპირება წაშლილია, რადგან ზღაპრისთვის მას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს (სხვათა შორის, ამიტომაცაა ზღაპარში გადმოცემული ამბავი სიბრძნე). ჩვენ აქ განმეორებულ ქმედებათა რიგს ვხედავთ, სადაც მოქმედება მარტივადაა დანაწილებული განსხვავებების გარეშე. ესაა სიარულის, სვლის არქეტიპი, თავდაპირველი დანაწილების, სივრცის დაყოფის პირველადი თანაბარი რიტმი [კვაჭანტირაძე, 2002]. ვნახოთ, ქართული ხალხური ზღაპრის მაგალითები:

- „**იარა, ბევრი იარა და ერთ ქალაქში მივიდა**“ [ხალხ. სიბრძნე, 1963: 164].
- „**ბევრი იარა თუ ცოტა იარა, თავის სახელმწიფო გადაიარა**“ [ხალხ. სიბრძნე, 1963:132].
- „**იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ადგილას**“ [ხალხ. სიტყვიერება, 1972: 131].
- „**იარეს, იარეს და ერთ ქვეყანაში მივიდნენ**“ [ხალხ. სიტყვიერება, 1972: 148].

ქ. სიხარულიძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გადაადგილების ეს ფორმულა - „**იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა**“, საერთაშორისო ხასიათისაა და განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს ქართულ - ინგლისური ხალხური ზღაპრებისათვის.

„**ბევრი იარა თუ ცოტა იარა**“ კომპონენტთა მიხედვით შედგება ხუთი კომპონენტისგან. სტრუქტურაში **a (NUM) + b (PRED) + c (CONJ) + d (NUM) + e**

(PRED), პირველ და მეოთხე კომპონენტს აქტანტების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი წარმოადგენს, ხოლო მეორე და მეხუთე აქტანტებს მეორე სერიის წყვეტილის მწკრივის ზმნები წარმოადგენენ. მათი კომპონენტური შემადგენლობა სქემატურად ასე გამოისახება:

$$\text{NUM} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{V} \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES II} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{C} \left\{ \text{CONJ} \right\} + \text{NUM} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{V} \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES II} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

ამ გამონათქვამში **ბევრი** და **ცოტა** განუსაზღვრელი ნაცვალსახელებია. როგორც ჩანს, ხუთკომპონენტიანი მყარი ენობრივი გამოთქმა ორი ნაწილისაგან შედგება: „**ბევრი იარა**“, „**ცოტა იარა**“, რომელსაც ერთმანეთისაგან „თუ“ კავშირი აერთიანებს. შესაბამისად, ეს მზა ფორმულა ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვში. მაგალითად: **“იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ადგილას”**. ამ ფორმულაში ნათლად ჩანს სინტაქსური გამეორება. რიცხვითი სახელები კი ამ მზა ფორმულაში ანტონიმური ჩანაცვლების წესით ენაცვლება ერთმანეთს.

ზმნა-შემასმენლის ამგვარ გამეორებას მრავალგზისობის შინაარსი შემოაქვს ზღაპრებში და ხელს უწყობს თხრობის დინამიკურობას. ამასთან, ამგვარი კონსტრუქციები ქართული ზღაპრის მკვიდრ ასოციაციებს ქმნიან, როგორც სასაუბრო მეტყველების წიაღიდან შემოსული სინტაქსური კონსტრუქციები. გამეორების მხატვრულ დატვირთვას, მის ექსპრესიულობას კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს სინტაქსური გამეორება [კოშორიძე, 1981: 123].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება მსგავსი ტიპის ფორმულა, რომელიც რამდენიმე ვარიანტით წარმოგვიდგება ზღაპრებში. მაგალითად:

1. **“And long they rode, and hard they rode, till they came in sight of a very big and bonny castle”**
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

“**ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს**, ერთ მაღალ ლამაზ კოშკს მიადგნენ” [მათიკაშვილი, 1983:46].

2. **“And aye they rode, and on they rode, till they came to a dark and ugsome glen, where they stopped, and the lady lighted down”**
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

„**ბევრი იარეს, სად არ იყვნენ, რა არ ნახეს**, ბოლოს ხარი ერთ უკაცრიელ, ხრიოკ ველზე გავიდა და ქალს უთხრა” [მათიკაშვილი, 1983 :48].

3. “He ran, and he ran, till he could run no longer, then he ran right up against a little old woman who was gathering sticks“ <http://www.sacred-texts.com/neu/eng/eft/eft40.htm>


“იმდენი ირბინა, იმდენი, სანამ ერთ მოხუც ქალს არ შეეჯახა, რომელსაც ფიჩხი მოჰქონდა ტყიდან” [მათიკაშვილი, 1983: 67].

4. “They travelled, and on they travelled, till the lady grew faint with hunger” <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

“დიდხანს იარეს, ბოლოს ქალი შიმშილმა ძალიან შეაწუხა“ [მათიკაშვილი, 1983: 46].

ინგლისურ ხალხურ ზღაპარში მოცემული მზა ფორმულა „**And long they rode, and hard they rode**“ – „**ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს**“ რვა კომპონენტისგან შედგება.

მოცემული კონსტრუქცია პირობითად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:



პირველ და მეხუთე კომპონენტს წარმოადგენს „და“ მაერთებელი კავშირები, მეორე და მეექვსეს - ზმნიზედა წარმოადგენს, მესამე და მეშვიდეს - ნაცვალსახელი, მეოთხე და მერვეს - არაწესიერი ზმნა, რომელიც დგას წარსულ განუსაზღვრელ დროში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული ტიპის გამონათქვამში ზმნას მართავს მრავლობით რიცხვში პირის ნაცვალსახელი „ისინი“, თუმცა იშვიათად გვხვდება პირის ნაცვალსახელი „სვლა“ ზმნასთან მხოლოდობით რიცხვში. ეს მყარი გამონათქვამი ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ორ ნაწილად იყოფა. ამ ფორმულას შუაზე გრაფიკული სასვენი ნიშანი „მძიმე“ ჰყოფს. როგორც ჩანს, ქართული ხალხური ზღაპრების მსგავსად, ამ ფორმულაშიც გვხვდება სინტაქსური გამეორება. მოცემულ კონსტრუქციაში მეორდება ნაცვალსახელი - ისინი, ზმნა-შემასმენელი - „იარა“ და მაერთებელი კავშირი „და“. შესაბამისად, აღნიშნული ტიპის ენობრივი ფორმულის შედარებისას ვხედავთ, რომ მათ საერთო ნიშანი ახასიათებს: ორივე მათგანში სინტაქსური გამეორებაა. ინგლისური „**Rode**“ – „**იარა**“, რომელიც ფორმულაში

წარსული განუსაზღვრელი დროით არის გადმოცემული დაესმის კითხვა (**What did they do? – რა ქნეს? they rode - იარეს**) აბსოლუტურად შეესატყვისება ქართულში მოცემული „იარა“ ზმნის მეორე სერიის წყვეტილის მწკრივს რა ქნა? - იარა.

ტრადიციული აღწერილობა-ეპიზოდებიდან ქართულ ხალხურ ზღაპარში გავრცელებულია სტაბილური, მედიალური მზა ფორმულა, რომელიც უკავშირდება „მაუწყებელ ქვას გზაჯვარედინზე.“ მაგალითი ქართული ხალხური ზღაპრიდან:

1. „სოფლის თავში **სიმართლის ქვა** ეგდო. იმ ქვაზე ეწერა: ზევით წახვიდე, მალე მოხვიდე, მარჯვნივ-გვიან მოხვიდე მშვიდობითა და მარცხნივ წახვიდე და ვეღარ მოხვიდეო....“ [ხალხური სიბრძნე, 1963: 132].

მზა ფორმულა, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგება, სქემატურად გამოისახება: **a (N) + b (N) + c (PRED)**, მისი კომპონენტური შედგენილობა განისაზღვრება ძირითადად არსებითი სახელებისა და ზმნა - შემასმენლის კომბინაციით. ამ კონსტრუქციაში შემავალ ერთეულთა შიდაძირითების დახასიათება შესაძლებელია შემდეგნაირად:

$$N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: gen} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + V \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES II} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

ნათესაობით ბრუნვაში მდგომი არსებითი სახელი განსაზღვრავს მეორე კომპონენტს - სახელობით ბრუნვაში მდგომ არსებით სახელს. ზმნა კი მეორე სერიის წყვეტილის მწკრივის ფორმითაა გადმოცემული. ზმნა-შემასმენელი ამ გამონათქვამში ბოლოკიდურ პოზიციაზე გვხვდება.

ყურადღებას იქცევს ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპარში „მზა ფორმულათა“ ტიპოლოგიური შედარებები:

ქართული ხალხური ზღაპრის ყველზე გავრცელებული ფორმულა - „**ცხრა მთას იქით**“ - მსგავსებას ამჟღავნებს ინგლისურ ხალხურ ზღაპარში ეკვივალენტთან - „**Far farthest off**“, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში ზღაპარში არ წარმოადგენს მზა ფორმულას ან რაიმე ტიპის მყარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამს.

მზა ფორმულები ძირითადად განსაზღვრულ დროსა და სივრცეზე, ან განსაზღვრული მოქმედების დაწყების ადგილზე მიგვითითებენ. მაგალითად, ფორმულა: „**ცხრა მთას იქით**“, არის მოქმედების გაგრძელების ადგილი, რომელსაც

გმირმა უნდა მიაღწიოს, სადაც როგორც წესი, ფანტასტიკური გარდაქმნებით აღსავსე ცხოვრება ელის. ზღაპარი გმირის მაგალითზე გვასწავლის, რომ თუ რაიმეს მიღწევა განგიზრახავს, უნდა მოიპოვო, ხშირად თავგანწირვის ფასადაც კი. მარტო ზღაპრული „გზაჯვარედინის“ მოტივი კმარა ამ თვალსაზრისის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. „გაუდგა მშვილდოსანი გზას“, „ვაჟიშვილი შეჯდა ცხენზე, წავიდა ცხრა მთას იქითა სამეფოში“, „ჭაბუკი მშვილდოსანი შეჯდა თავის მერანზე და წავიდა ცხრა მთას იქით“ - აი, ასეთი გამგზავრებათა ჩვეულებრივი ფორმულებია დამახასიათებელი ქართული ხალხური ზღაპრებისათვის.

ხალხური ზღაპრის ეს გამონათქვამი სამკომპონენტო მყარ გამონათქვამთა ჯგუფს განეკუთვნება. სქემატურად ეს სახელური გამონათქვამი ასე გამოისახება:

a (NUM) + b (N) + c (PRO)


მოცემულ კონსტრუქციაში პირველ კომპონენტს წარმოადგენს რაოდენობითი რიცხვითი სახელი „ცხრა“, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას, მეორეს - მიცემით ბრუნვაში მდგომი არსებითი სახელი „მთას“, ხოლო მესამეს „იქით“ - ჩვენებითი ნაცვალსახელი. აღნიშნული ერთეულების სტრუქტურული შედგენილობა კი ასეთი ფორმით გამოისახება:

$$\text{NUM} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{N} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: dat} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{PRO} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: ins} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

ამ კონსტრუქციაში რიცხვითი სახელი შიდა კავშირს მართავს, კერძოდ, იგი განსაზღვრავს და ითხოვს მეორე კომპონენტისაგან კონკრეტულ გრამატიკულ კატეგორიას.

როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გავრცელებულ მედიალურ გამონათქვამებს შორის ყველაზე ხშირია ცალკეულ პერსონაჟთაგან დაკავშირებული ტიპობრივი გამოთქმები. მაგალითად, ქართულ ზღაპრებში ხშირად ვხვდებით ადამიანის სუნის გაგებაზე მისათითებლად ასეთ ფრაზას: **„ადამიანის სუნი მცემს!“**, ხოლო ინგლისურში **„სულიერის სუნი მცემს!“** „smell a man!“ ზღაპრული სიუჟეტის განვითარება თავად კარნახობს საჭირო ფორმულას, რომელიც უეჭველად მას უნდა უკავშირდებოდეს. როგორც ქართულში, ასევე, ინგლისურში, ეს გამონათქვამი წარმოადგენს ზმნურ გამონათქვამს. ორივე შემთხვევაში ამ ფრაზის არსი უკავშირდება მყარი გამონათქვამის მთავარ კომპონენტს - ზმნას, რომელზეც


დამოკიდებულია ორივე კომპონენტი. სტრუქტურაში a (N) + b (N) + V სამკომპონენტიანი ფრაზები სქემატურად ასე გამოსახება:



წარმოდგენილი სქემები (A,B) შეესაბამება სამკომპონენტიან ზმნურ გამონათქვამებს. ქართულში პირველ კომპონენტად დასახელებულია არსებითი სახელი, რომელიც ნათესაობით ბრუნვაში დგას და ის, ამავდროულად, არის მსაზღვრელი მეორე კომპონენტის არსებითი სახელის, რომელიც დგას სახელობით ბრუნვაში, ხოლო ზმნა პირველი სერიის აწმყოს წრეს განეკუთვნება. როგორც ვხედავთ, ზმნას უკავია ბოლოკიდური პოზიცია. რაც შეეხება ინგლისურს, სტრუქტურაში პირველ კომპონენტად წარმოდგენილია ზმნა საწყის ფორმაში, მას მოსდევს მეორე კომპონენტი - არტიკლი, რომელიც არის მსაზღვრელი მომდევნო არსებითი სახელისა. ქართულისაგან განსხვავებით, ამ ფორმულაში ზმნა თავკიდურ პოზიციას იკავებს. სინტაქსურად ისინი წარმოადგენენ ზმნურ გამონათქვამებს. რაც შეეხება გრაფიკულ ნიშანს, როგორც ქართულში, ასევე ინგლისურში, ეს მყარი გამონათქვამი ძახილის ნიშნით გამოიხატება. ძახილის ნიშანი წინადადებების ბოლოს მრავალფეროვან ემოციებს გამოხატავს.

გავრცელებული ენობრივი ფორმულების შესწავლისას ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გამოვლინდა ისეთი სახის მზა ფორმულები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ზღაპრის პერსონაჟს -გმირს. ეს ფორმულებია: „Up stick and bang him!“ – „აბა, ჩემო კომბალო, ერთი შენებურად ჩამოუარე!“ „Table be covered!“ – „აბა, სუფრავ გაიშალე!“

A



B

(სქემა A) წარმოადგენილია სამკომპონენტური გამონათქვამი, რომლის სტრუქტურასაც ასეთი სახისაა: **a (N) + b (V) + c (V)**, პირველ კომპონენტს წარმოადგენს არსებითი სახელი, შემდეგ მას მოსდევს ზმნა ინფინიტივში და ბოლოს, ზმნა მიმღებობის ფორმაში.

(სქემა B) წარმოადგენილია ხუთკომპონენტური ენობრივი ფორმულა. მისი სტრუქტურა კი ასეთია: **a (ADV) + b (V) + c(CONJ) + d (V) + e (PRP)**, სადაც პირველ კომპონენტად წარმოადგენილია ზედსართავი სახელი, მეორე - ზმნა ინფინიტივში ანუ საწყის ფორმაში, მესამე- კავშირი, მეოთხე- ზმნა საწყის ფორმაში, ხოლო მეხუთე- პირის ნაცვალსახელი.

ჯადოსნური ხალხური ზღაპრის ტექსტში ხშირად ვხვდებით ისეთ მზა ფორმულებს, რომლებიც სტილის შექმნასა და მისი მხატვრული ქსოვილის დახვეწას უწყობს ხელს, ამადლებს ტექსტის გამომსახველობით უნარს. მაგალითად, გვხვდება ისეთი ტიპის მზა ფორმულები, რომლებიც გამოიყენება მსმენელებთან კონტაქტის განახლებისა და ზღაპრის თხრობის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად. ესენია: „რალა ბევრი გავაგრძელოთ“... ან „თავი რომ არ მოგაწყინოთ“

მოცემული სტრუქტურის მქონე **a (PRO) + b (NUM) + c (V)**, სამკომპონენტური გამონათქვამში, პირველ ერთეულად დასახელებულია განუსაზღვრელი ნაცვალსახელი, მეორე - რიცხვითი სახელი და მესამე - ზმნა. სამკომპონენტური ფორმულის დახასიათებისას გამოვლინდა ასეთი ურთიერთმიმართება:

$$\text{PRO} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + \text{NUM} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{V} \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES II} \\ \text{NUMBER: pl} \end{array} \right\}$$


(„რალა ბევრი გავაგრძელოთ“.....), სადაც პირველი ერთეული სახელობითი ბრუნვის ფორმით გადმოცემული განუსაზღვრელი ნაცვალსახელია, მას მოსდევს რაოდენობითი რიცხვითი სახელი და ზმნა წარმოადგენილია მრავლობით რიცხვში, რომელიც დგას მეორე სერიის მეორე კავშირებით მწკრივში. ამ ფორმულაში ზმნა ბოლოკიდურ პოზიციაზეა. „თავი რომ არ მოგაწყინოთ“ შედგება ოთხი კომპონენტისგან, რომელიც სქემატურად ასე გამოისახება: **a(N) + b(CONJ) + c(PART) + d(V)**, აქ პირველ კომპონენტს წარმოადგენს არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში, მეორეს კავშირი „რომ“, მესამეს უარყოფითი ნაწილაკი, ხოლო მეხუთეს

ზმნა-შემასმენელი. ოთხკომპონენტური ენობრივი ფორმულის დახასიათებისას გამოვლინდა შემდეგი შიდამიმართებანი:

$$N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \left\{ \text{CONJ} \right\} + \left\{ \text{NEG Particle} \right\} + V \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES II} \\ \text{NUMBER: pl} \end{array} \right\}$$

ზმნა შემასმენელი, რომელიც მრავლობით რიცხვში გვხვდება, მეორე სერიის კავშირებითი მწკრივის ფორმითაა გადმოცემული. ამ ფორმულაშიც ზმნა ბოლოკიდურ პოზიციაზეა.

მედიალური ენობრივი ფორმულების პროცენტული მაჩვენებელი ზღაპრებში



სქემაში მოცემულია მედიალური ენობრივი ფორმულების პროცენტული მაჩვენებლები, სადაც წითელი სვეტით აღნიშნული გვაქვს ინგლისური მედიალური ენობრივი ფორმულები ხალხურ ზღაპრებში, ხოლო ლურჯი სვეტით კი - ქართული ხალხური ზღაპრების მედიალური ენობრივი ფორმულები.

§1.3. ფინალური ენობრივი ფორმულების კომპონენტური ანალიზი

რაც შეეხება ფინალურ ენობრივ გამონათქვამებს, ქართულსა და ინგლისურში სხვადასხვანაირად ასახავენ ზღაპრის ბედნიერ დასასრულს. კომპონენტების მიხედვით ქართული ხალხური ზღაპრის ფინალური ენობრივი ფორმულები შედგება ექვსი, რვა და ცხრა კომპონენტებისაგან. მოვიყვანოთ მაგალითები. ყველასათვის ცნობილია, რომ ქართულ ხალხურ ზღაპარს აქვს

ფანტასტიკური, აბსტრაქტული, დალოცვითი და სხვა ტიპური დაბოლოებები. თითქმის უპირობოდ გავრცელებული ფორმაა: **“ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“**.

მოცემული ქართული ხალხური ზღაპრის ეს ფორმულა შედგება რვა კომპონენტისაგან, რომელშიც ძირითადად წარმოდგენილია არსებითი სახელები და ზმნისართები (ზმნიზედა) თითო კომპონენტის გამოტოვებით ენაცვლებიან არსებითი სახელები და ზმნისართები. მათი სტრუქტურული ურთიერთმიმართება კი ასეთია:

$$N + \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + \text{ADJ} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + \text{ADJ} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} + \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

$$N + \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + \text{ADJ} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + \text{ADJ} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} + \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

ზემოთ გავრცელებულ ზღაპრის ფინალურ ენობრივ ფორმულებთან ერთად, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ასევე გავრცელებულია შემდეგი ფინალური ენობრივი გამოთქმები.

- „სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო“
- „როდესაც სიტყვას ამზობ, დაფიქრდი და სხვას ორმოს ნუ უთხრიო“
- „ყველამ ერთად და ბედნიერად დაიწყო ცხოვრება“

როგორც ვხედავთ, დასახელებული ფინალური ფორმულებიდან პირველი ფორმულა ექვსკომპონენტიანია **a+(PRO)+b(PRO)+c(V)+d(ADJ)+e(POSS)**. პირველ კომპონენტად წარმოდგენილია ც -ნაწილაკ დართული მიმართებითი ნაცვალსახელი, მას მეორე კომპონენტად მოსდევს პირის ნაცვალსახელი, მესამე კომპონენტია ზმნა. მეოთხე კომპონენტს წარმოადგენს ზმნიზედა, მას მოსდევს კუთვნილებითი ნაცვალსახელი და ბოლო ისევ ზმნა.

a(CONJ) + b(N) + c(V) + d(V) + e(CONJ) + f(PRO) + g(N) + h(PTC) +I(V)- ცხრაკომპონენტიანი ფინალური ფორმულა. აღნიშნულ ფორმულაში შემავალ კომპონენტთა დახასიათება შესაძლებელია შემდეგნაირად: პირველ კომპონენტად დასახელებულია დროის მაქვემდებარებელი კავშირი, მეორე- მიცემით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელი, მესამე კომპონენტია პირველი სერიის აწმყოს წრის ზმნა და შემდეგი - ზმნა ზმნისწინიანი ფორმით „დაფიქრდი“, რომელიც მყოფადის

მწკრივის ფორმითაა გადმოცემული. შემდეგ მოდის „და“ კავშირი. მეხუთე კომპონენტია ჩვენებითი ნაცვალსახელი, რომელსაც მოსდევს მიცემითი ბრუნვით გაფორმებული არსებითი სახელი, მეექვსე კომპონენტია „ნუ“ უარყოფითი ნაწილაკი, რომელიც იხმარება ზმნასთან და აღნიშნავს, რომ ესა თუ ის მოქმედება უნდა შესრულდეს. ამ შემთხვევაში „ნუ“ იხმარება, პირველი სერიის აწმყოს წრის ზმნის წინ. **a(PRO) + b(ADV)+ c(CONJ) + d(ADJ) + e(V) + f(N)** - ექვსკომპონენტური ფინალური ფორმულაა. მორფოლოგიური თვალსაზრისით პირველ კომპონენტს წარმოადგენს განსაზღვრული ნაცვალსახელი, მეორე კომპონენტი - ზმნისართი (ზმნიზედა), შემდეგი კომპონენტია კავშირი. მეოთხე კომპონენტად დასახელებულია ზედსართავი სახელი, მეხუთე - ზმნა და მეექვსე სახელობითი ბრუნვით გადმოცემული არსებითი სახელი.

გარდა ამისა, ქართული ხალხური ზღაპრის დასასრული ცნობილია სხვა ტრადიციული ჰიპერბოლური ვარიანტებით. ესენია:

- „ელასა მელასა ჭიქა მეკიდა ყელასა მთქმელსა და გამგონებელსა ჭირი გამოროთ ყველასა“.
- „მთას ურემი ავიტანე, წამოვიდა გორებითა, აქ სიცოცხლით დავიძახეთ საიქიოს ცხოვრებითა“.
- „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“

დასახელებული მაგალითები მრავალკომპონენტურ ფინალურ ფორმულებს მიეკუთვნება, რომლებიც, ზოგადად, დამახასიათებელია ქართული ხალხური ზღაპრებისათვის.

კვლევის შედეგად, ქართული ხალხური ზღაპრის ფინალური ენობრივი ფორმულების რაოდენობა კომპონენტების მიხედვით ასე გადანაწილდა - ქართულში ექვსკომპონენტური ფინალური ენობრივი ფორმულა მივიღეთ ორი სახის:

- „სადაც შენი დაიკვებო, იქ ჩემიცა თქვიო“.
- „ყველამ ერთად და ბედნიერად დაიწყო ცხოვრება“.

მათი პროცენტული რაოდენობა ზღაპრებში შეადგენს - 2.64 %-ს. რაც შეეხება შვიდკომპონენტურ ფინალურ ფორმულას - „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“ - შეადგენს 1.32 %-ია. ცხრა კომპონენტური - „როდესაც სიტყვას ამბობ დაფიქრდი და სხვას ორმოს ნუ უთხრიო“ - 2.64 %. ათ კომპონენტური - „მთას ურემი

ავიტანე, წამოვიდა გორებითა, აქ სიცოცხლით დავიძახეთ საიქიოს ცხოვრებითა“ – 2.64 %. თერთმეტ კომპონენტისანი - „ელასა მელასა ჭიქა მეკიდა ყელასა მთქმელსა და გამგონებელსა ჭირი გაშორით ყველასა“ – 2.64%. ყველაზე მეტი პროცენტული მაჩვენებლით დადასტურდა რვა კომპონენტისანი, ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფინალური ენობრივი ფორმულა - “ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“ – 148%.

ინგლისურში ზღაპრის ბედნიერ დასასრულს ფინალური ფორმულები სხვადასხვანაირად აღწერენ. ზოგჯერ პირდაპირ მიუთითებენ ამის შესახებ, ზოგჯერ კი პერსონაჟთა გამდიდრებას გვაუწყებენ, რაც მომავალი კეთილდღეობის საწინდარია. დიდი ლხინის ან ქორწილის გადახდაც ინგლისური ზღაპრის თითქმის ტრადიციული დასასრულია. ინგლისურ ხალხურ ზღაპარში ჭარბობს ექვსი და შვიდ კომპონენტისანი ენობრივი ფორმულები:

- „They all lived happily of their days“
„სიკვდილმდე ტკბილად ცხოვრობდნენ“
a (PRP) + b (DT) + c (V) + d (RB) + e (IN) + f (PRP) + g (NNS)
- „They are living happy to this day“
„დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად“
a (PRP) + b (V) + c (VBG) + d (JJ) + e (PRE) + f (DT) + g (NN)
- „they lived there happily ever after“
„დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ“
a (PRP) + b (V) + c (EX) + d (RB) + e (RB) + f (IN).

ინგლისური ხალხური ზღაპრების კვლევის შედეგად, ფინალურ ენობრივ ფორმულებთან მიმართებაში გამოიკვეთა ექვსკომპონენტისანი და შვიდკომპონენტისანი ფორმულები, სადაც ექვს კომპონენტისანი ფორმულა - „they lived there happily ever after“ შეადგენს - 24.70 %-ს. რაც შეეხება შვიდ კომპონენტისანი ენობრივ ფინალურ ფორმულას, ინგლისურ ზღაპრებში ორი სახისაა, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი ასე გამოიყურება:


- They all lived happily of their days – 3.80%
- They are living happy to this day – 24.70%.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ხალხურ ზღაპრებში დადასტურებულ მზა ფორმულათა დიდი ნაწილი


უნივერსალური ხასიათისაა. აღნიშნული კომპონენტების ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე ხალხურ ზღაპრებში გამოვლინდა სხვადასხვა კომპონენტური შედგენილობის მზა ფორმულები. ესენია: სამკომპონენტიანი, ოთხკომპონენტიანი, ხუთკომპონენტიანი და მრავალ კომპონენტიანი ინიციალური, მედიალური და ფინალური გამონათქვამები. ეს ძირითადად დამოკიდებულია მთქმელზე. შეუზღუდავია მთქმელი, თუ როგორ შეცვლის ის ამა თუ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულს, გააფართოებს კომპონენტთა შემადგენლობას, გამოიყენებს ლექსიკურ გამეორებას თუ სინონიმურ ჩანაცვლებას, ან ერთის ნაცვლად სხვა სინონიმურ თუ ომონიმურ წყვილს. სტრუქტურული თვალსაზრისით, ქართულ ინიციალურ ენობრივ გამონათქვამებში ზმნა უმთავრესად საწყის პოზიციაზე გვხვდება, თუმცა, გვხვდება გამონაკლისებიც - ზოგი მათგანი არსებითი სახელით იწყება. ზმნა-შემასმენელი კი ბოლოკიდურ პოზიციაზე ინაცვლებს. ინგლისურში ინიციალურ ენობრივ ფორმულებში გავრცელებულია საწყისი კომპონენტები ეგზისტენციალური ერთეულით ანუ ზმნიზედით. ყველა მათგანი არსებითი სახელით სრულდება. მედიალურ მყარ გამონათქვამებში, სტრუქტურული თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, განეკუთვნებიან თუ არა ისინი სამ, ოთხ, ხუთ და მრავალ კომპონენტთან გამონათქვამებს, საკვანძო სიტყვად მაინც ზმნა გვევლინება.

- ზმნა ძირითადად საწყის პოზიციაზე თუმცა, იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება ბოლოკიდურ პოზიციაზე.
- აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული ენის მეორე სერიის წყვეტილის მწკრივი და ინგლისური ენის **past simple** წარსული განუსაზღვრელი დრო ერთმანეთში აბსოლუტურად თანხვდება. პირველი სერიის აწმყოს წრით გაფორმებული ზმნა ქართულში და ინგლისურ ენობრივ ფორმულაში დადასტურებული საწყისი **Present simple** / აწმყო განუსაზღვრელი დროით გაფორმებული ზმნა ერთმანეთის თანხვედრია.
- სტრუქტურული თვალსაზრისით ენობრივ ფორმულებში ჭარბობს „და“, „თუ“ კავშირები. რაც შეეხება ფინალურ ენობრივ ფორმულებს, ქართულ ხალხურ ზღაპრებში მათი კომპონენტთა რაოდენობა მერყეობს ექვსიდან - თერთმეტის ჩათვლით, ხოლო ინგლისურში ექვსიდან - შვიდის ჩათვლით.

ქართული ზღაპრის ფინალური ფორმულების პროცენტული მაჩვენებელი



ინგლისური ზღაპრის ფინალური ფორმულების პროცენტული მაჩვენებელი



§ 2. იდიომების ლექსიკური ანალიზი

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების იდიომატური გამოთქმების კომპონენტთა კვლევისას, სიხშირის თვალსაზრისით, იდიომთა შორის ყველაზე დიდი ოდენობით სომატური იდიომები დადასტურდა. მათი სახელური კომპონენტი ადამიანის სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი არსებითი სახელია.

სომატური ლექსიკა XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. რუსი მეცნიერი ი. ნ. კარაულოვი

აღნიშნავს, რომ ენას ვერ გავიგებთ, თუ არ გავცდებით მის ფარგლებს, თუ არ მივმართავთ მის შემოქმედებს, მატარებელსა და მომხმარებლებს - ადამიანებს, კონკურენტულ ენობრივ პიროვნებას (Караулов 1987; 7).

სომატური იდიომი, რომელიც შეიცავს სომატურ კომპონენტს, ჩვეულებრივ, გაიგება როგორც ფრაზეოლოგიზმი, რომელიც აღნიშნავს ადამიანის ორგანიზმის არა მარტო გარეგნულ ფიზიკურ ფორმებს (თავი ხელი ფეხი და ა. შ), არამედ მის გულსისხლძარღვთა, ნერვულ და სხვა სისტემების ელემენტებსაც (სისხლი, გული და ა.შ) [რუსაძე, 2010: 85].

ორი სხვადასხვა კულტურის ქართველი და ინგლისელი ხალხის წარმოდგენები მითებზე, წეს-ჩვეულებებზე, ჩვევებზე, ქცევაზე, რიტუალებზე და ა.შ ძირითადად გადმოცემულია ხალხურ ზღაპრებში სომატური იდიომებით, რომლებიც ყოველთვის ასახავენ ხალხის შეხედულებებს და ეპოქალურ იდეოლოგიას.

ხალხურ ზღაპრებში იდიომური გამოთქმების უმეტესობა შეიცავს ადამიანის სხეულის ნაწილების სახელწოდებებს. ქართულ ხალხურ ზღაპრებში ყველაზე ხშირად გვხვდება: **გული, თავი, თვალი, ფეხი, ხელი, ყური, პირი.**

რაც შეეხება, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებს, გვხვდება იგივე სომატური ერთეულები, როგორც ქართულ ხალხურ ზღაპრებში. გამონაკლისი აღმოჩნდა ერთი სომატური ერთეული - **ენა.**

ინგლისურში სომატური იდიომების კვლევა რაოდენობრივად განვახორციელეთ ტექსტის ანალიზატორი პროგრამის AntConc - ის საშუალებით, რომლის შედეგად მივიღეთ საინტერესო სტატისტიკური მონაცემები ზღაპრებში.

ქართული	რაოდენობა	ინგლისური	რაოდენობა
გული	25	heart	21
თავი	27	head	11
თვალი	16	Eye	11
ხელი	14	hand	9
ფეხი	7	Foot	7
ყური	5	Ear	4
ენა	0	Tongue	3
პირი	2	mouth	2

ჩვენი კვლევის შედეგად ქართულ ხალხურ ზღაპრებში რაოდენობრივად ყველაზე მეტია სომატური ერთეულები **გული** და **თავი**, რომლებსაც მოჰყვება: **თვალი, ხელი, ფეხი, ყური, ენა და პირი**. გულთან დაკავშირებული იდიომური გამოთქმები ქართულ ხალხურ ზღაპრებში სულ 25 ერთეული დადასტურდა. **იხ. დანართი №3, ცხრილი №1**

რაც შეეხება ინგლისურ ხალხურ ზღაპრებს, ქართული ხალხური ზღაპრების მსგავსად, **გულთან / heart** დაკავშირებული სომატური იდიომები ყველაზე ჭარბად გვხვდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებში გაცილებით მეტი ოდენობითაა. ინგლისურ ზღაპრებში სიტყვა **გული/ heart** სულ 21 ერთეული დადასტურდა. **იხ. დანართი № 4, ცხრილი №1.**

როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ზღაპრებში **გული / heart** - წარმოადგენს ემოციების გრძნობებისა და განწყობის სიმბოლოს, რომლებიც დავყავით თემატურ ჯგუფებად. კერძოდ, ქართულ ხალხურ ზღაპრებში მოწონების/მოხიბვლის, განცდის, გამხნევება დაიმედების, წყენა ტკივილისა და ჯავრის სიმბოლოდ. **იხ. დანართი №1, ცხრილი № ა.**

ხოლო ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში სომატური ერთეული **გული / heart** წარმოადგენს გულწრფელობის, სევდა მწუხარების, განცდის და სიყვარულის სიმბოლოდ. **იხ. დანართი №1, ცხრილი № ბ.**

ხალხური ზღაპრების კვლევისას, როგორც ქართულში, ასევე, ინგლისურში, ვხვდებით გულთან დაკავშირებულ ისეთ, სომატურ იდიომებს, სადაც შეიძლება დავაფიქსიროთ კოგნიტური მეტაფორა. კოგნიტურ მეტაფორას ქმნის ამა თუ იმ მოვლენის სახალხო მეტაფორული აღქმა.

ამერიკელმა მეცნიერებმა ჯ. ლაკოფსმა და მ. ჯონსონმა 1980 წელს შეიმუშავეს და ლინგვისტურ ლიტერატურაში დაამკვიდრეს კოგნიტური მეტაფორის ცნება. ჯ. ლაკოფსისა და მ. ჯონსონის დაკვირვებით, ენაში არსებული ცალკეული მეტაფორული გამოთქმები ხშირად წარმოადგენს ერთი დიდი, კოგნიტური მეტაფორის გამოვლინებას, რომელიც თავად არც შეიძლება იყოს ნახსენები ენაში, მაგრამ იგი არსებობს ერის ცნობიერებაში და გამოვლინებას პოულობს ენაში ცალკეული გამოთქმების, სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების სახით [კირვალიძე,

2009: 121].

რადგანაც სომატური ერთეული „გული“ გრძნობის გამომხატველია ნებისმიერ ენაში და, მით უმეტეს, ზღაპრის ენაში შესაძლებელია ვთქვათ, რომ „გული“ ორი სხვადასხვა სისტემის ენაში კოგნიტური მეტაფორის არსებობის დადასტურებაა:

to give one's heart to smb - გულის მიცემა

Take heart - გულის გამაგრება

Break smb's heart - გულის გატეხვა

Move smb's heart - გულის აძვრება

lose one's heart to smb - გულში ჩავარდნა

საყურადღებოა ის, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ცალკე იკვეთება გულთან დაკავშირებული ისეთი იდიომი, რომელშიც ორი სომატური კომპონენტია თავმოყრილი: **გულზე ხელ(ებ)ის დაკრეფა** - უსაქმოდ ყოფნა, უმოქმედობა, სიზარმაცე [ონიანი, 1988: 30] მაგ; იყიდეს კუბო და ტინიხიდელი გულზელდაკრეფილი ჩაწვა შიგ [ხალხური ზღაპრები, 1976: 209].

ძალზე საინტერესო სურათს ქმნის ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში იდიომი **one's heart is in one's mouth**, რადგანაც მისი ერთი ენიდან მეორეზე გადმოცემისას, ადეკვატურ თარგმანში ხდება ამ ორი სომატური კომპონენტის დაკარგვა (**გული და პირი**), მის ნაცვლად ჩნდება **პირის** ისეთი მონათესავე სომატური ერთეული, როგორცაა: ენა. **One's heart is in one's mouth** - აღნიშნავს ენის ჩავარდნას. ასეთი სომატური იდიომი იშვიათია ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში.

ხალხურ ზღაპრებში იდიომებში ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართულში ორი სომატური კომპონენტი იყრის თავს, ხოლო ინგლისურში კი ერთი. მაგალითი ქართული ზღაპრიდან: **რა გინდა სულო და გულო! ყველაფერია რასაც ინატრებ (გულით)!** ინგლისურ ზღაპარში ვკითხულობთ- **with all one's hearts - სულით და გულით; to one's heart's content - რაც გაგიხარდეს სულო და გულო.** გარდა ამისა, სომატური იდიომები **with all one's hearts - სულით და გულით** ერთმანეთთან სინონიმურ დამოკიდებულებაში არიან ქართული ხალხური ზღაპრის სომატურ იდიომებში, რასაც ვერ ვიტყვით ინგლისურში.

ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში სომატურ ერთეულს „გულს“

აქტივობის მიხედვით მოსდევს სომატური ერთეული „თავი“ და მასთან დაკავშირებული იდიომები.

თავი / head ხალხურ ზღაპრებში წარმართავს აზროვნებას, ჭკუასა და გონებას. ქართულ ხალხურ ზღაპრებში თავთან მიმართებაში გამოვლინდა 27 სომატური იდიომი. **იხ.დანართი №3, ცხრილი №2.** ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში კი უფრო ნაკლები 11 ერთეული. **იხ. დანართი № 4, ცხრილი №2.**

როგორც ქართულში ისე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში „თავის“ უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობა აღნიშნავს გონებას და ჭკუას, ან მის არარსებობას. მაგალითად: ქართულ ხალხურ ზღაპრებში ვკითხულობთ - **თავი აღარ აქვს (რისამე)**, ინგლისურში - **over one's head** - გაგებას აღემატება; **put it one's head** - თავში აზრის მოსვლა. ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში **თავი / head** ასევე ყურადღების, დამოუკიდებლობის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის ემოციების კონტროლის მნიშვნელობით გამოიხატება:



lose one's head - თავის ჩაქინდვრა, ჩალუნვა, თავის დაკარგვა.

დამატებითი დიფერენციალური მნიშვნელობა შემოაქვს უპირატესობის სემას რომელიც ჩადებულია ამ ცნებაში, მაგალითად: **თავის დაჭერა - (ანუ ღირსება)**

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში თავთან დაკავშირებული ასეთი სახის იდიომები, რომელიც დიფერენციალური მნიშვნელობით არის გადმოცემული, არ დასტურდება.

ხალხურ ზღაპრებში ხშირია თავთან დაკავშირებული ისეთი იდიომები, როცა ორი სომატური სახელი ორივეს შემცველი კომპოზიტით იცვლება მაგალითად **თავ-**

ფეხი. ქართულ ხალხურ ზღაპრებში ვხვდებით - **თავიდან ფეხებამდე.** ინგლისურ ზღაპრებში ვხვდებით **from head to foot** - **თავიდან ფეხებამდე; თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე.**

თვალები / eyes გრძნობისა და ემოციის გამომხატველი მნიშვნელოვანი ორაგანოა და ეს კომპონენტი საკმაოდ რაოდენობით გვხვდება როგორც ქართული, ისე ინგლისური ხალხური ზღაპრის იდიომებში, რომლებიც ასახავენ ზღაპარში მომხდარ ცვლილებებს და ადამიანის ემოციურ მდგომარეობას. ქართულში დადასტურდა თვალთან დაკავშირებული 16 სომატური ერთეული. **იხ. დანართი № 3, ცხრილი № 3.** ხოლო თვალი / eye -ის გამომხატველი იდიომები ქართულ და ინგლისურ ზღაპრებში **იხ. დანართი № 1, ცხრილი №გ.**

თვალი / თვალები - eye / eyes ძირითადად ხალხურ ზღაპრებში გამოხატავს გაკვირვების, სურვილის, ტყუილის, შურისა და არაკეთილმოსურნეობის სიმბოლოს. თვალთან დაკავშირებული სომატური იდიომები ქართულ ხალხურ ზღაპარში გამოხატავენ სილამაზესა და მშვენიერებას. სომატური იდიომა „**თვალი / eye**“ ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში შეგვხვდა სულ თერთმეტჯერ. **იხ. დანართი № 4, ცხრილი №3.**

აღნიშნული საკითხის კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სომატური იდიომების გამოყენებამ საზომის ფუნქციით, რაც ვფიქრობთ, ერთ-ერთი ლინგვისტური უნივერსალური მოვლენა ჩანს. მაგ.: დროის საზომად ქართულში გვხვდება **თვალი, (თვალის დახამხამებაში, თვალსა და ხელს შუა).** ინგლისურში - **in a twinkling of an eye - თვალის დახამხამებაში,** მაგრამ სიტყვასიტყვით ნიშნავს თვალის მომენტში. ინგლისურში საზომის ფუნქციით გვხვდება ასევე ხელთან დაკავშირებული სომატური იდიომა **hand in hand - ხელდახელ.**

თვალის დაჭერა (რამეზე, ვინმეზე, ვინმესკენ, რამისკენ) - რაც ნიშნავს მზრუნველობის გაწევას, ყურადღების მიქცევას, თვალყურის დევნას (ვინმეს, რამეს); ინგლისურში - **keep one's eye on someone or something.**

ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება თვალთან დაკავშირებული ისეთი იდიომები, რომელიც ორ სომატურ ერთეულს შეიცავს. **თვალ- გულს მოსვლა** - ჩემს სახლში რაც უფრო მოგწომს და თვალ-გულს მოგდის, აირჩიე და ისიც თან წაიღეო

[ხალხური ზღაპრები, 1976: 337]. **თვალსა და ხელს შუა** - კონკიას ემინოდა დედინაცვალმა არ მიცნოსო, და საჩქაროდ გამობრუნდა. დაედევნენ კარისკაცები. მაგრამ აბა იმის რაშს რა ცხენი დაეწეოდა! დაეკარგათ თვალსა და ხელს შუა [ხალხური ზღაპრები, 1976: 516].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება თვალთან დაკავშირებით პირდაპირი წყობის ისეთი სომატური იდიომები, რომელთა კომპონენტებიც მეტონიმის საფუძველზეა აგებული მაგალითად: **თვალის ჩინი, თვალის სინათლე, თვალ - ტანადი, თვალ-წარბის შუქი.**

რაც შეეხება ინგლისურ ხალხურ ზღაპრებს, ქართულისაგან განსხვავებით შებრუნებული წყობით გვხვდება თვალთან დაკავშირებული ერთი სომატური იდიომი - **Evil eye - ეშმაკის თვალი.**

ხელი / hand ხალხურ ზღაპრებში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, მათ შორის საქმიანობის, დახმარების, ოსტატობის მნიშვნელობებით და ა.შ. ქართულ ხალხურ ზღაპრებში გამოვლინდა „ხელთან“ დაკავშირებული სულ 14 სომატური იდიომი. **იხ. დანართი № 3, ცხრილი №4.**

კვლევის შედეგად ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში სომატური ერთეული „hand“ და მასთან დაკავშირებული სომატური იდიომები სულ 9 ერთეული შეგვხვდა. **იხ. დანართი № 4, ცხრილი №4.**

ქართულ და ინგლისურ ზღაპრებში საქმიანობის, მოქმედების აღმნიშვნელი იდიომები შემდეგი სახისაა. მაგალითად:

ხელ-ფეხის შეკვრა - შეზღუდვა, დაბრკოლების შექმნა, შებოჭვა, შევიწროვება [ონიანი, 1988: 192]. მაგ; მისცვივდა ხალხი მოლას, გახადეს ტანსაცმელი და ხელ-ფეხშეკრული ტახტზე გამოტეს [ხალხური ზღაპრები, 1976: 201].

ხელის მოკიდება (რისამე) - რისამე გაკეთების დაწყება, საქმის შედგომა, წამოწყება; მისაკუთრება, დაუფლება [ონიანი, 1988: 191]; მაგ; - რისი გაკეთების იმედიც არა გქონდეს, იმ საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებ და მიუწვდომელს ნუ წაეპოტინები [ხალხური ზღაპრები, 1976: 382].

ხალხურ ზღაპრებში (ქართული და ინგლისური) ხშირია ხელთან დაკავშირებით ასეთი სომატური იდიომები **ხელის გა (მო) წოდება** - დახმარების

გაწევა, შველა [ონიანი, 1988: 189]. ქართულში - დახმარების ხელი გაუწოდა, ხოლო ინგლისურში **give somebody a hand**.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება დახმარების მნიშვნელობით ზემოთ ნახსენები სომატური იდიომის შემცველი სომატური ერთეული ხელის გამართვა - დახმარების გაწევა, შეწევა, ხელის შეწყობა, ხელის მომართვა [ონიანი, 1988: 188]; მაგ;- წადი, ეგებ ღმერთმა ხელი მოგიმართოს (ხალხური ზღაპრები, 1976: 381).

ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში „ხელი“ ურთიერთობებისა და გაცვლითი მნიშვნელობით გვხვდება. მაგალითად:

on the one hand - ერთის მხრივ

on the other hand - მეორე მხრივ

hand in hand - ხელი ხელ

„ხელი - hand“ ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება როგორც ძალაუფლების სიმბოლო და იდიომების სახით ისინი ექსპრესიული ფუნქციის მქონე ერთეულებით წარმოგვიდგებიან ზღაპრებში. სწორედ ამ ექსპრესიას ქმნის მათთვის დამახასიათებელი ხატოვანება. ინგლისურ ზღაპარში გვხვდება იდიომა - **lay (one's) hands on** - რაც ნიშნავს რაიმეს ხელში ჩაგდებას.

„ყური - ears“ - ეს სომატური ერთეულები ზღაპრებში ინფორმაციის მიღებასა და შეცნობას ემსახურება. ქართულ ზღაპრებში ყურთან დაკავშირებით გამოვლინდა სულ ხუთი სომატური იდიომა, ხოლო ინგლისურში - ოთხი. **იხ. დანართები №3, ცხრილი №6; დანართები №3, ცხრილი №5**

ორი განსხვავებული კულტურის მქონე ზღაპრებში ისინი გამოხატავენ როგორც ცნობის, ასევე, მოსმენის უნარს. მაგალითად:

In one ear and out at the other - ცალ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა

Cock one's ear - ყურების დაცქვეტა

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ვკითხულობთ **ყური არ ათხოვა** - ყურადღება არ მიაქცია, ანგარიში არ გაუწია, არ მოუსმინა (შდრ. ყურის თხოვება) [ონიანი, 1988: 165]; **ყურის მოკვრა** - გაგონება [ონიანი, 1988: 165]; **ყურის (და) გდება** - მოსმენა, ყურის მიპყრობა; ყურადღების მიქცევა [ონიანი, 1988: 165]; ისინი შეიცავენ მეტაფორულობის ელემენტებს, რაც ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ ისინი მეტაფორული ელფერით ხასიათდებიან ზღაპრებში.

ინგლისურ ზღაპრებში ხშირად გამოიყენება ამ მნიშვნელობით სომატური ერთეული - „ყელი“. მაგალითად, ზღაპრებში ხშირად გვხვდება ისეთი სომატური იდიომი, რომელიც ორ სომატურ კომპონენტს შეიცავს **თავს და ყურს - over head and ears**, მაგრამ მნიშვნელობით აღნიშნავს - **ყელამდე**. ამავდროულად, აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისურ ზღაპრებში ყურები გადმოცემულია როგორც საზღვრის სიმბოლო. მაგ; **behind the ears - ყურის ძირში, ყურს უკან**.

„**ფეხი - Foot**“ - ხალხურ ზღაპრებში სომატური ერთეული წარმოადგენს მოძრაობის სიმბოლოს. ქართულ ხალხურ ზღაპრებში ფეხთან დაკავშირებით დაფიქსირდა სულ შვიდი სომატური იდიომი. **იხ. დანართი № 3, ცხრილი №5**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომატური ერთეული „**ფეხი**“ უკავშირდება სომატურ ერთეულს „**თავს**“ და მასთან ერთად ქმნის ისეთ სომატურ იდიომს, როგორცაა **თავიდან ფეხებამდე**. ქართულ ხალხურ ზღაპრებში „**ფეხი**“ მრავლობითის ფორმით გვხვდება. რაც შეეხება ინგლისურ ზღაპრებს, აღნიშნულ სომატურ იდიომში „**ფეხი**“ - მხოლოდითის ფორმით შემოდის, თუმცა, გვხვდება ხშირად მრავლობით რიცხვშიც, რაც შეცდომაა **from head to feet**.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში სომატური ერთეული - „**ფეხი**“ საკუთარი თავის რწმენას და სიმტკიცეს გამოხატავს: **ფეხზე დადგომა** - მომაგრება, მოღონიერება გაძლიერება; სამოქმედოდ, საბრძოლოდ მომზადება, ამოძრავება, გამოცოცხლება [ონიანი, 1988: 151].

სომატური ერთეული „**ფეხი**“ ხშირად სიკვდილს უკავშირდება და ის რამდენიმე ვარიანტად წარმოგვიდგება ქართულ ხალხურ ზღაპრებში. მაგალითად:

ფეხების გაჭიმვა - სიკვდილი, სულის დაღევა [ონიანი, 1988: 151].

ფეხების გაფშევა - სიკვდილი, სულის დაღევა [ონიანი, 1988: 151].

ფეხი / Foot ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში დადასტურდა სულ 7 ერთეული. **იხ. დანართი №4, ცხრილი №6**.

მარჯვენა ფეხი, წარმატების სიმბოლოს წარმოადგენს და ის ხშირად წარმატების მომასწავებელია ხალხურ ზღაპრებში. მაგალითად:

with his right foot -მარჯვენა ფეხით.

„**ენა-Tongue**“ ინგლისურ ზღაპრებში წარმოადგენს კომუნიკაციის, ურთიერთობებისა და ინფორმაციის სიმბოლოს. მაგალითად:

to find one's tongue - საერთო ენის მოძებნა; გამონახვა

„ენა-Tongue“ ინგლისურ ზღაპრებში შემავალ სომატურ იდიომებში გადმოცემულია, როგორც ზედმეტი ლაპარაკის მნიშვნელობით, რომელიც ზიანს აყენებს სხვასაც და თავის თავსაც, რაც ხშირად უარყოფითი კონოტაციის მნიშვნელობით გვხვდება ზღაპრებში. მათი რაოდენობა ინგლისურ ზღაპრებში მივიღეთ სულ 3 ერთეული **იხ. დანართი №4, ცხრილი №8.** მაგალითად:

to wag one's tongue - ენის ტარტარი

„ენა“, როგორც საკომუნიკაციო ნაწილი ხანდახან ზღაპრებში გვხვდება, როგორც დამნაშავე ზედმეტ ლაპარაკში. მაგალითად:

to hold one's tongue - ხმის არ ამოღება

როგორც ვხედავთ, მოცემულ იდიომში სომატური ერთეული „ენა“ ჩაანაცვლა სომატურმა ერთეულმა „ხმა“.

„პირი - mouth“ ისევე როგორც ენა - „tongue“, ზღაპრებში კომუნიკაციის სიმბოლოა. ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში დადასტურდა სულ 2 ერთეული. **იხ. დანართი №4, ცხრილი №7.**

„პირი - mouth“ ინგლისურ ზღაპრებში შემავალ სომატურ იდიომებში ძირითადად უკავშირდება ლაპარაკს და საუბარს. ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება პირთან დაკავშირებული სომატური იდიომი: **open one's big mouth - პირი მოაღო (გააღო);**

ქართულ ხალხურ ზღაპრებში უკავშირდება მოტყუებას, იმედგაცრუებასა და განრისხებას: **პირში ჩალაგამოვლებული** - მოტყუებული, იმედგაცრუებული, ცარიელზე დასმული [ონიანი, 1988:129]; **პირიდან ცეცხლს ყრის** - განრისხებულია, გააფთრებულია, გაანჩხლებულია, ცოფებს ყრის; ყაჩაღია, მკვირცხლია, შეუპოვარია [ონიანი, 1988: 126]. ქართულ ხალხურ ზღაპრებში გავრცელებული სომატური იდიომი - **პირიდან ცეცხლის ყრა** ნათლად გვიჩვენებს კოგნიტური მეტაფორის არსებობას.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში „პირი - mouth“ ზოგ შემთხვევაში გვხვდება მნიშვნელობით „სახე - face“ და სემანტიკურად წარმოქმნის შესაბამის სომატურ იდიომს მაგალითად „long face“ რაც ნიშნავს სახის მოღუმევას. ეს სომატური იდიომი

ემოციის გამოხატვას უკავშირდება ზღაპრებში. სომატური ერთეული „პირი - mouth“ კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას რომ აღიქმება როგორც სომატური ერთეული „სახე - face“. ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში შემავალი სომატური იდიომების განხილვისას აღმოჩნდა, რომ როგორც ქართულ ისე ინგლისურ ზღაპრებში ერთი და იგივე ემოცია შესაძლებელია გადმოცემული იყოს ერთი და იმავე სომატური ერთეულით.

სიყვარული	სიხარული	შიში	სიბრაზე	დარდი
lose one's heart to smb გული მისდის ვინმეზე	With all one's heart – სულით და გულით	under feet ფეხქვეშ გაგება	over head and ears - ყელამდე	aching heart მწუხარება, სევდა, ნალველი, ჭმუნვა.
set one's heart on - გულში ჩავარდნა	to one's heart's content რაც გაგიხარდეს სულო და გულო	fall on one's feet - ფეხებში ჩავარდნა	harden one's heart - გულის გაქვავება	Take heart გული გაიმაგრე; გულს ნუ გაიტეხ
give one's heart to smb გულის მიცემა	from one's heart გულწრფელად, გულით	smb's heart at his mouth -გული გაუსკდა	out the heart ცუდ გუნებაზე	with a heavy heart – დამძიმებული გულით
have got one's eye on smb. or smth. თვალი დაადგა (ვინმეს, რამეს)	move smb's heart - გულის აძგერება	drag one's feet ფეხის ათრევა one's heart is in one's mouth - ენის ჩავარდნა	Break smb's heart – გულის გატეხა	lose one's heart to smb ყურების ჩამოყრა
lose one's head - თავზის აბნევა; თავის დაკარგვა	jump out of one's skin სიხარულისგან ფეხზე არ დგას	it makes one's blood run cold – მარღვებში სისხლი გაეყინა		

სომატური იდიომების არსებობა ზღაპრებში წარმოადგენს ყველაზე ფერადოვან, თვალწარმტაც და ხატოვან ნაწილს. ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების სომატურ იდიომებში თავმოყრილია ერის წეს-ჩვეულებები, ცრურწმენები და ზღაპარში ასახული მოვლენები. ხალხურ ზღაპრებში გვხვდება საკმაო რაოდენობის კოლოკვიალური სომატური გამონათქვამები ანუ, სიტყვა ან გამონათქვამი, რომელიც ახასიათებს მხოლოდ სალაპარაკო მეტყველებას [Комлев Н.Г 2006].

ქართული ხალხური ზღაპრის კოლოკვიალურ სომატურ გამონათქვამებად ჩაითვლება: გულზე ცეცხლის მოკიდება, თავზე კაკლის დამტვრევა, თვალიდან ბეწვის გამოცლა, თვალის სინათლე, თვალის ჩინი, თვალის დაჭერა (ვინმეზე, რამეზე), თვალის

დარჩენა, ყური არ ათხოვა, პირში ჩალის გამოვლება, პირიდან ცეცხლს ყრის.

ინგლისური ხალხური ზღაპრის კოლოკვიალური სომატური გამონათქვამებია: **a heart of stone, to move smb's heart, one's heart in one's mouth, keep one's eye on someone or something, drag one's feet, have got one's eye on smb or smth, smb's heart at his mouth, to wag one's tongue.**


ამდენად, სომატური იდიომური გამოთქმები ზღაპრებში წარმოადგენს მარკირებულ ენობრივ სტერეოტიპებს, რომელიც ზღაპრის სიუჟეტებში, ინტენციის სახეს იღებს ანუ რაიმე ობიექტზე ადამიანის ფსიქიკური აქტივობის კონკრეტული მისწრაფება. ხალხურ ზღაპრებში სომატური იდიომური გამოთქმები ძირითადად გადმოიცემა დადებითი და უარყოფითი ემოციური შეფასების სისტემით.

ორი სხვადასხვა ენის კულტურიდან გამომდინარე, გვხვდება როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული სომატური იდიომები. ქართულსა და ინგლისურ ზღაპრებში ერთი და იგივე საგანი გადმოცემულია განსხვავებული სომატური ერთეულით /კომპონენტით. მაგ; ინგლისელები იყენებენ „გულს“ და ქართველები „ყურებს“. თუმცა, ამ კომპონენტებს საერთო სემანტიკა აქვთ „lose heart“ – „ყურების ჩამოყრა“ ესენი ისეთი სომატური იდიომებია, რომლებსაც აქვს ლექსიკური მნიშვნელობა იდენტური. ზღაპრებში ერთი და იგივე ემოცია შესაძლებელია გადმოცემული იყოს ერთი და იმავე სომატური კომპონენტებით. სიბრაზე და სიყვარული ქართულსა და ინგლისურ ზღაპრებში უკავშირდება კომპონენტს „გულს“. მაგ; **1. Break one's heart - გულის გასკდომა, გულის გატეხვა 2. Set one's heart on - გულში ჩავარდნა და ა.შ.**


კვლევის შედეგად ხალხურ ზღაპრებში, ქართული და ინგლისური ენების მასალაზე გამოიკვეთა, სომატური იდიომური გამოთქმების უნივერსალური მახასიათებლები. კერძოდ, დადგინდა კოგნიტური მეტაფორის არსებობა; ასევე ორივე ენის ზღაპრებში აღმოჩნდა საკმაო რაოდენობის კოლოკვიალური სომატური გამონათქვამები.

კვლევისთვის განსაკუთრებით ფასეული აღმოჩნდა სომატური იდიომების გამოყენება საზომის ფუნქციის მნიშვნელობით, რაც უნივერსალური ლინგვისტური მოვლენა ჩანს. მაგ; მაგ.: დროის საზომად ქართულსა და ინგლისურ ზღაპრებში გვხვდება თვალი, ხელი, თვალი და ხელი (თვალის დახამხამებაში - **in a twinkling of an eye**, თვალსა და ხელს შუა, **hand in hand** - ხელდახელ).

სომატური იდიომების პროცენტული მაჩვენებელი ქართულ ხალხურ ზღაპრებში



სომატური იდიომების პროცენტული მაჩვენებელი ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში



§3. იდიომების მორფო-სინტაქსური ანალიზი

ფრაზეოლოგია ლექსიკოლოგიის ყველაზე საინტერესო ნაწილს წარმოადგენს. იგი შეისწავლის სიტყვათა ჯგუფებს, რომლებიც სტრუქტურის სტაბილურობითა და გადატანითი მნიშვნელობით ხასითდებიან.

ფრაზეოლოგიური გამოთქმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს იდიომი. ა. კუნინი იდიომს განმარტავს, როგორც სემანტიკური თვალსაზრისით, მთლიანად გადაფასებული სტრუქტურის მქონე ნომინაციურ, მოდალურ ან საკომუნიკაციო კლასის ფრაზეოლოგიურ ერთეულს [Кунин, 1972: 8].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვიღებთ ასეთ ინფორმაციას იდიომის შესახებ: იდიომ-ი (იდიომისა) [ბერძნ. Idioma].

ლინგვ. 1. ამა თუ იმ ენის თავისებური გამოთქმა, რომელიც, ჩვეულებრივ, სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება; მაგალითად, ქართული **თვალი დაუდგება, ყურს დაუგდებს, ბოლო მოელება, ტანს აიყრის, თავს დადებს** და სხვა.

2. ძვ. კილოკავი [ჩიქობავა, 1950 – 1964: 599]. აქვე გვხვდება ტერმინი „იდიომატიზმი“ და „იდიომატური გამოთქმა“ იდიომის მნიშვნელობით.

როგორც ქართული, ისე ინგლისური ხალხური ზღაპრები სავსეა ხალასი ხატოვანი გამოთქმა-იდიომებით. მრავალი მათგანი თავდაპირველად აქაა ნახმარი და, ბევრ შემთხვევაში, ისინი საკუთრივ ხალხურ ზღაპრებს შერჩენიათ.

ჩვენი კვლევის მიზანი ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების იდიომური გამოთქმების კომპონენტების კვლევაა, მორფოლოგიურად სიტყვა ფორმისა და სინტაქსურად შესიტყვება ფორმის შესწავლის გზით.

სიტყვა ფორმის შესწავლა გულისხმობს სახელური და ზმნური იდიომური გამოთქმების შესწავლას შესიტყვებაში შემავალი ერთეულების გრამატიკული კავშირების გათვალისწინებით. სიტყვა ფორმის კვლევა ითვალისწინებს ნებისმიერი სახის იდიომური გამოთქმების კომპონენტთა ურთიერთმიმართების კვლევას.

§3.1. სახელური იდიომები

აღსანიშნავია, იდიომური გამოთქმების ორი ტიპი: **სახელური (NP)** და **ზმნური (VP)**. ქართულ ხალხურ ზღაპრებში გამოიკვეთა სახელური იდიომური გამოთქმების შემდეგი ქვეჯგუფები:

1) როდესაც სახელური იდიომები იწყება არსებითი სახელებით. (ზოგ შემთხვევაში არსებითი სახელები გვხვდება თანდებულიანი ფორმით):

NP = a (N) + b (N) – (თვალ - ტანადი; თვალის ჩინი; თვალის სინათლე; დღითი დღე.)

2) როდესაც სახელური იდიომები იწყება ზედსართავი სახელებით:

NP = a (ADJ) + b (N) – (შავი დღე)

3) როდესაც სახელური იდიომები იწყება რიცხვითი სახელებით:

NP = a (NUM) + b (N) – (ერთი სიტყვით)

4) სახელწმინდის შემცველი იდიომური გამოთქმები (არსებითი სახელით + საწყისი (მასდარი). NP = a (N) + b (VN) – (თავის გამოჩენა; ხელის შეშლა; სულის მოთქმა; თვალის დახამხამება, თავის მოკატუნებადა ა.შ)

ქართულ ხალხურ ზღაპრებში სახელურ იდიომურ გამოთქმებში, ბრუნვის კატეგორიის ვარიანტად დასახელებულია ძირითადად სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვა. შესაბამისად იგულისხმება, რომ აღნიშნული ორკომპონენტიანი იდიომების პირველ კომპონენტს წარმოადგენს სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გაფორმებული არსებითი სახელები, რომელიც ჩართულია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაში.

ორკომპონენტიანი სახელური იდიომური გამოთქმების მეორე კომპონენტს წარმოადგენს განსაზღვრული კატეგორიით გაფორმებული არსებითი სახელი, რომელიც განსაზღვრავს და მართავს პირველ კომპონენტს. ამ კომპონენტის სტრუქტურა კი თავისთავად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მეტყველების ნაწილს მართავს მეორე კომპონენტი. პირველი კომპონენტის სტრუქტურა ასეთია: სახელობითი ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული არსებითი სახელები იცავენ სიტყვათა მუდმივ რიგს წინადადებაში და გვხვდებიან პირდაპირი წყობით. რაც შეეხება მეორე კომპონენტის სტრუქტურას სახელურ იდიომურ გამოთქმებში, ქართულ ზღაპრებში უმეტესად გვხვდება წოდებითი ბრუნვის ფორმით.

1. **თვალ - ტანადი** - ლამაზი, მოხდენილი. მაგ; მის ცოლს ერთი თვალ-ტანადი ჭაბუკი დაუსვია გვერდით და ეალერსება [ხალხური ზღაპრები, 1976: 150].

2. **თვალის ჩინი** - მხედველობა, ხედვის უნარი; ძვირფასი, ძალიან საყვარელი არსება, თვალის სინათლე [ონიანი 1988: 93] მაგ; ჩემო თვალის ჩინო საცაა ძლიერი სეტყვა უნდა მოვიდეს [ხალხური ზღაპრები, 1976:159].

3. **თვალის სინათლე** - ძვირფასი, სათაყვანებელი არსება, თვალის ჩინი [ონიანი, 1988: 93] მაგ; - ნუ სტირი, ჩემო თვალის სინათლევ, თუ ყოჩაღად მოიქცევი, იმ ვაშლს შენ თვითონ იშოვი [ხალხური ზღაპრები, 1976: 443].

$$NP = N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom/gen} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom/voc} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ძალზედ იშვიათად, თუმცა, მაინც, ვხვდებით ისეთ ორკომპონენტულ სახელურ იდიომურ გამოთქმას, სადაც პირველი ერთეული წარმოდგენილია მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფით - თი. მაგ; დღითი დღე - რაც ნიშნავს განუწყვეტლივ, თანდათანობით, სულ უფრო მეტად, დღიდან დღემდე [ონიანი, 1988: 59]. მაგ; დღითი დღე უძღურდება, გახდა, ჩამოხმა და შავ ჩონჩხად გადაიქცა [ხალხური ზღაპრები, 1976: 413].

$$N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: POST} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\}$$

ზედსართავი სახელი, რომელიც სახელურ იდიომურ გამოთქმებში პრეპოზიციურია, ყოველთვის წინ უსწრებს საზღვრულს. პრეპოზიციური წყობის პარადიგმული ცვლა სახელურ იდიომურ გამოთქმებში დაცულია. მაგალითად:

4. შავი დღე - უბედურების, გაჭირვების დრო [ონიანი, 1988: 167] მაგ; ამ კვერცხს ვაი-შავი დღისათვის ინახავდა და ძალიანაც უფრთხილდებოდა [ხალხური ზღაპრები, 1976: 275].

$$NP = \text{ADJ} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom /erg} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\}$$

რიცხვითი სახელი, რომელიც შესაძლებელია იყოს რაოდენობითი, რიგობითი ან წილობითი ქართულ ხალხურ ზღაპრებში ორკომპონენტულ სახელურ იდიომურ გამოთქმებს შორის თითქმის არ გვხვდება. მხოლოდ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს რაოდენობითი რიცხვითი სახელი - ერთი. მსაზღვრელი პრეპოზიციულია მოცემულ იდიომურ გამოთქმაში. მეორე კომპონენტად წარმოადგენილია მოქმედებით ბრუნვში მდგარი არსებითი სახელი.

5. ერთი სიტყვით - მოკლედ, რომ ვთქვათ [ონიანი, 1988: 67] მაგ; ერთი სიტყვით, შიგ ყველაფერი ჩანს და ძალა და სახსარი თუ გაგაჩნია, იყიდეო [ხალხური ზღაპრები, 1976: 276].

$$NP = \text{NUM} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: ins} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\}$$

ქართულ ხალხურ ზღაპრებში დადასტურდა სახელზმნის შემცველი იდიომური გამოთქმები. ქართულ ხალხურ ზღაპრებში დადასტურებული

სახელზმნის შემცველი იდიომური გამოთქმები სქემატურად შეიძლება ასე გამოისახოს: $NP = a (N) + b (VN)$ არსებითი სახელი და საწყისი (მასდარი).

სახელური იდიომური გამოთქმების განხილვისას შეგვხვდა სახელზმნების, კერძოდ კი, მასდარის შემცველი იდიომები. სახელზმნების, კერძოდ, მასდარის ფორმიანი მიზანშეწონილია ზმნური იდიომური გამოთქმების განხილვისას, რადგანაც სახელზმნათა სტრუქტურას ახასიათებს როგორც სახელის, ასევე, ზმნის ზოგიერთი კატეგორია. ამასთანავე, სახელზმნები წარმოადგენენ ზმნათაგან ნაწარმოებ გასუბსტანტივებულ ფორმებს. ქართულ ხალხურ ზღაპრებში დადასტურებული სახელზმნის შემცველი ორკომპონენტური იდიომური გამოთქმის წამყვან კომპონენტს წარმოადგენს სწორედ სახელზმნა (მასდარი) (მაგ; თავის გამოჩენა; ხელის შეშლა, სულის მოთქმა, თავის მოკატუნება; თავში ცემა და ა.შ). თავისი მნიშვნელობით სახელზმნიანი იდიომები პირიანი ზმნის შემცველი იდიომების ვარიანტებია. სახელი კი, როგორც წესი, ნათესაობით ბრუნვაში დგება და აქტანტებს ეთიშება (მაგ; ხელი შეუშალა - ხელის შეშლა; გული შეუღონდა - გულის შეღონება და ა.შ)

სახელზმნების შემცველ იდიომურ გამოთქმებს ქართულ ხალხურ ზღაპრებში ახასიათებთ მსაზღვრელ-საზღრულის პრეპოზიციური წყობა.

თავის გამოჩენა - სახელის გათქმა, სახელის მოხვეჭა [ონიანი, 1988: 79] მაგ; ყველას უნდოდა თავის გამოჩენა და ყველა მოზრდილი სასმელს ეტანებოდა (262 სტუმართმოყვარე ცოლი)

სულის მოთქმა - შესვენება; ცხოვრების პირობების გაუმჯობესება [ონიანი, 1988: 143] მაგ; მინდორში ისეთი ბული იდგა, სულის მოთქმაც კი ჭირდა, მაგრამ კაცი დასვენებას არ ფიქრობდა [ხალხური ზღაპრები, 1976: 140].

აღნიშნული ორკომპონენტური იდიომური გამოთქმების კომპონენტთა შიდამიმართება ასე გამოისახება:

$$VP = N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: gen} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + VN \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\}$$


საწყისი ბრუნვიანი სიტყვაა, მაგრამ მრავლობითის ფორმებს ვერ აწარმოებს; ამიტომ იმისი თქმაც არ იქნება მართებული, თითქოს მას მხოლოდითი გააჩნდეს, ანუ,

საზოგადოდ, რიცხვი ჰქონდეს. საწყისის მხოლოდითი მოჩვენებითია [შანიძე, 1980: 558].

შესწავლილი მასალის საფუძველზე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებშიც დადასტურდა ორკომპონენტიანი სახელური იდიომური გამოთქმები, რომლებიც შემდეგ ქვეჯგუფებად დავყავით:

- NP = a (IN) + b (N) (at heart; at hand; by hand; under feet)
- NP = a (JJ) + b (N) (evil eye;)
- NP = a (N) + b (N) (light heart)
- NP = a (NUM) + b (N) (one day)

პირველ ქვეჯგუფში ძირითადად ერთიანდებიან ისეთი იდიომები, რომელთა საწყისი კონსტიტუენტები იწყება წინდებულებით, რომელსაც მოსდევს სახელი. აღნიშნულ ქვეჯგუფში მეორე ერთეულებს წარმოადგენს სომატური ერთეულები (გული, ხელი, ფეხი). მეორე ქვეჯგუფი შედგება ზედსართავი და არსებითი სახელებისაგან. მესამე ქვეჯგუფში შემავალი ორი კონსტიტუენტი შედგება არსებითი სახელებისაგან. რაც შეეხება მეოთხე ქვეჯგუფს, აქ ერთიანდებიან რიცხვითი და არსებითი სახელები.



ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ორკომპონენტიანი სახელური იდიომური გამოთქმების გარდა გვაქვს ასევე სამკომპონენტიანი სახელური იდიომური გამოთქმების შემდეგი ქვეჯგუფები. რაოდენობის თვალსაზრისით ეს ქვეჯგუფი გამოირჩევა მრავალრიცხოვანი ჯგუფით.

- IN + NP = (NN + POS) + NN (მაგ; from one's heart; off one's head; over one's head)
- IN + NP = (DT) + NN / NNs (მაგ; out the heart; behind the ears)
- NP = NN + IN + NN (მაგ; day after day; head over heels; hand in hand)
- NP = (JJ + NN + POS) + NN (მაგ; harden ones heart)
- NP = NN + NN + NN (მაგ; scratch one's head)

სამკომპონენტური ინგლისური სახელური იდიომების სტრუქტურული ხეები. იხ. დანართი №26 ცხრილი №1.

მსგავსი ტიპის იდიომები ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში იწყება წინდებულთ და არსებითი სახელებით. წინდებულთან იდიომურ გამოთქმებს ხშირად მოსდევს კუთვნილებით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელი. ასეთი ტიპის სახელურ იდიომურ გამოთქმებში მესამე კომპონენტად სახელდება არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში. სახელურ იდიომებს, რომლებიც არსებითი სახელებით იწყება, ხშირ შემთხვევაში, მოსდევს წინდებული, რომლის მომდევნო კომპონენტად თითქმის მუდმივად არსებითი სახელი რჩება. გარდა ამისა, ინგლისურ ზღაპრებში გვხვდება ისეთი ტიპის სახელური იდიომი, სადაც კომპონენტები უმთავრესად განისაზღვრება ზედსართავი და არსებითი სახელებით.

რაც შეეხება ქართულ ხალხურ ზღაპრებს, ორკომპონენტური სახელური იდიომების გარდა შეგვხვდა სამკომპონენტური და ოთხკომპონენტური სახელური იდიომური გამოთქმები, სადაც გამოიკვეთა ასეთი ქვეჯგუფები:

1. **a (N) + b (N) + c (N)** სტრუქტურის მქონე სამკომპონენტური სახელური იდიომური გამოთქმა „თვალ - წარბის შუქი“ - ძვირფასი მაგ: დღევანდელი ქართველი ასულები, ასე რომ ხიბლავს ყველას მათი თვალ-წარბის შუქი. [ხალხური ზღაპრები, 1976: 129].

$$NP = N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: gen} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\}$$

ამ სტრუქტურაში პირველ და მეორე კომპონენტს აქტანტების აღმნიშვნელი არსებითი სახელები წარმოადგენს, რომლებიც ძირითადად სომატურ ერთეულებს შეიცავს. აქედან მეორე კომპონენტი დგას ნათესაობით ბრუნვაში, რომლის ერთ - ერთი ძირითადი ფუნქციაა სუბსტანტიური ანუ მართული მსაზღვრელის გამოხატვა: თვალ - წარბ-ის შუქი. მესამე კომპონენტს წარმოადგენს სახელობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელი.

2. **a (NUM) + b (N) + c (N) + d (N)** სტრუქტურის მქონე ოთხკომპონენტური სახელური იდიომური გამოთქმა - „სამოცი უღელი ხარის ღონე“ - ღონიერი მაგ; კოპალას ვედრება შეისმინა, -მისცა სამოცი უღელი ხარის ღონე და ერთი ცეცხლის მფრქვეველი საომარი ლახტიც აჩუქა [ხალხური ზღაპრები, 1976: 794].

$$NP = NUM \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: gen} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

ამ სტრუქტურაში პირველ კომპონენტს რიცხვითი სახელი წარმოადგენს, ხოლო მომდევნო სამ დანარჩენ კომპონენტს წარმოადგენს სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებით გაფორმებული არსებითი სახელები.

სახელურ იდიომურ გამოთქმებს ძირითადად ახასიათებს როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობა. ჩვენ მიერ განხილულ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ძირითადად შეგვხვდა პრეპოზიციული წყობის სახელური იდიომური გამოთქმები. რაც შეეხება პოსტპოზიციური წყობის მაგალითებს, როგორცაა **ADJ + N** და **NUM + N**, პრაქტიკულად არ დადასტურდა. მაშასადამე, ქართული ხალხური ზღაპრებისათვის დამახასიათებელი ორკომპონენტიანი (**a + b**), სამკომპონენტიანი (**a + b + c**), ოთხკომპონენტიანი (**a + b + c + d**) სქემებით გამოხატული სახელური იდიომური გამოთქმების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სტრუქტურის მქონე ერთეულები. **იხ. დანართი №6 ცხრილი № 1.**

ოთხკომპონენტიანი სახელური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გვაქვს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოთხკომპონენტიანი სახელური იდიომების ქვეჯგუფები. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის იდიომური გამოთქმები სტრუქტურულად მრავალფეროვანია. სტრუქტურული მრავალფეროვნების მიუხედავად, მაგალითების უმრავლესობას ახასიათებს წინდებულის არსებობა ანუ აღნიშნულ იდიომებში ხშირად საწყისი კომპონენტები ძირითადად წინდებულთ ფორმდება, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, მოჰყვება, როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული არტიკლები და ასევე კუთვნილებითი ბრუნვით გაფორმებული არსებითი სახელები. მაგალითად:

- **IN + NP = (DT + NN+ POS) + NN (with all one's heart; out of one's hand)**
- **IN + NP = (DT + JJ) + NN (with a heavy heart; on the other hand)**
- **IN+ NP = (DT+ NN) + TO (with an eye to)**
- **IN + NP = (PRP + JJ) +NN (with his right foot)**
- **IN + NP= (NN + CC + NNs) (over head and ears)**

- **IN + NP= (NN) + PP = (TO + NN) (from head to foot)**
- **IN + NP= (DT +NN) + PP = (IN) (on the face of)**

ამა თუ იმ სახელური იდიომური გამოთქმების განუყრელ ნაწილს წარმოადენს არტიკლი. თუმცა, რაოდენობრივი თვალსაზრისით მსგავსი ტიპის იდიომებიდან ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში შეგვხვდა მხოლოდ ერთი ერთეული.

- **NP = (DT + NN) + PP= (IN+ NP) (a heart of stone)**

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, გარდა ზემოთ აღნიშნული ერთეულებისა, სახელური იდიომური გამოთქმები დასაწყისში არსებითი სახელებით ფორმდება, რომელთა შორისაც შეინიშნება წინდებულების არსებობა მსგავსი ტიპის იდიომებში.

- **NP = NN + IN + NP = (NN + IN) (day in day out)**
- **NP = IN + NP = (NN + POS) + NN (foot in one's mouth)**

ამ ქვეჯგუფში გარდა წინდებულიანი ოთხკომპონენტური სახელური იდიომებისა, გვაქვს არსებითი სახელით დაწყებული სახელური იდიომი. მაგალითად:

- **NP= NN +IN + NP (CD+POS) + NNs – (მაგ; fall on one's feet)**

აღნიშნულ მაგალითებში პირველი კომპონენტი არსებითი სახელია, რომელსაც მოსდევს, როგორც ვხედავთ, წინდებულები ან რიცხვითი სახელი. ეს უკანასკნელი მოცემულ იდიომებში შემოდის კუთვნილებითი ბრუნვით.

რაც შეეხება ბოლო კომპონენტებს, პირველი მაგალითის შემთხვევაში არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში; ხოლო მეორე მაგალითში - მხოლოდით რიცხვში. ოთხკომპონენტური სახელურ იდიომებს შორის ასევე გვხვდება ინფინიტივით დაწყებული სახელადი იდიომები, რომელთა სტრუქტურებიც შემდეგი სახისაა:

- **TO + NP= (NN+ NN+ POS)+ NN – (to wag one's tongue)**
- **TO + NP = (CD+POS) + NP (NN+POS)+NN – (to one's heart's content)**

ყველა ზემოთ განხილულ ოთხკომპონენტურ სახელურ იდიომურ გამოთქმას ახასიათებს წარმოდგენილი ტიპური იერარქიული ხის სტრუქტურა, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება წინადადების კონსტიტუენტით და ის ამ სქემების თავში გამოსახავს S სიმბოლოს. კონსტიტუენტი S, თავის მხრივ, შედგება სხვა კონსტიტუენტისგან, რომელიც არის NP სიმბოლო სახელური შესიტყვებისა იდიომებში: **N→N→NP**. წარმოდგენილ იერარქიულ ხის სტრუქტურაში თითოეული კონსტიტუენტი ერთმანეთთან დაკავშირებულია შესაბამისი ხაზებით, სადაც ეს

ხაზები გარკვეულწილად ერთიანდებიან. ესენი თავისთავად ქმნიან ახალ შიდა იერარქიულ სტრუქტურებს. აღნიშნული იერარქიული ხის სტრუქტურის ნიმუში ავიღეთ Andrew Carnie –ს სინტაქსიდან (Carnie, 2001). **ოთხკომპონენტური ინგლისური სახელური იდიომების სტრუქტურული ხეები. იხ. დანართი №2, ცხრილი №2.**

ხუთი, ექვსი და რვაკომპონენტური სახელური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში

ხუთკომპონენტური, ექვსკომპონენტური და რვაკომპონენტური იდიომური გამოთქმები ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გაცილებით იშვიათად გამოიყენება ვიდრე ორკომპონენტური ან თუნდაც სამკომპონენტური იდიომები. სულ გამოვლინდა ორი ხუთკომპონენტური, ერთი ექვსკომპონენტური და ერთი რვაკომპონენტური სახელური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში. **იხ. დანართი №5, ცხრილი № 1.**

- **NP = (JJ + NN) + PP = (IN + PRP + NN) + NN – (smb’s heart at his mouth)**
- **IN + NP = (DT + NN) + PP = (IN) + NP (DT + NN) – (in a twinkling of an eye)**
- **IN+ NP= (CD+NN) +CC +PP +IN +PP +NN +NP= (DT +JJ) – (in one ear and out at the other)**

როგორც ვხედავთ, სტრუქტურულად ძალზედ მრავალფეროვანია მრავალკომპონენტური ინგლისური სახელური იდიომური გამოთქმები, რის გამოც განზოგადების სახეს ნაკლებად იძლევა. სტრუქტურული დამუშავების შედეგად გაირკვა, რომ მრავალკომპონენტური სახელური იდიომების უმრავლესობას ახასიათებს წინდებულების არსებობა, და კავშირი და არსებითი სახელები კუთვნილებით ბრუნვაში.

§3.2. ზმნური იდიომები

ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვაქვს მრავალრიცხოვანი ზმნური იდიომური გამოთქმების ჯგუფები, რომელთა მთავარ კომპონენტს წარმოადგენს ზმნა. ქართულ ხალხურ ზღაპრებში ორკომპონენტური ზმნური იდიომური გამოთქმების უმრავლეს შემთხვევაში ზმნა ბოლოშია (სახელი + ზმნა), მაგრამ პარალელურად არსებობს ისეთი

ზმნური იდიომებიც, სადაც ზმნას მოსდევს არსებითი სახელი. ასეთი იდიომები იცავენ გარკვეულ თანამიმდევრობას შესიტყვებაში. ორკომპონენტთან ზმნურ იდიომურ გამოთქმათა ქვეჯგუფს, ახასიათებს სტრუქტურული ვარიანტები:

1. **VP = a (N) + b (V)** პირდაპირი წყობის შემთხვევაში და **VP = b (V) + a (N)** შებრუნებული წყობის შემთხვევაში (მაგ; გულის მოხება, გულის დაწვა, ხელის მოცარვა, მოიოხა გული, დაგეწვა გული, თქვა გულში)

2. **VP = a (ADJ) + b (V)** (მაგ; ცარიელზე დარჩენა)

ქართული ხალხური ზღაპრების განხილვისას ზმნურ იდიომურ გამოთქმებთან მიმართებით გამოვლინდა შემდეგი სტრუქტურის მქონე ერთეულები. ნომინატიური, დატიური და ერგატიული კონსტრუქციის ფარგლებში ზმნური იდიომური გამოთქმების ქმედება წინადადების სინტაქსური შემადგენლობის ფარგლებში, რომელიც შესაძლებელია შემდეგნაირად გამოვსახოთ:

$$VP = N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + V \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES I / II} \\ \text{NUMBER:sg /pl} \end{array} \right\}$$

პირველ სქემაში წარმოდგენილია პირველ და მეორე სერიაში მდგომ ზმნებთან სახელობით ბრუნვიანი არსებითი სახელები (მაგ; გული გაუკეთა; გული მოუვიდეს; გული მისკდება; გული დასწყდა; გული იჯერეს; გული შეუღონდა; გული გადავაცოლოთ; თავი გააქვს; ფეხები გაფშიკა; თავი შეიკავა; თავი მიანება; ხელი აიღეს; და ა.შ)

$$2. VP = N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: dat} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + V \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES I} \\ \text{NUMBER: sg/pl} \end{array} \right\}$$

$$3. VP = N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: dat + post} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + V \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES I} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

მეორე სქემაში განხილულია ისეთი ზმნური იდიომური გამოთქმები, სადაც ფიქსირდება მიცემით ბრუნვიანი არსებითი სახელების ურთიერთმიმართება მხოლოდ პირველი სერიის აწმყოს წრის უწყვეტელისა და მყოფადის მწკრივის ზმნებთან (მაგ; თავს იკლავდა; თავს ევლებოდნენ; თვალს მოატყუებ; სულსა ლევდა; სულს ჩაიდგამს; გულს შემოეყარა და ა.შ) გარდა ამისა, ზღაპრებში გვხვდება ისეთი ზმნური იდიომური გამოთქმები, სადაც არსებითი სახელები გვხვდება

თანდებულებით (-ზე -ში) გაფორმებული მიცემითი ბრუნვის ფორმით (მაგ; ფეხზე დადგომა; ხელში ჩაგდება; გულში ჩადება; გულში ჩავარდნა) **1. გულში აქვს (რამე)** - განზრახული აქვსრამე, ფიქრობს (რასმე) [ონიანი, 1988: 50]. მაგ; თან გულში ყასბის ჯავრი ჰქონდა და სულ იმის ფიქრში იყო, სამაგიერო როგორ გადაეხადა [ხალხური ზღაპრები, 1976: 340] **2. გულში ჩავარდნა (ვისიმე, რისამე)** - მოწონება, შეყვარება (ვისიმე, რისამე) [ონიანი, 1988: 52]. მაგ; გოგო ძალიან ლამაზი იყო, გულში ჩამივარდა [ხალხური ზღაპრები, 1976: 350]. **3. გულში ჩადება (რისამე)** - გაფიქრება, აზრად მოსვლა, განზრახვა (რისამე) [ონიანი, 1988: 52]. მაგ; ნაზირ-ვეზირებს ძალიან ეწყინათ ხელმწიფის ნათქვამი, გულში მტრობა ჩაიდეს და მონადირის შვილის დაღუპვა გადაწყვიტეს [ხალხური ზღაპრები, 1976: 477]. **4. ხელში ჩავარდნა - (ვისიმე)** მფლობელობაში გადასვლა, (ვისიმე) საკუთრებად ან ტყვედ გახდომა [ონიანი, 1988: 193]. მაგ; მადრიბის ხელმწიფე კი არ ისვენებდა და ქალის ხელში ჩასაგდებად სულ ახალ და ახალ ხრიკებს იგონებდა [ხალხური ზღაპრები, 1976: 469]. **5. ფეხზე დადგომა** - მომაგრება, მოღონიერება გაძლიერება; სამოქმედოდ, საბრძოლოდ მომზადება, ამოძრავება, გამოცოცხლება [ონიანი, 1988: 151]. მაგ; ქალაქელები ხომ იცით, რა ხალხია, ოღონდ გასაცვლელ- გასაყიდი რამე დაინახონ და უმაღლ ფეხზე დადგებიან [ხალხური ზღაპრები, 1976: 322].

$$3. VP = N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: erg} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + V \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES II} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

მესამე სქემაში მოყვანილია მეორე სერიის წყვეტილის მწკრივის ზმნური იდიომური გამოთქმების ურთიერთმიმართება ერგატიული კომბინაციის მქონე არსებით სახელებთან (მაგ; სულმა წასძლია; ბედმა გამიღიმა და ა.შ) ერთი შეხედვით, შეუძლებელი ჩანს იდიომის სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის დარღვევა: **გულზე ცეცხლი ეკიდება, მ დულარეში ფეხი ჩაკრა, ჭურში ზის, უყარე კაკალი (არ ვამბობთ: კაკალი უყარე, ზის ჭურში).** სიტყვათა რიგის სიმტკიცეს ხსნიან სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით. მაგრამ ეს ნიშანი აბსოლუტური ხასიათისა არაა. გვაქვს სიტყვათა რიგის ცვლის შემთხვევებიც: **გული მოუვიდა - მოუვიდა გული, ენას კბილი დააჭირე - დააჭირე ენას კბილი.**

ზოგი ავტორი ამ გადაადგილებას შემთხვევით ფაქტად თვლის. „კომპონენტების შებრუნებული რიგი შეიძლება ავხსნათ ან განსაკუთრებული სტილისტიკური დავალებით, ანდა ზეპირმეტყველების ექსპრესიული არალოგიკურობით“ [თაყაიშვილი, 1961: 21].

სიტყვათა რიგის ცვლის მიხედვით ყოველი ენის ფრაზეოლოგიზმები განსხვავებული ხასიათისაა - დამოკიდებულია ამა თუ იმ ენის ანალიზურ თუ სინთეზურ ბუნებაზე. ცხადია, ინგლისურ ენის ფრაზეოლოგიზმებში სიტყვათა რიგი მყარია, რამდენადაც იქ თავისუფალი შესიტყვებაც გარკვეულ თანამიმდევრობას ემორჩილება: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება. ქართულში კი, როგორც ვთქვით, სიტყვათა რიგის თავისუფლება გვაქვს. ის განსაზღვრული წყობა, რომელსაც მაინც იცავს ქართული, იდიომის ბუნებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ თვით ენის ტენდენციიდან - გარკვეული თანამიმდევრობა დაიცვას შესიტყვებაში [თაყაიშვილი, 1961: 22].

აღნიშნულ წესთან დაკავშირებით ქართულ ხალხურ ზღაპრებში მოპოვებული მასალა სავსებით შეესაბამება ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებს. ხალხურ ზღაპრებში ასევე გვხვდება შებრუნებული წყობის შემთხვევაში $VP = b(V) + a(N)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური ზმნური იდიომური გამოთქმები, რომლებშიც ზმნა უსწრებს სახელს, (მაგ; **გულის მოოხება, გულის დაწვა, ხელის მოცარვა, მოიოხა გული, დაგეწვა გული, თქვა გულში**). ასეთი სტრუქტურის მქონე იდიომები დიდი სიმრავლით არ გამოირჩევა, რაც ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად მათი არამდგრადობისა, ქართულ ზმნას ახასიათებს კონსტრუქციის ბოლოში მოხვედრა.

ორკომპონენტური $VP=b(V)+a(N)$ სტრუქტურის მქონე იდიომურ გამოთქმებში კომპონენტები განისაზღვრება ზმნითა და არსებითი სახელებით. (მაგ; მოიოხა გული; დაგეწვა გული; მოიყარა თავი; გაუელვა თავში; თქვა გულში; ჩაიქნია ხელი).

$$VP = V \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES: II} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + N \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\}$$

1. **გულის მოოხება** - გულის მოჯერება; დარდის, მწუხარების გაქარვება [ონიანი, 1988: 44]. მაგ; შემოიკრა კაცმა თავში ხელი და მორთო ხმამაღლა ტირილი, ბევრი იტირა, მოიოხა გული [ხალხური ზღაპრები, 1976: 391].
2. **გულის დაწვა** - წყენა, შეწუხება, გულის ტკენა ... [ონიანი, 1988: 42] მაგ; - მართალი ხარ, შვილო, და მეც მჯერა, ისე დაგეწვა გული, რომ ეგ მანეთი ნამდვილად შენი შრომით ნაშოვნია [ხალხური ზღაპრები, 1976: 173].
3. **თავის მოყრა** - შეგროვება, ერთად შეკრება; [ონიანი, 1988: 82]; მაგ; მთელმა სასახლემ ხელმწიფის შვილის ოთახთან მოიყარა თავი [ხალხური ზღაპრები, 1976: 377].
4. **გაუელვა თავში** - თავში გარბენა (რისამე) გაფიქრება, უცებ აზრად მოსვლა (რისამე) მაგ; „ეს ხომ პეტრეაო!“ - გაუელვა თავში [ხალხური ზღაპრები, 1976: 283].
5. **ხელის ჩაქნევა** - იმედის დაკარგვა, გულის გატეხა, ყველაფერზე ხელის აღება [ონიანი, 1988: 192]. მაგ; „სადაც ამდენი რამ მაკლია, ეგ ერთი პურიც იქ იყოსო“, - თქვა გულში, ჩაიქნია ხელი და წავიდა თავისი გზით [ხალხური ზღაპრები, 1976: 371].

VP = a (ADJ) + b (V) სტრუქტურის მქონე ზმნური იდიომური გამოთქმები, შედგება ზედსართავი სახელისა და ზმნისაგან, რაც იშვით კომბინაციას წარმოადგენს ქართულ ზღაპრებში. აღნიშნულ ქვეჯგუფში შემავალ ერთეულთა რაოდენობა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ერთ ერთეულს მაგ; ცარიელზე დარჩენა - ყველაფრის დაკარგვა, არაფრის შერჩენა, გაღარიბება, გადატაკება, მშრალზე დარჩენა. [ონიანი, 1988: 172]. მაგ; თუ მართლა ცარიელზე არ გინდა დარჩე, წადი ერთი კვირა მაინც იმუშავე [ხალხური ზღაპრები, 1976: 172]. ამ ქვეჯგუფში შემავალ ერთეულთა მორფოლოგიური შიდაშიმართების დახასიათება შესაძლებელია ასე:

$$VP = ADJ \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: dat + post} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + \left\{ \begin{array}{l} \text{VN} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

სამკომპონენტური ზმნური იდიომური გამოთქვამები ქართულ ზღაპრებში
 აღნიშნული ტიპის იდიომები იშვიათად გვხვდება ქართულ ხალხურ ზღაპრებში ვიდრე ორკომპონენტური. თუმცა, ქართულ ხალხურ ზღაპრებში შეგვხვდა სამკომპონენტური ზმნური იდიომური გამოთქმები, რომელიც შემდეგ ქვეჯგუფებად დავყავით:

- **a (N) + b (N) + c (V) –** (გულზე ცეცხლის მოკიდება; გულში იმედი ჩაესახა; პირიდან ცეცხლს ყრიდა; თვალ-გულს მოგდის; თავზე ხელიც გადაუსვა და ა.შ)
- **a (NUM) + b (N) + c (V) –** (ერთი სული აქვს; ცოტა არ იყოს)
- **a (ADJ) + b (N) + c (V) –** (შავი დღის დაყრა; შიშის ზარი დაეცათ;)
- **a (PRO) + b (N) + c (V) -** (რა ხელს მისცემს)

სტრუქტურაში **a (N) + b (N) + c (V)** პირველ და მეორე აქტანტებს არსებითი სახელები წარმოადგენს, ხოლო მესამეს ზმნა. აღნიშნული ქვეჯგუფის დახასიათებისას აქტანტები იცავენ გარკვეულ იერარქიას, სადაც ზმნა იკავებს წამყვან პოზიციას და ყველა დანარჩენ ერთეულებს მართავს.

1) **გულზე ცეცხლის მოკიდება** - გაბრაზება, გაჯავრება [ონიანი, 1988: 53] მაგ; ხელმწიფეს ჯავრისაგან გულზე ცეცხლი მოეკიდა [ხალხური ზღაპრები, 1976: 153].

2) **თვალ- გულს მოსვლა** - ჩემს სახლში რაც უფრო მოგწომს და თვალ-გულს მოგდის, აირჩიე და ისიც თან წაიღეო [ხალხური ზღაპრები, 1976: 337].

3) **გულში იმედის ჩასახვა** - იხ. გულში ნათელის ჩადგომა გახარება, დაიმედება, გულის განათება, შვებით ამოსუნთქვა [ონიანი, 1988: 51]; მაგ; უცბად ბრძენი ხელმწიფის ნათქვამი მოაგონდა: „რაც შენი თვალით არ ნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო“, და გულში ისევ იმედი ჩაესახა [ხალხური ზღაპრები, 1976: 391].

4) **პირიდან ცეცხლს ყრის** - განრისხებულია, გააფთრებულია, გაანჩხლებულია, ცოფებს ყრის; ყაჩაღია, მკვირცხლია, შეუპოვარია [ონიანი, 1988: 126] მაგ; მიხვდა რომ ეს მისი ოინი იყო და პირიდან სულ ცეცხლს ყრიდა [ხალხური ზღაპრები, 1976: 459].

5) **თავზე ხელის მოსმა** - მოფერება, დაყვავება; დაფაცურება, საქმის შედგომა [ონიანი, 1988: 76]. მაგ; წყალსაც ასე ცოტა - ცოტაობით ასმევდა და ბოლოს ისე შეიჩვია, რომ თავზე ხელიც კი გადაუსვა [ხალხური ზღაპრები, 1976: 314].

მაშასადამე, აღნიშნულ ქვეჯგუფში შემავალი სამკომპონენტური იდიომური გამოთქმების სტრუქტურული შიდამიმართება ასეთი ფორმისაა:

$$\left. \begin{array}{l} \text{N [CASE: gen+post]} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{N} \left. \begin{array}{l} \text{[CASE: nom/ gen/ dat]} \\ \text{NUMBER: sg/pl} \end{array} \right\} + \text{V} \left. \begin{array}{l} \text{[SERIES: I, II]} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\}$$

სადაც პირველი ერთეული (გულზე - gen+post) ძირითადად გაფორმებულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, რომელიც ყოველთვის ასრულებს განსაზღვრების

ფუნქციას. ამასთანავე, სახელის ნათესაობითი ბრუნვით გაფორმებისას ხშირად გვხვდება -ზე, -ში, თანდებულიანი ფორმები. აღნიშნული თანდებულიანი ფორმებიდან ყველაზე იშვიათად გვხვდება -დან თანდებულის შემცველი ელემენტები. სულ შეგვხვდა ერთი მაგალითი (მაგ; პირიდან ცეცხლს ყრის). მეორე (ცეცხლი, ცეცხლის, ცეცხლს - nom + gen + dat) სახელობითი, მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, ზმნას ამ ტიპის ერთეულებში წამყვანი ადგილი უჭირავს. ზმნა ამ ქვეჯგუფის სამკომპონენტო იდიომებში ძირითადად პირველ და მეორე სერიის უწყვეტელისა და წყვეტილის მწკრივში დგას.

მეორე ქვეჯგუფს წარმოადგენს **a (NUM) + b (N) + c (V)** სტრუქტურის მქონე სამკომპონენტო იდიომური გამოთქმები, სადაც პირველ კომპონენტად დასახელებულია რიცხვითი სახელი, მეორე კომპონენტად - არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით. ამავე ქვეჯგუფში მეორე კომპონენტად წარმოადგენილია უარყოფითი (არ) ნაწილაკი. ზმნა როგორც ყოველთვის ამ ქვეჯგუფშიც წამყვან პოზიციას იკავებს მესამე ადგილზე და დგას პირველი სერიის აწმყოსა და მეორე სერიის II კავშირებითის მწკრივში.

$$\text{NUM} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + \text{N} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom/ PTC neg} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + \text{V} \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES: I / II} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\}$$

1) **ერთი სული აქვს** - ძალიან ეჩქარება (რამე), სული მიუდის [ონიანი, 1988: 67]; მაგ; კაცს სიხარული ემატება და ერთი სული აქვს, როდის მიადგება თავის ღარიბ ცოლ-შვილს, მიდის და მილიღინებს [ხალხური ზღაპრები, 1976: 390].

2) **ცოტა არ იყოს** - თითქმის, კინაღამ; საკმაოდ [ონიანი, 1988: 176]. მაგ; დაბრუნდა უქნარა შინ, ცოტა არ იყოს შეფიქრიანებული [ხალხური ზღაპრები, 1976: 286].

ამ სტრუქტურაში **a (ADJ) + b (N) + c (V)** შემავალ პირველ და მეორე კომპონენტებს წარმოადგენენ ზედსართავი და არსებითი სახელები, ხოლო მესამე კომპონენტი - ზმნა. მაგალითად:

1) **შავი დღის დაყრა** - იხ. შავი დღის დაყენება გამწარება, ცუდ დღეში ჩაგდება; დატუქსვა, გაწყრომა [ონიანი, 1988: 167] მაგ; ისეთ შავ დღეს დააყრის, რომ თავ-ბედი აწყევლინოს [ხალხური ზღაპრები, 1976: 344].

2) შიშის ზარი დაეცათ - ვაჭრებს შიშის ზარი დაეცათ, მაშინვე გამომეკიდნენ და ხვეწნა დამიწყეს [ხალხური ზღაპრები, 1976: 352].

შესაბამისად ამ ქვეჯგუფის დახასიათებისას გამოვლინდა ასეთი სტრუქტურული შიდამიმართება:

$$\text{ADJ} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom/gen} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{N} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom/gen} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + \text{V} \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES: I II} \\ \text{NUMBER:sg/pl} \end{array} \right\}$$

ამ სქემის სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმას ახასიათებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი მეშველი ზმნის შემცველი ერთეულები (ერთი სული აქვს, ცოტა არ იყოს). მოცემული ერთეულები მოთავსდა სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმათა რიგში, მაგრამ ამ რიგში მათი მოთავსება პირობითია, რადგანაც მეშველ ზმნას ვერ მივიჩნევთ სემანტიკური დატვირთვის მქონე კომპონენტად.

სინტაქსური თვალსაზრისით ზმნა იკავებს წამყვან პოზიციას და ის ამ ქვეჯგუფში წარმოდგენილია პირველის სერიის აწმყოს კავშირებითი მწკრივისა და მეორე სერიის წყვეტილის მწკრივის ფორმით.

მოცემულ **a (PRO) + b (N) + c (V)** სტრუქტურაში პირველ კომპონენტს ნაცვალსახელი წარმოადგენს, მეორე კომპონენტს არსებითი სახელი, ხოლო მესამეს - ზმნა. ამ ქვეჯგუფში დასტურდება მხოლოდ ერთი იდიომური გამოთქმა.

რა ხელს მომცემს - ხელსაყრელი, სასარგებლო არ იქნება მისთვის [ონიანი, 1988: 192] მაგ; შენისთანა რეგვენთან მგზავრობა რა ხელს მომცემს, მე ჩემთვის წავალ [ხალხური ზღაპრები, 1976: 282].

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ეს იდიომური გამოთქმა, რადგან **რა** ნაცვალსახელი და არსებითი სახელი ბრუნვებში ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც განპირობებულია იმით, რომ **რა** ნაცვალსახელი ხმოვანფუძიანია და ის ადვილად ეხამება სხვა ნებისმიერ სახელს ბრუნვაში.

$$\text{PRO int} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: nom} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right\} + \text{N} \left\{ \begin{array}{l} \text{CASE: gen} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\} + \text{V} \left\{ \begin{array}{l} \text{SERIES I} \\ \text{NUMBER:sg} \end{array} \right\}$$

ამ სტრუქტურული კონსტრუქციის შიდამიმართება ასეთია: პირველი ერთეული კითხვითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული, რომელიც დამოკიდებულია მომდევნო სახელურ კომპონენტზე. სინტაქსური ფუნქციების

თვალსაზრისით პირველი კომპონენტი განსაზღვრების ფუნქციით შემოდის აღნიშნულ იდიომურ გამოთქმაში. რაც შეეხება მესამე კომპონენტს ზმნას წარმოდგენილია პირველი სერიის მყოფადის მწკრივის ფორმით. **იხ. დანართი №6 ცხრილი № 2.**

სამკომპონენტისანი ზმნური იდიომური გამოთქმები ინგლისურ ზღაპრებში

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში სამკომპონენტისანი ზმნური იდიომური გამოთქმები გაცილებით უფრო მეტი სიხშირით დასტურდება ზღაპრებში, ვიდრე ორკომპონენტისანი ზმნური იდიომები. შესაბამისად, სამკომპონენტისანი ზმნური იდიომების განხილვისას მივიღეთ იდიომური გამოთქმების სტრუქტურათა შემდეგი კომბინაციები:

- **a (VB) + b (PRP) + c (NN) - (bless your heart; raise its head)**
- **a (VB) + b (IN) + c (NN) - (know by heart; comes into head)**
- **a (VB) + b (NP) + c (NN/NNs) – (lose one’s head; drag one’s feet; break smb’s heart; move smb’s heart; open one’s mouth)**
- **a (VB) + b (NN) + c (IN) - (lay hands on; take eyes off)**

პირველი ტიპის სქემა განისაზღვრება ზმნის, ნაცვალსახელისა და არსებითი სახელის კომბინაციებით. აღნიშნულ ქვეჯგუფში შემავალ იდიომთა რაოდენობა შეადგენს ორს. ამ ქვეჯგუფის დახასიათებისას ზმნა ამ კონსტრუქციებში წამყვან კომპონენტად გვევლინება საწყისი ფორმით, ნაცვალსახელი კი ძირითადად კუთვნილებით ბრუნვაში დგას. რაც შეეხება არსებით სახელებს, ისინი მხოლოდითი რიცხვის ფორმითაა გაფორმებული. ამ ქვეჯგუფშიც შემავალი ერთეულები სტრუქტურული იერარქიული ხეებით წარმოვადგინეთ.

მეორე ქვეჯგუფში შემავალი კომპონენტები ასეთია: პირველი კომპონენტი ხანდახან ზმნის საწყისი ფორმით გვხვდება, ზოგჯერ კი წარმოდგენილია მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში ზმნა, რომელსაც მოსდევს წინდებულები, მესამე კომპონენტად დასახელებულია არსებითი სახელები მხოლოდით რიცხვში.

მესამე ქვეჯგუფი განისაზღვრება ზმნისა და არსებითი სახელების კომბინაციებით. ზმნა, როგორც ვხედავთ, წინა ორი ქვეჯგუფის მსგავსად, საწყის

ფორმაში დგას, რომელსაც მოსდევს რიცხითი სახელი ამ შემთხვევაში აღნიშნული მეტყველების ნაწილი არსებითი სახელის ფუნქციით შემოდის იდიომში და ის გვხვდება კუთვნილებით ფორმაში, მომდევნო კომპონენტი არსებითი სახელი გვხვდება ხან მხოლოდით, ხან კი მრავლობით რიცხვში.

რაც შეეხება ამ ქვეჯგუფში შემავალ ბოლო კონსტრუქციას, ის დასტურდება ზმნის, არსებითი სახელისა და წინდებულის კომბინაციებით. შიდამიმართება შემდეგია - ზმნის საწყისი ფორმა მართავს დანარჩენ ორ კომპონენტს, ანუ არსებით სახელს, რომელიც ორივე მაგალითის საფუძველზე მრავლობითი ფორმითაა და უკავშირდება მის მომდევნო კომპონენტს - წინდებულს.

ამდენად, საანალიზო მასალის შეპირისპირებამ ცხადყო, რომ ხალხურ ზღაპრებში კომპონენტების მიხედვით შესწავლილი სამკომპონენტო იდიომური გამოთქმების სტრუქტურა განსხვავებულია მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, რის მიხედვითაც ქართულში სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმებში ზმნა ბოლოკიდურ პოზიციაზეა, იშვიათად კი საწყის პოზიციაზე რჩება. რაც შეეხება ინგლისურს, ზმნა ძირითადად თავკიდურ პოზიციას იკავებს. იხ. სამკომპონენტო იდიომური გამოთქმების სტრუქტურული ხეები დანართი № 2, ცხრილი №3 ში.

ოთხკომპონენტო იდიომური გამოთქმები ინგლისურ ზღაპრებში

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ოთხკომპონენტო იდიომური გამოთქმები ისევე დიდი სიხშირითაა, როგორც სამკომპონენტო იდიომები. რაც თითქმის იშვიათად გამონაკლისს წარმოადგენს ქართულ ზღაპრებში. აღნიშნული ჯგუფი მრავალფეროვანი სტრუქტურული სახით გამოიკვეთა, რის შედეგადაც მივიღეთ რამდენიმე ქვეჯგუფი:

- a (TO) + b (VB) + c (NP) + d (NN) – (to hold one’s tongue; to turn one’s head; to turn one’s hand; to find one’s tongue)
- a (VB)+ b (NN) + c (DT) + d (NN) – (give somebody a hand)
- a (VB) + b (PRP) + c (NP) + d (NN) - (put it one’s heart)
- a (VB) + b (TO) + c (NP) + d (NN) – (listen to one’s heart)
- a (VB) + b (PRP) + c (IN) + d (NN) - (take it into head)
- a (PRP) + b (NN) c (VBD) d (NP) - (his heart failed him)

- a(VBN) + b (PRP) + c (NN) + d (IN) – (set his heart on)
- a NP (NN+POS) + b NP (NN) + VP = (VBP + AD/JP) - (one's blood run cold)

ოთხკომპონენტური ინგლისური ზმნური იდიომური გამოთქმების სტრუქტურული ხეები იხ. დანართი №2, ცხრილი №4.

ოთხკომპონენტური ზმნური იდიომების განხილვისას აღმოჩნდა, რომ იდიომებში ზმნა ძირითადად საწყის პოზიციაზეა. გარდა იმ გამონაკლისი ერთი ქვეჯგუფისა, სადაც ზმნის მაგივრად კუთვნილებითი ნაცვალსახელი გვხვდება საწყის პოზიციაზე. ოთხკომპონენტურ ზმნურ იდიომებში ინგლისურ ზმნას, როგორც ვხედავთ, ახასიათებს კონსტრუქციის თავში მოხვედრა, რომელიც სხვადასხვა ფორმით გვხვდება: ზმნის განუსაზღვრელი დროით ინფინიტივში, იშვიათად ნამყოფ მიმღობით და ზმნის განუსაზღვრელი ფორმა ნაწილაკ to-ს ჩამოცილებით. ხშირ შემთხვევაში მეორე და მესამე კომპონენტად ჩანაცვლების სახით ხან გვხვდება წინდებული, ხან არსებითი სახელი კუთვნილებით ბრუნვაში. ამ ტიპის იდიომებში ბოლო პოზიციაზე ხშირად დგას მხოლოებითი რიცხვით გაფორმებული არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში. იშვიათად გვხვდება დამატების როლის შემსრულებელი პირის ნაცვალსახელი, რომელიც გამოიყენება ობიექტური ფორმით იდიომებში. შესწავლილი ინგლისური ოთხკომპონენტური ზმნური იდიომების შიდასტრუქტურული ურთიერთმიმართება შემდეგი იერარქიული ხეებით წარმოვადგინეთ.

მრავალკომპონენტური ზმნური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში


მრავალკომპონენტურ იდიომებს ინგლისურში მიეკუთვნება ხუთ, ექვს და შვიდ კომპონენტური ზმნური იდიომები. მათი რაოდენობა ზღაპრებში განისაზღვრება ასე: ხუთკომპონენტური - სამი ერთეული, ექვსკომპონენტური - სამი ერთეული და შვიდკომპონენტური - ერთი ერთეული. ხუთკომპონენტურ გამოთქმებში ზმნა ძირითადად თავკიდურ პოზიციაზეა, მისი მომდევნო კომპონენტები წინდებულები და კუთვნილებითი არსებითი სახელები, როგორც წესი, ენაცვლებიან ერთმანეთს. ექვსკომპონენტური სტრუქტურის იდიომებში ზმნები განისაზღვრება ახლანდელი და ნამყოფ დროის ფორმებით, რომელიც აღნიშნულ

კონსტრუქციებში ხან საწყის პოზიციას იკავებს და ხან კი იდიომის შუა ნაწილში ინაცვლებს. იხ. დანართი №5, ცხრილი №2.

- VB + NP= (NN + POS) + NN + TO + NN - (give one's heart to somebody)
- VB + PRP + IN + NP= (PRP +NN) - (thrust it into his eye)
- VB + NP = (NN+POS) + (NN+POS) + IN +NN - (keep one's eye's on something)
- VB + VBD +NP = (CD+NN) +PP = (IN +NN) - (have got one eye on somebody)
- TO +VB +NP= (DT +NN) +PP = (IN) NP= (DT+NN) - (to have a wink of an eye)
- NP = (NN +POS) + NN + VBZ +IN + NP= (NN +POS) +NN - (one's heart is in one's mouth).

შესწავლილი ზმნური იდიომური გამოთქმების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა სისტემური ენის ხალხურ ზღაპრებში, ზმნური კომპონენტის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობას იდიომის ფარგლებში ქმნის დრო. ინგლისურში, ზმნურ იდიომებში, მნიშვნელობა არა აქვს ის განეკუთვნება ორ, სამ, ოთხ, ხუთ თუ მრავალკომპონენტიან იდიომებს, ზმნა იკავებს საწყის პოზიციას. ქართულში ზმნა მსგავსი ტიპის იდიომებში ხან თავკიდურ, ხან კი - ბოლოკიდურ ადგილზე რჩება. ზმნური იდიომების კვლევის შედეგად ქართულ და ინგლისურ ზღაპრებში მივიღეთ შემდეგი სახის პროცენტული მაჩვენებელი.

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების ზმნური იდიომების პროცენტული მაჩვენებელი




ქართული ხალხური ზღაპრების ზმნურ იდიომებში ზმნები გვხვდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფორმით (გულს არ იტებდნენ; თავი აღარ აქვს; ცოტა არ იყოს; თავლებს არ უჯერებს და ა.შ), ხოლო რაც შეეხება ინგლისურს,

ქართულისაგან განსხვავებით, ზმნები მხოლოდ დადებითი ფორმით გვხვდება. მაგ.: **(give one's heart to somebody, thrust it into his eye and etc).**

ენობრივი მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებში სიტყვათა განლაგება ზმნურ იდიომებში, ხშირ შემთხვევაში, მყარი არ არის. ისინი ზღაპრებში გვხვდება როგორც პირდაპირი, ასევე, შებრუნებული წყობით (**გული მოიოხა- მოიოხა გული; გულში თქვა -თქვა გულში და ა.შ**) რაც შეეხება ინგლისურს, იდიომურ გამოთქმებში სიტყვათა რიგი მყარია.

ხალხურ ზღაპრებში სახელურ იდიომების მასალის სტრუქტურული ანალიზის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მორფოლოგიური თვალსაზრისით, ხალხურ ზღაპრებში სახელური იდიომები გვხვდება როგორც მრავლობით, ისე მხოლოდით რიცხვში. ქართულ ხალხურ ზღაპრებში სახელური იდიომების უმრავლესობას ახასიათებს კონკრეტული ბრუნვით გაფორმებული სახელები, ძირითადად კი სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გაფორმებული არსებითი სახელები. ასევე ქართული ხალხური ზღაპრების სახელური იდიომების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს თანდებულიანი სახელები. რაც შეეხება, ინგლისურ ზღაპრებს, სახელური იდიომების უმრავლესობა აქ გვხვდება წინდებულიანი ფორმებით, რაც განპირობებულია მისი სტრუქტურული ფაქტორებით.

ინგლისურში სახელური იდიომების კომპონენტთა უმრავლესობა შეადგენს არსებით სახელებს კუთვნილებით ბრუნვაში და კავშირები. ასევე ზედსართავი სახელები, რომლებსაც ხარისხის ფორმები არ გააჩნიათ. სახელური იდიომების კვლევამ ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში პროცენტულად გვიჩვენა შემდეგი.



III თავი

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების სემანტიკური ასპექტები

§1. ანთროპონიმთა სემანტიკა

ლექსიკურ ერთეულს შესაძლებელია, გარდა ტრადიციული სემანტიკისა, განსხვავებული თავისებურებაც ახლდეს, რამეთუ სიტყვას, ტერმინოლოგიურ ერთეულს, ხშირად თავისი ისტორია აქვს. ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპარი არაერთ საინტერესო სახელს შეიცავს და მრავალ თემატიკურ სახეს გვიჩვენებს.

ალ. ლლონტი შენიშნავს, რომ „ხალხური ზღაპრები, უნდა ვიფიქროთ, განურჩევლად მათი ჟანრობრივი გვარებისა, თავდაპირველად არ ცნობდნენ პერსონაჟთა სახელებს. მათი მოქმედი პირები ანონიმი, განმაზოგადებელი პირები, მაგრამ კონკრეტული ადამიანები იყვნენ. ხალხური პროზა ისახება საზოგადოების განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ანთროპონიმთა პრაქტიკული საჭიროება“.

„ანთროპონიმიკა“ - ბერძნული წარმომავლობის მქონე სიტყვაა („ანთროპოს“ - ადამიანი) ლექსიკოლოგიის (ზუსტად: ონომატოლოგიის) ნაწილია, რომელიც ადამიანების საკუთარ სახელთა სისტემას სწავლობს; ანთროპონიმი - ადამიანის საკუთარი სახელია [ლლონტი,1967:5].

ანთროპონიმი ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს გვიჩვენებს. სემანტიკურად იგი თავისებური სიტყვაა, მაგრამ ეს თავისებურება მას ლექსიკის საერთო ფონდიდან ვერ განაკერძოებს. ანთროპონიმი წარმოშობითა და რამდენიმე ფუნქციით განირჩევა სუბსტანტივის კლასის სხვა თანრიგის სიტყვებისაგან, თორემ გრამატიკულად, სტრუქტურითა და წინადადებაში მოხმარებით, იგი არსებითი სახელია, ოღონდ ისეთი სახელი, რომელსაც, ამ თანრიგის სხვა სიტყვებისაგან განსხვავებით, არ ძალუძს მრავლობითი რიცხვის წარმოება [ლლონტი,1971: 136].

საკუთარ სახელთა და მეტსახელთა შესწავლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ენის სისტემის, ყოფითი რეაქციებისა და კულტურის წარსულის გასათვალისწინებლად [ლლონტი 1964: 116].

ადამიანის საკუთარი სახელები ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა. საკუთარ სახელებს სხვადასხვა წარმოშობა აქვთ და მათ გავრცელებას სხვადასხვა პირობები განსაზღვრავდა. უწინარეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მათი გაჩენა პრაქტიკულმა საჭიროებამ გახადა აუცილებელი - ერთი პიროვნება უნდა გარჩეულიყო მეორისაგან. ერთგან ცხოვრება-ერთიერთობის პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ სახელის აუცილებლობა გამოიწვია [ლლონტი 1964: 116].

როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ძალიან ბევრი ანთროპონიმია წარმოდგენილი. ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება „ირმისა“, „სიზმარა“, „ცისკარა“, „ასფურცელა“, „ლერწმის ქალი“, „ბელტიყლაპია“, „ზღვახვრეპია“, „წიფლის მტვრეველი“, „წყალიხვრეპია“, „მზექალა“, „მზევარდა“, „ჭიანჭველების მაყურებელი“, „ცაში მაცქერალი“, „გორიგლეჯია“, „ფეხდობალა“, „კურდღლის ჭერია“, „ხუთკუნჭულა“, „კოკროჭინა“, „წყლის ჭაბუკი“, „ზღვის ქალი“, „ტყის კაცი“ და სხვა, რომლებსაც თავიდანვე ადამიანებთან გარკვეული კავშირი, სიახლოვე, ყოფაცხოვრებითი დატვირთვა უნდა ჰქონოდა.

რაც შეეხება ინგლისურ ხალხურ ზღაპრებს აქ გავრცელებულია ისეთი სახელები როგორცაა: „Dwarf“, „Thumb“, „Elf – Elves“, „Thumbkin“, „Tom Thumb“, „Prince“, „beautiful lady“, „Jack“, „Nix Nought Nothing“.

საკუთარი სახელები სხვადასხვა ნიადაგზეა წარმოშობილი და მათ გავრცელებას სპეციფიკური პირობები განსაზღვრავდა. თავდაპირველად ადამიანთა საკუთარ სახელებად გამოუყენებიათ ტოტემური ცხოველის, ფრინველის, თევზის, ნივთის, თვისების, მოსაქმეობის მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები და სახელწოდებანი [ლლონტი, 1966: 32].

ცხოველთა სახელწოდებისაგან არის მიღებული ერთ-ერთი ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟის - „ირმისას“ სახელი. „ირმისა“ სწორედ თავდაპირველი ტოტემური სახელია. საინტერესო და საკითხავია თვით ზღაპრის წარმომშობმა სამყარომ და საზოგადოებამ ამ ცხოველს, მაინცდამაინც, რა ნიშნის მიხედვით უბოძა სახელი და რატომ დაარქვა მთქმელმა ადამიანის შვილს „ირმისა“?

შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ირემი წმინდა ცხოველთა რიგს განეკუთვნება. მას კლავენ და ისევ ცოცხლდება, იგი ხან უბედურების, ხან კი ბედნიერების სიმბოლოა და ზღაპარში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი საინტერესოდ არის გააზრებული ბიბლიაშიც. 41-ე ფსალმუნში ვითხულობთ: „როგორც ირემი მიილტვის წყლის ნაკადულებისკენ ისე მიილტვის ჩემი სული შენსკენ, ღმერთო“. ირმის შესახებ საუბარია 28 - ე ფსალმუნშიც:

„ხმა უფლისა გაჰკვეთს ცეცხლის ალს.
ხმა უფლისა უდაბნოს შეარყევს;
შეარყევს უფალი კადესის უდაბნოს,
ხმა უფლისა ნაადრევად მოიშობიარებს ირემს
და გააშიშვლებს ტყეებს“

სტრუქტურული თვალსაზრისით, „ირმისა“ ძირეული წარმოქმნილი სახელია და წარმომავლობით ის არის ანთროპონიმი, რომელიც გადმოცემულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. დედისმაგიერი გამზრდელი ირმის ზოგადი სახელიდან მოდის და, ამდენად, იგი სხვებისაგან თავიდანვე ყველასათვის მისაბამ მაგალითად იქცა.

ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟთა საკუთარ სახელებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია მეტსახელები.

ჯადოსნური ზღაპრების მრავალი პოპულარული პერსონაჟი ცნობილია თავისებური შერქმეული სახელით, რომლებითაც ვეცნობით არა მარტოდენ ამ პერსონაჟებს, არამედ საერთოდ ზღაპრებსაც: შერქმეული სახელი თვით ხალხური ზღაპრების სათაურიცაა [ღლონტი, 1966 : 330].

ზღაპრებში მეტსახელის შერქმევის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს განაპირობებდა ადამიანის პირადი თვისებები, მისწრაფებები, საქმიანობა, გარეგნობა და სხვა მსგავსი რამ, რაც მათ გამოარჩევდა ნიშანდობლივად სხვებისგან. მაგალითად განვიხილოთ ქართული ხალხური ზღაპრების ცნობილი პერსონაჟი „ნაცარქექია“ - უღონო და უქნარა (ზღაპრების დასაწყისში - ზის შინ და ნაცარს ქექავს), სწორედ ამიტომ ხალხმა ნაცარქექია შეარქვა, რომელიც მოხერხებით დევებსაც კი სჯობნიდა ხოლმე. 2. გადატ. ზარმაცი, უქნარა მაგ; „ნაცარქექია ძმების მუქარას ერთ ყურში რომ შეუშვებდა, მეორიდან გამოუშვებდა. მობეზრდათ ძმებს მისი უსაქმურობა და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გააგდეს სახლიდან“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 233].

ქართულში ზღაპრის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს **ცეროდენას** იმიტომ დაარქვეს ეს სახელი, რომ ის ძალიან პატარა, სულ ცერისოდენა, იყო. მაგ; - აი, დედილო, აქა ვარო, - მოესმა დედას დაბლიდან. დაიხედა დედამ ძირს და ცერისტოლა ბიჭი დაინახა [ხალხური ზღაპრები, 1976: 203].

ინგლისურ ზღაპრებში ცეროდენას მრავალი ეკვივალენტი იძებნება. ესენია: „**Dwarf**“- „ჯუჯა“ - Old English dweorh, dweorg (West Saxon), duerg (Mercian), "very short human being," <http://www.etymonline.com> - (ძვ. ინგ. dweorh) მომცრო ტანის პატარა არსება ევროპულ მითოლოგიაში. მაგალითი ინგლისური ხალხური ზღაპრიდან:

„My kingdom is lost, and my dwarf and my lapdog are killed !" and he greatly rejoiced that Fin and Bran were alive, and that he himself got rest) after being so long without sleep“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreceltic/howfinwent.html>

„**Thumb**“- **ცერი** In some of the IE languages there is a single word for "thumb," which is called the "big finger," Many of the single words are of similar semantic origin, based on the notion of "stout, thick." [Buck] - ზოგიერთ ენებზე არსებობს ერთი სიტყვა "თითი", რომელსაც ეძახიან "დიდ თითს," მსგავსი სემანტიკური წარმომავლობის საფუძველზეა მიღებული სიტყვები "მსუქანი", „სქელი" (Buck)
<http://www.etymonline.com>

ინგლისურ ზღაპრებში სიტყვა ცერისგან არის მიღებული ზღაპრის პერსონაჟის სახელიც **Thumbkin** (Thumb + kin – ცერი + kinchin ბავშვი; შემოკლებით - kin. kin- Old Norse kundr "son") - ეს სიტყვა ძველ ნორვეგიულ ენაზე ნიშნავს „ვაჟს“)

„So they took him and dressed him up in a little doll's dress and made much of him; and he learnt to talk, but he never grew any bigger than their thumbs; and so they called him **Thumbkin**“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/european/thumbkin.html>

Elf – Elves – „**ქონდრისკაცი**“ - "one of a race of powerful supernatural beings in Germanic folklore," <http://www.etymonline.com> ძლიერი ზებუნებრივი არსებები გერმანულ ფოლკლორში.

ქართულში მისი ეკვივალენტებია „**ქონდრისკაცი**“ და „**ცეროდენა**“. ისინი ზღაპრებში მოხერხებულობით და გამჭრიახი გონებით გამოირჩევიან. ინგლისურ ზღაპრებში ისინი გვხვდება როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში.

ქართულისაგან განსხვავებით, ერთ-ერთ ინგლისურ ხალხურ ზღაპარში, ცეროდენა გვხვდება საკუთარი სახელით „ცეროდენა ტომი“ – **“Tom Thumb”** <http://www.sacred-texts.com/neu/eng/eft/eft26.htm>

სტრუქტურული თვალსაზრისით, ინგლისური ხალხური ზღაპრის პერსონაჟთა სახელები წარმოადგენს „Dwarf“, „Elf“ - ძირეულ სუბსტანტივებს, ხოლო, რაც შეეხება „Thumbkin“-ს (Thumb + kin - ცერი + ბავშვი) შედგენილი სუბსტანტიურ - ადიექტიური კომპოზიტია. ქართულში „ქონდრისკაცი“ - სუბსტანტიური კომპოზიტია, ხოლო „ცეროდენა“ - წარმოადგენს გასუბსტანტივებულ წარმოქმნილ ზედსართავ სახელს.

საყურადღებოა სახელი „ასფურცელა“ - ქართული ხალხური ზღაპრის ცნობილი პერსონაჟის სახელი. მაგ; „ეს ვაშლი ას ნაწილად და ყოველდღე თითო ნაჭერი შეჭამე. სულ რომ გაათავებ, ბიჭი გაგიჩნდება და ასფურცელა დაარქვი. ის ამოგყრის დევის ჯავრს და შვილებსაც ისევ დაგიბრუნებსო“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 523].

სიზმარა - ქართული ხალხური ზღაპრის გმირი, რომელიც ძილში სულ სიზმრებს ნახულობდა და ამის გამო სახელიც სიზმარა შეარქვეს. მაგ; - „ღმერთმა ყველა სიზმარი ასე აგიხდინოსო, - უთხრა ხელმწიფემ და თავისი ტახტი და სახელმწიფო იმავ დღეს სიზმარას გადაულოცა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 475].

კომბლე - ქართული ხალხური ზღაპრის გმირი, თითქოს სულელი, მაგრამ მოხერხებული. „კომბლე არხინად იჯდა შინ, თლიდა კომბლებს და ჭერში აწყობდა. ამიტომ ხალხიც სახელად კომბლეს ეძახდა“. მაგ; „სადამო ხანზე უცადა კომბლემ თავის ცხვრებს, უცადა და რომ აღარ დაბრუნდნენ, ჩამოიღო ერთი ყველაზე დიდი კომბალი, გაიღო მხარზე და წავიდა საძებნელად“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 342].

გულადა - სოფელ ბაზალეთში ყოფილა ერთი ძალზე მამაცი და ღონიერი ბიჭი და სახელიც შესაფერი ჰრქმევია - გულადა. „გულადა - ხნავდა, თესავდა და გლეხის კვლობაზე კარგადაც ცხოვრობდა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 798].

ზღაპრების მრავალი პერსონაჟი მოხსენიებულია მოსაქმეობა-წარმომავლობის მიხედვით და შერქმეული სახელიც ხშირად მის ხელობა-წარმომავლობას გვიჩვენებს. ღონიერ კაცს ხალხი **ლომკაცს** ეძახის, **კაციჭამიას** - **მგელკაცს**, **ირმის გაზრდილს** - **ირმისას ან ირმიშვილს**, **ქაჩალს** - **ქაჩალას** [ლლონტი , 1966: 332].

შერქმეულ სახელთა წარმოების საინტერესო მასალას გვაწვდის თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ზღაპარი „დედაბრიშვილი“. პერსონაჟები აქ მოხსენიებულია მათი საქმიანობის მიხედვით. ერთი ბევრ წყალსა სვამდა და მთქმელი მას წყალიყლაპიას უწოდებს; მეორე გორს გლეჯდა, ამიტომ მთქმელი მას გორიგლეჯიას უწოდებს; მესამე სულ ცაში იცქირებოდა, აქედან შეერქვა მას ცაჭვრეტია; მეოთხეს ფეხებზე დოლაბები ეკიდა, ამიტომ ფეხდობალა დაერქვა (რაზიკ., II, 114 - 126) [ღლონტი, 1966:332].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ანალოგიური პერსონაჟები მოხსენიებულია შემდეგი მეტსახელებით: „მუჭანახევარა“, „ხუთკუნჭულა“, „ბელტიყლაპია“, „გორიგლეჯია“, „კოკროჭინა“, „კონკიაჭდარუნა“. ესენი წარმოადგენენ თხზულ ანთროპონიმებს. ალ. ღლონტის თქმით, „თხზული ანთროპონიმი ქრონოლოგიურად გვიანდელი ევოლუციის პროდუქტია. რთულ ანთროპონიმში მოჩანს სიტყვის შემოქმედი ადამიანი, რომელიც თავისი გემოვნების მიხედვით თხზავს საკუთარ სახელს. ამიტომ ამისთანა ანთროპონიმი დღესაც ატარებს შერქმეული სახელის ნიშანდობლივ თვისებებს“ [ღლონტი, 1976: 17].

ზღაპრის პერსონაჟები „მუჭანახევარა“, „ნახევარქათამა“, „ხუთკუნჭულა“, „კოკროჭინა“, „ნაცარქექია“, „ბელტიყლაპია“, „გორიგლეჯია“, „კონკიაჭდარუნა“, „ასფურცელა“, „სიზმარა“, „ზღვახვრეპია“, „წყალიხვრეპია“, „ფეხდობალა“, „გულადა“, საკუთარი სახელებია ზღაპრებში, რადგან ერთ კონკრეტულ პიროვნებას უკავშირდება თითოეული სახელი და ასე შეერქვათ მათ თავიანთი საქმიანობისა თუ რაიმე დამახასიათებელი ნიშან - თვისების გამო. ყველა ზემოთ ნახსენები სახელი წარმოქმნილი სახელებია. როგორც ნიშანდობლიობა, ეს არის სუფიქსი „-ა“, რომელიც თითქმის თითოეულ მათგანს დაერთვის სახელის ბოლოში. სუფიქსი „-ა“ დერივატია, მაწარმოებელი კნინობით - მოფერებითი ფორმისა, რომლის დართვამ მნიშვნელოვნად გამოკვეთა მათი საკუთარი სახელების რიგში გადაყვანა. ამ სუფიქსით წარმოქმნილ საკუთარ სახელებს მრავლობითი რიცხვი არ გააჩნიათ.

მუჭანახევარა - იმის გამო შეარქვეს, რომ გაიძახოდა: მუჭანახევარი, მუჭანახევარიო; მაგალითად: „ერთ დღეს მიკრიფ-მოკრიფეს და, როგორც იქნა, ერთი მოხარშვა ლობიო მოაგროვეს. ლობიო კი შემოდგეს ცეცხლზე, მაგრამ მარლი ერთი მწიკვიც აღარ აღმოაჩნდათ, რომ შეჭამანდისათვის ექნათ. ცოლმა უთხრა ქმარს:

- წადი ქალაქში, წაიღე თუ რამე გროშები გაქვს, და იქნებ ერთი მუჭანახევარი მარილი მაინც იყიდო.
- გზაზე სულ მუჭანახევარი, მუჭანახევარი იძახე, აღარ დაგავიწყდებაო,
- ურჩია ცოლმა. წავიდა კაცი. მიდის ქალაქისაკენ და გაიძახის, - მუჭანახევარი, მუჭანახევარიო!“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 168].

ხუთკუნჭულა - ქართული ხალხური ზღაპრის გმირი, რომელსაც მეტისმეტი ეშმაკობისათვის ხუთკუნჭულას ეძახდნენ. ის ფიზიკურად ძლიერია და მოხერხებული. ხუთკუნჭულა სწორედ გონების გამჭრიახობითა და მოხერხებით იხსნის ძმებს დევების ლუკმად გახდომისაგან [ზაალიშვილი, 2006]. მაგ; „დევი მაშინვე წამოვარდა და ცხენების შესაჭმელად მინდორში გაიქცა. ხუთკუნჭულამ კი დრო იხელთა და, როგორც დარიგებული იყო, დევის უცროს ქალთან შევარდა. ქალმა ხუთკუნჭულას თავისი ტანისამოსი ჩააცვა, ძმებისთვის დების ტანსაცმელი მისცა და დევის დაბრუნებამდე სასახლიდან ყველანი გააპარა [ხალხური ზღაპრები, 1976: 455].

ბელტიყლაპია - 1. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, რომელიც ბელტებს ყლაპავდა. გუთანი გაჭიმულა, უკან გუთნისდედა მისდევს და ყლაპავს, რაც ბელტი გადადის... გაჰყვა თან... ბელტიყლაპიაც (ზღაპ.). 2. გადატ. იტყვიან ძლიერსა და ღონიერ ადამიანზე. 3. გადატ. ღორმუცელა, ბევრის მჭამელი <http://ena.ge/explanatory-online>

გორიგლეჯია - ქართული ზღაპრის პერსონაჟი, გორის მგლეჯელი, მთხრელი. <http://ena.ge/explanatory-online>

კოკროჭინა - პატარა და კობტა. <http://ena.ge/explanatory-online> მაგ; „იყო ერთი ღარიბი გლეხკაცი. ჰყავდა ერთი ოქროსქოჩრიანი პატარა ბიჭი. იმ ბიჭს ნამდვილი სახელიც ერქვა, მაგრამ ყველანი კოკროჭინას ეძახდნენ“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 438].

კონკიაჟღარუნა - 1. ძველმანებით, კონკებით მოსილი ადამიანი. 2. გადატ. ძლიერ ღარიბი, უპოვარი, არაფრის მქონე. კონკიაჟღარუნა და ამოდენა სიმდიდრე! <http://ena.ge/explanatory-online>

ტრადიციული, წარმართული, საკუთარი სახელები რელიეფურად შემორჩა მთას (ხევსურეთი, ფშავი, ხევი, რაჭა, თუშეთი), აგრეთვე, სვანეთსა და სამეგრელოს. მისმა მხოლოდ ცალკე ნიმუშებმა გაიკვალეს გზა და, ამავე დროს, ბევრი მათგანი შემორჩა ხალხის ხსოვნასაც [ღლონტი, 1971:142].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმართული მითოლოგიური პერსონაჟების გმირთა სახელები - „კოპალა“ და „იახსარი“, რომლებიც ღვთაებრივი შეძლების უნარით არიან დაჯილდოებულნი და მათი სახელებიც დიდი ხნის განმავლობაში შემორჩა ხალხურ ზღაპრებს.

კოპალა - ძვ. რელიგ. ხევსურთა და ფშავთა წარმართული ღვთაება. ბუნებას ადამიანისადმი მტრულად განწყობილი გენიებით – დევებით და მათთან მებრძოლი კეთილი სულებით – კოპალა-იახსრებით ასახლებს (გ. ქიქ.) <http://ena.ge/explanatory-online> მაგ; „რაკი დევები თვითონ ვერაფერს გახდნენ კოპალასთან, ეშმაკები მოიხმარეს, შეიკრიბნენ ერთად და გადაწყვიტეს, - სანამ კოპალა ჩვენს ჯილაგს ძირიანად ამოგდებს, არაგვი დავაგუბოთ, ფშავ-ხევსურეთი წყალში ჩავახრჩოთ და კოპალაც თან ჩავაყოლოთ“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 801].

იახსარი - ძვ. ეთნ. თუშ-ფშავ-ხევსურთა წარმართული ღვთაება. ცხოველი ხატები, რომელთაც გაჟლიტეს დევები, არიან კოპალა და იახსარი (ვაჟა) <http://ena.ge/explanatory-online> მაგ; „ჩამოვიდა დედამიწაზე იახსარი და პირდაპირ ხაშრის ხეობისაკენ გასწია“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 805].

კოპალა და იახსარი ძირეულ საკუთარ სახელებს განეკუთვნება. ისინი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმებია, რადგანაც ორივე სახელის ბოლოში ხმოვანი „ი“ და „ა“ გვხვდება.

პერსონაჟის სახელის ჩვენების სხვა გზაც არსებობს ხალხურ ეპოსში: მთქმელისეული დახასიათება, რომლის მიხედვითაც მკითხველი თავად განსაზღვრავს სახელის მნიშვნელობას. მაგალითად ზღაპარი „უხეირო“, სადაც ზღაპრის მთქმელი გვიყვება ასეთ ამბავს უხეიროზე.

„საშინელი ღონიერი იყო უხეირო, რომ მისი გამწევი კაცი არ გამოვიდოდა, მაგრამ მხოლოდ ჭამდა და არავისთვის არაფერს აკეთებდა. მისით შებეზრებულმა ხელმწიფემ უბრძანა უხეიროს: ამა და ამ ადგილას დიდი მთა არის და მთაზე ტყე, იმ ტყიდან შეშა უნდა მოიტანო!.. ის ტყე ასთავიან დევებს ეკუთვნოდა, მათი შიშით ნიავიც კი ვერ გაიჩურჩუნებდა, ფრინველიც კი ვერ შეფრინდებოდა იმ ტყეში“ [ხალხური სიბრძნე, 1964: 130]. ამ ეპიზოდში ყველაზე მეტად საყურადღებოა თუნდაც ის, რომ არავისთვის არაფერს ხეირიანს არ აკეთებდა, ხალხი და ხელმწიფე მისით იყო შებეზრებული, რათა იქიდან ცოცხალი არ დაბრუნებულიყო.

შერქმეული სახელების პარალელურად ზღაპრული ეპოსის პერსონაჟები ხშირად მოხსენიებულნი არიან მხოლოდ ეპითეტებით. ყველაზე გავრცელებული ადიექტიური წარმოშობის ეპითეტები: მძლეთამძლე, მზეთუნახავი, მეთევზე, მონადირე, მჭედელი, მოჯამაგირე და აგრეთვე ეპითეტის ფუნქციით გამოყენებული სიტყვები: მწყემსი, გლეხი, ბატონი, ვაჭარი, სოვდაგარი, მგზავრი, ობოლი, ქოსა, მატყუარა, გიჟი, ჭკვიანი, ბერიკაცი, დედაბერი, მართალი, ცრუ, მათხოვარა [დლონტი, 1966: 333]. მაგრამ, დლონტის აზრით, ეპითეტებად გაგებული სიტყვები საკუთარ სახელებად არ უნდა იყვნენ მიჩნეულნი, რადგანაც მათ დიდ უმეტესობას თან უნდა ხლებოდა შერქმეული ან, გვიან, საკუთარი სახელები, ე.ი. უნდა გვქონოდა მსაზღვრელ-საზღვრული სახელების ჩვეულებრივი წყვილები, ვთქვათ, ასე: მონადირე ირმისა, მონადირე ქუმსი, ობოლი თხუპნია, ობოლი ვაჩე.... წყვილებიდან დავიწყებას მისცემია საზღვრული, დარჩენილა ეპითეტად გაგებული ადიექტივი [დლონტი, 1966: 333].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ქართულის ანალოგიურად მითოლოგიურ პერსონაჟთაგან აღსანიშნავია „Beautiful lady - მზეთუნახავი“.

როგორც კულტურული უნივერსალია, იგი აღნიშნავს ფიზიკური და სულიერი მშვენიერებით გამორჩეულ ქალს მითოლოგიასა და ფოლკლორში. მზეთუნახავი, ჩვეულებრივ, ელის გმირს, რომელმაც მრავალი დაბრკოლება უნდა გადალახოს და მრავალ განსაცდელს გაუძლოს, რათა დაიმსახუროს ბედნიერება მის გვერდით.

ქართულ ვარიანტში წარმოდგენილი სემა – „მზის უნახაობა“, პირველყოვლისა, ასოცირდება უმანკოებასთან, ხელშეუხებელ სილამაზესთან, ისეთ მშვენიერებასთან, რომელიც სამყაროს მანათობელ მზესაც კი არ უნახავს არასოდეს. ამასთან, ხშირად უკავშირდება მაღალ სოციალურ წრეებს, არისტოკრატიზმს, რადგან, ძირითადად, მხოლოდ დიდგვაროვან მანდილოსნებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეცვათ თავიანთი სათუთი გარეგნობა მზის სხივების მავნე ზემოქმედებისაგან [თავიდაშვილი, 2014].

ინგლისურ ხალხურ ზღაპარში გვაქვს მზეთუნახავი ქალის ეკვივალენტი და ამას მოწმობს ზღაპარი „The beauty and the beast“ – „მზეთუნახავი და ურჩხული“.

„Beauty“ - "physical attractiveness," also "goodness, courtesy," from Anglo-French beute –[<http://www.etymonline.com>]. „beauty“ - ფიზიკური მომხიბვლელობა, ასევე კეთილი თავაზიანი.

ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა „beauty“ წარმოდგება ანგლო ფრანგული „beute“ - სიტყვიდან. ინგლისურ ხალხურ ზღაპარში მზეთუნახავის ეკვივალენტად გვხვდება - „beautiful lady“ – „ლამაზი ქალი“. Beautiful (adj.) "pleasing to the eye," from beauty + ful www.etymonline.com

„King Arthur’s only son asked his father to give him a large sum of money, in order that he might go and seek his fortune in the principality of Wales, where lived a beautiful lady possessed with seven evil spirits“ <http://www.authorama.com/english-fairy-tales-21.html>

„მეფე არტურის ერთადერთმა ვაჟიშვილმა ბედის სამეზნელად წასვლა გადაწყვიტა და მამას სთხოვა მგზავრობისათვის საჭირო ფული მომეციო. ყმაწვილს განსაკუთრებით უელსისაკენ მიუწევდა გული, რადგანაც გაგებული ჰქონდა, იქ მოჯადოებული მზეთუნახავი ცხოვრობს, რომელიც ბოროტ სულს ჰყავს შეპყრობილიო“ [მათიკაშვილი, 1983: 23].

სტრუქტურული თვალსაზრისით, ინგლისურში „Beauty“ - ნაწარმოები სუბსტანტივია, რომელიც სილამაზის აღმნიშვნელ ძირს შეიცავს ქართულში კი „მზეთუნახავი“ წარმოადგენს სუბსტანტიურ - პარტიციპიულ კომპოზიტს, რაც შეეხება „beautiful lady“- ს ის გახლავთ სუბსტანტიურ ადიექტიური კოლოკაცია.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში მზეთუნახავის პარალელურად ჩნდება „მზეჭაბუკი“. ინგლისურში კი მზეჭაბუკის ნაცვლად უფლისწულია მიღებული.

მზეჭაბუკი - ჯადოსნური ზღაპრის მთავარი გმირია. ის მუდმივად მზეთუნახავს დაემბს, რომელიც ხან უკარფანჯრო კოშკშია (მთაშია) გამომწყვდეული, ხან გველეშაპს (დევს) ჰყავს მოტაცებული. მოიპოვებს და ქორწინდება მასზე. ოქროსქოჩრიანი მზეჭაბუკი გენეტიკურად მზის ღვთაებას უკავშირდება, მსგავსად ვედური ღვთაება ინდრასი, ბაბილონის მარდუკის, შუმერული თამუზის და სხვა. მზიური ბუნებიდან გამომდინარე ეს სახე გენეტიკურად მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაებისგან მომდინარეობს. ზღაპრის მზეჭაბუკს, მსგავსად სოლარული ღვთაებებისა უხდება გველეშაპის, დევის, თუ სხვა ბოროტი არსების დამარცხება. გველეშაპის დამარცხების ძალა მხოლოდ მზის ღვთაებას შესწევს [ჩოლოყაშვილი, 2004].

ინგლისურ ხალხურ ზღაპარში გვხვდება მზექაბუკის შემცვლელი პერსონაჟი „Prince“ – „უფლისწული“. ეტიმოლოგიურ ლექსიკონში „უფლისწული“ ასეა განმარტებული „Prince“ - from Old French prince "prince, noble lord" <http://www.etymonline.com>

„Prince“ მომდინარეობს ძველი ფრანგული სიტყვიდან *prince*, რომელიც აღნიშნავს კეთილშობილ ბატონს.

„უფლისწული“, ინგლისური ზღაპრის მთავარი პერსონაჟია, რომლის მთავარი მიზანი გახლავთ მოჯადოებული მზეთუნახავის გამოხსნა ბოროტი სულისგან. უფლისწული მზად არის შეებრძოლოს ურჩხულს, გველეშაპს. მისი მიზანი იმდენად მტკიცეა რომ მას მამამისი მეფე არტურიც კი ვერ გადაფიქრებინებს.

„The king did his best to persuade his son from it, but in vain; so at last gave way and the **prince** set out with two horses, one loaded with money, the other for himself to ride upon“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

„ყმაწვილს განსაკუთრებით უელსისაკენ მიუწევდა გული, რადგანაც გაგებლი ჰქონდა, იქ მოჯადოებული მზეთუნახავი ცხოვრობს, რომელიც ბოროტ სულს ჰყავს შეპყრობილიო. მეფემ ბევრი ეხვეწა შვილს, ნუ წახვალო, მაგრამ ამაოდ. უფლისწულმა რაც დაიჩემა, ვეღარ გადაათქმევინეს. რაღას იზამდნენ, მეფემ ორი ცხენი შეაკაზმინა, ერთი ფულითა და საჭირო ნივთებით დატვირთეს, მეორე უფლისწულს გადაულოცეს“ [მათიკაშვილი, 1983: 23].

სტრუქტურულად ქართულში „მზექაბუკი“ წარმოადგენს სუბსტანტიურ - ადიექტურ კომპოზიტს, ხოლო რაც შეეხება ინგლისურ ვარიანტს „**prince**“ - ძირეული სუბსტანტივია.

ერთ-ერთ ინგლისურ ზღაპარში უფლისწული მოხსენიებულია სახელით „არამქვია“ – “**Nix Nought Nothing**”. ასეთი სახელი იმიტომ დაარქვეს მას ზღაპარში რომ მისი მშობელი დედა დედოფალი მეფის ჩამოსვლას ელოდებოდა, რადგან მის გარეშე სახელს ვერ არქმევდა უფლისწულს. მანამდე კი მას უბრალოდ „არამქვიას“ ეძახდნენ. „There once lived a king and a queen as many a one has been. They were long married and had no children; but at last a baby-boy came to the queen when the king was away in the far countries. The queen would not christen the boy till the king came back, and she said, "We will just call him **Nix Nought Nothing** until his father comes home“ <http://www.authorama.com/english-fairy-tales-9.html>
„იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე-დედოფალი. ხანი გადიოდა, ცოლ-ქმარს კი შვილი არ ეძლეოდა. და აი „ერთხელაც, როცა მეფე შორეულ ქვეყანაში სამოგზაუროდ წავიდა,

დედოფალს ვაჟი შეეძინა. მაგრამ რაკი ქალს არ უნდოდა ქმრის ჩამოსვლამდე ბავშვისათვის სახელი დაერქმია, ასე გამოაცხადა, სანამ მეფე დაბრუნდება, უფლისწულს არამქვია დავუძახოთ“ [მათიკაშვილი, 1983: 125].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ყველაზე მეტად გავრცელებულია სახელი **“Jack - ჯეკი”**. ეტიმოლოგიური ლექსიკონი კი ასეთ ცნობას გვაძლევს მის შესახებ. Jack masc. proper name, attested by 1218, probably via Anglo-French Jake, Jaikes, from Old French Jacques (which was a diminutive of Latin Jacobus; see Jacob) <http://www.etymonline.com> ჯეკი საკუთარი სახელია, რომელიც დამოწმებულია 1218 წელს, შესაძლოა მოდიოდეს ანგლო- ფრანგული სახელის Jake, Jaikes, ან ძველი ფრანგული სახელის Jacques- ისგან (რომელიც იყო კნინობითი ფორმა ლათინური სახელის Jacobus).

„**ჯეკი**“ ინგლისური ხალხური ზღაპრის მთავარი პერსონაჟია. ის ძირითადად საგმირო საქმეებშია, საიდანაც ყოველთვის დიდი გამარჯვებით ბრუნდება. მისი სახელი ზღაპრებში იმდენად პოპულარულია, რომ ის ხან უბრალო გლეხის შვილი და ხანაც მდიდარი ფერმერის ვაჟია.

„When good King Arthur reigned, there lived near the Land’s End of England, in the county of Cornwall, a farmer who had one only son called Jack“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

„ძალიან დიდი ხნის წინათ, მეფე არტურის დროს, კორნუელში, ბრიტანეთის კუნძულის შორეულ კუთხეში ერთი მდიდარი ფერმერი ცხოვრობდა. ფერმერს ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა - სახელად ჯეკი“ [მათიკაშვილი, 1983: 17].

„There was once upon a time a poor widow who had an only son named Jack“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

„იყო და არა იყო რა იყო ერთი ღარიბი ქვრივი. ამ ქვრივს ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა, სახელად ჯეკი“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 8].

როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, პერსონაჟების საკუთარი სახელებისა და მეტსახელების გარდა ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც პერსონაჟი იხსენიება ანონიმურად ანუ უსახელოდ. ზღაპრებში ასეთი პერსონაჟები უმთავრესად მოხსენიებულია განუსაზღვრელი ნაცვალსახელით. მაგალითად, ქართულში ვხვდებით: ერთი მონადირე, ერთი ხელმწიფე, ერთი კაცი, ერთი დედაკაცი, ერთი ცოლ-ქმარი და ა.შ. ინგლისურში: **a poor widow, a man, a king, a wood man,**

a farmer, a woman and etc. ინგლისურ ზღაპრებში „a“ განუსაზღვრელი არტიკლი აღნიშნავს „ერთს“ არსებითი სახელის წინ და განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ფუნქციით იხმარება.

შესწავლილი მასალის საფუძველზე ორი განსხვავებული სისტემის მქონე ენაში, მივიღეთ შემდეგი სახის კულტურული უნივერსალები.

ქართული	ინგლისური
მზეთუნახავი	Beauty
ცეროდენა	Dwarf / elf-elves
უფლისწული	Prince

აღნიშნული საკითხის კვლევამ გიჩვენა, რომ როგორც ქართული ისე ინგლისური ხალხური ზღაპრები მდიდარია ანთროპონიმების თვალსაზრისით. ორივე მათგანში გამოიყოფა სამი ჯგუფი. პირველ ჯგუფში შედის საკუთარი სახელები, მეორეში - მეტსახელები, ხოლო მესამეში ერთიანდება ანონიმური ანუ უსახელო პერსონაჟები, რომელიც ძირითადად განუსაზღვრელ ნაცვალსახელებთან ერთად არიან წარმოდგენილი ზღაპრებში.

§2. სომატურ ერთეულთა სემანტიკური ასპექტები

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გულთან დაკავშირებული სომატური ელემენტები შემონახული და გადმოცემულია ზღაპრის რიტუალებში, როგორც სამკურნალო - მაგიური ფუნქციებით. მაგრამ ძალიან ხშირად გული ღვიძლთან ერთად ფიგურირებს, რაც სომატური ერთეულების მნიშვნელობაზე მიანიშნებს და ასეთი ფორმით გადმოიცემა სხვადასხვა სამკურნალო-მაგიურ რიტუალებში. ამ ნაწილებს „გულს“ და „ღვიძლს“ ზღაპრებში განსაკუთრებული სასიცოცხლო მაგიური სამკურნალო ძალა აქვთ. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნაწილებს ხშირად ზღაპრებში სხვადასხვა სახის რიტუალებში სამსხვერპლო შესაწირის დატვირთვაც ჰქონდათ.

ქართულ ხალხურ ზღაპრებთან მიმართებით მკვლევარი ნ. კოტეტიშვილი გულ-ღვიძლს სამკურნალო წამლად მოიხსენიებს. ეს ბოროტი დედინაცვლის ხერხია, რომელიც გერის დასაღუპავადაა გამოიზნული. დედინაცვლის გამოგონილ

ავადმყოფობას თითქოს მხოლოდ ია ხათუნის, წიქარას, კამეჩის, დათვის და სხვათა გულ-ღვიძლი მოარჩენდა.

მკვლევარი ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებული ანალოგიებით (მათ შორის, გულ-ღვიძლით მკურნალობის მოტივით) ქართული ზეპირსიტყვიერების უძველესობას ამტკიცებს [კოტეტიშვილი 2002, 48-60].

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ყველაზე გავრცელებულია „გულ - ღვიძლის“ შექმა, რომელიც ძირითადად ასეთი სახით გვხვდება ზღაპრის სიუჟეტში. ზღაპრებში ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ გერზე გადამტერებული დედინაცვლის ავადმყოფობა და გერზე შურის საძიებლად მისი საყვარელი ცხოველის „წიქარას“ გულ-ღვიძლის შექმის მოთხოვნა. მაგალითად ბოროტი დედინაცვალი მოიავადმყოფებს თავს, ლოგინში ჩაწვება და ქმარს სთხოვს წიქარას გულ-ღვიძლს მოსარჩენად.

„წიქარას გულ-ღვიძლის მეტი არაფერი მიშველისო, - უთხრა ცოლმა. - თუ დაკლავ, გულ-ღვიძლს ამოაცლი და მაჭმევ, მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 109].

„თუ ირემს დაჰკლავ და მაგის გულ-ღვიძლს მაჭმევ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო“ [ხალხური ზღაპრები, 1976, 544].

სხვადასხვა შემთხვევაში ქართულ ხალხურ ზღაპრებში გულ-ღვიძლს შეიძლება ჩაენაცვლოს „ნაღველი“ ან „ხორცი“.

„რა მოგარჩენსო? ასე მითხრეს, სანამ თქვენი ძროხის ნაღველს არ დალევ, არა გეშველება რაო“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 514].

„ჩემი დღე და საათი დათვლილია. თუ თქვენს ჩიტს დაკლავ და იმის ხორცს მაჭმევ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო.“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 866].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში, როგორც ვნახეთ, განკურნება გულ-ღვიძლის შექმით უნდა განხორციელდეს. ცხოველის მათ შორის (ირმის, ტახის) გულ-ღვიძლის მოტივის შემცველი ქართული ზღაპრების გავრცელებული სქემა ასეთია: დედინაცვალი თავს მოიავადმყოფებს და თავის ქმარს გერის ტყეში წაყვანასა და ამჟამად მისი გულ-ღვიძლის მოტანას სთხოვს; ამბობს, რომ სხვაგვარად ვერ გამოჯანმრთელდება. თუმცა, სანაცვლოდ ქმარს ტახის გულ-ღვიძლი მოაქვს. აქ რამდენიმე დეტალია საყურადღებო: გულ-ღვიძლს, როგორც ჩანს, მართლაც, აქვს

სამკურნალო ფუნქცია, რადგან დედინაცვალის დაჟინებით ითხოვს გულ-ღვიძლს და არა რამე სხვა ორგანოს, მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა ნამდვილ, არამედ გამოგონილ ავადმყოფობასთან და, შესაბამისად, დედინაცვალის ითხოვს არა ნამდვილ სამკურნალო საშუალებას – ალბათ ტახის გულ-ღვიძლს, არამედ გამოგონილ წამალს – ერთი კონკრეტული ადამიანის, თავისი გერის გულ-ღვიძლს, რასაც, როგორც ჩანს, გარდა გამოგონილი – სამკურნალო ფუნქციისა, უნდა ჰქონდეს ასევე ნამდვილი ფუნქციაც, რაც არის სწორედ დედინაცვლის ახირების ნამდვილი მიზეზი. ზღაპრის შინაარსსა და მის განვითარებას თუ მივყვებით, გულ-ღვიძლი იმ გენის მატარებლად მოიაზრება, რომლის განადგურებასაც ესწრაფვის დედინაცვალის.

როგორც ჩანს, გულ-ღვიძლის ამოცლის მოტივი უძველეს მაგიურ რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული. გადმოცემების მიხედვით, კუდიანები ადამიანის ღვიძლს ითხოვენ, როგორც შესაწირავს (შდრ.: ქაჯები ჭამენ ადამიანის ხორცს („სოვდაგრის შვილი“), დევი ქალს სისხლს სწოვს („ცხრა ძმა და ერთი და“), ეშმაკი თავის ქალიშვილებს ადამიანის ხორციით უმასპინძლდება... ზღაპარში „ორი ძმა“ გმირს მოაჯადოებენ და ღვიძლს ამოაცლიან: „ქალმა შეულოცა ბიჭს და გულ-ღვიძლი ამოცალა“ („ორი ძმა“) [ხალხური ზღაპრები, 1976: 869].

გულ-ღვიძლს ზღაპრებში უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ფუნქცია აქვს და ეს ფუნქცია მის სიმბოლიკაშიც ძირითადია. ამიტომაც ცდილობენ კუდიანები ზღაპრებში სწორედ გულ-ღვიძლის დაპატრონებას. ხალხურ ზღაპრებში გულ-ღვიძლის შეჭმის მოტივი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, ღვიძლის (გულ-ღვიძლის) მნიშვნელოვან სასიცოცხლო ფუნქციაზე უნდა მიანიშნებდეს. ღვიძლი (გულ-ღვიძლი), სიცოცხლის წყაროა, იმ გენის მატარებელია, რომლის განადგურებასაც ცდილობს დედინაცვალის [Sukhishvili, 2000: 393-394].

ქართულისაგან განსხვავებით ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში არ დასტურდება არც სომატური ერთეული „გულ-ღვიძლი“ და, შესაბამისად, არც მასთან დაკავშირებული შეჭმის მოტივი.

ნიშანდობლივია, რომ ზღაპრებში საკრალური მნიშვნელობა აქვს დევის ყურებს, დევის ცხვირს, თავს, ზურგს და ასევე გველეშაპის ენას.

ზღაპრის გმირები საგმირო საქმეების ჩადენის შემდეგ დამარცხებულებს (დევს, გველეშაპს) ყურს აჭრიან და ამით ამტკიცებენ ჩადენილი გმირობის ნამდვილობას („ნაბოლარა ძმა“, „ბეინაზარის ქალი“). თუმცა, რელიგიურ-მიოლოგიური გადმოცემების მიხედვით, ყური მხოლოდ გმირობის დამამტკიცებელი საბუთი არ არის, გმირისთვის ის თილისმის ფუნქციას ატარებს: როცა გმირი ამ ყურებს დაკარგავს, ის კვდება (ხევს. დევის ყურები) [კიკნაძე, 2009: 132, 140]: „დევის ყურები სულ თან უნდა ჰქონდეს ომსა და ლაშქრობაში, რომ ხიფათი არ შეჰყროდათ. ცოლი გადაეკიდა, სულ უვნებელი როგორ ბრუნდებო, უთქვამს და მეორე დღესვე მოკლეს დევებმა და ყურებიც წაიღეს.“ ხევს. 139. სანეურო ჯვარი) [კიკნაძე, 2009: 132].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ყველაზე მეტად სომატურ ერთეულებს შორის ყურადღება ექცევა „დევის ცხვირს“, „თავს“ და „ზურგს“.

„The giant all this while could not see him, on account of his invisible coat, so that Jack, coming up close to the monster, struck a blow with his sword at his head, but, missing his aim, he cut off the **nose** instead. At this, the giant roared like claps of thunder, and began to lay about him with his iron club like one stark mad. But Jack, running behind, drove his sword up to the hilt in the giant's **head** so that it fell down dead. This done, Jack cut off the giant's **head**, and sent it, with his brother's also, to King Arthur, by a waggoner he hired for that purpose“ <http://www.authorama.com/english-fairy-tales-21.html> „ჯეკი ჩუმად მიეპარა გოლიათს და ხმალი მოუქნია, მაგრამ მოქნევა წაუხდა და მხოლოდ ცხვირი ჩამოათალა. ტკივილისაგან გამწარებული გოლიათი ღრიალით წამოხტა და მოწინააღმდეგეს რაც ძალი და ღონე ჰქონდა რკინის კომბალი დაუშინა, ჯეკმა ახლა მეორე მხრიდან შემოუარა, გოლიათს ხმალი შიგ ზურგში ჩაურჭო და ბოლო მოუღო, მერე თავი მოაჭრა და მისი ძმის თავთან ერთად მეფე არტურს გაუგზავნა“ [მათიკაშვილი, 1983: 30].

ინგლისელი ზღაპრის გმირი მზეთუნახავის გამოსახსნელად და მის დასაბრუნებლად საგმირო საქმეს მიმართავს. სწორედ აქ ვლინდება ზღაპარში სომატური ერთეულები, რის მიხედვითაც ის გველეშაპს ენას აჭრის.

„And soon he heard it coming, roaring and raging from afar off, and at last it came near, spitting fire, and with a tongue like a great spear, and you could hear it roaring for miles, and it was making for the place where the king's daughter was staked down. But when it came up to them, the lad just hit it on the head with the bladder and the dragon fell down dead, but before it died, it bit off the little boy's forefinger. Then the lad cut out the dragon's tongue and said to the king's daughter: 'I've done all I can, I must leave you. <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/littlebullcalf.html> „ცოტა

ზნის შემდეგ არემარე გამძვინვარებული გველეშაპის ღრიალმა გააყრუა. ურჩხული იმ ადგილისაკენ მოდიოდა, სადაც მსხვერპლი ეგულებოდა, მალიმალ აჩენდა ნიჩბისოდენა ენა, ხახიდან ცეცხლს აფრქვევდა და შემზარავად ღრიალებდა. ბიჭმა წარბიც არ შეიხარა, როგორც კი გველეშაპი მიუახლოვდა, ტიკი უმარჯვა, მთელი ძალით თავში ჩასცხო და სული გააფრთხოვინა, მერე ენა მოაჭრა და შეინახა“ [მათიკაშვილი, 1983: 54].

საყურადღებოა სომატური ერთეულების მნიშვნელობა ზღაპრებში იმ მხრივ, რომ სხეულის ნაწილებზე მინიშნება ხდება გმირის იდენტიფიკაციისათვის. მაგალითად, ინგლისურ ზღაპარში გმირის მარცხენა ხელზე საჩვენებელი თითის მოკვეთა მაგ: „the dragon fell down dead, but before it died, it bit off the little boy's forefinger“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html> „მაგრამ სიკვდილის წინ მოასწრო ურჩხულმა და ბიჭს მარცხენა ხელზე საჩვენებელი თითი მოაკვნია“ [მათიკაშვილი, 1983: 54] (მაგ., მეფის ასულის მხსნელს მისი ბრილიანტის ბეჭედი და გველეშაპის ენა უნდა ეჩვენებინა, ხოლო მარცხენა ხელზე საჩვენებელი თითი არ უნდა ჰქონოდა [მათიკაშვილი, 1983: 55].

რაც შეეხება ქართულ ზღაპრებს, გმირის იდენტიფიკაციისათვის მინიშნება ხდება ისეთ სომატურ ნაწილებზე როგორცაა: ამირანის ოქროს კბილი, კუდიანთა და ავსულთა დამახასიათებელი გრძელი თმა და ფრჩხილები.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში სომატური ერთეულები ძირითადად თავს იჩენს სასჯელის დროს. თ. სახოკია წერს: „ძველად ერთი სახე სასჯელისა, განსაკუთრებით ქალებისა, ასეთი იყო: ბედაურს ცხენზე (ძუაზე) მაგრად გამოაბამდნენ კუდზე და მანამ ათრევიანდნენ, სანამ დასასჯელს ძვალი და რბილი არ გაუერთიანდებოდა“ [სახოკია: 819,820]. ვნახოთ ქართული ხალხური ზღაპრის „საწყალი კაცი და მისი შვილი“ ერთ-ერთი ეპიზოდი, „გამოიყვანეს დედა-შვილი გარეთ ეზოში, გამოაბეს ცხენის კუდზე (ძუაზე). მთელი ხალხი მათ უყურებს, ასე დახოცეს ეშმაკ - ჯადოსნები“ [ხალხური სიბრძნე: 195, 196].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, სასჯელის სახედ ძირითადად გამოიყენება სომატური ერთეული „თავი“. ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში დამნაშავეს ხშირად როგორც სასჯელის ფორმა - თავს ჰკვეთენ. ამის დამადასტურებელია ერთ-ერთი ინგლისური ხალხური ზღაპარი „**The King of England and his Three Sons**“.

„The king was glad to see his youngest son, and very anxious to taste his apples. But when he found out that they were not good, and thought that they were more for poisoning him, he sent

immediately for the headsman to **behead** his youngest son, who was taken away there and then in a carriage“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html> „უმცროსი ვაჟიშვილის დაბრუნებამ ხელმწიფე მეტად გაახარა. ერთი სული ჰქონდა, სანამ მის მოტანილ ვაშლებს გასინჯავდა. მაგრამ დახედა თუ არა, რაღაც თვალში არ მოუვიდა ისინი, შხამიანი იქნებო იფიქრა, ჯეკს ალბათ ჩემი მოწამვლა უნდაო. განრისხდა მეფე, ჯალათი იხმო და უბრძანა: - ჩემი უმცროსი ვაჟი წაიყვანე და თავი მოჰკვეთეო“ [მათიკაშვილი, 1983: 119].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში სომატური ერთეულების სიმბოლიკის ბევრი საინტერესო დეტალი შეიძლება მოიძებნოს. სომატურ ელემენტებს ზღაპრებში ხშირად ჯადოსნური ფუნქცია აქვთ და გმირებს გაჭირვებაში ეხმარებიან: ამ ფუნქციით ძირითადად გამოიყენება თმა („დედაბერმა სამი ღერი თმა გამოიძრო და მისცა... სადაც ძალიან გაგიჭირდეს, მახსენე და მეც იმავ წამს იქ გავჩნდებიო“ („სულამბარი და გულამბარი“) [ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976, 642].


ზღაპრებში გავრცელებულია სხვადასხვა ვარიაციები: ბეწვი, ბალანი, ფრთა, ფარფლი („მონადირის შვილი“, „მზის ქალი“), ძუა („ქაჩალ-მებატე“, „ივანე ცისკარი“). ნიშანდობლივია, რომ ზღაპრებში ეს ჯადოსნურობა გარკვეულწილად ატარებს ადამიანის, ცხოველის, ამ ნაწილებს სიცოცხლის მატარებლის სიმბოლურ ფუნქციას. სანამ არსებობს ეს ნაწილი, მანამ არსებობს ამ ნაწილის მატარებელი გმირი: „თმაში სამი ბეწვი ერია, სანამ იმას არ ამოაძრობდნენ, არ მოკვდებოდა“ („უხეირო“) [ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976, 619].

ზღაპრებში წარმოდგენილია ასეთი სქემა: სიცოცხლე გრძელდება, სანამ არსებობს ნაწილი: გული, ღვიძლი, ფხა, ნაფოტი... [Sukhishvili, 2000: 393-394]: „ფხიდან ალვის ხე ამოვიდა“ (ია-ხათუნი), „სისხლისა და ცრემლისგან ლერწამი ამოდის“ („სამი და“), „ფხა გადაუვარდა და ზედ ხე ამოვიდა“, „ნაფოტიდან ქალი ჩნდება“ („ცხრა ძმა და ერთი და“), „ჯადოსნური მათრახის დაკვრით ძვლიდან ცხენი ცოცხლდება“ („ცურმოჭრილი ფურირემი“), „ბეჭხე აღმოცენდება ქალაქი“ („ზღაპარი-გამოცანა“), „ძროხა უბარებს კონკიას, რომ დამკლავენ, ძვლები მოაგროვე და ორმოში ჩაყარეო“ („დედინაცვალი და გერი“), „ჩემი კბილი დაარტყი კედელს და გაიღებო“ („ხელმწიფის შვილის თავგადასავალი“) (ქართ. ზღაპრ.1975; ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976).

ხალხურ ზღაპარში სომატური სახელების შესწავლა კულტურული ასპექტით მნიშვნელოვანი იყო. ზოგადად, ლექსიკის და განსაკუთრებით უძველესი ლექსიკური ფონდის სიტყვების (რომელსაც მიეკუთვნება სომატური სახელები) შესწავლა, ავსებს და ამდიდრებს ენისა და კულტურის შესახებ არსებულ ცოდნას.

ამგვარად, კულტურული ასპექტების კვლევისთვის ყურადღებას იქცევს, სომატური ერთეულის მოტივები. მაგალითად „გულ-ღვიძლის ჭამა“ ქართულ ზღაპრებში, სადაც მოჩვენებითი სნეულებით შეპყრობილი გმირი ვითომდა გამოსაჯანმრთელებლად თავისი „მეტოქის“ მოკვდინებასა და მისი ნაწილის შეჭმას ითხოვს. ქართულ ზღაპარში „სამკურნალო“ ფუნქციით გამოიყენება სომატური ერთეული „გულ-ღვიძლი“.

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში არ დასტურდება მსგავსი სომატური ერთეული და არც მასთან დაკავშირებული შეჭმის სიუჟეტური მოტივი. როგორც ქართულ ისე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში სასჯელის ფორმად გამოყენებულია სომატური ერთეულები. ქართულ ხალხურ ზღაპრებში - ცხენის კუდზე (ძუაზე) გამობმა, ხოლო ინგლისურში - თავის მოკვეთა.



თავი IV

ტროპული მეტყველება ხალხურ ზღაპრებში

ხალხურ ზღაპრებში ყველაზე მეტად ტროპის ისეთ სახეებს ვხვდებით, როგორცაა: ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გამეორება, ჰიპერბოლა და სიმბოლო.

ტროპი, როგორც მხატვრული მეტყველების მოუცილებელი ელემენტი, დასაწყისში სწორედ ადამიანთა ურთიერთსაუბარში ჩაისახა და თავდაპირველად მისი მხოლოდ უმარტივესი სახეები იხმარებოდა [ღლონტი, 1966: 280].

ტროპი გვიანდელი წარმონაქმნია. მხატვრული მეტყველების ჩამოყალიბება-გაფორმება, უწინარეს ყოვლისა, ტროპისათვის კარების ფართოდ გაღებას გულისხმობდა. მხოლოდ ტროპს შეეძლო ენის გამდიდრება გამომსახველობის საშუალებებით, საგნებისა და მოვლენების სახეობრივი გამოხატვის ფორმებით [ღლონტი, 1966: 280].

„ტროპი არის სიტყვის ან სიტყვიერი გამოთქმის საკუთარი მნიშვნელობის შეცვლა მეორეთი, რომლითაც ხდება მნიშვნელობის გამდიდრება“ - ამბობს კვინტილიანე [Античные теории языка и стиля, 1936 : 215].

ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონში ასეთი განმარტება მოეპოვება ტროპს: „სახელწოდების სტილისტიკური გადატანა, სიტყვის ხმარება გადატანითი (არაპირდაპირი) მნიშვნელობით დიდი მხატვრული გამომეტყველების მიზნით“ [Ахманова, 1966].

§1. ეპითეტი

ეპითეტი პოეტური მეტყველების ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელსაც დიდი ხანია იკვლევენ. ალ. ვესელოვსკი ეპითეტთა პირველ ტიპად გამოყოფდა ტავტოლოგიურ ეპითეტებს, ხოლო მეორე ტიპში აერთიანებდა განმარტებით ეპითეტებს, რომელთა საფუძველში იდო ან „საგანში არსებითად მიჩნეული“ ნიშანი, ან ის ნიშანი, რომელიც საგანს „პრაქტიკული მიზნით და იდეალური სრულყოფილების მიმართებით ახასიათებდა“ [ვესელოვსკი 1940: 76].

ჯადოსნური ზღაპრის მხატვრულ სისტემაში ენობრივი გამოსახვის საშუალებებს შორის ეპითეტზე ყველაზე მეტი დატვირთვა მოდის. გვხვდება,

როგორც მუდმივი ეპითეტები, ასევე, ინდივიდუალური განსაზღვრებები. მუდმივ ეპითეტებში, როგორც ტრადიციულად დამკვიდრებულ მხატვრულ განსაზღვრებებში, გარესამყაროსა თუ რომელიმე კერძო საგნის დახასიათებისას, იგრძნობა მეზღაპრეთა მიერ მათი ერთგვარად აღქმის ტენდენცია. ამ დროს ზედსართავი სახელი მთლიანადაა შერწყმული არსებით სახელთან და გარკვეული თვალსაზრისით, აღარც კი გვაწვდის ახალ ცოდნას საგნის შესახებ [ქურდოვანიძე, 2008].

ეპითეტი მხატვრული სამკაულია ხალხური ზღაპრისა. როგორც ალ. ლლონტი აღნიშნავს, „ზღაპარ - ნოველათა მთქმელები მსაზღვრელ - საზღვრული წყვილების მრავალნაირ საშუალებას იყენებენ. გავრცელებულია ასეთი ეპითეტური წყვილები: ტრიალი მინდორი, საწყალი კაცი, ღარიბი გლეხი, მფრინავი ხალიჩა, ობოლი ბიჭი, კუდიანი დედაბერი, ქოსატყულია დიაკონი, გაუცინარი ხელმწიფე, გაქვავებული ქალაქი, უმცროსი ძმა, სასწაულმოქმედი პერანგი, რიხირიხის ხელმწიფე, ოქროსქოჩრიანი ვაჟი, თილისმინი სალამური, ცხრათავიანი დევი“ [ლონტი, 1966: 285].

„ტრიალი მინდორი“ და მრავალი სხვა ჯადოსნური ზღაპრისათვის ყველაზე ნიშანდობლივი ეპითეტებია, რომლებიც ზღაპრიდან ზღაპარში მეორდება, საერთო ფოლკლორულ საკუთრებასაც წარმოადგენენ და კონკრეტულ ჟანრშიც აქვთ დამკვიდრებული ადგილი. ცალკე არსებითი სახელის ხმარება ხშირად ადამიანს უჩენს მასთან ტრადიციულად დაკავშირებული ზედსართავი სახელის ასოციაციას. ჯადოსნურ ზღაპარში ხალიჩა „მფრინავის“ გარდა, თითქმის წარმოუდგენელია, თუმცა გვხვდება. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ ობიექტი თავისკენ იზიდავს მასთან ტრადიციულად დაკავშირებულ შესაბამის ზედსართავ სახელს [უსპენსკი 1973: 163].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ეპითეტის ნიმუშებია: „invisible coat“ - უჩინმაჩინის ხალათი, „magic cap“ - სიბრძნის ქუდი, „golden apple“ - ოქროს ვაშლი, „gold-tree“ - ოქროს ხე, „gold chains“ - ოქროს ჯაჭვები, „magic castle“ , „enchanted castle“ - მოჯადოებული ციხე - კოშკი, „monstrous giant“ - უზარმაზარი გოლიათი, „dreadful dragon“ - საზარელი გველეშაპი, „huge monster“ - ვეებერთელა ურჩხული, „a fiery dragon“ - ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი, „shoes of swiftness“ - მფრინავი ქოშები „old conjurer“ - მოხუცი კუდიანი, „dreadful griffin“ - მფრინავი ურჩხული.

ეპითეტი ლოგიკური მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს, საზღვრავს და ახასიათებს ცნებას, ანუ ლოგიკურ განსაზღვრებადაც გვევლინება. ზოგი ეპითეტური წყვილი ჟამთა მსვლელობაში გაქვავებულა და მყარ სინტაქსურ ერთეულად დამკვიდრებულა ხალხური პროზის ენაში [დლონტი, 1966:285].

ალ. დლონტი ეპითეტს ასე განმარტავს: „ეპითეტი განსაზღვრავს საგანს მისი პრაქტიკული მოხმარების მიხედვით ან იმ ნიშნით, რაც არსებითია ამ საგნისათვის“ [დლონტი, 1966:286].

ეპითეტებით გაჯერებულია როგორც ქართული, ისე ინგლისური ხალხური ზღაპრის სათაურები. ქართული ხალხური ზღაპრის სათაურები ხშირ შემთხვევაში ასეთი ეპითეტებით არის დასათაურებული: „უკვდავების წყლის ზღაპარი“, „მინდვრის ქალი“, „ოქრომჭედელის ცოლი“, „სტუმართმოყვარე ცოლი“, „ცურმოჭრილი ფურიერი“, „შავჩიტა რაში“ და ა.შ.

ქართული ხალხური ზღაპრის მსგავსად, ინგლისური ხალხური ზღაპრის სათაურებშიც გვხვდება ეპითეტები. მაგალითად: **Snow white** - ფიფქია, **The blinded giant** - ბრმა გოლიათი, **Stupid's cries** - სულელის ცრემლები, **The black horse** - შავი ცხენი, **The Black Bull of Norroway** - ნორუეის შავი ხარი, **The broken pot** - გატეხილი ჩაიდანნი, **The buried moon** - დაკრძალული მთვარე, **The clever Lass** - ჭკვიანი ლასი, **The Little Bull-Culf** - პატარა მოზვერი, **The magic Fiddle** - მოჯადოებული ფიდლი, **The old witch** - მოხუცი დედაბერი, **The three wishes** - სამი სურვილი, **The three soldiers** - სამი ჯარისკაცი, **Teeny-Tiny** - პაწაწინა ტინი, **The golden arm** - ოქროს მკლავი, **The Lazy Jack** - ზარმაცი ჯეკი, **Fairy ointment** - ჯადოსნური ნელსაცხებელი, **The Red Ettin** - ჟღალთმიანი ეტინი, **Jack and his golden snuff-box** - ჯეკი და მისი ოქროს სათუთუნე and etc.

თუ დავუკვირდებით, ზემოთ განხილულ ზღაპრის სათაურებს, ზოგან აშკარად შეიმჩნევა სათაურებში ეპითეტის მაგალითები, ზოგან კი - უბრალოდ მსაზღვრელ-საზღვრულის კომბინაციაა. მაგ.: „მინდვრის ქალი“, „ოქრომჭედელის ცოლი“, „სტუმართმოყვარე ცოლი“, „The black horse“ - „შავი ცხენი“, „The old witch“ - „კუდიანი დედაბერი“, „The three soldiers“ - „სამი ჯარისკაცი“. საქმე იმაშია, რომ დასახელებულ მაგალითებში, ეს უბრალო მსაზღვრელ-საზღვრულის კომბინაციები სწორედ კონტექსტუალურად იძენენ ეპითეტურ შეფერილობას. გარდა იმისა, რომ ისინი ზღაპრის სათაურებში გვევლინებიან და უკვე თავისთავად ზღაპრის სიუჟეტის

განვითარებისას გარკვეულ სიმბოლოებს ქმნიან, სწორედ ამიტომ გარდაიქცევიან ისინი ეპითეტებად, სხვა შემთხვევაში, ჩვეულებრივ ნარატულ კონტექსტში, შესაძლოა, ესენი ზედსართავისა და არსებითი სახელის უბრალო კომბინაცია ყოფილიყო, რაც ვერ მიიპყრობდა ჩვენს ყურადღებას ტროპული მეტყველების კუთხით. იგივე შეიძლება ითქვას ინგლისურ ხალხურ ზღაპრებზეც. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ზღაპრებში განსაზღვრული არტიკლი „The“ ეპითეტური ელფერის გაძლიერების სტიმულატორად გვევლინება მაგალითად „The three soldiers“ – „სამი ჯარისკაცი“ თუ მას ტრადიციული გრამატიკული კონტრუქციებიდან მივუდგებით, რაოდენობრივი რიცხვითი სახელის წინ არ არის საჭირო განსაზღვრული არტიკლი. თუმცა, სათაურში ამგავრი წარმოჩინება ხაზს უსვამს ამ საგნის გასიმბოლოებას და ეპითეტური იერსახის მიცემას.

თ. ქურდოვანიძე აღნიშნავს, რომ „მუდმივი ეპითეტების სიმყარე, მათი „გაქვავებული ფორმა“ სინამდვილეში გარკვეული თვალსაზრისით „მოჩვენებითია“. მიზეზი ამისა მდგომარეობს ცალკეულ მეზღაპრეთა შესაძლებლობაში - დაუკავშიროს არსებით სახელებს სხვადასხვა ზედსართავები. ვაჟკაცი, მაგალითად, გარდა მშვენიერისა, შეიძლება იყოს უშიშარი, კეთილი, სამართლიანი, ფეხმარდი, ლომგული, პატიოსანი, გულთმისანი, მძლავრი და სხვა. ამ ეპითეტთაგან ზოგიერთი გვხვდება კიდევ ცალკეულ მეზღაპრეებთან, რაც უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ორი სახის ეპითეტზე: მუდმივსა და ცვალებადზე. ჩვეულებრივ, ცვალებადი ეპითეტები ჩნდება ხოლმე კონკრეტულ შემთხვევებში და ხსნის სიტუაციიდან გამომდინარე გარკვეულ თემას, დაკავშირებულს ამა თუ იმ პერსონაჟთან [ქურდოვანიძე, 2008].

ზღაპარში კი ისეთი „ნეიტრალური მუდმივი ეპითეტები მკვიდრდება, რომლებშიც საგნისა თუ მოვლენის მხოლოდ ზოგადი დახასიათებაა მოცემული, ყველაზე უფრო ტიპობრივი ნიშანია გახაზული“ [Ведерникова, 1980: 120].

როგორც ქართული, ისე ინგლისური ხალხური ზღაპარი, შემკულია მუდმივი ეპითეტებით, რომლის საშუალებითაც ვლინდება ზღაპარში არსებული საგნისა თუ მოვლენის ყველაზე ტიპობრივი დამახასიათებელი თვისება, რომელიც მხოლოდ და

მხოლოდ განკუთვნილია კონკრეტული სიტუაციისათვის. მუდმივი ეპითეტები ზღაპრის თხრობაში ქმნის ემოციურ - ექსპრესიულ გამომსახველობით სტილს.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში გმირი ვაჟისა და ქალისთვის შემუშავებულია უნივერსალური (შესაძლოა, უნიკალურიც) ტერმინები „მზეჭაბუკი“ და „მზეთუნახავი“, რომელთა ხმარება აღარ საჭიროებს არავითარ დამატებით განმარტებას [ქურდოვანიძე, 2008]. ქართულ ხალხურ ზღაპარში მოცემულ მაგალითებზე დაყრნობით, სახეზე გვაქვს ეპითეტის მაგალითები, რასაც ვერ ვიტყვით ინგლისურ ვარიანტებზე - „Prince“ - „მზეჭაბუკი“ და „Beauty“- „მზეთუნახავი“. ისინი გამოხატულია არსებითი სახელებით. ასე რომ, მსაზღვრელ-საზღვრულის მხატვრული კომბინაცია მოცემულ ინგლისურენოვან მაგალითებში დაკარგულია.

ქურდოვანიძე აღნიშნავს, რომ ქართულ ხალხურ ზღაპარში ვაჟთან პარალელურად შეინიშნება მუდმივი ეპითეტები: „მშვენიერი ვაჟკაცი“, „მძლავრი ვაჟი“ და სხვ. ეპითეტთა სიმცირის მიზეზი ისიცაა, რომ ზღაპარში ვაჟს ახასიათებს არა სიტყვა, არამედ საქმე. მთავარია, რას და როგორ აკეთებს ის. ამას გარდა, ზღაპარში გმირის განსაკუთრებულობა ხაზგასმულია მისი სასწაულებრივად დაბადებით (გავიხსენოთ სამი ძმის - ივანე საღამოს, ივანე შუაღამისა და ივანე ცისკრის დაბადებისა და მონათვლისთანავე ცაში გაფრენა). ვაჟის სწრაფ ზრდაზე მისათითებლად კი ეპითეტებით შექმნილია ფორმულები, როგორიცაა: „სამი დღისა სამი წლისას ჰგავდა“ ან „დღეში მათრახის ტოლი იზრდებოდა“ და სხვა [ქურდოვანიძე: 2008].

ქართულ ხალხურ ზღაპარში გმირის მოქმედება ზღაპრის სამყაროში უმეტესად აღწერილია და თხრობაში გადმოცემულია მისი მოქმედების ადგილის განმსაზღვრელი ეპითეტებით. ქურდოვანიძე ამბობს, რომ „ამ სივრცეს მეზღაპრეები სხვადასხვა ეპითეტებით მოიხსენიებენ: თვალუწვდენელი მინდორი, ტრიალი ველი, უღანი ტყე, ზღვის ნაპირი და სხვ. ზღაპრის გმირს ამ მნიშვნელოვან ადგილზე გადაეცემა სასწაულებრივი საგანი ან რაში. ამ პროცესის აღწერისას მეზღაპრე ეპითეტებს იყენებს:

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ტრიალ მინდორში გავიდა. მინდვრის შუაში ერთი ირემი იდგა და რქები ცისთვის ჰქონდა მიბჯენილი [ხალხური ზღაპარი, 1976: 433].

აი, ამ **თვალუწედენ მინდორს** ხომ ხედავ, - უთხრა ირემმა, - სანამ სულ არ გაივსება ჩემი დაცვენილი რქებით, მანამდე მეცა და შენც ცოცხლები ვიქნებითო [ხალხური ზღაპარი, 1976: 434].

ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში იდენტური ვითარება გვხვდება გმირთან დაკავშირებით, რადგანაც გმირის პარალელურად გვხვდება მისი განუყრელი ერთგული მეგობარი პერსონაჟი - „**stead - რაში**“. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებში, „რაში“ უმეტესად წარმოდგენილია ეპითეტით „მფრინავი რაშის“ სახით, რაც ძალზედ გავრცელებული სახეა ქართული ხალხური ეპოსისათვის. რაც შეეხება ინგლისურ ხალხურ ზღაპრებს, ქართულისაგან განსხვავებით, აქ გმირის განუყრელი „ერთგული მეგობარი“ - „**stead - რაში**“, რომელიც ყველგან და ყოველთვის გმირს თან ახლავს, არ გვხვდება არც მფრინავის და არც ერთგულის ეპითეტებით. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურშიც რაში სწრაფი გადაადგილების საოცარი უნარით არის დაჯილდოებული.

ჩუბინაშვილის ქართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: რაშს, ანუ „ბედაურს ცხენს, ფრთებიანს“ [ჩუბინაშვილი 1961: 334]. მაგალითად:

ბიჭმა ახლაც დაუჯერა მამას, შეკაზმა **მფრინავი რაში** და გაფრინდა აღმოსავლეთისაკენ [ხალხური ზღაპარი, 1976: 401].

ქართველი მეზღაპრეები რაშების განსაკუთრებულობაზე მინიშნებას ეპითეტების რიტმულ წყობაში მოქცევით ახერხებენ. რაში ასწავლის გმირს: „სამი მათრახი დამკარ, სამი პირი ტყავი ამძვრება, სამი ლიტრა მარილი დამაყარე, გავფოფინდები, გავფრინდები“... ვაჟს ცხრა კლიტულში დამწყვდეული რაშის ადგილსამყოფელს მიასწავლიან და თან არიგებენ: „რაშს ზურგზედ ერთი მტკაველი ობი აქვს მოკიდებული. ბამბის საურველი გადაუსვი, ბამბის მათრახი გადაჰკარ, ისე გამოიყვანე, თორე დაგგლეჯს, ცოცხალს არ გაგიშვებსო“ [ქურდოვანიძე:2008].

ხალხურ ზღაპრებში, ქართულსა და ინგლისურში, ძალიან ხშირად შეინიშნება დევების დამახასიათებელი ნიშან - თვისებების ეპითეტებით გადმოცემა. მაგალითად, ქართულში გვხვდება: **ასთავიანი, ცხრათავიანი და სამთავიან დევი**. რაც შეეხება ინგლისურ ზღაპრებს, დევი, რომელიც ჩანაცვლებულია გოლიათით, ცვალებად ეპითეტად იხმარება: **უზარმაზარი, უშველებელი გოლიათი - monstrous,**

huge giant. გოლიათი ინგლისურ ზღაპრებში ხან **ორთავიანია** და ხან კი **თორმეტთავიანი**.

დევის თავების რაოდენობაზე მიმანიშნებელი ეპითეტი ზღაპრებში მკვეთრად უსვამს ხაზს მათ სიძლიერეს. რაც უფრო მეტი რაოდენობის თავი აქვს ზღაპარში „დევს“ თუ „გოლიათს“, მით უფრო ძლიერი და საშიშია ის.

ზღაპრებში მუდმივი ეპითეტების გვერდით იძებნება ინდივიდუალური ეპითეტები.

ინდივიდუალური განსაზღვრება-ეპითეტი, მუდმივი ეპითეტისაგან განსხვავებით, წარმოადგენს პირადი შთაბეჭდილების შედეგად წარმოქმნილ მხატვრულ განსაზღვრებას. მეზღაპრის გმირისადმი დამოკიდებულება ხშირად ინდივიდუალურ ეპითეტებში ვლინდება. გმირის სახელი - ოქროკაცა - ინდივიდუალური განსაზღვრებაა, რომელიც მიგვანიშნებს მთქმელის მისდამი დამოკიდებულებაზე. იგი ოქროს (კარგი) კაცია [ქურდოვანიძე, 2008].

„ქალთამზე“ - ინდივიდუალური ეპითეტი. ზღაპრის პერსონაჟი, გოგონა საოცარი სილამაზის, რომელიც მზესავით ანათებდა და ეს სახელიც ამიტომ დაარქვეს. „მზექალა“ - განსაზღვრული ინდივიდუალური ეპითეტი, ქართული ზღაპრის პერსონაჟი, რომელიც უკავშირდება მზეს. „გულადა“ - ესეც ეპითეტი. „სოფელ ბაზალეთში ყოფილა ერთი ძალზე მამაცი და ღონიერი ბიჭი და სახელიც შესაფერი ჰქმევია - გულადა. გულადა - ხნავდა, თესავდა და გლეხის კვალობაზე კარგადაც ცხოვრობდა“ [ხალხური ზღაპარი, 1976: 798].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ინდივიდუალური ეპითეტებით არის გადმოცემული ზღაპრის პერსონაჟების სახელები. მაგალითად ინგლისურ ზღაპრებში განსაზღვრული ინდივიდუალური ეპითეტებია „**Milky-white**“ – „რძეთეთრა“, „**Snow white**“ – „ფიფქია“.

„**Milky-white**“ - რძეთეთრა, ინგლისურ ზღაპრებში ძროხას ეძახდნენ, იმის გამო რომ ის ყოველ დილით ძალიან ბევრ რძეს იწველიდა, დედა-შვილს რძე ბაზარში მიჰქონდა, ჰყიდდა და ამით ირჩენდა თავს. „**Snow white**“ – ფიფქიას სახელიც ინდივიდუალური ეპითეტი და ის უკავშირდება სითეთრეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალ. ვესელოვსკი ეპითეტთა პირველ ტიპად გამოყოფდა ტავტოლოგიურ ეპითეტებს [Веселовский, 1940:76]. ჩვენ მიერ განხილულ

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში აღასანიშნავია შემდეგი სახის ტავტოლოგიური ეპითეტები: **Huge and monstrous** giant (Jack the giant killer)- უზარმაზარი და ვეებერთელა გოლიათი, **grim and ugly** giant (Jack the giant killer)- სასტიკი და საზარელი გოლიათი.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში კი გვხვდება: **ზარმაცი** და **მუქთამჭამელა** კაცი (ნაცარქექია), **დიდი** და **ძლიერი** ხელმწიფე ბრძანდებით (სამი სიბრძნე), **მჭამელი** და **ღორმუცელა** (უხეირო), **უქნარა** და **ზარმაცი** (უქნარა).

ეპითეტი ზღაპრის სიუჟეტში შექმნილი სიტუაციის მაღალი განწყობილების გადმოცემას ემსახურება და მეზღაპრე ხშირ შემთხვევაში ეპიკური თხრობითი მოკაზმისთვის იყენებს მას. ეპითეტი ხელს უწყობს ზღაპრის იდეურ-ესთეტიკური შინაარსის გამოხატვას, რადგან ზღაპრის ენას, როგორც ქართულში, ისე ინგლისურში, მსმენელ - მკითხველზე ზემოქმედების მოხდენის ფუნქციაც აკისრია.

§2. შედარების სახეები

შედარება გულისხმობს ამა თუ იმ გარკვეული ნიშან-თვისების, სიდიდე - სიძლიერის მთლიანად ან ნაწილობრივ შეტოლებას მეორე საგანთან. ეს მთქმელს ესაჭიროება აღწერილი საგნისა თუ მოვლენის მხატვრული დახასიათებისათვის [ლლონტი, 1966: 284].

შედარება ძალზე გავრცელებულია ენის ყველა ტიპსა და გამოცემის სახეში. უმრავლეს შემთხვევაში შედარება დასრულებულ ფრაზას (წინადადებას) წარმოადგენს [გვენცაძე, 1974: 51].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში პერსონაჟის დახასიათების დროს ეს იქნება ცხოველი, თუ ადამიანი, მთქმელი აშკარად მიმართავს შედარების ხერხს და ის ასე წარმოგვიდგენს ზღაპრებში.

„მამაჩემს ერთი ისეთი ბულა ჰყავდა, რომ შვიდ გორაზე ბუზებს კუდით იგერიებდა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 399].

გმირის არაჩვეულებრივობა ინგლისურ ხალხურ ზღაპარში, შეტოლების ნიშნით გამოიხატება. ეს განსაკუთრებულობა კი ზღაპარში დაბადებისთანავე იჩენს

ხოლმე თავს და იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამბავი სწორედ ამ 'სხვანაირ' ბავშვს შეეხება.
ცერის ოდენა - thumb შედარების საუკეთესო ნიმუშს გვაძლევს.:

„Accordingly, in a short time after, the ploughman's wife had a son, who, wonderful to relate! was not a bit bigger than his father's thumb“ <http://www.sacred-texts.com/neu/eng/eft/eft26.htm> „სულ მოკლე ხანში ქალს ბიჭი შეეძინა, ბავშვი არც მეტი, არც ნაკლები, მამის ცერის ოდენა თუ იქნებოდა“ [მათიკაშვილი, 1983: 73].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში შედარების ბუნებრივი თავისებურება ყველაზე ხშირად გვხვდება იმ დროს, როდესაც ზღაპრებში ლამაზი ქალი შედარებულია მზესთან, მზის თვალისმომჭრელ შუქთან და სხვა. მაგრამ ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში პერსონაჟი ქალები, პრინცესები და მზეთუნახავები არ არიან დახასიათებულნი შედარების ისეთი ფორმით, როგორც ამას ქართულ ხალხურ ზღაპრებში ვხვდებით. მაგალითი:

„აივანზე ერთი ოქროსთმიანი ქალი გადმოდგა. ეს იყო უმცროსი და, ისეთი ლამაზი იყო, რომ მზის შუქს აბნელებდა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 553].

„დიდებულო ხელმწიფევ, მართალია, დიდი და ძლიერი ხელმწიფე ბრძანდებით, მაგრამ თქვენ რომ მშვენიერი, სიტყვით უთქმელი, კალმით აუწერელი, ერთი სიტყვით, ფასდაუდებელი, მზისა და ხმელეთის დარი არსება გყავთ, უფრო ბედნიერი ბრძანდებით“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 387].

შედარება ქართულ ხალხურ ზღაპრებში ასევე ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საგანი შედარებულია განუსაზღვრელ რაოდენობასთან.

„იმ წელს მხვნელ-მთესველთა ამინდი დაიჭირა და ძმებს ისეთი ყანები მოუვიდათ, რომ თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა - ზღვასავით აღელდა და სულ მტკაველ-მტკაველი თავთავი დაიყარა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 685].

ქართული ზღაპრებისაგან განსხვავებით, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში საგნის განუსაზღვრელი რაოდენობა არ გამოიხატება შედარების ხერხებით.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში შედარების ხერხი კარგად ჩანს ზღაპრის პერსონაჟის დახასიათებისას ანდა მისი ფიზიკური აღწერილობის დროს. ქვემოთ მოყვანილი ზღაპრის ერთ-ერთ მაგალითში ვხვდებით ისეთ პასაჟებს, სადაც აღწერილია გოლიათის გარეგნული მხარე. კერძოდ, თვალეები შედარებულია აგიზგიზებულ ცეცხლთან, ლოყები შებოლილი ღორის ხორცის ნაჭრებთან,

ჯაგრიანი წვერი რკინის მავთულთან, ხოლო მის განიერ მხრებზე ჩამოშვებულ თმებს კი ჩხრიალა გველებთან.

„His goggle eyes were **like flames of fire**, his countenance grim and ugly, and **his cheeks like a couple of large flitches of bacon**, while the bristles of **his beard resembled rods of iron wire**, and the locks that hung down upon his brawny shoulders **were like curled snakes or hissing adders**“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

„გოლიათი გადმოკარკლული თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა, ლოყები ვაშლივით დაბრაწოდა, განიერ მხრებზე ჩამოშვებული თმები კი ჩხრიალა გველებს მიუგავდა“
[მათიკაშვილი, 1983: 29].

თარგმანში ვხვდებით არასწორად გადმოცემულ აზრს ანუ დედანთან მისი შედარებისას ირკვევა რომ თარგმანი აცდენილია დედანისეული ტექსტის შინაარსს, რაც გამოიხატება თარგმანში არასწორი ეკვივალენტების მისადაგებით. მაგალითად, ზღაპრის ტექსტში მოცემული ფრაზა „**his cheeks like a couple of large flitches of bacon**“ ნათარგმნი აქვს როგორც „**ლოყები ვაშლივით დაბრაწოდა**“, რაც არასწორია და არ შეესაბამება ტექსტში მის ადეკვატურ თარგმანს. რაც შეეხება შემდეგ ფრაზას - „**his beard resembled rods of iron wire**“ ამოღებული აქვს საერთოდ ტექსტიდან და არც აქვს ნათარგმნი.

„And soon he heard it coming, roaring and raging from afar off, and at last it came near, spitting fire, and with a tongue like a great spear“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/more-english/littlebullcalf.html> „ცოტა ხნის შემდეგ არემარე გამძვინვარებული გველშაპის ღრიალმა გააყრუა. ურჩხული იმ ადგილისაკენ მოდიოდა, სადაც მსხვერპლი ეგულეობდა, მალიმალ აჩენდა ნიჩბისოდენა ენას, ხახიდან ცეცხლს აფრქვევდა და შემზარავად ღრიალებდა“
[მათიკაშვილი, 1983: 54].

როგორც ვხედავთ, თარგმანში მთარგმნელს არ აქვს გადმოტანილი მხატვრული მეტყველების ეს თავისებური შედარების ხერხი. ის პირდაპირ გადმოგვცემს რომ პირიდან ყრიდა ცეცხლს და აჩენდა ნიჩბისოდენა ენას. დედანში კი, ენა შედარებულია სასროლ შუბთან, ანუ აჩენდა ენას როგორც სასროლი შუბი, რაც მთარგმნელს ამოღებული აქვს დედნიდან.

„The beanstalk grew up quite close past Jack’s window, so all he had to do was to open it and give a jump on to the beanstalk which ran up just **like a big ladder**“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

„იქვე სულ ახლოს, ფანჯარასთან, იმ მარცვლებიდან, დედამ რომ ბაღში გადაყარა, საოცარი მცენარე ამოსულიყო, ერთი ღამის განმავლობაში ტანი აეყარა, ისეთი მაღალი გაზრდილიყო, რომ თვალს ვერ აუწვდენდი, ღეროც უცნაურად დაგრეხოდა, გეგონებოდათ კიბის საფეხურებიაო“ [მათიკაშვილი, 1983: 11].

თარგმანში შეინიშნება მთარგმნელის მიერ დამატებული ასეთი ფრაზა „**თვალს ვერ აუწვდენდი**“, რომელიც არ დასტურდება დედანისეულ ტექსტში. აქ, ვფიქრობთ, მთარგმნელმა უფრო მეტი გამძაფრების მიზნით გამოიყენა ამ ადგილას ქართულ ხალხურ ზღაპრებში გავრცელებული ფრაზა და მისცა მას ემოციურ-ექსპრესიული დატვირთვა იმ მიზნით, რომ უკეთ წარმოეჩინა ზღაპარში თხრობა.

§3. მეტაფორა

მეტაფორა, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახეობა, რთულია, ვინაიდან მას ყოველთვის სიახლე შემოაქვს მხატვრულ აზროვნებაში. შეიძლება ითქვას, იგი ერთჯერადია, თუ იგი მეორდება და მრავალგზის გამოიყენება, ორიგინალობას კარგავს, თუმცა, პირველთქმულისა და პირველმთქმელის ასოციაციებს მუდამ ინარჩუნებს. არის მეტაფორათა რიგი, რომლებიც მთელ ნაწარმოებს გასდევენ და სხვადასხვა ვარიაციით მეორდებიან. ამგვარი მეტაფორა მსჭვალავს მთელ ნაწარმოებს და მის სიუჟეტს თავიდან ბოლომდე გასდევს, რითაც შემოქმედი თავის მიზანდასახულ სათქმელს თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ამბობს. როდესაც შემოქმედი ამგვარ გამჭოლ მეტაფორას იყენებს, უპირველესად როგორც პოეტური აზროვნების შედეგს, მას ღრმა მხატვრულ ფუნქციას აკისრებს [სულავა, 2002].

არისტოტელე განსაზღვრავდა ამ თვისებებს. ის წერდა: „მეტაფორა არის სახელის გადატანა ან გვარიდან სახეობაზე, ან სახეობიდან გვარზე, ან ერთი სახეობიდან მეორე სახეობაზე, ან ამის მსგავსად“ [არისტოტელე 1944: 45]. ის ასევე განმარტვავდა, რომ: „თუ სათქმელი შედგება მხოლოდ მეტაფორისაგან, იგი გამოცანაა“ [არისტოტელე 1944: 47].

ალ. ღლონტი აღნიშნავს, რომ „ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელია მეტაფორის სიჭარბე. მთელი ბუნება ხალხურ ეპოსში გაპიროვნებულია, ადამიანის ნიშანთვისებანი გადატანილია ბუნების მოვლენებზე,

ხოლო ბუნების ნიშანთვისებანი - ადამიანზე. ადამიანისა და ბუნების სხვა საგან-მოვლენათა სამყარო აქ გაურჩეველია [ლლონტი, 1966: 284].

ხალხური ზღაპრები მდიდარია მეტაფორული გამონათქვამებით. როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, ხშირია მეტაფორის ისეთი შემთხვევები, როდესაც ცხოველები ან ფრინველები ადამიანის ენით ლაპარაკობენ.

ქვრივის შვილმა ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ციდან უცბად მეხის გვრგვინვასავით ხმა გაისმა. შეხედა ქვრივის შვილმა და თავზარი დაეცა: უზარმაზარ თეთრ არწივს ფრთები გაეშალა, პირდაღებული დედამიწისაკენ მოჰქროდა და მთელ მთა-ბარს აბნელებდა. მოვიდა ახლოს და მონადირეს შეუტია: - ჩემი შიშით აქ ლომსა და ვეფხვს ვერ გაუვლია და შენ როგორ გაბედე, რომ მთელი ნახირი შემოგირეკაო?! [ხალხური ზღაპრები, 1976: 566].

ხელმწიფის შვილმა უამბო ირემს თავისი გასაჭირი და სთხოვა, შენი რქებით მზესთან ამიყვანო. აგიყვანო, უთხრა ირემმა, ოღონდ იმ პირობით, თუ ჩემი გასაჭირის წამალს შემიტყობო. ხელმწიფის შვილი შეჰპირდა და ირემმაც ნება დართო. აცოცდა ხელმწიფის შვილი ირმის რქებზე და გადავიდა მზის ქვეყანაში. იარა კიდევ კარგა ხანს და მიადგა ერთ ალმასის კოშკს. ეს სწორედ მზის სახლი იყო, მაგრამ მზე იმ დროს ქვეყანაზე სამოგზაუროდ იყო წასული და შინ მარტო მზის დედა დახვდა [ხალხური ზღაპრები, 1976: 466].

„Aye, they travelled, and on they travelled, till the lady grew faint with hunger. 'Eat out of my right ear,' says the Black Bull, 'and drink out of my left ear, and set by your leaving.' So she did as he said, and was wonderfully refreshed. And long they rode, and hard they rode, till they came in sight of a very big and bonny castle. 'Yonder we must be this night,' quoth the Bull; 'for my elder brother lives yonder'; and presently they were at the place“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

„დიდხანს იარეს, ბოლოს ქალი შიმშილმა ძალიან შეაწუხა, მაშინ ხარმა უთხრა: - საჭმელი მარჯვენა ყურში მაქვს, სასმელი მარცხენაში, თუ არა გჯერა, თვითონ ნახეო, - ქალი ასეც მოიქცა და კარგად დანაყრდა. ხარი კვლავ გზას გაუდგა. მიდის ხარი და მიჰყავს ქალი. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ მაღალ ლამაზ კოშკს მიადგნენ. - ამაღამ აქ უნდა გავჩერდეთ, ამ კოშკში ჩემი უფროსი ძმა ცხოვრობსო, - უთხრა ხარმა ქალს და ძირს ჩამოსვა“ [მათიკაშვილი, 1983: 47].

„The prince, poor fellow, climbed up a tree, frightened of him, but the bear told him to come down, that it was no use of him to stop here. With hard persuasion poor Jack comes down, and the bear speaks to him and bids him: 'Come here to me; I will not do you any harm. It's better for you to come with me and have some refreshments; I know that you are hungry all this time“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html> „საწყალ ჯეკს შიშისაგან თვალთ დაუბნელდა და ისღა მოახერხა, რომ ხეზე აცოცდა, მაგრამ დათვმა ადამიანის ხმით უთხრა: - ძირს ჩამოდი, მანდ რა დაგჩენიაო. უფლისწული მეტისმეტად განცვიფრდა, მხეცი ადამიანის ენით როგორ მელაპარაკებო, ჩამოსვლით კი მაინც არ ჩამოვიდა. მაშინ დათვი დიდხანს ემუდარა, ჩამოდიო და როგორც იქნა, დაარწმუნა ჯეკი, რომ არაფერს ავნებდა. ისიც ჩამოხტა ხიდან“ [მათიკაშვილი, 1983: 119].

მეტაფორა აძლიერებს ენის დასრულებული ფაქტის აზრს, ამკობს ენას და ამავე დროს გამოხატავს მთქმელის თვალსაზრისსაც საგნებსა და მოვლენებზე. ამიტომ მეტაფორა ენის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა ყოველთვის [გვენცაძე, 1974: 45].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში მეტაფორას ძირითადად ვხვდებით ასეთ ფრაზებში: „კლდე წამში იღება და იხურება“, „მთა-ბარი სმენად იქცა“, „წყარონი გაჩერდნენ“, „სიმღერამ ქვის ყრუ კედელს სიცოცხლე მიანიჭა“ და სხვა მრავალი მსგავსი ფრაზა.

„ის მგალობელი იადონი და ბულბული ერთ მიუვალ კლდეში სხედან, ის კლდე წამში იღება და იხურება, იქ შეფრენა და უკან გამოფრენა მხოლოდ ჩვენს უფროს დას შეუძლია“ [ხალხური ზღაპარი, 1976: 566].

„უცებ იმ ხის ტოტზე, რომლის ჩრდილშიც ისხდნენ, ერთი უცნაური, ჭრელი ჩიტი ჩამოჯდა და ისეთ საამო ხმაზე აჭიკჭიკდა, რომ ქვაც კი მოიხიბლებოდა“ [ხალხური ზღაპარი, 1976: 389].

სიმღერის ხმაზე მთელი მთა - ბარი სმენად იქცა, ხეებმა ფოთლის შარიშური შეწყვიტეს და ტოტები დაბლა დახარეს, ტყიდან მხეცნი გამოვიდნენ, ციდან - ფრინველნი, წყარონი გაჩერდნენ და ყველა სიმღერის ჯადოსნური ჰანგით ტკბებოდა. სიმღერამ ბოლოს ქვის ყრუ კედელსაც სიცოცხლე მიანიჭა, - ერთ ადგილას თავისით გადაიხსნა და მეჩონგურეს უკვდავების ვაშლისაკენ გზა მისცა [ხალხური ზღაპარი, 1976: 396].

ამ მაგალითებში თითოეული წინადადება წარმოადგენს მეტაფორის ნიმუშს, რადგან მოვლენის ერთი თვისება გადატანილია მეორეზე. მაგრამ ამავედროულად მოცემულ მაგალითებში გაპიროვნების ტროპული მეტყველებაცაა, იმიტომ რომ უსულო საგნებზე ხდება ადამიანური თვისებების გადატანა, რის შედეგადაც ხალხურ ზღაპრებში ბუნებას აღვიქვამთ, როგორც ცოცხალ არსებას.

§4. გამეორება

ხალხური ზღაპრების ენობრივ-სტილისტიკური გამომსახველობის საშუალებათა შესწავლისას ჩვენი ყურადღება მიიქცია მხატვრულმა გამეორებამ. გამეორება ხალხური ენის ემოციურობის ერთ-ერთი მაცოცხლებელი ელემენტია [ლლონტი, 1966: 281]. მას ხალხურ ეპოსში ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. მთქმელი მას მიმართავს შთაბეჭდილების გამმაფრების მიზნით, რთული ფსიქოლოგიური პასაჟების გადმოსაცემად. გამეორება ამიტომ ეპოსში ფიგურაა, შექმნილი ფსიქოლოგიურ-ემოციური კოლიზიის გადმოსაცემად. გამეორებას მთქმელი მიმართავს არა ყოველგვარ შემთხვევაში, არამედ მაშინ, როცა პესონაჟის მოქმედების დეფინიცია მსმენელის ყურადღების დაძაბვას მოითხოვს. ხალხური ეპოსი მხატვრული გამეორების ბრწყინვალე ნიმუშებს გვაძლევს [ლლონტი, 1966: 282].

მხატვრული გამეორების ყველაზე საინტერესო ობიექტს წარმოადგენს ქართული ზღაპრისათვის დამახასიათებელი ისეთი ფორმულა როგორცაა: „იარა, იარა“, „ბევრი იარა, თუ ცოტა იარა!“ ამ ფორმულაში გამეორებულია ზმნა იარა. აღნიშნული სტრუქტურის უცვლელი გამეორება ზღაპრებში მეტყველებს განსაკუთრებულ დანიშნულებაზე. როგორც ლლონტი განმარტავს „ეს მთქმელს სჭირდება შორს გამგზავრებული გმირის მძიმე თავგადასავლის გადმოსაცემად“ [ლლონტი, 1966: 282].

რაც შეეხება ინგლისურ ხალხურ ზღაპრებს აქ მეორდება სვლა ზმნასთან დაკავშირებული ისეთი ზმნები როგორცაა: travel - წასვლა, გამგზავრება, climb - ასვლა, აძრომა; ride - მგზავრობა, walk - სვლა, სიარული (ფეხით).

„Aye, they **travelled**, and on they **travelled**, till the lady grew faint with hunger“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

„დიდხანს იარეს, ბოლოს ქალი შიმშილმა ძალიან შეაწუხა“ [მათიკაშვილი, 1983:46].

„And long they **rode**, and hard they **rode**, till they came in sight of a very big and bonnycastle“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

„ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ მარალ ლამაზ კომკს მიადგნენ“ [მათიკაშვილი, 1983:46].

„The beanstalk grew up quite close past Jack’s window, so all he had to do was to open it and give a jump on to the beanstalk which ran up just like a big ladder. So Jack **climbed**, and he **climbed** and he **climbed** and he **climbed** and he **climbed** and he **climbed** and he **climbed** till at last he reached the sky“ <http://www.authorama.com/english-fairy-tales-15.html>

„ჯეკს ბევრი არ უფიქრია ფანჯარა გამოაღო, ღეროზე გადაცოცდა და ზევით ასვლას შეუდგა. ავიდა ჯეკი, ავიდა, ასე იარა მანამ სანამ ცას არ მიაღწია“ [მათიკაშვილი, 1983: 11].

„So he **walked along** and he **walked along** and he **walked along** till he came to a great big tall house“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

„ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ უზარმაზარ სახლს მიადგა“ [მათიკაშვილი, 1983: 11].

გამეორება, როგორც ქართული ისე ინგლისური ხალხური ზღაპრებისათვის, დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებაა. მოქმედების გამეორება ზღაპრებში იწვევს ემოციურ-ფსიქოლოგიურ კოლიზიას.

§5. ჰიპერბოლა

ხალხური ზღაპრებისათვის ასევე დამახასიათებელია ტროპის ისეთი სახე როგორცაა ჰიპერბოლა ანუ გაზვიადება.

ჰიპერბოლა გაზვიადებაა, სადაც მთქმელის სუბიექტური განწყობის რაიმე მომენტი იჩენს თავს. ამ თვალსაზრისით ჰიპერბოლიზაცია სტილიზაციის საშუალებად უნდა იქნეს ცნობილი. როცა ჰიპერბოლასთან გვაქვს საქმე, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ რა საშუალებაა გაზვიადებულად წარმოდგენილი საწყისთან შეფარდების საზომით [გვენცაძე, 1974: 60, 61]. ჰიპერბოლა მიაჩნიათ ტროპის ერთ-ერთ სახედ. ჰიპერბოლა არაა მხოლოდ ენის (მეტყველების) საკუთრება. ჰიპერბოლური შეიძლება იყოს სურათის აღწერა, ეპიზოდი, და თვით ენის საშუალებებიც; მაგალითად ჰიპერბოლური შეიძლება იყოს მეტაფორა, შედარება, პერიფრაზი და სხვა [ჯიბლაძე, 1966: 264].

როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, ჰიპერბოლური მეტაფორის მაგალითები საკმაოდ დასტურდება.

„So Jack climbed, and he climbed and he climbed and he climbed and he climbed and he climbed and he climbed till at last he reached the sky“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

„ავიდა ჯეკი, ავიდა, ასე იარა მანამ, სანამ ცას არ მიაღწია“ [მათიკაშვილი, 1983:11].

„Ah! you don't know what these beans are,' said the man; 'if you plant them overnight, by morning they grow right up to the sky“ <http://www.authorama.com/english-fairy-tales-15.html>

„ყური მიგდე, ჩვეულებრივი მარცვლები არ გეგონოს, - უთხრა კაცმა, - თუ შებინდებისას მიწაში ჩაფლავ, დილამდე იმ სიმაღლე გაიზრდება, წვერს ცას მიაბჯენენ“ [მათიკაშვილი, 1983: 10].

„ოღონდ ეს ბავშვი მომირჩინე და რას იტყვი, რომ არ მოგცე, ქვას ქვაზე დავადნობ და ჩემს სიტყვას არ გავტეხო“ [ხალხური ზღაპარი, 1976: 280].

ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ჰიპერბოლური მეტაფორის გვერდით იმეზნება ჰიპერბოლური შედარების მაგალითებიც.

„ისეთი ღონე მაქვს, დედამიწას რომ ხელი მოვავლო, ზეცას შევტყორცნი და ნაცარ-მტვრად ვაქცევო“ [ხალხური ზღაპარი, 1976: 234].

„იმავე წამს ერთი უშველებელი ფასკუნჯი მოფრინდა, ისეთი დიდი იყო, რომ მისი ფრთების ჩრდილი ნახევარ ზღვას ფარავდა, ჩასჭიდა კლანჭები ხარს და ჰაერში აიტაცა“ [ხალხური ზღაპარი, 1976: 347].

„შევიდა უცნობი მხედარი გამოქვაბულში და ერთი ისეთი დაიკვილა, რომ კლდესაც კი ზანზარი დააწყებინა“ [ხალხური ზღაპარი, 1976: 368].

„Well, the ogre had his breakfast, and after that he goes to a big chest and takes out a couple of bags of gold, and down he sits and counts till at last his head began to nod and he began to snore till the whole house shook again“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

„დანაყრდა თუ არა დევი, ერთ დიდ სკივრთან მივიდა, იქიდან ოქროთი სავსე ორი ჩანთა ამოიღო და ოქროების თვლას შეუდგა. სულ მალე ჩაემინა კიდეც. ჯერ თავის კანტურს მოჰყვა; მერე კი ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ სახლმა ზანზარი დაიწყო“ [მათიკაშვილი, 1983: 13].

ჰიპერბოლური შედარება ხშირ შემთხვევაში შემდეგი სიტყვებით გვხვდება ზღაპრებში: „ქვეყანაზე მეორე არ მოიძებნებოდა“, „იმისი ბადალი ქვეყნად მეორე არ მოინახება“, ინგლისურში - „that ever was seen“ – „ქვეყნად არ მოიძებნებოდეს“.

„იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი, ისეთი გულადი და თვალ-ტანადი, რომ იმისთანა ვაჟკაცი ქვეყანაზე მეორე არ მოიძებნებოდა“ [ხალხური ზღაპარი, 1976: 401].

„ერთ კვირაში მართლაც ისეთი ციხე- სიმაგრე აუშენეს, რომ იმისი ბადალი ქვეყნად მეორე არ მოინახებოდა“ [ხალხური ზღაპარი, 1976: 410].

„Not long after, Jack's father told him he must come with him and build the finest castle that ever was seen, for a king who wished to outdo all others by his wonderful castle“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/gobborn.html> „ჩვენ მეფეს სურს, რომ ფუფუნებით ყველას გადააჭარბოს და ახალი სასახლის აშენება გადაუწყვეტია. უნდა წავიდეთ მასთან და ისეთი ციხე-დარბაზი ავუშენოთ, რომლის სადარი ქვეყნად არ მოიძებნებოდეს“ [მათიკაშვილი, 1983: 105].

„გავიდა ხანი. შეშა-ქალა გაიზარდა და ისეთი ქალი დადგა, რომ იმისი ბადალი ქვეყნად არავინ მოინახებოდა შავ - თვალწარბა, მთვარესავით ანათებდა, მზის სითბო ჰქონდა, და ნიავივით მსუბუქად მიმოქროდა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 406].

ჰიპერბოლური შედარების ასეთი სახის მაგალითები ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში იშვიათად, თუმცა მაინც იჩენს ხოლმე თავს, როგორც ტროპული მეტყველების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება.

ჰიპერბოლა განსაკუთრებით მხატვრულ სახეს აძლიერებს და ხატოვნად შეუძლებელს შესაძლებლად მოგვაჩვენებს [გვენცაძე, 1974: 61]

ხალხურ ზღაპრებში „საოცრებათა ქვეყანა“, „ჯადოსნური სამყარო“, „შორეული ქვეყანა“, „ჯადოსნური ქვეყანა“ შესაძლებელია ჰიპერბოლურ ვარანტად ჩაითვალოს, იმის გამო რომ მთქმელი, რომელიც ზღაპრებს ზეპირად მოგვითხრობს აქ აღწერილ ადგილს ტერიტორიას გაზვიადებულად წარმოგვიდგენს. ის საოცრებათა სამყაროში გულისხმობს სასწაულებრივ ამბებს ანდა უცნაურ თავგადასავლებს. ზღაპრებში ქვეყანა ყოველთვის დაკონკრეტებულად არის წარმოდგენილი, რომ ზოგჯერ საოცრებაა ცხოვრება, სხვაგან ჯადოსნურია, და ა. შ.

ჰიპერბოლის ფუნქცია ზღაპრებში ძირითადად გამოიხატება მოვლენების მკაფიო აღწერა წარმოდგენაში. ჰიპერბოლის ფუნქციაა გამოავლინოს ზღაპრებში ამბის შინაარსი თვალსაჩინოდ. მაგალითად:

„წისქვილის პატრონი უშვილო იყო, გამოვიდა, ნახა ბავშვი და სიხარულით ცას ეწია“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 430].

„ხალხმა გაიგო ხარბი ხელმწიფის სიკვდილი და სიხარულით ცას ეწია, მთელი ქალაქი სასახლის ეზოში შეიკრიბა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 345].

მოცემული მაგალითებიდან ჩანს ხალხისა და წისქვილის პატრონის მძაფრი ემოციები, რომელიც ზღაპრებში ჰიპერბოლური ფორმითაა ნაჩვენები. მსგავსი ჰიპერბოლის ნიმუშები გვხვდება ინგლისურ ზღაპრებში, სადაც პერსონაჟების შინაგანი ემოცია ოდნავ განსხვავებული სიტყვებით გვხვდება.

„She could have jumped out her skin for joy, but she didn't say a word“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/tomtittot.html>

Jump out of one's skin – სიხარულისგან ფეხზე არ დგას ეფექტი იმდენად მკვეთრი და ძლიერია რომ იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ რეალურად შეუძლებელი თითქოს შესაძლებელია ზღაპრებში.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში პერსონაჟის აღწერის დროს მისი სიძლიერე ჰიპერბოლური ფორმით გვხვდება.

„I have an uncle lives within two miles of this place; he is a huge and monstrous giant with three heads; he'll fight five hundred men in armour, and make them to fly before him“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

„აქვე, ორი მილის მოშორებით ბიძაჩემი, უზარმაზარი სამთავიანი გოლიათი ცხოვრობს, იმასთან მივალთ, იცი რა ღონიერია, თუ დასჭირდა ხუთას კაცს ერთად შეებრძოლება და სულ კუდიტ ქვას ასროლინებს“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 24].

ქართული ხალხური ზღაპრის დასასრული უმეტეს შემთხვევაში ჰიპერბოლური სახით არის წარმოდგენილი. „მთას ურემი ავიტანე, წამოვიდა გორებითა, აქ სიცოცხლით გამიძეხით. საიქიოს -ცხონებითა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 459]. „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდება“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 684].

§6. სიმბოლო

ზღაპარი, განსაკუთრებით კი ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპარი, პირველ ყოვლისა ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლის, მხატვრული მატიანეა. როგორც ქართულ ხალხურ ზღაპარში, ისევე ინგლისურში, ბოროტებას ბევრი სახელი ჰქვია. თუმცა, ჩვენ რამდენიმე მათგანი შევარჩიეთ და ვცადეთ მათი სემანტიკის ჩვენეული ანალიზი.

ენას გამომსახველობის უამრავი შესაძლებლობა გააჩნია, რომელთა შორისაა სიმბოლო. სიმბოლო მიჩნეულია ტროპის ერთ-ერთ სახედ. სიმბოლოში ჭარბობს

მეტაფორიზაციის ნიშნები. სიმბოლოში მჭიდროდაა შერწყმული საგანი და სიტყვა, ამიტომ ცალკე შეიძლება განხილულ იქნეს საგანთა სიმბოლიკა, როგორც მხატვრული სახის გამოვლინება. ერთგვარად თავისებურია სიტყვის ან გამოთქმის სიმბოლოდ გამოყენება, სიტყვა სიმბოლო უფრო მეტაფორაა; ის რაიმე სინონიმს წარმოადგენს, მაგრამ უფრო განზოგადებულია და ნიშანდობლივი.

სიმბოლოს ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სტილისტიკურ საშუალებას, როგორც სიტყვით, ასევე გამოთქმით გამოხატულს. ამრიგად, შესაძლებელია გაგვეჩივროს ერთმანეთისაგან საგანთა სიმბოლიკა და სიტყვა ან გამოთქმა, როგორც სტილისტიკური საშუალებები (როგორც ენის საშუალებები) [გვენცაძე, 1974: 48].

§6.1. ბოროტების სიმბოლიკა

ქართულ ხალხურ ზღაპრებში, სხვა ბოროტებათა შორის ერთ–ერთი აქტიური და გამორჩეულია სიმბოლო, რომელიც, როგორც ჩანს, ხალხურ ეპოსში ადრევე შემოვიდა და დამკვიდრდა. ჩანს ისიც, რომ იაკობ ხუცესის „შუმანიკის წამების“ დაწერამდე დიდი ხნით ადრე ხალხის აზროვნებაში იგი უკვე დამკვიდრებულია, როგორც ბოროტების დანაშაულის სიმბოლო. ამის თქმის საფუძველს თვითონ „შუმანიკის წამება“ იძლევა: „მამამან შენმან წმინდანი შემოიხუნა სახიოდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნე“ [ძვ. ქართ. ლიტ–რის ქრესტომათია, 1947: 36].

დევი ქართულ ზღაპარში ხშირად მრავალთავიანია: მისი **სამი, ცხრა**, თუ **ასთავიანობა** ბოროტების სიმბოლოდ მიუთითებს. ყველა შემთხვევაში ზღაპრებში წარმოდგენილი დევი ადამიანის მოდგმის მტერია. ზოგიერთ ზღაპარში მისი სახელი „**ბაყბაყ დევი**“ (ზღაპარი ამირანი). ალ. ლლონტის დაკვირვებით, „**ბაყბაყ დევი**“ არის საკუთარი სახელი [ლლონტი, 1974: 17].

ჩვენი აზრით კი, იგი უფრო ეპითეტია და უნდა აღნიშნავდეს: სხვებისგან განსხვავებულს, უფრო ძლიერს, სახელგანთქმულს, დაუმოჩილებელს და ა.შ. თუმცა ალ. ლლონტი იქვე დასძენს, რომ ზღაპარში ეპითეტებად გაგებული სახელები საკუთარ სახელებად უნდა მივიჩნიოთ [ლლონტი, 1974: 17].

კვლევამ დაადასტურა, რომ დევი ისეთი მხატვრული სახეა, რომელსაც ადვილად შეუძლია ამბავს უფრო მეტი ხალხური ელფერი მისცეს, თვითონ ამბავი ან მისი ელემენტი, ადვილად აქციოს ზღაპრად. სახელის დარქმევა კი მისთვის აშკარად გამოკვეთავს მის უპირატესობას. „ბაყბაყიც“ სწორედ სხვებისგან გამორჩეულობაზე, განსხვავებულობაზე უნდა მიუთითებდეს. იგი არა მარტო ბოროტების უპირატესობას უსვამს ხაზს, არამედ მოწინააღმდეგის პიროვნულ შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს.

ზღაპარში „ამირანი“ წარმოდგენილი ბაყბაყდევი ათთავიანი იყო და ათივე თავიდან ბოროტება მოედინებოდა. გავიხსენოთ, რომ მოკლული ბაყბაყის თავიდან ამოსული ჭიები გველემშაპად (ასევე ბოროტ არსებად) იქცნენ. ცხადია, ბოროტება მხოლოდ ბოროტებას შობს და ამით ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ თუ ბოროტება ბოლომდე არ განადგურდა, ბოლომდე არა ამოიძირკვა, იგი უთუოდ სხვა ახალი ბოროტების დედაა. ზღაპარში ვკითხულობთ: „ცხრა მთა გადავლილი ძმები–ამირანი, ბადრი, და უსუპი ალგეთში ერთ კოშკს მიადგნენ. ცხრა დღე და ღამე უარეს გარს. მერე ამირანმა წიხლი მისცხო, იქ შეიბა კარი მისი“. შიგ დასვენებულ ცამ–ცუმის ცხედარს „თითებს შუა წიგნი ჰქონდა“, სადაც ბაყბაყის შესახებ ეწერა:

„ვინც ჩემ ბაყბაყს მომაშორებს,
ჩემი რაში ალაღ მისი
ვინც ჩემ ბაყბაყს მომაშორებს
ჩემი კოშკიც ალაღ მისი.
ვინც ჩემ ბაყბაყს მომაშორებს
ცოლიც, ოქროც, ალაღ მისი“ [დლონტი, 1974: 400].

აქ წარმოდგენილ ტექსტშიც ბაყბაყი დაუძინებელი მტრის, ბოროტების სიმბოლოა, არა მხოლოდ კერძო პიროვნებისათვის, არამედ ყველასათვის, ამიტომ იგი უთუოდ უნდა მოისპოს.

ქართულ ხალხურ ზღაპარში, დევი, რომ ბოროტებაა იქიდანაც ჩანს, რომ იგი კაციჭამიაა, ადამიანის ხორცი მისთვის ჩვეულებრივი საკვებია. ხალხურ ზღაპრებში ამის მრავალი მაგალითები გვხვდება:

„მოვა დევი, დაუვლის თავის ქალებს, ვაჟები ჰგონია, დააჭრის თავებსა და დაჰყრის“. ხორცი ხუთკუნჭულამ შემოუდგა დევს მოსახარშად, თვითონ კი ხიდს გავიდა“. დევს, რომ მოშივდა, ქვაბს მივარდა, ამოურია და ნახა, რომ შიგ ქალის ხორცი ეყარა“ [ხალხური სიტყვიერება, 1972: 149].

შემდეგ ამავე ზღაპარში ვკითხულობთ: „კიდობანს ახადეს თუ არა, ამოვარდა გაგიჟებული დევი, დაერია ხალხს და ყველა ერთად კი მოაქცია თავის შავ მუცელში. რაკი ყველა მიყლაპ–მოყლაპა, დევმა ხუთკუნჭულას დაუწყო ძებნა“ [ხალხური სიტყვიერება, 1972: 152].

ინგლისურ ზღაპარში, ქართული ხალხური ზღაპრის მსგავსად, გამოგონილ ბოროტ პერსონაჟთა შორის, გამორჩეული სახეა „ogre“ – „დევი“, რომელსაც ადამიანის ყველა თვისება გააჩნია, შესახედავადც ადამიანის მსგავსია. მას ვეებერთელა, საშინელი გარეგნობა აქვს.

ქართული ხალხური ზღაპრის მსგავსად, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებშიც დევს მხრებზე ორი, ცხრა, და ზოგჯერ თორმეტი თავი აბია. ტანი ბალნით აქვს დაფარული. უშველებელი პირი დიდი ეშვებით აქვს შეიარაღებული. ფიზიკურად ძლიერია, გონებით ბრიყვი, ხოლო ბუნებით ბოროტი და უხეშია. ადამიანების მსგავსად, ჰყავს ოჯახი, აქვს სახლი და სამფლობელო. ცხოვრობს კაცთაგან მიუფარებ გარემოში და ფლობს აურაცხელ სიმდიდრესა თუ ძვირფასეულობას. იგი სიკეთის მტერია და ადამიანთა მოდგმას ებრძვის.

განსხვავება ისაა, რომ ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში არ დასტურდება ქართულ ზღაპრებში გავრცელებული დევის საკუთარი სახელი „ბაყბაყი“. დევი, ინგლისურ ზღაპრებშიც, კაციჰამიაა. მაგალითად:

„Ah, what’s this I smell?
Fee-fe-fo-fum,
I smell the blood of an Englishman,
Be he alive, or be he dead
I’ll grind his bones to make me bread!“

“Go away, my boy,” said the big tall woman “or else my man will eat you up for breakfast”
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

“- ოჰო, მგონი, აქ ვიღაც უნდა იყოს, - მიათვალ–მოათვალიერა დევმა ოთახი.

„ესო–მესო, ესო–მესო
ინგლისელის სუნი მცემსო,
თუ დაგიჭირე, შეგახრამუნებ
პირსაც გამოზე ჩავიტკბარუნებ“

წადი აქედან, უთხრა დევის ცოლმა, თორემ ჩემი ქმარი მოვა და თავად გახდები მისი საუზმე“ [მათიკაშვილი, 1983:12].

დევის პერსონაჟი, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშან–თვისებებით, განზოგადებული სიმბოლური სახეა სოციალური ბოროტებისა. დევი და დევობა კაცობრიობას ყოველთვის თან სდევდა,

როგორც ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე ჩახერგილი წინააღმდეგობა. ადამიანმა იგი საკუთარი თავისი მსგავსი შექმნა, მაგრამ იმ თავისებურებით, რომ ადამიანთა მოდგმის ყველა ნაკლი, ყველაფერი არაადამიანური დევში გააერთიანა. ამიტომ არის, რომ პატიოსნების, სიკეთისა და ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე ყოველთვის დევი დგას და ადამიანთა სანუკვარი მიზნების ასრულებას წინ ეღობება.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, ზოგჯერ დევთან ერთად მისი ცოლი, დევ–დედაბერი - „**ogre's wife**“ გვხვდება, რომელიც არც ისე უგულო ქალია და დევისგან განსხვავებით ძალიან ჰუმანურია.

„Well, the **ogre's wife** was not half so bad after all. So she took Jack into the kitchen, and gave him a hunk of bread and cheese and a jug of milk“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html> „დევის ცოლი არც ისე უგულო ქალი იყო, ბიჭი შეეცოდა, შინ შეიყვანა და პური, ყველი და თბილი რძით გაუმასპინძლდა“ [მათიკაშვილი, 1983: 12].

დევის ცოლის გამოჩენა თითქმის ყოველთვის ერთ გარემოში ხდება. დევის სამყოფელოში მოხვედრილ ჯეკს შინ მხოლოდ დევ–დედაბერი ხვდება. უმასპინძლდება ჯეკს და მოულოდნელად, ნადირობიდან დაბრუნებულ დევს ბიჭის არსებობას უმაღლავს.

„So the ogre went off, and Jack was just going to jump out of the oven and run off when the woman told him not. "Wait till he's asleep," says she; "he always has a snooze after breakfast. Well, the ogre had his breakfast, and after that he goes to a big chest and takes out of it a couple of bags of gold and sits down counting them till at last his head began to nod and he began to snore till the whole house shook again“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html> „დევი რომ გარეთ გაიგულა, ჯეკმა ლუმელიდან გამოსვლა დააპირა, სწორედ, კარგი დროა, გავიქცევი და თავს ვუშველიო, გაიფიქრა მაგრამ ქალმა შეაჩერა. - დაიცადე, სანამ დევი დაიძინებდეს, ჭამის მერე ყოველთვის ჩასთვლემს ხოლმე“ [მათიკაშვილი, 1983:17].

ინგლისურ ხალხურ ზღაპარში, დევის მსგავსად, ადამიანის მოდგმის მტერია - “ორთავიანი და ზოგჯერ მრავალთავიანი „**გოლიათი**“ – „**Giant**“. მათი პერსონალური მსგავსება ამ მხრივ ისე დიდია, რომ ვარიანტებში ერთიმეორეს ცვლიან. „უღმობელი და მძვინვარე გოლიათი“, რომელიც ძირითადად ზღაპრებში ასეა მოხსენიებული, გარეგნობით დევის მსგავსია, ოღონდ სიმძალით უფრო დიდია. იგი თვრამეტ ფუტსა და სიგანით სამ იარდს აღწევს. საინტერესოა, რომ გოლიათი სხვადასხვა ნიუნსებით

გვხვდება ინგლისურ ზღაპრებში. იგი ხან მეფესავით სრასასახლეებისა და სამფლობელოების პატრონი და მბრძანებელია, ხან სხვადასხვა მთას არის დაპატრონებული, და ხანაც რიგითი მეჯოგეა და ღამეს ველზე ატარებს მწყემსების მსგავსად. ზოგ შემთხვევაში იგი გამოქვაბულში ცხოვრობს, სადაც შიმის ზარს სცემს ყველა სულიერს. „In those days the Mount of Cornwall was kept by a huge giant named Cormoran. He was eighteen feet in height and about three yards round the waist; of a fierce and grim countenance, the terror of all the neighbouring towns and villages” <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html> “სწორედ იმ ხანად, კორნუელის მთას ბოროტი გოლიათი დაეპატრონა. ულმობელი და მძვინვარე გოლიათი, რომელიც სიმაღლით თვრამეტ ფუტს და სიგანით სამ იარდს აღწევდა, დიდ გამოქვაბულში დასახლდა და შიმის ზარს სცემდა ყველა სულიერს“ [მათიკაშვილი, 1983: 18].

ხშირია შემთხვევა, როდესაც გოლიათი მზეთუნახავებს, ჩვეულებრივ, კეთილშობილურ ხალხს იტაცებს და ოთახში ამწყვდევს. თვალთმაქცობითა და შელოცვით ადამიანებს კომკში იტყუებს და ცხოველებად აქცევს. მაგრამ ამ დროს, ზღაპარში ყოველთვის ჩნდება მოტაცებული ასულების ქომაგი და უშიშარი ე.წ. „გოლიათთა მძლეველი ჭაბუკი, სახელად ჯეკი“. იგი გოლიათს სასტიკად უსწორდება და ამარცხებს, ამით იხსნის მზეთუნახავებსა და სოფელს განსაცდელისაგან.

ინგლისურ ზღაპარში ძალზე ხშირად გოლიათი საკუთარი სახელებით გვხვდება: giant, named „Galligantua“, „Cucullin“, „Cormoran“, „Blunderbore“ - „გრძნეული გოლიათი „გალიგანტუსი“, „კუკულინი“, „კორმორანი“ და „ბლანდერბორი“ „On the top of the mountain is an enchanted castle; this is kept by a giant named Galligantua“ <http://www.authorama.com/english-fairy-tales-21.html> „ამ მაღალი მთის წვერზე მოჯადოებული ციხე-კოშკი დგას, მისი პატრონი, გრძნეული გოლიათი გალიგანტუსი“ [მათიკაშვილი, 1983: 33].

„There was at that time another giant, named **Cucullin**“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/celtic/legendknockmany.html>

„იყო იმ დროს კიდევ ერთი გოლიათი, სახელად კუკულინი“.

„In those days the Mount of Cornwall was kept by a huge giant named **Cormoran**“ <http://www.authorama.com/english-fairy-tales-21.html> „სწორედ იმ ხანად, კორნუელის მთას ბოროტი გოლიათი დაეპატრონა. ულმობელი და მძვინვარე გოლიათი, რომელიც სიმაღლით

თვრამეტ ფუტს და სიგანით სამ იარდს აღწევდა, დიდ გამოქვაბულში დასახლდა და შიშის ზარს სცემდა ყველა სულიერს“ [მათიკაშილი, 1983:18].

„The news of Jack’s victory soon spread over all the West of England, so that another giant, named **Blunderbore**, hearing of it, him“ <http://www.authorama.com/english-fairy-tales-21.html>

„ჯეკის გამარჯვების ამბავი უმალ მოედო ქვეყანას და გოლიათ ბლანდერბორის ყურამდეც მიაღწია“ [მათიკაშილი, 1983: 19].

გოლიათი, დევის მსგავსად კაციჭამიაა. მასაც ისევე უყვარს ადამიანის ხორცი, როგორც დევის. ეს კარგად ჩანს ზღაპრის ერთ – ერთ მაგალითში:

„We are kept here, said one, till such time as the giants have a wish to feast, and then the fattest among us is slaughtered! And many are the times they have dined upon murdered men!“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.htm> „განა არ იცი? მანამდე უნდა ვიყოთ აქ, სანამ გოლიათები ქეიფის ხასიათზე არ დადგებიან. მაშინ კი ჩვენგან ყველაზე უფრო მსუქნებს აარჩევენ. ვინ იცის რამდენჯერ ჩაუკოვლოზინებიათ პირი ადამიანის ხორცი“ [მათიკაშილი, 1983: 30].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში არ დადასტურდა ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გავრცელებული ბოროტების სიმბოლო - გოლიათი. მაგრამ, ინგლისური ზღაპრებისაგან გასხვავებით, ქართულ ხალხურ ზღაპრებში დევის ანალოგიური ბოროტების სიმბოლოა - „ქაჯი“. იგი დევთან ერთად, იმდენად ფართო მოცულობის მხატვრული სახეა, რომ თვით შ. რუსთაველმაც ვერ აუარა გვერდი.

სულხან - საბასეული განმარტებით ქაჯი: „მაცდურთა რასმე იტყვიან საემშაკოთა“. [ორბელიანი, 1949: 708].

„ქაჯეთი“ ბოროტების სიმბოლოა, რაც ბოლოს და ბოლოს, მაინც ადამიანის ხელით აღიგვება პირისაგან მიწისა. „ტარიელის“ ზღაპარში ნათქვამია: „ზღვასა და ზღვას შუა ქაჯების ქვეყანა იყო და ავთანდილიც იქითკენ წავიდა“. შემდეგ: „ავთანდილმა და ფრიდონმა მუსრი გაავლეს ქაჯებს. გაუქრათ სანთელი და ერთმანეთს დაემგერნენ. ფრიდონი მოერია და უნდა მოეკლა ავთანდილი. ავთანდილმა დაიყვირა; - ვაიმე, ძმაო ფრიდონ, მიშველე ქაჯმა დამიმორჩილაო! ეს ფრიდონმა გაიგონა და ძმა გაუშვა. აანთეს სანთელი და ქაჯები გაწყვიტეს“ [ლლონტი, 1974: 423].

ზღაპარში „ირმისა“ ვკითხულობთ: „როცა შეიქმნა შუაღამე, მოვიდა სამი ქალი, შემოსხდნენ ვაშლის წვეროზე და დაიწყეს ლაპარაკი. ერთმა თქვა:

- რა ბედი მივცეთ ცოლ – ქმარსაო?

- მეორემ თქვა: - ის ბედი მივცეთ, რომ როგორც შევიდეს სიძე ეზოში და ცხენი გამოათამაშოს, ცხენიდან გადმოვარდეს და მოკვდესო!

- მესამემ თქვა: - თუ ამას გადარჩეს, ხელმწიფის ცოლმა რომ მოართვას ოქროს სარტყელი და ოქროს ფეხსაცმელები, მაშინ სარტყელი გველად გადაიქცეს და ქალი შეჭამოს და თუ ამასაც გადარჩეს, ფეხსაცმელმა ფეხი მოსტეხოსო. პირველმა კიდეც თქვა:

- თუ ამასაც გადარჩეს, ღამე მოვიდეს გველეშაპი და ორივე ჩანთქასო“ [ლლონტი, 1974: 51, 52]. ეს სამივე ბედისმწერელი ქართულ ხალხურ ზღაპარში ქაჯია.

ზოგიერთ ქართულ ხალხურ ზღაპარში **ქაჯი** სხვა სინონიმითაც გვხვდება, უფრო კონკრეტულად კი ეს ქალ ქაჯს ეხება, რომელიც „**კუდიანი დედაბრის**“ სინონიმითაა წარმოდგენილი.

კუდიანი დედაბერი ბოროტი ძალის უკვე ჩამოყალიბებული და დასრულებული სახეა. გარეგნულად ის კეთილია, ტკბილი სიტყვით ხიბლავს თავის მსხვერპლს, არსებითად კი ავი სულია, ათასგვარ პოზას იღებს, რომ დაიყოლიოს გულუბრყვილო ადამიანები, უფრო მცირე ასაკისანი და მათ მახე დაუგოს. ამიტომ ასეთ დედაბერს, რომელიც კეთილი მოხუცის ტყავში გახვეული ბოროტი ეშმაკია, ხალხმა კუდიანი შეარქვა [ლლონტი, 1963: 147].

ჩვენ მიერ განხილულ ქართულ ხალხურ ზღაპრებში კუდიანი დედაბრის გარდა თვითონ დედაბრის პორტრეტის რამდენიმე სახე გვხვდება. მათ შორის არიან: „დედაბერი ცბიერი“, „დედაბერი კეთილი“ და „დედაბერი მკურნალი“.

დედაბერი ცბიერია. ა. ლლონტი აღნიშნავს, რომ „ცბიერი დედაბერი ბოროტი და შურიანია. თვალი უჭირავს მხოლოდ სიავისაკენ“ [ლლონტი, 1963: 147] და ასევე დასძენს რომ „ცბიერი დედაბერი კუდიანი დედაბრის მკრთალი ვარიანტია“ [ლლონტი, 1963: 147]. „ღამის გასათევად ერთ დედაბერთან მივედი. დედაბერმა ჯერ უარი მითხრა, მაგრამ ოქროთი სავსე ქისა რომ დავანახვე, დამთანხმდა და შინ შემიშვა. დედაბერმა ფულები რომ დაიგულა, მაშინვე ხალხს შეატყობინა და მთელი სოფელი თავზე დამცა. წამართვეს ოქროები სავსე ქისა და ერთ ბნელ ხაროში ჩამაგდეს“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 348].

დედაბერი მკურნალია. ხალხური მოთხრობების ერთ ციკლში დედაბერი მკურნალ - ექიმბაშად გვევლინება და პირველ დახმარებას უწევს დაჭრილ-

დასახიჩრებულ გმირებს. მძიმედ დაჭრილი ქალი იპოვნა ერთმა ბებერმა დედაკაცმა [ლლონტი, 1963: 144]. „მიიყვანა სახლში და დაუწყო მკურნალობა. ქალს მალე დაეტყო მორჩენა, თვალეზი აეხილა. ისეთი ქალი გამოვიდა, რაც წინ იყო, იმაზე უკეთესი“ [„ზღაპარი ყაჩაღებისა“, 1952: 297-298].

დედაბერი კეთილია. კეთილი დედაბრის საცხოვრებელი ადგილი სამყაროს ორივე მხარესაა, დედამიწაზე და ქვესკნელშიაც. ორივე ადგილას ის დახმარების მზრუნველ ხელს უწვდის განსაცდელში ჩავარდნილ გმირებს. ქვესკნელი ქვემო სამყაროა, სადაც ავი ბოროტი, მისნური სულები ბინადრობენ იქ მცხოვრები კეთილი დედაბერი შეფარებულია რომელიღაც განაპირა ადგილას, აქვს მცირე ქოხმახი, არის მარტოდ მარტო, უშვილო და უძირო. მზად არის დაეხმაროს ადამიანის შვილებს, უშველოს დედამიწაზე ამოსვლაში [ლლონტი, 1963: 145]. „შავმა რაშმა ბიჭი ქვესკნელში ჩააგდო. რა ქნას საწყალმა რაინდმა. დადის დაღონებული. ერთი ქოხიდან დედაბერმა გამოხედა. ბიჭმა ღამის გათევა სთხოვა. დედაბერმა სიამოვნებით გაულო კარი; ჰკითხა-შენ მალა ხმელეთისას გეგხარ და აქ საიდან ჩამოსულხარო? ბიჭმა უამბო თავისი მძიმე თავგადასავალი. დედაბერს ძალიან შეებრაღა, იმ ღამით კარგად აჭამა და დააძინა. შემდეგ გზა ასწავლა დედამიწაზე ამოსვლისა“ [„ბროწეულის ზღაპარი“, 1952: 292].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ბოროტებათა შორის მეტად აქტიური და ფართო მოცულობის მხატვრული სახეა - **Witch**. Old English wicce "female magician, sorceress," in later use especially "a woman supposed to have dealings with the devil or evil spirits and to be able by their cooperation to perform supernatural acts" <http://www.etymonline.com>

Witch (ძვ. ინგ. "wicce" – „გრძნეული ქალი“), როგორც კულტურული უნივერსალია, წარმოადგენს ჯადოქარ ქალს, რომელიც ბნელ ძალებთან კავშირის შედეგად ფლობს ზებუნებრივ ცოდნასა და ენერგიას [თავიდაშვილი, 2014: 115].

გრძნეული ქალი ყოველთვის მტრობს, აცდენს და ღუპავს ადამიანებს. ისიც ისეთივე ბოროტი არსებაა, როგორც დევი და გოლიათი. თავდაპირველად, გრძნეული ქალისა და ადამიანის შეხვედრა თითქოს მშვიდობიანია, მაგრამ მალე გამოაშკარავდება კუდიანის ცბიერება. იგი მაცდურია და ვერაგი, ადამიანებს მიიტყუებს და ღუპავს. ეს კი ნათლად ჩანს ინგლისური ხალხური ზღაპრის ერთ-ერთ მაგალითში. "The third daughter says to her mother: Mother, bake me a bannock, and roast me a collop, for I'm going away to seek my fortune. Her mother did so; and away she went to the old witch. She bade her look out of her back door, and see what she could see. She did so; and when she came back, said she

saw naught. The second day she did the same, and saw naught. The third day she looked again, and on coming back said to the old wife, she saw naught but a great Black Bull coming crooning along the road. "Well, quoth the old witch, "yon's for you." On hearing this she was next to distracted with grief and terror; but she was lifted up and set on his back, and away they went" <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html> შემდეგ ჯერი უმცროს დაზე მიდგა, და დედას სთხოვა, საგზალი მომიზადე, ბედის საძებნელად მივდივარო. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ისიც კუდიანის სახლში მოხვდა. კუდიანმა ქალმა უკანა კართან დასვა და დაარიგა: რასაც დაინახავ მითხარო. პირველ დღეს ქალმა ვერაფერი ნახა, მეორე დღესაც იგივე განმეორდა. მესამე დღეს ქალმა კვლავ გაიხედა და უზარმაზარი შავი ხარი დაინახა, რომელიც ზმუილით მოიზღაზნებოდა გზაზე. ქალი სახლში შევიდა და კუდიანს უთხრა: - ხარის მეტს ვერაფერს ვხედავო. შენი ბედი ეგ ყოფილაო, - უპასუხა კუდიანმა. ეს რომ უმცროსმა დამ გაიგო, შიშისაგან ლამის გული გაუსკდა, მაგრამ რა უნდა ექნა? კუდიანმა ძალით შესვა და ქალიც გზას გაუდგა" [მათიკაშვილი, 1983: 45].

ინგლისურ ზღაპარში კუდიანებთან ერთად გვხვდება ერთი ასეთი სახეც, „**Warlock Merlin**“, რომელიც ზღაპრებში განიხილება როგორც „ჯადოქარი“, „გრძნეული“. ეტიმოლოგიური ლექსიკონი კი მას ასე განმარტავს: „**Warlock**“ - Old English wærloga "traitor, liar, enemy, devil," <http://www.etymonline.com> ძველი ინგლისური სიტყვა „wærloga“, რომელიც ნიშნავს "მოღალატეს, მატყუარას, მტერს, ეშმაკს".

ქართულ ზღაპარში ხშირად მონაწილეობს „**ბოროტი სული**“, რომელიც წყალს არის დაპატრონებული. მას „ამირანიანის“ მიხედვით იგრი ჰქვია. სხვა ტექსტების მიხედვით, მარტივად გველეშაპი. იგი უმსხვერპლოდ არავის აძლევს წყლით სარგებლობის უფლებას. თვითონ მეფესაც კი, რომელიც უძღურია მის წინაშე. და აი, გამოჩნდა სხვა ქვეყნებიდან მოსული გმირი, ვინც ამარცხებს ამ ბოროტ ძალას და წყალს უბრუნებს ადამიანებს.

ბოროტი ძალის, გველეშაპის იდენტურია ქართულ ზღაპარში ტერმინი „**წყლის ჭაბუკი**“, რომლის შესახებაც, ბევრი ვიცით ზეპირსიტყვიერი ეპოსიდან. ზღაპარში „ტარიელი“ კვითხულობთ: „ტარიელის რაშმა ავთანდილი სხვა სახელმწიფოში გადაიყვანა და ზედ წყლის პირზე დადგა. ამ წყალში თურმე ჭაბუკი ცხოვრობს და წყალს არ აძლევს არავის. ავთანდილმა ჩასძახა ჭაბუკს: წყალი აუშვი, ხალხს უწყლოდ ნუ ხოცავო, მაგრამ წყლის ჭაბუკი არ დასთანხმდა და შეებნენ ერთმანეთს. ავთანდილი მოერია და

მოკლა. ზეთი დააქცია (ნიშანი წყლის ურჩხულის მოკვლისა) და მთელი ქვეყანა გაახარა“ [დლონტი 1974: 421].

ქართული ზღაპრების მსგავსად, ინგლისურ ზღაპრებში დევების, გოლიათების და გრძნეული ქალის მსგავსი ბოროტებაა „გველეშაპი“ - „Dragon“. მისი გარეგნობა მოქმედებს უფრო მკრთალად აქვს წარმოდგენილი, ვიდრე დევებისა და გოლიათებისა. მიუხედავად ამისა, იციან რომ იგი უშველებელი არსებაა, ცხოვრობს წყალში და ხმელეთზე, მხოლოდ მსხვერპლისთვის გამოდის. გარშემო შემოერთყმება მზეთუნახავის კოშკს ან გლეხის ყანას. სანსლავს პირუტყვებსა და ადამიანებს. ერთი სიტყვით, ინგლისურ ზღაპრებში გველეშაპი წარმოდგენილია როგორც ბოროტი არსება. როგორც დევებისა და გოლიათების, ასევე მისი დამარცხებაც რჩეულთა ხვედრია. ზღაპრის მთავარი პერსონაჟი უშიშარი ჭაბუკი მას ხან ჰაერში განგმირავს, ხან კი ტყის მახლობლად ხმლით აჩეხავს. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ სიტყვა გველეშაპი არის ფარდი საშუალო ირანული კომპოზიტისა, რომლის მეორე ნაწილი ისევ ვეშაპი არის - **visapa** -, ხოლო პირველი ნაწილი (**azi**) ნიშნავს ‘გველს’ [ანდრონიკაშვილი, 1966].

ინგლისურ ზღაპრებში გველეშაპის სინონიმად გვხვდება „**monster**“ - „ურჩხული.“ „**Black bull of Norroway**“ - “ბიჭი და ნიკორა მოზვერი” „And soon he heard it coming, roaring and raging from afar off, and at last it came near, spitting fire, and with a tongue like a great spear, and you could hear it roaring for miles, and it was making for the place where the king’s daughter was staked down. But when it came up to them, the lad just hit it on the head with the bladder and the dragon fell down dead, but Before it died, it bit off the little boy’s forefinger “ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/littlebullcalf.html>

“ურჩხული იმ ადგილისაკენ მოდიოდა, სადაც მსხვერპლი ეგულეობდა, მაღიმალ აჩენდა ნიჩბისოდენა ენას, ხახიდან ცეცხლს აფრქვევდა და შემზარავად ღრიალებდა. ბიჭმა წარბიც არ შეიხარა, როგორც კი გველეშაპი მიუახლოვდა, ტიკი უმარჯვა, მთელი ძალით თავში ჩასცხო და სული გააფრთხოვინა, მერე ენა მოაჭრა და შეინახა, მაგრამ სიკვდილის წინ მოასწრო ურჩხულმა და ბიჭს მარცხენა ხელზე საჩვენებელი თითი მოაკვნიტა” [მათიკაშვილი, 1983: 54].

„გველეშაპი“ ინგლისურ ზღაპრებში წარმოდგენილია, როგორც მეტად საშიში არსება. ხალხის ფანტაზია ამქვეყნიურ ბოროტებას გამოგონილ პერსონაჟებში გველეშაპებსა და ავსულებში უყრიდა თავს. მათ უპირისპირებდა სიკეთის

განსახიერებას, მართალსა და მამაც ადამიანს და ამ ლამაზი ფანტაზიის წყალობით ამარცხებდა და სპობდა მას.

ქართულ ზღაპარში ერთ–ერთ ბოროტ არსებას „წყეული“ წარმოადგენს, რომელსაც შეიძლება ითქვას, რომ ბოროტის ყველა ატრიბუტი აქვს. წყეულად წარმოდგენილია ყველა ავი სული, რომელთაც ადამიანისათვის მხოლოდ უბედურება მოაქვთ.

სულხან–საბასეული განმარტებით „წყეული არის დაწყევლილი“ [ორბელიანი, 1949: 455]. სხვა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით წყეული არის „ვინც დაწყევლეს, - კრული, დაწყევლილი“. ხალხური ზღაპრის მიხედვით კი წყეული იგივეა, რაც ავი, ბოროტი სული.

ეს ტერმინი ხშირად სინონიმური ფუნქციის მატარებელია. დღესაც გველის მაგიერ ჩვენს ზეპირმეტყველებაში ხშირადაა გამოყენებული მისი შემცველი „წყეული“. ზღაპრის მიხედვით, წყეულს „ავსულიც“ ჰქვია და ადამიანის გათავისუფლება ამ ბოროტი სულისაგან თუ სხვა უკეთურებისაგან შესაძლებელია ზღაპარში „თერთმეტი ძმა“.

„ჯიხვმა ქალი ფეხზე დააყენა და უთხრა: - გასწორდი უნდა გაგჭრა შუაზეო. დაუქნია ხმალი, შეშინდა ქალი და შიშისაგან პირიდან ავსული ამოუვიდა. ხმალი ქარქაში ჩააგო ჯიხვმა და უთხრა ხელმწიფის შვილს: - აჰა, აი ახლა არის ცოლი, რაც ბოროტება ჰქონდა გულში, ახლა ამოუვიდა და გაიწმინდა“ [ხალხური სიბრძნე: 1963: 427].

ზღაპარში ავსულს სხვანაირად „ემმაკიც“, ჰქვია. ემმაკის, ამქვეყნიური მოდელი, დიდი მხატვრული ძალისხმევითაა განსახოვნებული ზღაპარში - „ეთერი“. „ეთერის“ ზღაპრისეული ემმაკიცა, და მთელი თავისი წარმომავლობით, ემმაკისმიერი მურმანიც ხაზგასმული ხაზია ბოროტების:

„მურმანსაც შეჰყრია ეთერის სიყვარული და კლავს იმის სურვილი. ვინ არის კაცი ისეთი, რომ იმოდენა შეძლოს, ეთერი აბესალომს შეაძულოს და მე ჩამიგდოს ხელშიო, - ფიქრობს თავისთვის მურმანი გზაში. შემოხვდა წინ ემმაკი მურმანს და ჰკითხა: სად მიდიხარ, ან ასე რას დაულონებინარო. მურმანმა თავისი ამბავი უამბო. ემმაკმა უთხრა: წამალს მე გასწავლი, ისეთ წამალს, რომ აბესალომმა ეთერი თავისი ხელით შენ მოგცეს, მაგრამ შენი სული მე უნდა მომცეო. - ოღონდ ეთერი ჩემი გახდეს და სულს როგორ დავზოგავო, - უთხრა მურმანმა. - მამ ქალადი დამიწერეო, - უპასუხა ემმაკმა, - რომ შენ

პირს არ გადახვალ და მე გასწავლი წამალსო. დაუწერა მურმანმა ქალაღი და მისცა ემმაკს. ემმაკმა უთხრა: ჯვარს რომ დაიწერენ ახესალომი და ეთერი, ეთერს ჩუმაღ ერთი მუჭა ფეტვი ხელუკუღმა შეაყარე, ეთერს მკბენარი დაეხვევა და, რამდენიც უნდა აცალონ ვეღარ გააცლიან, სანამ შენი ხელი არ მოხვედებო. წავიდა გახარებული ემმაკი თავის ბუნაგში და სულგაციღული მურმანი შინ დაბრუნდა“ [ღლონტი,1974 :408].

როგორც ქართულ ისე ინგლისურ ზღაპრებში ერთ–ერთ ბოროტ აქტიურ სახეს „stepmother“ - დედინაცვალი წარმოადგენს. ქართულ ზღაპრებში გერისა და დედინაცვლის ურთიერთობა გადაუწყვეტელ პრობლემაღ მოჩანს არა მარტო გლეხოზაში, არამედ მეფე–მთავართა შორისაც. მრავალი უსიამოვნო ფაქტია აღწერილი ისტორიაში გერის (უფლისწულის) და დედინაცვლის (დეღოფლის) ურთიერთობისა. გერი კანონიერი მემკვიდრე იყო ყველაფერი იმისა, რაც მის მამას მოეპოვებოდა. ცხადია, ასეთი მდგომარეობა დედინაცვალს გერის მიმართ კეთილაღ ვერ განაწყობდა, მით უმეტეს, თუ მას თავისი შვილებიც ჰყავდა.

გერისა და ბოროტი დედინაცვლის ურთიერთობას მთავარი ადგილი უჭირავს ინგლისურ საყოფაცხოვრებო ზღაპრებშიც. გერი, უმთავრესაღ გოგოა, ზოგჯერ კი ბიჭიც გვხვება. თუმცა ამით ზღაპრის მთავარი იღეა არ იცვლება, ორივე შემთხვევაში გერი და დედინაცვალი დაპირისპირებული პერსონაჟები არიან. დედინაცვალი, ინგლისურ ზღაპრებში, ხშირ შემთხვევაში გერის დაჩაგვრით აღარ კმაყოფილღება და მის მოსპობას და თავიდან მოცილებას ცდილობს. მაგრამ მიუხედავაღ ამისა, გერს ყოველთვის აღმოაჩნღება კეთილი მეგობრები ადამიანის თუ საყვარელი ფრინველებისა და ცხოველების სახით. შურიანი დედინაცვლისა და მისი თავნება ქალიშვილების მიერ დაგებულ ხრიკებს და თავს აღწევს, რის შედეგადაც ბოლოს ბოროტი დედინაცვალი სასტიკაღ მარცხღება.

განსხვავება ისაა, რომ ქართულ ზღაპრებში ხშირაღ კვანძი იმით იკვრება, რომ დედინაცვალი თავს მოიავადმყოფებს და ქმარს ავალებს: დაკლას გერის საყვარელი პირუტყვი, ხარი „წიქარა“ და მისი გულ–ღვიძლი მიართვას. თორემ სხვა არაფერი მოარჩენს.

„დედინაცვალმა შეიტყო ხარისა და ბიჭის მეგობრობის ამბავი და უარესაღ გაანჩხღდა. მიხვედა, რომ გერთან ვერაფერს გახღებოდა, სანამ გვერდით წიქარა ჰყავდა, და

ხარის თავიდან მოშორება გადაწყვიტა, - მოიავადმყოფა თავი, ლოგინში ჩაწვა და ქმარს კვნესა გმინვით დახვდა:

- ვკვდები და მიშველეო.
- რა მოგარჩენსო? - ჰკითხა ქმარმა.
- წიქარას გულ-ღვიძლის მეტი არაფერი მიშველისო, - უთხრა ცოლმა.
- თუ დაკლავ, გულ-ღვიძლს ამოაცილი და მაჭმევ, მოვრჩები, თუ არადა, მოვკვდებიო

[ხალხური ზღაპრები, 1976 :108].

ვერაგი დედინაცვლის მონა-მორჩილი ქმარი თანახმაა, მსხვერპლად გაიღოს შვილის ერთადერთი საყვარელი მეგობარი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერს ყოველთვის აღმოაჩნდება გადარჩენის ძალა და საშუალება. ამაში მას ეხმარება ან მისი ჭკუა ანდა მისი მოხერხება. ამ შემთხვევაში მას თვითონ „წიქარა“ გამოესარჩლება და ისინი გაქცევით დააღწევენ თავს განსაცდელს. ყოველ ეპიზოდში, ისინი მოხერხებულად იცავენ თავს მოსალოდნელი უბედურებისაგან და ბოლოს ბოროტ დედინაცვალს სასტიკად ამარცხებენ.

გერისა და დედინაცვლის კონფლიქტი, ისტორიული სინამდვილიდან არის აღებული. ეს მძიმე ურთიერთდამოკიდებულება შესანიშნავად ასახულა ზღაპრებშიც.

ბოროტების არსებობა აქაც და ზემოთ ჩამოთვლილი ინგლისური თუ ქართული ზღაპრების მაგალითებშიც რეალური ფაქტია, მაგრამ ზოგჯერ დევები, არწივები, გოლიათები, ავსულები და ა.შ პოტენციურად ჰუმანურნიც არიან. ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებშიც ამის ბევრი მაგალითი მოვიძიეთ: ქართული ზღაპრის ერთ-ერთ ეპიზოდში, მიუხედავად სამი დავალების პირნათლად შესრულებისა, დევი ვაჟს მაინც შეჭმით ემუქრება. მხოლოდ დევის ქალის ჰუმანურმა ჯადოქრობამ იხსნა ვაჟი დაღუპვისაგან: „ჯერ იქცა ქალი შემოსულ ყანად. ვაჟი - მომკელად“, შემდეგ „იქცა ქალი დაბურულ ტყედ... ვაჟი - მოხუცებულ კაცად; ბოლოს იქცა ქალი უძირო ტბად და ვაჟი - იხვად... მოვიდნენ დევი და იმისი ცოლიც. დაეწაფა დევის ცოლი ტბას, დაუწყო სმა. უნდა ამოეცალა სული. დაუწყო სმა დევმაც. სვეს, სვეს და ორივენი დასკდნენ. იქცა ტბა ისევ ქალად, იხვი - ვაჟად. გადაეხვივნენ ერთმანეთს და დაჰკოცნეს. შესხდნენ დევისა და იმის ცოლის რაშებზე და გასწიეს ვაჟის მამასთან“ [ხალხური სიბრძნე, 1963:115].

ამდენად, ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე საანალიზო ენა გამომსახველობით საშუალებად აქტიურად მიმართავს სიმბოლოს.

§6.2. სიკეთის სიმბოლიკა

ქართულ ზღაპრებში ფიქსირებული ჰუმანიზმი, მთელი თავისი მაღალზნეობრივი იდეებითა თუ იდეალებით, ერის სულიერი სიმდიდრის გამომხატველია. სიკეთე სიკეთის წილ! – აქტიური პოზიციაა ზღაპარში, რაც პირველი შემთხვევისთანავე იჩენს თავს. ზღაპარში „იამ რა უთხრა ვარდსა“, ვკითხულობთ: „მოფრინდა ფასკუნჯი. ნახა არწივი მკვდარი, შვილები – ცოცხლები. სიხარულს მიეცა: რა სულიერი ხარ, რომ შვილები გადამირჩინე და ასეთი სიკეთე მიყავი? რა გინდა რას მთხოვ რომ მოგცეო? – მე ქვეყანაზე არაფერი არ მინდა სხვა, ის ქვეყანა მასწავლე, სადაც იციან იამ რა უთხრა ვარდსაო და ვარდმა რა უთხრა იასაო... – ეგ ალაგი ქვესკნეთს არის, ქვესკნეთის ხელმწიფე გეტყვის. მოგკლავს კიო, მაგრამ ღვთის შეწევნით, მე გადაგარჩენ, რადგან შენ მე გადამირჩინე შვილებიო“ [ხალხური სიბრძნე, 1963: 108].

„ირმისას“ ზღაპრის მიხედვით გაკეთილშობილებული დევები, გაჰუმანურებულებიც არიან. როდესაც ირმისამ სამი ძმა ერთმანეთზე დააწვინა, ისინი შეეხვეწნენ მას: დღეიდან ჩვენ თქვენი ძმები ვიქნებით და თქვენც ჩვენი ძმები იყავითო“ [ხალხური სიბრძნე, 1963: 56]. ზღაპარში კი ფიცს, მიცემულ სიტყვას, როგორც პატიოსნების გამოვლენის უმაღლეს ფორმას, არ ეღალატება, აქ „ძმობაც“ ფიცის დონეზე ფორმდება. ჰუმანიზმი მაშინ თითქოს ორმაგდება, რაც უკვე შემდგომში გამოვლინდება: ირმისამ დატყვევებული ქალი გაანთავისუფლა დევისაგან, „წაიყვანა ქალი და ჩააბარა იმ სამ დევს, როგორც თავიანთი და“ [ხალხური სიბრძნე, 1963: 56].

ინგლისურ ზღაპრებშიც სიკეთე ისეთივე აქტიური პოზიციაა, როგორც ქართულ ზღაპრებში. სიკეთე სიკეთის წილ! ამის მრავალი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ ინგლისური ზღაპრებიდან.

„When the year had passed, she called him to her, and said she had good wages for him. So she presented him with an ass out of the stable, and he had but to pull Neddy's ears to make him begin at once

to ee—aw! And when he brayed there dropped from his mouth silver sixpences, and half-crowns, and golden guineas” <http://www.sacred-texts.com/neu/eng/eft/eft40.htm>

„ბიჭმა დედაბერთან ერთი წელიწადი და ერთი დღე რომ იმუშავა, მოხუცმა თავისთან მოიხმო და უთხრა: – რადგანაც ასე კეთილსინდისიერად მემსახურე, მინდა შესაფერისად დაგაჯილდოვო, – ამ სიტყვებით თავლიდან სახედარი გამოუყვანა. ეს ჩვეულებრივი სახედარი როდი გახლდა, საკმარისი იყო მისთვის ყურები ჩამოგეწიათ, რომ პირუტყვს პირიდან სულ ოქროს და ვერცხლის ფულები სცვიოდა“ [მათიკაშვილი, 1983: 67, 68].

„Jack then returned, and let the giant out of the vault, who asked what he should give him for keeping the castle from destruction. Why, quoth Jack, I want nothing but the old coat and cap, together with the old rusty sword and slippers which are at your bed’s head. Quoth the giant: You know not what you ask; they are the most precious things I have. The coats will keep you invisible; the cap will tell you all you want to know, the sword cuts asunder whatever you strike, and the shoes are of extraordinary swiftness. But you have been very serviceable to me, therefore take them with all my heart. Jack thanked his uncle, and then went off with them” <http://www.authorama.com/english-fairy-tales-22.html>

„როცა გოლიათის კარ–მიდამოს კარგა მანძილით გასცდნენ, ჯეკმა თავისი ბატონი საიმედო ადგილს დატოვა, უკან დაბრუნდა და გოლიათი სარდაფიდან ამოიყვანა. რადგანაც ასეთი სიკეთე მიყავ და სიკვდილს გადამარჩინე, მეც უნდა სამაგიერო გადაგიხადო, ყველაფერს შეგისრულებ, მთხოვე რაც გინდა, – უთხრა გოლიათმა. არაფერი არ მინდა მხოლოდ საწოლთან რომ ძველი ხალათი, ქოშები, ქუდი და ჟანგიანი ხმალი დევს, ისინი მომეცი,– უპასუხა ჯეკმა“ [მათიკაშვილი, 1983: 26]. მართლაც მისცა ყველა ეს ნივთი გოლიათმა ჯეკს მისთვის გაწეული დახმარებისათვის და თანაც გააფრთხილა რომ ეს ნივთები ჩვეულებრივი არ იყო. ისინი ჯადოსნური იყო, რითაც ჟანგიან ხმალს შეეძლო ერთი დაკვრით ყველაფერი ნაკუწებად ექცია, ხალათს შეეძლო უჩინარი გაეხადა ადამიანი, ქუდი სიბრძნეს მატებდა, ხოლო ქოშები ისეთი ჯადოსნური იყო, რომ სადაც მოისურვებდა ადამიანს უმაღვე იქ გააჩენდა.

ქართულ ზღაპრებში ჰუმანიზმი ადამიანთა დონეზე ხშირად ზეადამიანური ძალითაც კი, არის ფიქსირებული ცხოველებში და ფრინველებში. ადამიანის მიერ დამორჩილებული ავსულები ან ილუპებიან, ან ადამიანთა სიახლოვე აჰუმანურებს მათ. როგორც ირკვევა ავტორი მათ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებს. მათი საშუალებით იძლევა იმ რჩევა – დარიგებებს, რომელთა ზუსტი შესრულებაც უზრუნველყოფს ბოროტი ძალის დამარცხებას.

სანიმუშოდ მიუთითებდით „ზღაპარი ველის ყვავილისას“ ერთ ეპიზოდზე, სადაც ცხენის თავდადებას საზღვარი არა აქვს. ჯაგლაგი ცხენი ველის ყვავილს მიმართავს: „როდესაც გველი მოვა და გაგამზადებს, მამა გვკითხავს: რა მოგცეო და შენ ჩემი თავი სთხოვეო!“ [იმედაშვილი, 1904: 488]. შემდეგ ქალს უამრავი უბედურება გადახდა, მაგრამ ურთულეს მომენტში შეიტყობს ცხენი, დასწყვეტს თოკს და გაქანდება ქალისაკენ. „ქალს ეტყვის: აიყვანე შენი ბავშვი ხელში. შეჯექი და წავიდეთო.“ [ხალხური სიბრძნე: 1963: 489].

„ცხენი და ქალი რომ წავიდნენ, ბევრი იარეს. ერთ მინდორზე გამოვიდნენ, დადგა ცხენი. ქალს უთხრა: – ჩამოდი, აილე დანა და ყელი გამომჭერი, ასო–ასო დამჭერ დამალაგე, მერე ინატრე რაც გინდა და იმად გექცევა ჩემი ნაჭრებით. თუ მეც რამედ გინდივარ, ჩემთვისაც გადადე ერთი ნაჭერიო. ქალი უარს ეტყვის: ვერ დავკლავო! – არა თვალები დახუჭეო. – უთხრა ცხენმა, – და ისე დამკალიო. დახუჭა თვალები ველის ყვავილმა, დაკლა ცხენი, დაჭრა ასო–ასო და ინატრა: გაცოცხლდა ისევ ცხენიც და გაიმათა მშვენიერი დუქან–ბაზრიანი ქალაქი“ [ხალხური სიბრძნე, 1963: 490].

ცხენის თავგანწირვა მხოლოდ ადამიანისთვის ერთგული სიყვარულის საფუძველზეა შესაძლებელი. ერის სულიერი ცხოვრების ისტორიაში ბოროტებას თავისი ადგილი უკავია, სადაც ხართან ერთად („წიქარა“), ცხენის უპირატესობა აშკარაა. ავიღოთ თუნდაც ეს მაგალითი: გრძნეულმა რაშმა ვაჟს ასეთი დარიგება მისცა: „იმ კუნძულის ბოლოს რომ სახლი დგას, იქ ცხოვრობს ის ქალი, მზე რომ ამოდის, სძინავს. ვინც წინიდან მივა, ჰხედავს, გინდა ეძინოს, გინდა ეღვიძოს. თორმეტი ნაწნავი თმა აქვს. ამოარჩიე შუა თმები, გადახტი, დაუჭირე მაგრად და დასწიე რაც ძალი და ღონე გაქვს. იწივლებს, იკივლებს, შემოგფიცავს, სანამ ის ფრინველი არ დაიფიცოს, რომელიც ჩვენს ხელმწიფეს მიუტანეთ, არ გაუშვა“ [ხალხური სიბრძნე, 1963: 338–339]. რაშის დარიგებამ გასჭრა. ვაჟმა დაიმორჩილა ჯადოქარი ქალი.

ცხოველთა სამყაროსთან ხანგრძლივმა და მჭიდრო ურთიერთობამ, მათზე დაკვირვებამ და გამოცდილებამ ადამიანს ადრევე მისცა საშუალება, თავისი შეხედულება შეემუშავებინა თითოეულ მათგანზე. თანდათან ადამიანმა ცხოველთა ნაწილი მოიშინაურა კიდევ და თავის მრჩენელად აქცია. ალბათ ამან განსაზღვრა ის, რომ შინაური ცხოველები თითქმის ყოველთვის დადებითი პერსონაჟები არიან და

სიკეთეს ემსახურებიან. ისინი არასოდეს მტრობენ და ლალატობენ ადამიანს. ისინი ყოველთვის დახმარებას უწევენ იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ ბოროტის ხრიკებს, ან თავი გაითავისუფლონ მოსალოდნელი განსაცდელისაგან. ერთ – ერთი ყველაზე ერთგული ცხოველები ინგლისურ ზღაპრებში არიან ცხენი და ხარი. ისინი სიკეთის სიმბოლურ სახეს წარმოადგენენ ზღაპრებში.

ინგლისურ ზღაპარში ცხენი, თავისი ფიზიკური ძალით, დაუზარელი შრომითა და პატიოსანი ერთგულებით ბოლომდე რჩება თავის მეგობარ ადამიანთან. მისი და ადამიანის მეგობრობა ყოველთვის სპეტაკი და უხინჯოა. ცხენს ადამიანი ყოველგვარი გასაჭირიდან გამოჰყავს, იხსნის მტრებისაგან და თუ მდგომარეობამ მოითხოვა სიცოცხლეს სწირავს მის გადასარჩენად.

ადამიანისადმი ერთგულებაში ხარი, ყველა სხვა პირუტყვს შორის, გამორჩეული პერსონაჟია ინგლისურ ზღაპარში. იგი ადამიანს ეხმარება შიმშილისა და სიღატაკის დამლევაში. ხარიც, მსგავსად ცხენისა ადამიანს იხსნის მტრისაგან და სიცოცხლეს სწირავს თავისი ერთგული მეგობრისათვის. გარდა ფიზიკური ძალისა, მისნური სიძარბაისლევ გააჩნია და გაჭირვების დროს ადამიანის დამრიგებლად და მხსნელად გვევლინება.

სანიმუშოდ მივუთითებდით ინგლისურ ხალხურ ზღაპარს „**Black bull of Norroway**“ - „**ბიჭი და ნიკორა მოზვერი**“.

„No,‘ says the bull-calf, ‘ I’m going across the field, into the wild-wood wilderness country, where there’ll be tigers, leopolds, wovels, monkeys, and a fiery dragon, and I’ll kill them all expect the fiery dragon, and he’ll kill me. The little boy did cry, and said: “oh, no, my little bull-calf; I hope he won’t kill you.” “yes, he will”, said the little bull-calf, “so you climb up that tree, so that no one can come nigh you but the monkeys, and if they come the cheese crud will save you. And when I’m killed , the dragon will go away for a bit, then you must come down the tree and skin me, and take out my bladder and blow it out, and it will kill everything you hit with it. So the fiery dragon comes back, you hit it with my bladder and cut its tongue out”
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/littlebullcalf.html>

მოზვერმა ადამიანის ხმით უთხრა: – არა, ეგ ყველი შეინახე, გამოგადგება, მე მინდვრის გადაღმა წავალ უღრან ტყეში, სადაც, ბევრი გარეული მხეცია: ვეფხვები, მგლები, ჯიქები, მაიმუნები და ერთი ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი. ყველას დავხოცავ, მაგრამ

გველემაპი მომიღებს ბოლოს. – არა, ჩემო ნიკორა, მაგას ნუ ამბობ! – ატირდა ბიჭი. შენ ვერავინ ვერ მოგერევა! – რა ვქნა, ასეა, – უთხრა მოზვერმა, მაგრამ შენ შიში ნუ გექნება, ხეზე აგსვავ და შენ ვერავინ ვერაფერს დაგაკლებს. მხოლოდ მაიმუნები თუ მოგვწვდებიან, შენც იმათ დასანახად ყველის ნაჭერს ხელი მოუჭირე, წვენი რომ გამოუვა დაფრთხებიან და თავს გაგანებებენ. მერე, როცა მე მომკლავს, გველემაპი მიიმალეა ცოტა ხნით, შენც დროს იხელთებ, ხიდან ჩამოხვალ, ჩემს გვამს გაატყავებ და ტიკს გააკეთებ“ [მათიკაშვილი, 1983: 53].

ინგლისურ ზღაპარში “ინგლისის მეფე და მისი სამი ვაჟიშვილი” ჩანან ბევრი ისეთი კეთილი არსებები, როგორებიცაა: ადამიანის განუყრელი ერთგული **რაში**, **კეთილი მოხუცი**, **გედები**. ისინი ეხმარებიან ინგლისის მეფის ერთ–ერთ ვაჟიშვილს იმისათვის, რომ მან შეძლოს და იპოვნოს შორეული ქვეყანა, სადაც ოქროს ვაშლები იზრდება. ეს ვაშლები კი მას დაეხმარება იმაში რომ, იგი ამ ვაშლებით იხსნის მამამისს მძიმე სენისაგან და ამით სიკვდილს გადაარჩენს.

ინგლისურ ზღაპრებში დიდ ყურადღებას იქცევს გამოგონილი პერსონაჟი **მფრინავი არაბული რაშის** სახით. რაში ფანტაზიით ჰიპერბოლიზებული ცხენის სახეა. იგი ადამიანის ერთგული მსახური და ქომაგია. მისი მთავარი ღირსება სისწრაფეა. ამ უნარის წყალობით შეუძლია ადამიანი სასწრაფოდ განარიდოს მოსალოდნელ ფათერაკს, ან მიიყვანოს განსაცდელში მყოფ მეგობართან. ვნახოთ ეს **„The King of England and his Three Sons“** - **„ინგლისის მეფე და მისი სამი ვაჟიშვილი“** ინგლისური ზღაპრის ერთ–ერთ ეპიზოდში. „So he mounts his Arab steed, and off he goes like a shot out of a gun. At last he comes in sight of the castle. He ties his horse safe to a tree, and pulls out his watch. It was then a quarter to one, when he called out, ‘Swan, swan, carry me over, in the name of the old Griffin of the Greenwood.’ No, sooner said than done. A swan under each side, and one in front, took him over in a crack” <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„ჯეკი არაბულ რაშს მოახტა და დეზი ჰკრა, რაშიც ტყვიასავით მოსწყდა და წინ გაიჭრა. მიჰქრის ცხენი და მიჰყავს მხედარი, ბოლოს როგორც იქნა, ციხე–კოშკიც გამოჩნდა. ჯეკმა ცხენი ხეზე მიაბა და საათს დახედა. უკვე პირველი სრულდებოდა, დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. უფლისწული წყალთან მივიდა და დაიძახა: „გედო, გედო, მწვანე ტყის ფასკუნჯს გაფიცებ, გადმომიყვანე იქითა ნაპირზე!“ ჯერ ეს სიტყვები არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ საიდანდაც სამი გედი მოფრინდა“ [მათიკაშვილი, 1983: 114]. ისინი დაეხმარნენ უფლისწულს მიეღწია ბაღის გასასვლელისკენ, სადაც იზრებოდა ოქროს ვაშლის ხე. მან მოახერხა, ჩანთა გაავსო ოქროს ვაშლებით და ბიჭმა კვლავ გედებს

მოუხმო. “He called out for the swans, and they managed to take him over; but they found that he was a little heavier than before. No sooner than he had mounted his horse he could hear a tremendous noise, the enchantment was broke, and they tried to follow him, but all to no purpose. He was not long before he came to the oldest brother’s house; and glad enough he was to see it, for the sight and the noise of ll those things that were after him nearly frightened him to death”
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html> „იმთაც ბიჭი წყალგაღმა გადმოიყვანეს. მაგრამ ამჯერად გედებს ტვირთი შედარებით ემძიმათ და გზაში ცოტა მეტ ხანს შეყოვნდნენ. მიუხედავად ამისა უფლისწულმა მშვიდობიანად მოაღწია მეორე ნაპირს და თავისი რაში მოძებნა. შეჯდა თუ არა ზედ, ჩვენს გმირს სასახლის მხრიდან გამაყრუებელი ხმაური შემოესმა. ეს იმას ნიშნავდა რომ, ოქროს ვაშლების მოპარვა შეეტყვოთ და ახლა ავი სულები უკან მისდევდნენ, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს გახდნენ. ჯეკის რაშმა თავისი მხედარი ქარივით გააქროლა და სულ მალე უფროსი ძმის სახლთან მოიყვანა. მაშინ კი შვებით ამოისუნთქა ჯეკმა, დარწმუნდა, რომ საზარელ ურჩხულს თავი დააღწია” [მათიკაშვილი, 1983: 115].

ქართულ ზღაპრებში, ისევე როგორც ინგლისურ ზღაპრებში, რაშის მთავარი ღირსება, მართლაც, სისწრაფეა. სირბილთან ერთად მას ფრენა და ცურვაც შეუძლია. ამის გარდა რაშს მისწრაფებაა ჯადოსნური უნარიც გააჩნია და ამით ის დიდ დახმარებას უწევს თავის პატრონს. საყურადღებოა, რომ ეს ფანტასტიკური არსება მოქმედების განვითარების პროცესში უკავშირდება სიკეთისათვის მებრძოლ პერსონაჟს.

ანალოგიური ეპიზოდები გვხვდება ხშირად ქართულ ხალხურ ზღაპრებში. რაში ვაჟს თან ახლავს ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში:

„ხელმწიფემ ჯერ ამ ჯადოსნური ზამბულის მქონე ფრინველის მოყვანა უბრძანა ვაჟს. ვაჟმა რაშს შესჩვილა. „ – მეტი რა ღონეა, – უპასუხა რაშმა, – უნდა წავიდეთ და მოგიყვანოთო“ [ლლონტი, 1974: 102].

მეფემ ახლა ამ ქალზე ჯვრისწერა ბრძანა. ქალმა უთხრა: „– სანამ ჩემი ნების რაშების რძეს არ მომიტანთ და არ ვებანები, არ დავიწერ შენზე ჯვარსაო!.. მეფემ ისევ მოიხმო ვაჟი... რაშის კითხვაზე ვაჟმა უპასუხა: „ რამ არ დამაღონა, ახლა რაშების რძისათვის მგზავნისო! რაშით მივიდა იმ ზღვასთან, რომელშიაც ქალის რაშები იყვნენ და რაშებიც მორთვა მბრძანებელს“ [ლლონტი, 1974: 105].

ამკარაა, რომ რაში ვაჟის მუდმივი თანამგზავრი და ჭკუის მასწავლებელია. რაკი ზღაპრის პერსონაჟი უყურადღებოდ არც ერთ შემთხვევაში არ ტოვებს დამრიგებლის რჩევას, მისი გამარჯვებაც არ იგვიანებს. ავტორის, მთქმელის მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენს: ბოროტება უნდა დამარცხდეს! ყველაზე მნიშვნელოვანი კი

ის არის რომ ადამიანებს ჰქონდეთ რწმენა იმედი ხვალინდელი დღისა, იმის დამაჯერებელი შეგნება, რომ არსებობს მარადიული უბედურება, მაგრამ სიკეთე მაინც იმარჯვებს ნებესმიერი სახის ბოროტის საწყისსა თუ „კანონად“ ქცეულ განუჭვრეტელ ბოროტებაზე.

ამრიგად, როცა ქართული და ინგლისური ეპოსის ნიმუშებს ვაკვირდებით, ირკვევა, რომ თითქმის ორივე მათგანში ყველა ჯადოსნური ზღაპარი ბოროტებისა და სიკეთის ურთიერთდაპირისპირებას ასახავს. მიუხედავად მისი ბოროტების უძლეველობის მითისა, ადამიანი მაინც ემზადება და იბრძვის მის მოსასპობად. საინტერესო ის არის, რომ ბოროტება, მართალია, თავისი ძლევამოსილობითა და ადამიანის სისუსტით ზეიმობს, მაგრამ ადამიანი მაინც ამარცხებს მას.

ნიშანდობლივია, რომ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ზღაპარს, არ ახასიათებს დადებითი პერსონაჟის დამარცხება. ცხოველთა ეპოსსა და ჯადოსნურ ზღაპრებში თუ ბოროტება ხშირად ფიზიკურად მარცხდება, საყოფიერო ნოველისტურ ნაწარმოებებში დიდი ადგილი უკავია ბოროტების მორალურად დამარცხებასაც. ბოროტება დროებითია და წარმავალია, ადამიანი კი მხოლოდ თავისი შესაძლებლობებით მუდმივად ამკვიდრებს თავის თავს დედამიწაზე.

§6.3. ფერთა სიმბოლიკა

ქართულ ფოლკლორში ფერი სტაბილური ერთეულია და არა ნებისმიერი და ცვალებადი. მას განსხვავებული მხატვრულ-ესთეტიკური და განსაკუთრებით კი განსაზღვრული სიმბოლური შინაარსების გადმოცემა ევალება. ეს შინაარსები, როგორც წესი, ფერთა ტრადიციული ელემენტარული სისტემის მონაცემების თანხვედნილია და ამასთან, ნაციონალური სპეციფიკიდან ამოდის.

ცნობილია, რომ ფერთა სისტემის შესწავლა უძველესი დროიდან წარმოადგენდა მეცნიერების არაერთი დარგის ინტერესის სფეროს. საზოგადოების განვითარება თანდათან ქმნიდა სპექტრთა ენობრივი რეალიზაციის მრავალფეროვნების საფუძველს. ხელოვანნი, ფილოსოფოსები, პოეტები, მწერლები

თუ ლინგვისტები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფერის პრობლემატიკას [გელდიაშვილი. ნ, ღარიბაშვილი. მ, 2010: 71].

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში ფერთა სიმბოლიკას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა თ. ოქროშიძემ. მისი აზრით, ჩვენ ყოფაში დღევანდელივით შემორჩენილ უძველეს ზღაპარ-თქმულებათა და წეს-ჩვეულებათა ზოგი ფრაგმენტი ზუსტად ესადაგება ფოლკლორულ ჟანრებს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ინფექციურ დაავადებათა მფარველი ღვთაება ბარბოლ-ბარბარის ანუ ბარბარისადმი მიძღვნილ საგალობლებში თეთრი, წითელი და შავი ფერების ხშირი ხსენება. ბატონების მიერ გამოწვეული დაავადებაც ხომ სამგვარია და სამი ფერის [ოქროშიძე,1973]. სულხან - საბა ორბელიანი საგანგებოდ გამოჰყოფს ამ სამ ფერს თავის ლექსიკონში: „**ფერი-თეთრი, წითელი, შავი და მისთანაო**“, - ამბობს იგი.

ფერები იყოფა ქრომატულ და აქრომატულ (chromaticos - ფერადი, შეღებილი) სახეობებად. ისინი ერთმანეთისაგან ერთი მთავარი თვისებით - სინათლის ხარისხით (ნა- თელობით) განსხვავდებიან. სამი ფერი თეთრი, შავი და რუხი აქრომატულია, დანარჩენები ქრომატულებს განეკუთვნება. რუხი ფერი იშვიათადაა წმინდა; მას დაჰკრავს სიყვითლე, ან სილურჯე, რის გამოც ნაკლებ ინტენსიური აქრომატული ფერია [Шемякин,1967: 77].

საერთოდ, ხალხური ზღაპრები მდიდარია ფერის სიმბოლიკით, სადაც განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევა როგორც აქრომატული ფერები: თეთრი და შავი, ისე ქრომატული წითელი ფერები. ქართულისაგან განსხვავებით გარდა აღნიშნული ფერებისა, ინგლისურ ზღაპრებში დომინირებს ისეთი ქრომატული ფერები როგორცაა: ლურჯი და მწვანე.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებშიც **თეთრი ფერი** ზესკნელის ფერია, **შავი** - ქვესკნელის, ხოლო **წითელი** - შუასკნელის.

ცნობილია რომ **თეთრი** - ზესკნელის ფერი, მზის ან დღის ნათელს განასახიერებს. ამასთანავე ის ხომ სიხარულის, ბედნიერებისა და ბარაქის მომნიჭებელი ზემო სკნელის ფერაცაა.

შუასკნელს, რომელსაც **წითელი ფერი** განასახიერებს სიცოცხლის, ძლიერებისა და ბუნების აღორძინების ანუ ვეგეტაციის გამომხატველი ფერია.

რაც შეეხება **შავ ფერს**, იგი ქვესკნელის ანუ მარადიული ღამის ფერია, ფერია იმ ქვესკნელისა, სადაც მიცვალებულნი განისვენებენ [ოქროშიძე, 1973: 119].

ამ სამ ფერთან გასათვალისწინებელია „ზღაპარი ტიტველი მგლისა“ : კლდის კარში შესულმა მწყემსებმა ყელგამოჭრილი კაცის მახლობლად ჭერში სამი წვეპლა დაინახეს. **შავმა** წვეპლამ თქვა „ამ ვაჟკაცს ვინმე რომ დამკრავდეს, მკვდარს თავი მოეხმებაო. **თეთრმა** თქვა: ამ მკვდარს ვინმე რომ დამკრავდეს, პირში სული ჩაედგმებაო. ხოლო **წითელმა** წვეპლამ დასძინა: მე რომ ვინმე დამკრავდეს ეს ვაჟკაცი მაშინვე ფეხზე დადგებაო“. ეს სამი ფერი ხომ ჩვენი სამი სკნელის გამომხატველი სამი ფერია: **შავი** - მოჭრილი თავის კისერზე მობმისა ანუ გამთლიანებისა, **თეთრი** - სულის ჩადგმისა და **წითელი** გაცოცხლებისა [ოქროშიძე, 1973: 119].

ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში „სხვა“ სამეფოზე მისათითებლად ფერებითაც აპელირებენ. გმირი, როგორც წესი, არღვევს მიცემულ აკრძალვას. **შავ მთაზე** ასულმა ვაჟმა დაინახა: „ერთი **შავი** მეცხვარე გამოვიდა, **შავი** კომბალი უჭირავს, **შავი** ნაბადი ასხია, **შავი** ცხვარი ჰყავს და **შავი** ძაღლები.

წითელ მთაზე უკვე სხვა სამეფო მდებარეობს. მეზღაპრე ახლა **წითელ** ფერებში გამოწყობილ მეცხვარესა და მის ატრიბუტებზე ლაპარაკობს, ბოლოს კი **თეთრი მთა** და მისი თეთრებში ჩაცმული მეცხვარე ჩნდება (ზღ. „მეცხვარე ბრმა დევი და ფეიქრის შეგირდი“)

როგორც ვხედავთ, ამ კოსმოგონიურ ფერებს გაცილებით უფრო ღრმად ჰქონიათ ფესვები გადგმული ქართველი ხალხის შეგნებაში, რასაც ჩვენი ჯადოსნური ზღაპრები ასე მეტყველად გამოთქვამენ.

ხალხურ ზღაპრებში ფერი დომინირებს ეპითეტებშიც. მაგალითად, ქართულ ზღაპრებში: **თეთრი წვერი**, **თეთრტარა ხმალი**, **კუდათეთრი ხარები**, **შავი კაცი**, (კლდე, ზღვა, ჩიტი, რაში) **წითელი ხარი**, **ლურჯი თევზი**, **ჭრელი ფრინველი**, ათასნაირად აყვავებული **ფრთოსანი** და სხვა.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში: **Black horse** - შავი ცხენი, **black bull** - შავი ხარი, **black rock** - შავი კლდე, **black water** - შავი წყალი, **black cloak** - შავი მოსასხამი; **White horse** - თეთრი ცხენი, **white stone** - თეთრი ქვა, **white cow** - რძეთეთრა ძროხა, **white swan** - თეთრი გედი, **white field** - თეთრი მინდორი; **Red rock** - წითელი კლდე, **red lane** - წითელი ბილიკი, **red calf** - წითელი ხბო **and etc.**

ზღაპარი „მონადირის შვილი“ **თეთრი, წითელი და შავი** მთა ეპითეტებია აქცენტირებული: „დედამ მოუტანა მამისეული მშვილდ-ისარი, ჩააბარა შვილს და გააფრთხილა: - შვილო ღმერთმა ხელიღბლიანი მონადირე გქნას, მაგრამ ერთი დაიხსომე: **თეთრ მთაში** ინადირე, **შავ მთაშიც** ინადირე, ოღონდ **წითელ მთაში** არ გადახვიდე, თორემ ინანებო. წავიდა მონადირის შვილი სანადიროდ. იარა **თეთრ მთაში**, მაგრამ ვერაფერი მოკლა. იარა **შავ მთაში** და ვერც იქ რამე ინადირა. ბოლოს თქვა, მოდი ამ **წითელ მთაშიაც** გადავალ, განა რა უნდა იყოს ისეთი საშინელიო. გადავიდა **წითელ მთაში** და დაღლილი ერთი ხის ძირას ჩამოჯდა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 476].

ამავე ზღაპარში ვხვდებით **თეთრ და წითელ ზღვას**. „თეთრსა და წითელ ზღვას შუა ერთი მზეთუნახავი ქალი ცხოვრობს და ის რომ დედოფლად დაისვა, უფრო ბედნიერი და სახელოვანი ხელმწიფე იქნებო... დაიბარა ხელმწიფემ მონადირის შვილი და უთხრა: - **თეთრ ზღვასა და წითელ ზღვას შუა** რომ მზეთუნახავი ქალი ცხოვრობს, ის უნდა მომიყვანო“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 478].

ინგლისურ ზღაპრებში ფერთან დაკავშირებით აღმნიშვნელი სახელები ფიგურირებს. მაგალითად ინგლისურ ზღაპარში „**Jack and the Beanstalk**“ - „**ჯეკი და ლობიოს ხუთი მარცვალი**“ გვხვდება ერთ-ერთი პერსონაჟის კუთვნილი ძროხის სახელი - „**Milky-white**“ - „**რძეთეთრა**“, სადაც თეთრი ფერია აქცენტირებული.

ზღაპარში „The King of England and his Three Sons“ - „**ინგლისის მეფე და მისი სამი ვაჟიშვილი**“ - აქ გვხვდება „**Griffin of the Greenwood**“ - „**მწვანე ტყის ფასკუნჯი**“. ამ ზღაპარში მწვანე ფერია ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური.

„A poor widow who had an only son named Jack, and a cow named **„Milky-white**“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

„ქვრივს ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა, სახელად ჯეკი, ერთიც ძროხა, რომელსაც **რძეთეთრას** ეძახდნენ“ [მათიკაშვილი, 1983: 8].

"Swan, swan, carry me over in the name of the **„Griffin of the Greenwood**", and the swans will swim you over to the earth“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„გედო, ლამაზო გედო, **მწვანე ტყის ფასკუნჯს** გაფიცებ, გადამიყვანე გაღმა ნაპირზე“ [მათიკაშვილი, 1983: 112].

ზღაპრებში ყველაზე მეტად საყურადღებოა ფერების სიმბოლური მნიშვნელობა, რაც თითქმის ყველა ნაბიჯზე გვხვდება. „**იადონისა და ბულბულის**“ ქართულ ზღაპარში სამი რაში მინდორში ბალახობდა. ეს რაშები ასეთები იყვნენ -

შავზე რომ შემჯდარიყო კაცი, გაქან-გამოქანდებოდა, ხან იქით ჰკრავდა კლდეს, ხან აქეთ და ისე მოკლავდა. **შავი ფერი**, როგორც მთქმელი აცხადებს, სიკვდილის მოციქული იყო. **წითელზე** რომ შემჯდარიყო კაცი, ცად ამალდებოდა, იმიტომ რომ ის ნათელი მოციქული იყო. როგორც თ. ოქროშიძე აღნიშნავს „ეს სიმბოლოები ხალხის გენიალური მიგნებაა. ადამიანი თავისი სულიერი განწყობის მიმსგავსებით მუდამ ეძიებდა შესაბამის ფერს და ამ ფერის მიხედვით გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას სამყაროსადმი [ოქროშიძე, 1973: 120].

სიმბოლური მნიშვნელობით გამოირჩევა კიდევ ერთი ქართული ხალხური ზღაპარი „**დედაბრის შვილი**“, სადაც ჩიტებს ფერების მიხედვით ასეთი სიმბოლური დატვირთვა აქვთ ზღაპარში „**თეთრი** ჩიტი ჩემი ღონეა, **წითელი** - გონება და **შავი** - სულიო“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 669].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ზოგი ფერი გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებთან არის დაკავშირებული და ქმნის სისტემას, ფერებთან (**წითელი**, **ლურჯი**), სადაც **წითელი ფერი** - აღნიშნავს მარცხს, ხოლო **ლურჯი** კი - სიკვდილს.

„Here you must stay till I go and fight the Old One. You must seat yourself on that stone, and move neither hand nor foot till I come back, else I'll never find you again. And if everything round about you turns **blue**, I have beaten the Old One; but should all things turn **red**, he'll have conquered me.' She set herself down on the stone, and by and by all round her turned **blue**“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

ქვაზე დაჯექი და დამელოდე. თუ ველი გაწითლდა, იმისი ნიშანი იქნება, რომ დავმარცხდი, თუ გალურჯდა, - დევი მომკლავსო. მაგრამ გახსოვდეს, ჩემს მოსვლამდე არ უნდა გაინძრე, თორემ ვეღარ გიპოვნისო. დაჯდა ქალი ქვაზე და დაიწყო ლოდინი. ხედავს ველი ნელ-ნელა გალურჯდა. [მათიკაშვილი, 1983: 48].

ქართულ ხალხურ ზღაპრებში განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება ცხენთა ფერებს, რომელიც ჯერ კიდევ ცნობილი იყო უძველესი საუკუნეებიდან. პ. უმიკაშვილის მესამე ტომში გამოქვეყნებულ ზღაპარში გამახვილებულია ყურადღება **თეთრი**, **წითელი** და **შავი** ცხენის სიმარდეზე. ცოლის საძებრად გამზადებულ გმირს სამ ცხენს შესთავაზებენ: **წითელს** - ერთი კვირა სჭირდება დანიშნულ ადგილზე მისასვლელად **თეთრს** - სამი დღე, ხოლო **შავი**

ცხენისათვის ერთი წამია საკმარისი. როგორც ვხედავთ, შავი რაშის გზა უმოკლესია [ოქროშიძე, 1973: 121].

წითელი რაში, როგორც ვიცით შუასკნელის წარმომადგენელია და ის, როგორც ორ სკნელს შორის მოქცეული ფერი, ერთი მხრივ, **თეთრ** და მეორე მხრივ, **შავ რაშთან** იმყოფება მჭიდრო ურთიერთობაში [ოქროშიძე, 1973: 123].

ზღაპრიდან „ნაბოლარა ძმა“ ვნახოთ, ერთი ასეთი სიუჟეტი „ადგა ნაბოლარა, გამოიყვანა შავი რაში და უფროს ძმას გადასცა, გამოუტანა უნაგირიც, - ბალიშქვეშ ერთი ხელი შავი ტანსაცმელი და აბჯარ-საჭურველია, გამოიღე, მოიკაზმე და შეჯექიო. გამოიყვანა წითელი რაში, გამოიტანა უნაგირიც, შუათანა ძმას ჩააბარა და იმასაც ისე უთხრა,- ბალიშქვეშიდან საცმელ-საჭურველი გამოიღე, მოიკაზმე და შეჯექიო. თვითონ თეთრად გამოიწყო, თეთრ რაშზე შეჯდა და ძმებს ხელმწიფის სასახლისაკენ გაუძღვა“ [ნაბოლარა ძმა: 768].

ზღაპრებში თეთრი ფერი ცის, ანუ ზესკნელის ფერი ყოფილა. მაშასადამე, თეთრი რაშიც ცის ბინადარია [ოქროშიძე, 1973: 122]. ეს ფერი კი მზის სამყოფელზე მიგვანიშნებს.

თეთრი რაშის ამ სამყოფელს გვისურათებს კახეთში ჩაწერილი ზღაპარიც: მეფის ბაღს ვიღაცა ანადგურებდა. მეფემ ბრძანა შეიპყარით ის თავხედი და აქ მომგვარეთო. ვინ არის ის აქ ჩემს ბაღში შემოსვლას რომ ბედავსო. კოჭლმა ძმამ ვირი ითხოვა მეფისაგან. შეჯდა უკუღმა და გაემართა მეფის ბაღისაკენ. შვიდი დღე და შვიდი ღამე უდარაჯა. მეშვიდე ღამეს, განთიადისას, უცნაურად იელვა. ცამ პირი გახსნა და დედამიწაზე თეთრი რაში დაეშვა. დადგა თუ არა თეთრმა რაშმა ფეხი დედამიწაზე, ბაღისაკენ გაქანდა. შევარდა შიგა და დაუწყო გატიალება. კოჭლმა ბიჭმა ისკუპა ვირიდან და კისერზე მოეხვია რაშს, თავისივე ფაფარით გათოკა და, ის იყო, სახლისაკენ აპირებდა წაყვანას, რომ რაში შეევედრა: ოღონდ გამიშვი და პირობას გაძლევ ამის შემდეგ ბაღს აღარ გავეკარებო [ოქროშიძე, 1973: 122].

ინგლისურ ზღაპრებში, ქართულისაგან განსხვავებით, ცხოველების ფერებს, არანაირი სიმბოლური მნიშვნელობა არ ენიჭება.

§6.4 რიცხვების სიმბოლიკა

ქართული და ინგლისური ხალხური ზეპირსიტყვიერებისთვის დამახასიათებელი საკრალური მნიშვნელობის მქონე რიცხვებია: **სამი, ცხრა და შვიდი**.

ცალკეულ შემთხვევებში ზღაპრებში გვხვდება ოთხი, ხუთი, თერთმეტი, თორმეტი ოცი, ორმოცი, სამოცი და სხვა რიცხვითი ნიშნებიც, რომელთაგან ოთხი დაკავშირებულია სამყაროს ოთხ კუთხესთან, დანარჩენი რიცხვები კი ძალთა სიმრავლეზე მიანიშნებენ.

წარმოშობით ძველად სამს მაგიურ-საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. იგი თანდათან იქცა ეპიკურ რიცხვად. ოდითგანვე ადამიანს სამ მოვლენასთან ჰქონდა ურთიერთობა: 1) ზესთა; 2) ხმელეთი და 3) ქვესკნელი. ამ შეხედულებიდან წარმოიშვა წმიდა რიცხვი სამი. სწორედ ამ სახით გამოიხატებოდა სამი მიუწვდომელი და გაუგებარი არსება 1. ცა, 2. ხმელეთი და 3. ქვესკნელი. ამასთან დაკავშირებით იბადება სამი ღმერთის არსებაც და იქმნება მოძღვრება სამების შესახებ. ამ რწმენასთან დაკავშირებით იქმნება მთელი სარწმუნოებრივი სისტემა და მისი გამოხატულებანი: სამი ღმერთი, სამება, სამი ფიცი, სამი ჯვარი, სამი ლოცვა, სამი დაწყევლა.

მიხეილ ჩიქოვანმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართულ ეპოსში განსაკუთრებულ როლს ასრულებს რიცხვი „სამი“. ამავე დროს „სამი“ ნიშანდობლივია „ვეფხისტყაოსნისთვის“. სამია პოემის წამყვანი ძმადნაფიცი გმირი (ქართული ფოლკლორისთვის ნიშანდობლივია ძმადნაფიცობის მოტივი).

ზღაპრულ ეპოსს გმირთა განსაზღვრული რიცხვი ახასიათებს. ძირითადად პერსონაჟთა რაოდენობა უფრო ხშირად სამით განისაზღვრება. ჯადოსნურ ზღაპარში „სამი ძმა“ მოქმედებს, ან ერთ გმირს სამი ძმადნაფიცი გაუჩნდა, თითქმის ყველა ზღაპარში მოდის რიცხვი „სამი“. სამეულობა - ზეპირსიტყვიერებაში მასიურად გავრცელებული რიცხვის კატეგორიაა. „სამი გმირი“ (ძმა, და, ძმობილი), „სამი დავალება“, „სამი ქომაგი“, „სამი სკნელი“ (ზესკნელი, შვასკნელი, ქვესკნელი), „სამი დევი“, „სამთავიანი ურჩხული“, „სამთავიანი გველეშაპი“, „სამი ფერი“ (თეთრი,

წითელი, შავი), „სამი შვილი“ და სხვა. სამეულობა თავს იჩენს დროის კატეგორიაშიც: (სამი წელი, თვე, დღე, საათი) [ჩხეიძე, 2002: 5].]

„თუ ამ ქალს **სამჯერ ხმას** ამოაღებინებ, ცოლად გაგატანთ, თუ არადა, თავს მოგჭით და ფანჯრიდან გადაგადებთ“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 196].

„გზაზე **სამი კაცი** მიდიოდა - გულთმისანი, ფეხმარდი და ექიმი“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 198]

„იყო და არა იყო რა იყო **სამი ძმა**. ძმები კარგა მდიდრები იყვნენ და თვალ-მარგალიტიც ბლომდა ჰქონდათ“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 228].

„გამოვიდა კაცი დუქნიდან და გაუდგა გზას უარესად დაღონებული. მიდის და ფიქრობს: **სამი წელიწადი** ექვს შაურად ვიმსახურე, აღებული ფულით სარკვე, კატა და ჭკუა შევიძინე, მაგრამ ჩემს გაჭირვებულ ცოლ-შვილს ვერაფერი ვარგეო“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 240].

„ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბოლოს მივიდა გახრიოკებულ უდაბნოში. გაიხედა და დაინახა ნანატრი ვაშლის ხე. მართლაც გარს გველების ღობე ერტყა და **სამი პირდაღებული გველეშაპი** დარაჯად ედგა. ქალმა დაიცადა, სანამ მზე შუა ცაზე არ აიწია და გველ-ვეშაპებს არ დაეძინათ, მერე ისკუპა, გადაახტა გველების ღობეს და ხესთან მივიდა. მოსწყვიტა **სამი ვაშლი** და საჩქაროდ უკანვე გამობრუნდა“ [ხალხური ზღაპარი, 1976: 443].

ქართული ხალხური ზღაპრების მსგავსად ინგლისური ხალხური ზღაპრებისთვისაც ნიშანდობლივია რიცხვი „**three**“ - „სამი“. ინგლისური ზღაპრების სათაურებში კი ძალიან ხშირად ფიგურირებს რიცხვი სამი: „**The King of England and his Three Sons**“ – „ინგლისის მეფე და მისი სამი ვაჟიშვილი“; „**სამი დათვის ზღაპარი**“ – „**The Story of the Three Bears**“; „**სამი სულელი**“ – „**The Three Sillies**“; „**სამი სურვილი**“ - **The Three Wishes** და ა.შ.

რიცხვი „სამი“ ინგლისურ ზღაპრებში უკავშირდება დროს (**three days and three nights** - სამი დღე და სამი ღამე) მაგალითად:

„And they let him go, and he was down for **three days and three nights**; and up he comes, and shows his nose and little mouth out of the water“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jacksnuffbox.html>

„პატარა ბაყაყმა კი ისკუპა, წყლის ქვეშ გაუჩინარდა და სამი დღე და ღამე აღარ გამოჩენილა. მხოლოდ მესამე დღის ბოლოს ამოყო საბრალომ საბრალომ ცხვირ-პირი ზემოთ“ [მათიკაშვილი, 1983: 101].

ქართულის მსგავსად, ინგლისურ ზღაპრებშიც მოქმედებს „სამი ძმა“ – „**three brothers**“; „სამი ვაჟი“ – „**three sons**.“

„The **three brothers** went on horseback to look for some of these apples“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„როცა ეს ვაჟიშვილებმა გაიგეს, თავ - თავიანთ რაშებზე შესხდნენ და ოქროს ვაშლების სამებნელად გასწიეს“ [მათიკაშვილი, 1983: 108]

„Once upon a time there was an old king who had **three sons**“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„იყო ერთი მოხუცი მეფე, რომელსაც სამი ვაჟშვილი ჰყავდა“ [მათიკაშვილი, 1983: 108].

ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრებისათვის ასევე დამახასიათებელია რიცხვი „ცხრა - nine“. „ცხრა“ გამორჩეული ეპიკური რიცხვია.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია „ცხრა მთა“. ეს არის სიმორის აღმნიშვნელი ფიგურალური გამოთქმა „იარა, იარა, **ცხრა მთა** გადაიარა“, „**ცხრა მთას იქით**“ დამახასიათებელია ქართული ხალხური ზღაპრის სტილისათვის.

„ბევრი იარა თუ ცოტა იარა, **ცხრა მთა** გადაიარა, **ცხრა ზღვა** გადაცურა და ბოლოს ერთ უცხო ქალაქში შევიდა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 448].

„ბევრი იარა თუ ცოტა იარა, **ცხრა მთა** გადაიარა, **ცხრა ტყე** გადაკვეთა, **ცხრა მინდორი** გადათელა და ბოლოს ერთ განმარტოებულ სახლს მიადგა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 495].
გარდა ამისა რიცხვი „ცხრა“ ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება ისეთ სახელებთან როგორცაა: „ცხრა კლიტული“, „ცხრათავიანი დევი“, „ცხრა ძმა“, „ცხრა მაზლი“, „ცხრა კარი“, „ცხრა დღე“, „ცხრა ღამე“ - „**ცხრა ძმა დევი** სუფრას შემოსხდომოდნენ, წინ თითოს თითო მოხარშული კამეჩი ედო და ორთქლიან ხორცს ხარბად ღმურძლიდნენ, თან იმის ფიქრში იყვნენ, რომ გავათავებთ, რაღა ვჭამოთ“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 398].

„ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ უშველებელ მდინარეს მიადგა. შეეშინდა ნაცარქექიას წყალში გასვლისა და მდინარის პირას მხარეთემოზე წამოწვა,- იქნებ ვინმემ გამოიაროს და გამოყვანოსო. თურმე ეს მდინარეცა და ადგილიც **ცხრათავიანი დევის** სამფლობელო ყოფილა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 234].

რაც შეეხება ინგლისურ ზღაპრებს, რიცხვი „**nine**“ - „**ცხრა**“ უფრო მეტი სიხშირით გავრცელებულია დროის კატეგორიასთან: „**nine times**“; „**nine days**“; „**nine hours**“.

ქართული ზღაპრებისაგან განსხვავებით ინგლისურში რიცხვი „ცხრა“ არ უკავშირდება არც ზღაპრის პერსონაჟებს და არც დევებს, რომლებიც „ცხრა თავით“ არიან ცნობილი ქართულ ეპოსში.

„They were **nine days** on their journey, in which they did try to keep the Sunday holy, when one of the little men turned to be the priest, the other the clerk, and third presided at the organ, and the women were the singers, for they had a grand chapel in the castle already“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jacksnuffbox.html>

„შვიდი“ რიცხვი ასევე საკრალურ რიცხვად მოიაზრება ზღაპრებში. როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში „შვიდი“ რიცხვი ძალზე ხშირად იხმარება დროის გამოსახატავად. ქართულ ხალხურ ზღაპრებში, დრო, გამოიხატება მხოლოდ შვიდი დღე-ღამით. „შვიდი დღე და შვიდი ღამე თავაუღებლად იმუშავა“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 329].

რაც შეეხება ინგლისურს, ქართულისაგან განსხვავებით დროსთან დაკავშირებით ზღაპრებში ფიქსირდება „**seven - შვიდი**“ (შვიდი წელი - **seven years**; შვიდი მილი - **seven miles**)

ერთ - ერთ ინგლისურ ზღაპარში „**Nix Nought Nothing**“ – „არამქვია“ მაგიური შვიდი რიცხვი მეორდება, რომელიც უკავშირდება დროის კატეგორიას, რომელიც უმეტესად ასეთი ფორმით გვხვდება ზღაპრებში. მაგ., „**seven miles - შვიდი მილი**“, „**seven years - შვიდი წელიწადი**“.


„There is a stable **seven miles** long and **seven miles** broad, and it has not been cleaned for **seven years**, and you must clean it to-morrow, or I will have you for my supper“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/nixnought.html>

„ერთი რამ უნდა დაგავალო, ჩემს მამულში შვიდი მილის სიგრძისა და სიგანის თავლა დგას, რომელიც შვიდი წელია არავის გაუწმენდია და შენ უნდა დაასუფთაო, თუ ხვალ მზის ჩასვლამდე შეასრულებ ამას, ხომ კარგი, თუ არა და მოგკლავ და ვახშმად შეგჭამო“ [მათიკაშვილი, 1983: 128].

„At last she came to a smith's house; and the smith promised, if she would serve him **seven years**, he would make her iron shoon, where with she could climb over the glassy hill. **At seven years'** end she got her iron shoon, clomb the glassy hill, and chanced to come to the old washer wife's habitation“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

„გზის ძეგნაში მჭედლის სახლს მიადგა. - მთაზე როგორ გადავიდო? - ჰკითხა ქალმა მჭედელს. - შვიდი წელი მემსახურე, რკინის ქალამნებს გაჩუქებ და მთაზეც გადახვალ, - უპასუხა მჭედელმა. დაუდგა ქალი მჭედელს მოსამსახურედ. შვიდი წელი რომ მიიწურა, მჭედელმა სიტყვა შეასრულა და ქალს რკინის ქალამნები მისცა“ [მათიკაშვილი, 1983: 48].

ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში საკრალური მნიშვნელობის მქონე რიცხვების კვლევა რაოდენობრივად ტექსტის ანალიზატორი პროგრამის **AntConc**-ის საშუალებით განვახორციელეთ, რის შედეგადაც მივიღეთ მეტად საინტერესო სურათი.



თავი V

ხალხური ზღაპრების თარგმანის სტილისტიკის ენობრივი ელემენტები

§1. რიტმი და ინტონაცია

ორი სხვადასხვა სისტემის ენის ხალხური ზღაპრების ურთიერთმიმართების კვლევისას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განვიხილოთ თარგმანის სტილისტიკის ზოგიერთი ასპექტი. ზღაპრის სტილისტიკაში არსებული ელემენტები და ასევე სხვადასხვა ენაზე მისი გადმოცემის თავისებურებები. სწორედ ამ ასპექტების გათვალისწინებით, შესაძლებელია, უფრო ზუსტად გამოიყოს, როგორც ქართული, ისე ინგლისური ხალხური ზღაპრის თარგმანის ძირითადი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები.

ცნობილია, რომ ლიტერატურის ყოველ ჟანრს აქვს თავისი გამორჩეული, ძირითადი სტილისმიერი ნიშანი, რომელსაც გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ნაწარმოების ჟანრის დადგენაში. ზღაპრის სტილისტიკაში არსებული ასეთი ძირითადი ელემენტია რიტმი და ინტონაცია, როგორც მხატვრული პროზისაგან ზღაპრის განმასხვავებელი ძირითადი ნიშანი. სხვა ნიშნებია: თხრობის სისადავე და გამჭირვალეობა; მხატვრული სახეების სიმარტივე; განმეორებები; ირიბი მეტყველების პრიმატი დასაწყისისა და დასასრულის ენობრივი ფორმულები; მკაფიოდ გამოხატული ეროვნული კოლორიტი; ზღაპრის პერსონაჟის ტრადიციული სახელები, თხრობაში ჩართული მთელი კუპლეტები თუ გართიმული სტრიქონები [ფანჯიკიძე: 1988: 171]

ჩვენ მიერ შესწავლილ ზღაპრის თარგმანებში ყურადღებას იპყრობს რიტმი და ინტონაცია, რომელიც უმეტესწილად დამახასიათებელია თხრობაში ჩართული ზღაპრის პერსონაჟების სახელებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა მარჯორი უორდროპის თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრები, სადაც მრავლად გვხვდება აღნიშნული ენობრივი საშუალებები.

ხშირად ქართული ხალხური ზღაპრების მთავარ გმირებს, გაორმაგებული ფუძის მქონე სახელები ჰქვიათ, რომლებიც ან მძევი არიან, ან მძობილები და ზღაპარში რიტმული ინტონაცია შეაქვთ.

მზეთუნახავის ხელის მთხოვნელს რთულ შეკითხვას აძლევდნენ: „მითხარი, გულამბარა და სულამბარა ვინ არიანო?“ ხელმწიფის შვილმა „იცოდა კი რომ გულამბარა და სულამბარა ყვავილებს ერქვათ, მაგრამ ის კი თავის დღეში არ გაეგონა, თუ ეს სახელები ადამიანსაც ერქმოდა“. მათი ამბის გასაგებად ზღაპრის გმირი „ბებერს გადააჯდა ზურგზე. ბებერი აფრინდა მაღლა და მერე ერთი თვალის დახამხამებაზე ქვესკნელს ჩააფრინა“ [ცინდელიანი 1975: 58].

მარჯორი უორდროპს ზღაპრის თარგმანში აშკარად შენარჩუნებული აქვს რიტმული ინტონაცია, რადგან მან უცვლელად და სიზუსტით გადაიტანა თარგმნის დროს ქართულ ზღაპარში არსებული პერსონაჟის ტრადიციული სახელები, ყოველივე ეს კი, კარგად ჩანს ზემოთ დასახელებული ქართული ხალხური ზღაპრის „გულამბარა და სულამბარას“ უცხო ენაზე თარგმნის დროს.

„He came to the sunlike maiden and asked her in marriage. She answered: 'It is well, but first I have a question to ask thee; if thou canst answer, then I am thine, if not, I shall cut off thy head.' 'So let it be,' said the prince. 'I ask thee this, Who are *Gulambara and Sulambara?*' enquired the beautiful maiden. The king's son said to himself: 'I know indeed that *Gulambara and Sulambara* are names of flowers, but I never heard in all my life of human beings thus named.' He asked three days grace and went away“ [Gulambara and Sulambara, 1894: 45].

განხილული თარგმანებიდან ძალზედ საინტერესოა ინგლისური ხალხური ზღაპრების მთარგმნელი ნანა მათიკაშვილი, რომელსაც ზღაპრის თარგმანში გადმოტანილი აქვს რიტმი და ინტონაცია. უფრო სწორედ, რომ ვთქვათ, მან ინგლისურ ზღაპარს მოარგო ქართული ხალხური ზღაპრის რიტმისა და ინტონაციის შემქმნელი ენობრივი საშუალებები. ენობრივი საშუალებები ესაა წინადადების განსაკუთრებული სტრუქტურა, სადაც წარმართველი როლი ზმნა-შემასმენელს ენიჭება. თუკი ეპიკურ ინტონაციას მხატვრულ პროზაში ძირითადად ბოლოკიდური ზმნა-შემასმენელი ქმნის, ზღაპარში ეპიკური ინტონაცია თავკიდურშემასმენლიანი წინადადებებისა ან სინტაგმების ერთობლივით იქმნება [ფანჯიკიძე 1988: 171].

მაგალითად ვნახოთ ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში აღნიშნული ენობრივი საშუალებები და მათი გადატანის საშუალებები თარგმანში.

„And long they rode, and hard they rode, till they came in sight of a very big and bonny castle“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/blackbull.html>

„იარეს, იარეს, ცხრა მთა გადაიარეს, გაიხედეს და კოშკი დაინახეს, უფრო მაღალი და ლამაზი, ვიდრე ნანახი“ [მათიკაშვილი 1983: 45].

„And he went all that day, and all the next day; and on the third day, in the afternoon“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/redettin.html>

„ვაჟმა საგზალი აიღო და ბედის სამებნელად წავიდა. მთელი დღე იარა, არც მეორე დღეს შეუსვენია, მესამე დღეს ერთ გორაკს მიადგა“ [მათიკაშვილი 1983: 87].

ზღაპარს თავისებურ ინტონაციას ანიჭებს სხვათა სიტყვის ო-თი გაფორმებული წინადადებების სიმრავლე, უფრო სწორად, ქართულ ზღაპარში არც იხმარება პირდაპირი მეტყველება და ეს ნიშან - თვისება თარგმნილ ხალხურ ზღაპარშიც უნდა დომინირებდეს [ფანჯიკიძე 1988: 172].

„Jack was so lazy that he would do nothing but bask in the sun in the hot weather, and sit by the corner of the hearth in the winter-time. So they called him Lazy Jack. His mother could not get him to do anything for her, and at last told him, on Monday, that if he did not begin to work for his porridge she would turn him out to get his living as he could“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/lazyjack.html>

„ჯეკი ისეთი ზარმაცი იყო, თითის განძრევა რა არის, ისიც ეზარებოდა. ზაფხულში მთელი დღე მზეზე თბებოდა, ზამთარში კიდეც ბუხარს უჯდა. ამიტომაც მეზობლებმა მას ზარმაცი ჯეკი შეარქვეს. ბოლოს ქალს მოთმინების ფიალა აევსო და ერთ მშვენიერ დღეს შვილს უთხრა: შენი ნახვა აღარ შემიძლია, ან იმუშავე, ან არადა, ამ სახლში აღარ გნახო ფეხშიშველი, სადაც გინდა, იქ წადიო“ [მათიკაშვილი 1983: 64].

„But Gobborn Seer said, 'Never mind, you must take another turn at it tomorrow“ Gobborn Seer,
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/gobborn.html>

„მაგაზე ნუ დარდობ, დღეს თუ ვერ იშოვნე მუშტარი, ხვალ იშოვნისო“ [მათიკაშვილი 1983: 103].

§2. ეროვნული კოლორიტი

რაც შეეხება ზღაპრის სხვა სტილისმიერ ნიშნებს, ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი სტილისმიერი ნიშანია განმეორებები, რომლებიც კომპოზიციურად და ინტონაციურად კრავენ ზღაპარს და თარგმანშიც აუცილებელია ამ სტილისმიერი ნიშნის ზუსტი რეპროდუცირება [ფანჯიკიძე 1988: 172].

ხალხურ ზღაპრებში გამეორების უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ. „ზევრი იარა თუ ცოტა იარა“, ან: „იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა“. აქ ვხედავთ გამეორებულ ქმედებათა რიგს, სადაც მოქმედება მარტივადაა დანაწილებული განსხვავებების გარეშე. ესაა სიარულის, სვლის არქექტიპი, თავდაპირველი დანაწილების, სივრცის დაყოფის პირველადი თანაბარი რიტმი [კვაჭანტირაძე, 2002].

ახლა ვნახოთ, თუ როგორი სიზუსტით რეპროდუცირდება აღნიშნული გამეორების მაგალითი ინგლისურ თარგმანში.

„*He went on and on until he came to a certain place*“ [Asphurtzela, 1894: 82].

„ძმები *ელოდნენ* დას, *ელოდნენ* და, რომ არსად გამოჩნდა, ადგნენ და შინ დაბრუნდნენ“ [ხალხური ზღაპრები, 1976: 520].

„The brothers *waited* and *waited* for their sister, and when she did not come they rose and went home“ [Asphurtzela 1894: 69]. როგორც ვხედავთ, მთარგმნელს ისეთივე სიზუსტით გადააქვს თარგმანში ზღაპრებში არსებული გამეორების მაგალითები როგორც ეს თავად ორიგინალშია დადასტურებული.

ზღაპრის სტილისმიერ ნიშნებს შორის გვხვდება აშკარად გამოხატული ეროვნული კოლორიტი. ცხადია, ეროვნული კოლორიტი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტშია არეკლილი, მაგრამ უფრო მეტად ის ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ფორმულებშია გამოხატული და ხელშესახები. როგორც პროფ. გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, „ეროვნული კოლორიტი საერთოდ დიდადაა დამოკიდებული უცხო და მშობლიური რეალიების შეთავსებაზე“ [ფანჯიკიძე, 1988: 173].

პირველ რიგში, მარჯორი უოდროპის თარგმანებში ყურადღებას იპყობს ქართული ზღაპრის დასაწყისი და დასასრულის ფორმულათა გადმოცემის თავისებურება. მისი თარგმანებიდან ჩანს, რომ ქართულ ხალხურ ზღაპარს მთარგმნელი აშკარად უნარჩუნებს ეროვნულ კოლორიტს.

თარგმანის დედანთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მთარგმნელი საოცარი სიზუსტით თარგმნის ზღაპრის დასაწყისსა და დასასრულს. მას დიდი სიფრთხილით გადააქვს დედნისეული ელემენტები. მაგალითად:

1. „Once upon a time there was a poor peasant who had one son“ („იყო ერთი საბრალო გლეხი, რომელსაც ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი“) („Master and Pupil“ - „ოსტატი და შეგირდი“ „or the Devil Outwitted“ – „მოტყუებული ეშმაკი“)

2. „Once upon a time there were two brothers“ („ოდესღაც ცხოვრობდა ორი ძმა/ იყვნენ ორნი ძმანი“) („The two brothers“ „ორი ძმა“)

3. „There were once three brothers who wished to marry“ („იყვნენ სამნი ძმანი, რომელთაც სურდათ ცოლის შერთვა“) („The Frog’s skin“)

4. „There was, and there was not at all (of God's best may it be!), there was once a woman“ („იყო და არა იყო რა ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ქალი“) („Asphurtzela“ – „ასფურცელა“)

დასაწყისისა და დასასრულის ფორმულებს ყველა ხალხის ზღაპარში ორგვარი დანიშნულება აქვს. მაგალითად, დასაწყისის ქართული ფორმულა, როგორცაა „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“, გარდა იმისა, რომ თავისებური რიტმისა და ინტონაციის პირველი მაუწყებელია, განწყობის შექმნასაც ემსახურება. მას კვლავ თავკიდურშემასმენლიანი წინადადება მოჰყვება, სადაც მეტწილად იგივე ზმნა „იყო“ მეორდება. მომდევნო წინადადებაც ასევე შეიძლება ზღაპრის „ფორმულად“ აღვიქვათ -თხრობას თითქმის ყოველთვის აგრძელებს ზმნიზედა „ერთხელ“... და ამ ენობრივ ერთეულსაც ერთდროულად ეკისრება რიტმის, ინტონაციისა და განწყობის შექმნის ფუნქცია. აქ იქმნება დამაბულობა, აღიძვრება ინტერესი მოსასმენი თუ წასაკითხი ამბის მიმართ [ფანჯიკიძე 1989: 173]. სწორედ ასეთივე ფუნქციის შესრულებით მარჯორი უორდროპს გადააქვს ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისი ინგლისურ ენაზე, რომელიც ისეთივე განწყობის შექმნას ემსახურება, როგორც ორიგინალშია მოცემული. ეს არის ის პირველი ფრაზა პირველი ინფორმაცია, რომელიც აღძრავს უცხო სამყაროში შესვლის მოლოდინს.

დასახელებული ზღაპრის დასაწყისი მაგალითებიდან ჩანს, რომ ქართულენობრივი კლიშე მხოლოდ სამ შემთხვევაში დასტურდება - „იყო და არა იყო რა...“. სხვა შემთხვევაში - „იყო“, „იყვნენ“ და მათი ვარიაციული ვერბალური სიტყვაფორმები. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ, მთარგმნელს თარგმნის დროს სიტყვა თუ ფრაზა ისე გადმოაქვს ორიგინალიდან ინგლისურ ენაზე, რომ არცერთი სიტყვა არ არის ზედმეტი. მაგალითად ეს კარგად ჩანს ზღაპრის დასაწყისი ფორმულის ერთ-ერთ ფრაზაში „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“ მისი

ინგლისური ვარიანტი (of God's best may it be!), რის საფუძველზეც, შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელი ქართულ ტექსტს კვალდაკვალ მიჰყვება, დედანს არ უკარგავს პირველქმნილ სისადავეს, აზრობრივ-ნიუანსობრივ მხატვრულ ღირსებას და რაც მთავარია უნარჩუნებს ქართულ ხალხურ ზღაპარს ორიგინალურ დასაწყისს.

ორიგინალური და მეტად საინტერესოა ქართული ხალხური ზღაპრის დასასრული, მისი ვარიაციული და მხატვრული ეფექტები. თავისთავად ცხადია, მთარგმნელისათვის ეს „ატრიბუტი“ თავსატეხს წარმოადგენს და აიძულებს ბევრი იფიქროს მის გადაწყვეტაზე - თუ რა ხერხს მიმართოს და როგორ მიუდგეს მას [ნათელაძე 2012: 334].

ბუნებრივია, გასათვალისწინებელია პროფ გ. წიბახაშვილის მოსაზრება ზღაპრის თარგმნის შესახებ, რომელიც აღნიშნავს, რომ მას „თუ სიტყვა-სიტყვით გადავიღებთ, აბსურდამდე მივყავართ, თუ სხვაენოვან მასალას ჩავუნაცვლებთ, ზღაპარი კარგავს თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს [წიბახაშვილი, 100-101].

ქართული ხალხური ზღაპრებისათვის დამახასიათებელია ტექსტის დაწყება კლიშეს მიხედვით და ასევე დასასრულის კლიშეთი ტექსტის დამთავრება. „ჭირი იქა, ლხინი აქა“, „მთას ურემი ავიტანე“, „ელასა - მელასა“ ქართული ხალხური ზღაპრის დასასრულის გავრცელებული ვარიანტებია.

მარჯორი უორდროპის თარგმნილ ზღაპრებში არ დასტურდება ქართული ხალხური ზღაპრის ტრადიციული დასასრულის პოეტურ-ლექსად თქმული ფორმულების თარგმანი. ვფიქრობთ, მთარგმნელმა ზუსტი ეკვივალენტობის არ არსებობის გამო თავი შეიკავა დასასრული ფორმულების თარგმნისაგან. რაც შეეხება ზღაპრის დასასრულის სხვაგვარ ფორმულებს ისეთივე სიზუსტითა და სიფაქიზით თარგმნის, როგორც ზემოთ მოყვანილ ზღაპრის დასაწყის ფორმულებს. მაგალითად:

„lived happily ever afterwards“ („მას შემდეგ ბედნიერად ცხოვრობდნენ“) (Master and Pupil (or the Devil Outwitted).

„They lived lovingly together, and blessed God as their deliverer.“ (The Frog's Skin)

„he married the youngest, and gave the two elder to his brothers.“ (Asphurtzela)

„ they lived happily together“ (The Shepherd and the Child of Fortune).

ეროვნული კოლორიტი ზღაპრების პერსონაჟების ტრადიციულ სახელებშიც მჟღავნდება. ქართულ ხალხურ ზღაპრებში მთავარ გმირებს სახელი ხშირ შემთხვევაში არ აქვთ. უმეტესად, ზედმეტსახელებით არიან ცნობილი, რომელიც მისი გარეგნული ნიშნის, ტანსაცმლის, ან მათი ქმედებიდან გამომდინარეობს. თარგმნის დროს დიდი ყურადღება ექცევა სწორედ ზღაპრის პერსონაჟების ზედმეტსახელებს. ამის მაგალითად მოვიყვანოთ ქართული ხალხური ზღაპრის გმირები, რომლებსაც თავისებური სახელები აქვთ: ასფურცელა, გულამბარა და სულამბარა, ნაცარქექია, ხუთკუნჭულა, ღვთისავარი, კონკიაჟღარუნა, სანართია, ცეროდენა და სხვა. საინტერესოა როგორი ფორმით თარგმნის უორდროპი ქართული პერსონაჟების სახელებს? მარჯორი უორდროპს ქართული ზღაპრის პერსონაჟების სახელები უცვლელად აქვს შენარჩუნებული და ლათინური ასოებით გადატანილი თარგმანში, სადაც მითითებული აქვს სქოლიოში სახელების განმარტება ზღაპრებში, იმისათვის რომ ინგლისელ მკითხველს უკეთ გაეცნო და გაეგო მისი მნიშვნელობა. მაგალითად: **ასფურცელა - Asphurtzela** = hundred leaves: this name refers to the manner of his birth; **ღვთისავარი - Ghvthisavari** (I am of God); კონკია - Conkiajgharuna (the little girl in rags).

მთარგმნელი სქოლიოში აღნიშნავს, რომ ინგლისურ ენაში, არსებობს ზღაპარი “Cinderella“ და პარალელს ავლებს ქართულ ხალხურ ზღაპართან, სადაც კონკიაჟღარუნა ასეთი სახელით გვხვდება ქართულ ზღაპრებში.

გულამბარა და სულამბარა - Gulambara and Sulambara are names of flowers;

სანართია - Sanartia (i.e. desired, longed for); გერია - Geria means little wolf ;

როკაპი (ჯადოქარი) - Rokapi in Georgian tales is an old woman of a demoniacal character, possessing enchanted castles and domains;

მარჯორი უორდროპი თარგმნისას ითვალისწინებს კულტუროლოგიურ ასპექტებს. კულტურულ ასპექტს განეკუთვნება თავად სიტყვა „ღევი“, რომელიც თითქმის უმეტეს ქართულ ხალხურ ზღაპარშია მოხსენიებული. ინგლისურში არსებობს მსგავსი ტერმინი „**Giant**“, რაც ნიშნავს უზარმაზარს, გიგანტურს. ასევე ინგლისურ ზღაპრებში გამოიყენება ტერმინი „Ogre“ - გოლიათი - კაციჭამია, რომელიც ინგლისურად ასეა განმარტებული: „An ogre (feminine ogress) is a being usually depicted as a large, hideous, manlike monster that eats human beings“ - ეს არის გოლიათი კაციჭამია

(Ogress ან გოლიათი - კაციჭამია (ქალი) ადამიანის მსგავსი ბოროტი არსება, რომელიც ჭამს ადამიანის ხორცს.

მარჯორი უორდროპს ზღაპრის თარგმანებში სიტყვა „დევი“ ასევე ლათინური ასოებით უცვლელად აქვს გადატანილი „Devi“, სადაც სქოლიოში ინგლისელ ხალხს დევის შესახებ შემდეგ განმარტებას აძლევს „Devi“ (with a hundred heads) - დევი (ას თავიანი). ზღაპრის პერსონაჟების სახელების გარდა ქართულ ხალხურ ზღაპარში მნიშვნელოვანია სხვა ისეთი კულტურული ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია ზღაპრებში ქართული სუფრის ელემენტებთან. მაგალითად წყლის „კოკა“, „ქვევრი“, „დოქი“, „ყანწი“. ამ შემთხვევაშიც, ეს სიტყვები მთარგმნელს ისეთივე სიზუსტითა და უცვლელი ფორმით გადააქვს თარგმანში, როგორც ზემოთ ნახსენები სხვა ქართული ზღაპრის კულტურული ასპექტები. მათ სათითაოდ განმარტებას აძლევს ზღაპრის ბოლოს და სქოლიაში უთითებს, რომ ეს ეროვნული ქართული ჭურჭელია.

დოქი - Doki = an Imeretian measure for wine, holding 5 bottles;

ყანწი - Qantsi = a drinking-horn;

კოკა - Coca = a large measure for water or wine (about 25 bottles);

ქვევრი - Kvevri = a large wine-jar which is kept buried in the earth up to the neck;

ეროვნული კოლორიტი წარმოჩენილია ზღაპრებში აგრეთვე რიცხვის სიმბოლიკაში. როგორც ქართული, ისე ინგლისური ზღაპრებისათვის, ცხრა, სამი და შვიდი რიცხვებია ძირითადად დამახასიათებელი. იქ ამბები ხშირად ხდება ცხრა მთას, ცხრა ზღვას იქით, პერსონაჟები გადაივლიან ცხრა ზღვასა და ცხრა მთას. საკრალურ რიცხვებთან დაკავშირებით ქართულში გვხვდება ცხრათავიანი დევეები, ცხრა კლიტული, სამთავიანი ურჩხული და სხვა ბევრი. ქართული ხალხური ზღაპრების მთარგმნელი უორდროპი ხშირად რიცხვის სიმბოლიკას უცვლელი მოდელის სახით იყენებს, რათა შექმნას სათანადო რიტმულ-ინტონაციური სურათი და ფსიქოლოგიური განწყობა უცხო ენაზე მისი თარგმნის დროს.

ზღაპარში მრავლადაა ცალკეული, გამორჩეული დეტალები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტექსტის საერთო ხმოვანებაში. ერთ-ერთი ასეთი დეტალია ზღაპარში ჩართული კუპლეტები ან გარითმული სტრიქონები. მისი დამახასიათებელი ნიშნებია ზღაპრის ინტონაციასთან შერწყმული სისხარტე და კეთილხმოვანება, ფორმის სიმარტივე, არცთუ იშვიათად იუმორი და მახვილგონიერებაც [ფანჯიკიძე 1988: 175].

მაგალითისათვის მოვიყვან ინგლისურ ხალხურ ზღაპარში ჩართულ სტროფებს, რომელიც ქართველმა მთარგმნელმა შეძლო მისი გადმოტანა ქართულ ენაზე. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ეს ზღაპრები ქართული ფოლკლორის თარგმანებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. აი ეს სტროფებიც:

‘Fee-fi-fo-fum,
I smell the blood of an Englishman
Be he alive, or be he dead,
I’ll have his bones to grind my bread’

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

ესო - მესო, ესო - მესო
ინგლისელის სუნი მცემსო,
თუ დავიჭირე, შევახრამუნებ,
პირსაც გემოზე ჩავიტკბარუნებ
[მთარგმ. ნ მათიკაშვილი, 1983: 31].
“An oak-leaf hat he had for his crown;
His shirt of web by spiders spun;
With jacket wove of thistle’s down;
His trowsers were of feathers done.
His stockings, of apple-rind, they tie
With eyelash from his mother’s eye
His shoes were made of mouse’s skin,
Tann’d with the downy hair within.”

<http://www.authorama.com/english-fairy-tales-28.html>

„თავს დაჰხურეს კაკლის ფოთლის მწვანე ჩაჩი, პაწაწინა“
ტანთ ჩააცვეს მას პერანგი, აბლაბუდის ფარატინა,
შავი კოპწია შარვალი - მოქსოვილი თივთივისა,
ასეთივე იყო ფერი მისი ბეწვის ქურთუკისა,
წინდა ჰქონდა ვაშლის ქერქის, იკვრებოდა წამწამებით,
ფეხსაცმელი თავის ტყავის, მოსირმული ოქროს თმებით“
[მთარგმ. ნ მათიკაშვილი, 1983: 73].

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ზღაპარი კულტურის ნაწილია. ამ მხრივ ქართული ხალხური ზღაპარი შეიცავს მრავალ საინტერესო შრეს. ზღაპრის დასაწყისი და დასასრულის ფორმულები, ზღაპრის კულტურული ელემენტები, მათ შორის ზღაპრის პერსონაჟების ტრადიციული სახელები და რეალიები, ესენი ყველა ეროვნული კოლორიტის შემქმნელი ძირითადი საშუალებებია. ზღაპრის თარგმნის პრობლემები ქართულიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით, წყდება სტილის დონეზე და ეს გარემოება გასათვალისწინებელია თარგმანის პრაქტიკაში. ჩვენ მიერ განხილულ თარგმანებში, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ლექსიკური თუ გრამატიკული ერთეული, არის ის მასალა, რომელიც ზღაპრის მთარგმნელმა ზოგჯერ უცლელად, ან უფრო ხშირად კი, მოდელის სახით შეიძლება გამოიყენოს თარგმანის დროს ფსიქოლოგიური განწყობის შესაქმნელად.

დასკვნა

ამდენად, კვლევამ ცხადყო, რომ ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრები ნაირგვარი თავისებურებით გამოირჩევა. ისინი საინტერესო და სპეციფიკურ სტრუქტურულ თუ სემანტიკურ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც რეალიზებულია ენის ყველა დონის ნიშანდობლიობები და წარმოჩენილია კულტურული უნივერსალები. ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები მხატვრული ქრონოტოპისა და მისი ენობრივი ერთეულების გამოხატვის თვალსაზრისით, ახლოს დგანან როგორც ზღაპართან, ასევე, მისი რეალური სამყაროს შინაგან ოპოზიციურობასთან. მიუხედავად სხვადასხვა სისტემის ენებისა, ორივე ენის ზღაპრების დასაწყისი ფორმულები მიემართებიან ერთი კონკრეტული არსებითი (სულიერი და უსულო) სახელისაკენ.

- ქართული ხალხური ზღაპრებისათვის დამახასიათებელია ხატოვანი დასასრული და გართმულობა. ინგლისური ხალხური ზღაპრების დასასრული კი არახატოვანია.

- ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების სპეციფიკურობას ქმნის მეტატექსტი, სადაც დასტურდება რამდენიმე შემთხვევა:

- მეტატექსტის დამთხვევა აზნაცთან;
- ერთი და იმავე აზნაცში ორი ან მეტი მეტატექსტის წარმოდგენა;
- უმეტესად თითოეულ მეტატექსტში რამდენიმე აზნაცის გამოყოფა.

ქართული ხალხური ზღაპრებისაგან განსხვავებით, ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გამოიკვეთა მეტატექსტთა ურთიერთდაკავშირების ისეთი სპეციფიკური საშუალებები, როგორცაა: წერტილი, კითხვითი და ძახილის ნიშნებით.

- სიტყვათა და წინადადებათა რიგი ორივე ენაში მყარია. წინადადებათა რიგის შეცვლა არღვევს წინადადებათა თანამიმდევრობის კანონზომიერებას, რაც ამახინჯებს ან ცვლის ინფორმაციას და, ამდენად, ხელს უშლის ან შეუძლებელს ხდის კომუნიკაციას.

- ესთეტიკური შთაბეჭდილებების გაძლიერების მიზნით, ქართული და ინგლისური ენის ზღაპრებში ფიქსირდება ლექსიკური განმეორება (ექსპლიციტური და იმპლიციტური).
- ორივე ენაში სინონიმური ჩანაცვლება მეტატექსტის კომპონენტთა დამაკავშირებელი ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.
- ქართული და ინგლისური ზღაპრის ტექსტებში წინადადებების სტრუქტურა მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. თუ ქართულ ტექსტებში უმთავრესად ვხვდებით შერწყმული და რთული წინადადებების მაგალითებს, ინგლისურენოვან ზღაპრებში უმთავრესად მარტივი გავრცობილი წინადადებები გვხვდება, თუმცა დასტურდება შერწყმული და რთული წინადადებების მაგალითებიც.
- დიალოგს ზღაპრებში მთავარი ადგილი უკავია. ქართული ხალხური ზღაპრის დიალოგებში ხშირია სხვათა სიტყვის ნაწილაკი „ო“, რომელიც ეკუთვნის არა მთქმელს, არამედ პერსონაჟს. სხვათა სიტყვის ნაწილაკი „ო“ ინგლისური ენისათვის არ არის დამახასიათებელი. მის ნაცვლად ინგლისურ ზღაპრებში ჩნდება „რომ“ (but) კავშირი.
- ორი სხვადასხვა სისტემის მქონე ენათა ზღაპრების შინაარსის პლანში დროთა თანამიმდევრობა გამოხატულია შემდეგნაირად: ქართულ ზღაპრებში დროთა თანამიმდევრობა გამოხატულია დროის შემდგომ მომენტთან ან სხვა მოქმედებასთან, რომელიც ემყარება თანადროულობასა და შემდეგდროულობას, ხოლო ინგლისურ ზღაპრებში, დროთა მიმართების გრამატიკული კატეგორია ემყარება სამ დიფერენციალურ ნიშანს - **წინადროულობას, თანადროულობასა და შემდეგდროულობას.**
- ხალხურ ზღაპრებში დადასტურებულ მზა ფორმულათა დიდი ნაწილი უნივერსალურია ესენია: სამკომპონენტია, ოთხკომპონენტია, ხუთკომპონენტია და მრავალ კომპონენტია ინიციალური, მედიალური და ფინალური გამონათქვამები, რომლებიც დამოკიდებულია მთქმელზე, იმის და მიხედვით, თუ როგორ შეცვლის ის ამა თუ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულს, გააფართოებს კომპონენტთა შემადგენლობას, გამოიყენებს ლექსიკურ განმეორებას

თუ სინონიმურ ჩანაცვლებას, ან ერთის ნაცვლად სხვა სინონიმურ თუ ომონიმურ წყვილს.

- სტრუქტურული თვალსაზრისით ქართულ ინიციალურ ენობრივ გამონათქვამებში ზმნა უმთავრესად საწყის პოზიციაზე გვხვდება, თუმცა, გვხვდება გამონაკლისებიც. ფორმულათა ნაწილი იწყება არსებითი სახელით. ასეთ დროს ზმნა-შემასმენელი ბოლოკიდურ პოზიციაზე ინაცვლებს.

- ნიშანდობლივ ალომორფიზმად გამოიკვეთა, რომ ინგლისური ზღაპრების ინიციალურ ენობრივ ფორმულებში გავრცელებულია საწყისი კომპონენტები ეგზისტენციალური (ზმნიზედური) ერთეულით. ყველა მათგანი არსებითი სახელის ფორმით სრულდება.

- მედიალურ მყარ გამონათქვამებში, მიუხედავად იმისა, განეკუთვნებიან თუ არა ისინი სამ, ოთხ, ხუთ და მრავალ კომპონენტთან გამონათქვამებს, საკვანძო სიტყვად მაინც ზმნა გვევლინება. ყველაზე ბევრია მედიალურ გამონათქვამთაგან მოგზაურობის ამსახველი ფრაზები. საერთაშორისო ხასიათის ფორმულა, რომელიც ორ ვარიანტად წარმოგვიდგება ქართულ ხალხურ ზღაპრებში („იარა, იარა“, „ბევრი იარა თუ ცოტა იარა“), ინგლისურ ხალხურ ზღაპრებშიც გვხვდება.

- ზმნა ძირითადად საწყის პოზიციაზეა. თუმცა, იშვიათად გვხვდება ბოლოკიდურ პოზიციაზეც.

- ქართული ენის მეორე სერიის წყვეტილის მწკრივი და ინგლისური ენის **past simple** / წარსული განუსაზღვრელი დრო ერთმანეთში აბსოლუტურად თანხვდება. პირველი სერიის აწმყოს წრით გაფორმებული ზმნა ქართულ და ინგლისურ ენობრივ ფორმულაში დადასტურებული საწყისი **Present simple** / აწმყო განუსაზღვრელი დროით გაფორმებული ზმნა ერთმანეთის თანხვედრია.

- ენობრივ ფორმულებში ჭარბობს „და“, „თუ“ კავშირები.


- ქართულ ხალხურ ზღაპრებში ფინალური ენობრივი ფორმულების კომპონენტთა რაოდენობა მერყეობს ექვსიდან - თერთმეტის, ხოლო ინგლისურში ექვსიდან - შვიდის ჩათვლით.

- ინგლისურ და ქართულ ხალხურ ზღაპრებში სომატური იდიომებია ნიშანდობლივი. დადგინდა, რომ ერთი და იგივე ემოცია ხშირ შემთხვევაში გადმოცემულია ერთი და იმავე სომატური კომპონენტით.
- სომატური იდიომური გამოთქმები ძირითადად გადმოიცემა დადებითი და უარყოფითი ემოციური შეფასების სისტემით. ხალხურ ზღაპრებში სომატური ერთეულებისა და იდიომების ლექსიკური ანალიზით გამოიყო შემდეგი თემატური ჯგუფები: სიყვარული, სიხარული, შიში, სიბრაზე და დარდი.
- გამოიკვეთა სომატური იდიომური გამოთქმების უნივერსალური მახასიათებლები; დადგინდა კოგნიტური მეტაფორის არსებობა.
- ორივე ენის ზღაპრებში დაფიქსირდა სომატური იდიომების საზომის ფუნქციის მნიშვნელობით გამოყენება, რაც უნივერსალური ლინგვისტური მოვლენის მაჩვენებელია.
- მორფოლოგიური თვალსაზრისით ხალხურ ზღაპრებში სახელური იდიომები გვხვდება როგორც მრავლობით, ისე მხოლოდ რიცხვში. ქართულ ხალხურ ზღაპრებში სახელური იდიომების უმრავლესობას ახასიათებს კონკრეტული ბრუნვით გაფორმებული სახელები, (ძირითადად სახელობითი და ნათესაობითი) ასევე ქართული ხალხური ზღაპრების სახელური იდიომების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს თანდებულიანი სახელები. რაც შეეხება ინგლისურ ზღაპრებს, სახელური იდიომების უმრავლესობა გვხვდება წინდებულიანი ფორმებით, რაც განპირობებულია მისი სტრუქტურული ფაქტორებით იდიომებში. ინგლისურში, სახელური იდიომების კომპონენტთა უმრავლესობა შეადგენს არსებით სახელებს კუთვნილებით ბრუნვაში და კავშირებს. ასევე, ზედსართავ სახელებს, რომლებსაც ხარისხის ფორმები არ ახასიათებთ.
- ზმნური იდიომური გამოთქმების საფუძველზე გამოიკვეთა ქართულში ზმნების კომპონენტებთან მიმართების ორი ჯგუფი, ხოლო ინგლისურში ხუთი ჯგუფი



- ქართული ხალხური ზღაპრების, ზმნურ იდიომებში ზმნები დასტურდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფორმით, ხოლო ინგლისურში მხოლოდ დადებითი ფორმით.
- ქართულ ხალხურ ზღაპრებში სიტყვათა განლაგება ზმნურ იდიომებში ხშირ შემთხვევაში მყარი არ არის. ისინი ზღაპრებში გვხვდება როგორც პირდაპირი, ასევე შებრუნებული წყობით. ინგლისურ ენაში სიტყვათა რიგი მყარია.
- ზმნური კომპონენტის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობას იდიომის ფარგლებში ქმნის დრო. ზმნური იდიომების უმრავლესობას ინგლისურში ახასიათებს ძირითადად ახლანდელი და ნამყო დროის ფორმები. ქართულში ზმნა მსგავსი ტიპის იდიომებში ხან თავკიდურ, ხან კი ბოლოკიდურ ადგილს იკავებს.
- ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გამოიყოფა ანთროპონიმთა სამი ჯგუფი: საკუთარი სახელები, მეტსახელები და ანონიმური ანუ უსახელო პერსონაჟები.

- ორი ენისათვის გამოიკვეთა კულტურული უნივერსალები.



- დადგინდა, რომ, მაგალითად, „გულ-ღვიძლის ჭამა“ ქართულ ზღაპრებში „სამკურნალო“ ფუნქციით გამოიყენება. ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ზღაპრებში არ დასტურდება მსგავსი სომატური ერთეულის არსებობა და არც მასთან დაკავშირებული შეჭმის სიუჟეტური მოტივი. როგორც ქართულში, ისე ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, სასჯელის ფორმად გამოიყენებულია სომატური ელემენტები. ქართულ ზღაპრებში - ცხელის კუდზე (ძუაზე) გამობმა, ხოლო ინგლისურში - თავის მოკვეთა.

- ხალხურ ზღაპრებში ტროპული მეტყველების სახეებიდან ყველაზე მეტია ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, გამეორება, ჰიპერბოლა და სიმბოლო, როგორც ხალხური ზღაპრებისათვის ფართოდ გავრცელებული მხატვრულ - გამომსახველობითი საშუალებები.

- ხალხური ზღაპრები, პირველ ყოვლისა, ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლების, მხატვრული მატიაწეა. ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ბოროტების სიმბოლოდ დადასტურდა: დევი, კუდიანი დედაბერი, წყეული, ეშმაკი, დედინაცვალი, გველეშაპი. განსხვავება ამ მხრივ საანალიზო ენებს შორის უმნიშვნელოა. ინგლისურში დადასტურდა ისეთი ბოროტი სახე როგორცაა: გოლიათი, გალიგანტუსი, ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი, ხოლო ქართულში ავსული და ქაჯი. იშვიათად, თუმცა მაინც, ორივე ენის ზღაპრებში, მათი მიზანი ჰუმანურია.

- დადგინდა, რომ თითქმის ყველა ჯადოსნური ზღაპარი ბოროტებისა და სიკეთის ურთიერთდაპირისპირებას ასახავს, სადაც ყოველთვის იმარჯვებს სიკეთე. ქართულ ხალხურ ზღაპრებში სიკეთის სიმბოლოებია: წიქარა, ირმისა ფასკუნჯი,

ასფურცელა, სიზმარა და ადამიანის განუყრელი ერთგული რაში. ინგლისურში კი: კეთილი ფერია, ფიფქია, კონკია, მფრინავი რაში, გედები, მწვანე ტყის ფასკუნჯი.

- ქართული ხალხური ზღაპრები მდიდარია ფერთა სიმბოლიკით. გვხვდება, როგორც ქრომატული ისე ქრომატული ფერები. მკვეთრადაა გამოყოფილი და მკაცრად განსაზღვრული სიკვდილისა და ქვესკნელის სიმბოლური ფერი, რომელიც ძირითადად შავი ფერით აღინიშნება. რასაც ვერ ვიტყვით ინგლისურ ზღაპრებზე, სადაც შავი და ლურჯი ფერები ერთმანეთს ემიჯნება, როგორც სიკვდილის სიმბოლო.

- ქართულ და ინგლისურ ზღაპრებში რიცხვებს საკრალური დატვირთვა აქვთ. ესენია: სამი, ცხრა და შვიდი. ქართულ და ინგლისურ ზღაპრებში რიცხვი „სამი“ გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებთან არის დაკავშირებული და ქმნის სისტემას, ფერებთან (თეთრი, წითელი, შავი). ხალხურ ზღაპრებში დრო თითქმის სამივე საკრალური მნიშვნელობის მქონე რიცხვებით განისაზღვრება. ქართულში (სამი წელი, სამი თვე, სამი რიცხვი, სამი დღე, სამი საათი , შვიდი დღე და შვიდი ღამე, ცხრა მთას იქით); ინგლისურში (**three times, three days, three years, three days and three nights – seven years, seven times nine nights and nine days**).

- ზღაპრის თარგმანის პრობლემები ქართულიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით, წყდება სტილის დონეზე და ეს გარემოება გასათვალისწინებელია თარგმანის პრაქტიკაში. ჩვენ მიერ განხილულ თარგმანებში, ლექსიკური თუ გრამატიკული ერთეული არის ის მასალა, რომელიც ზღაპრის მთარგმნელმა ზოგჯერ უცლელად ან უფრო ხშირად კი მოდელის სახით შეიძლება გამოიყენოს თარგმნის დროს ფსიქოლოგიური განწყობის შესაქმნელად.

ამდენად, შესწავლილმა მასალამ დაადასტურა, რომ ზღაპრების სტრუქტურულ-სემანტიკური მსგავსება-განსხვავების გამოვლენამ მართლაც, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა ცალკეული საანალიზო ენის შიგნით არსებული საინტერესო ნიშანდობლიობები და ზღაპრის ტექსტის ცალკეულ საკითხთა შემდგომ სიღრმისეული კვლევის აუცილებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, ლ. (1986). იბერიულ - კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXV.
2. ანდრონიკაშვილი, მ. (1966), ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი.
3. არისტოტელე (1944). არისტოტელე, პოეტიკა, თბილისი.
4. ბაბლუანი, ა. (2008). სვანური ზღაპრის სტაბილური ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, თბილისი.
5. ბახტაძე, დ. (2010). „ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები“, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი.
6. ბოლქვაძე, მ. (2005). დროის ცნება ლინგვისტურ მეცნიერებაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XX.
7. გაგულიშვილი, ი. (1979). ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის ქართულ შელოცვებში. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N 1.
8. გელდიაშვილი, ნ. დარბაზილი, მ. (2010). ფერთა ლექსიკის ტიპოლოგიური ურთიერთშეჯერებისათვის. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ შრომები, ქუთაისი.
9. გვენცაძე, ალ. (1974). ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
10. ებრალიძე, ლ. (1986). ინგლისური ენის გრამატიკა „განათლება“, თბილისი.
11. ზაალიშვილი, ლ. (2006). უმცროსი ძმის მოტივი ჯადოსნურ ზღაპარში, ქართული ფოლკლორი №3(XIX).
12. ზამბახიძე, ე.მ (2008) ინგლისური ენის გრამატიკა, თბილისი.
13. თავიდაშვილი, ნ. (2014). კვაზირეალიები როგორც უნივერსალური ენობრივ – კულტურული ფენომენი და მათი ვერბალიზაცია სხვადასხვა სისტემის ენებში. დისერტაცია, ა. წერეთლის სახ. - ის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი.
14. თაყაიშვილი, ა. (1961). ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.
15. იოსიფ ბროდსკი “ოდისევსი ტელემაქეს”, www.semioticsjournal.wordpress.com
16. კვაჭანტირაძე, მ. (2002). გამეორება, როგორც ცოდნის და მნიშვნელობის „დედა“, ლიტერატურული ძიებანი №23 ნაწილი II.
17. კვაჭაძე, ლ. (1988). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
18. კიკნაძე, ზ. (2009). ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები), თბილისი.
19. კირვალიძე, ნ. (2009). პოლიტიკური დისკურსი და კოგნიტური მეტაფორები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტი", 3 (35).

20. მათიკაშვილი, ნ. (1983). ინგლისური ზღაპრები. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
21. მეგრელიშვილი, მ. (2009). კონტრასტივიკა-კერძო ტიპოლოგიის დარგი: სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“ №1, გამომც. ქუთაისი.
22. მესხი, ა. (2014). ინგლისური ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
23. ომიადე, დ. (1991). „ხალხური ჯადოსნური ზღაპრის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი“, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
24. ონიანი, ალ. (1988). ქართული იდიომები. თბილისი.
25. ონიანი, მ. (1961). ქართულ-სვანური იდიომატიკა. თბილისი.
26. ორბელიანი, სს. (1949). სიტყვის კონა. თბილისი.
27. ოქროშიძე, თ. (1973). ფერთა სიმბოლიკა ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში. ჟურნალი „ცისკარი“.
28. ჟორჟოლიანი, ქ. (2006). ზღაპრის სტრუქტურის მეცნიერული კვლევის ზოგადი ასპექტი, „საენათმეცნიერო ძიებანი“.
29. ჟღენტ, თ (2009). „ზღაპრის მზა ფორმულები“ (ტიპოლოგიური ანალიზი) საენათმეცნიერო ძიებანი, XXIX თბილისი.
30. სახოკია, თ. (1979). ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი.
31. სერგია, ვ. (1989). ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი.
32. სერგია, ვ. (1997). ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი.
33. სიხარულიძე, ქ. (1976). ქართული ფოლკლორის თეორიისა და ისტორიის საკითხები. თბილისი.
34. სულავა, ნ. (2002). „მთვარესა მცხრალსა“, ლიტერატურული ძიებანი №23 (ნაწილი I).
35. ფანჯიკიძე, დ. (1988). თარგმანის თეორია და პრაქტიკა. გამომცემლობა „განათლება“ თბილისი.
36. ქურდოვანიძე, თ. (2012). ქართული ხალხური სიტყვიერება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
37. ქურდოვანიძე, თ. (1983). ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი, თბილისი.
38. ქურდოვანიძე, თ. (1991). ქართული ზღაპრები, თბილისი.
39. ქურდოვანიძე, თ. (2002). ქართული ზღაპარი, თბილისი.
40. ქურდოვანიძე, თ. (2008). ეპითეტი ჯადოსნურ ზღაპარში ლიტ. ძიებანი №29.
41. ღლონტი, ალ. (1988). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები მესამე გამოცემა, გამომცემლობა „განათლება“ თბილისი.
42. ღლონტი, ალ. (1964) ქართული ლექსიკოლოგია, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი.
43. ღლონტი, ალ. (1971). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, მეორე გამოცემა გამომცემლობა „განათლება“.

44. ლლონტი, ალ. (1967). ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
45. ლლონტი, ალ. (1963). ქართული ხალხური ნოველა, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
46. ლლონტი, ალ. (1966). ქართული ხალხური ნოველა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
47. შანიძე, ა. (1973). „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ თბილისი.
48. ჩიქოვავა, არნ. (1950-64). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა.
49. ჩიქოვანი, მ. (1980). ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითი წყაროები. იხ. კრებულში ფოლკლორი ლიტერატურა, თბილისი.
50. ჩიქოვანი, მ. (1972). „ქართული სიტყვიერების ისტორია“, თბილისი.
51. ჩიქოვანი, მ. (1946). ქართული ფოლკლორი, გამომცემლობა გაზეთი „ლენინსკოე ზნამია“.
52. ჩიქოვანი, მ. (1956). ქართული ხალხური ზღაპრები, მიხ. ჩიქოვანის რედ., III, თბილისი.
53. ჩიქოვანი, მ. (1952). ქართული ხალხური ზღაპრები II, მიხ. ჩიქოვანის რედ., თბილისი.
54. ჩოლოყაშვილი (2004). უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში.
55. ჩუბინაშვილი, ნ. (1961). ქართული ლექსიკონი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
56. ჩუტკერაშვილი, ა. (2006). ტექსტის მთლიანობის შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორები, „საენათმეცნიერო ძიებანი“.
57. ჩხეიძე, ე. (2002). რიცხვთა სიმბოლიკა ქართულ ფოლკლორში, ლიტ. ძიებანი №22.
58. ცინდელიანი, უ. (1975). სვანური ზღაპრები. თბ.: გამომცემლობა „ნაკადული“.
59. ცინცაძე, დ. ქართული ზღაპრის დასაწყისის უძველესი კოსმოგონიური პლასტი <https://ka.wikipedia.org/wiki/>
60. ძველი ქართული ლიტ–რის ქრესტომათია, (1947). ტ1 ს. ყუბანეიშვილის რედ. თბილისი.
61. წიბახაშვილი, გ. (2000). თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბილისი.
62. ჭიკაძე, რ. ცისკარიშვილი, მ. (2012). აბსოლუტური და რელატიური დროის ურთერთმიმართება (კახური დიალექტისა და წოვა-თუმების ქართული მეტყველების მიხედვით), საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, №2.
63. ჭილაია, რ. (2003). ლიტერატურათმცოდნეობა, ენციკლოპედიური ცნობარი. თბილისი.

64. ჭილაია, ა. რ. (1984). ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბილისი.
65. ხალხური სიბრძნე (1963). ტომი 1. თბილისი.
66. ხალხური სიბრძნე (1964). ტომი 2. თბილისი.
67. „ხალხური სიტყვიერება“ (1972). ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ტომი 1. გამომცემლობა „ნაკადული“.
68. ჯიბლაძე, გ. (1966). რუსთაველის ესთეტიკური სამყარო, თბილისი.
69. Antti Aarne, (1911). Verzeichnis der Marchentypen.
70. Baker Mark C. (1966). Thematic Roles and Syntactic Structure. McGill University. USA. V.2. Revised.
71. Bullions D. D. (1866). Jacobs' Greek Reader, adapted to Bullions' Greek Grammar, with an Introduction on the Idioms of the Greek Language, - Notes Critical and Explanatory and an Improved Lexicon. New York: Scheldon and Company.
72. Collins, C. (1995). Cobuild Dictionary of idioms Harper Collins publishers LTD.
73. Comrie B. S. (1981). Language universals and linguistic typology: Syntax and morphology. Chicago.
74. Cowie, A. P. Mackin, R & McCaig I. R. (1983). oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983, Oxford University Press.
75. Crystal D. (1985). A dictionary of linguistics and phonology. 2nd. Edition. Oxford.
76. Declerck R. (2006). The Grammar of the English Tense System: a Comprehensive Analysis. Berlin: Mouton de Gruyter.
77. Dobrovol'skij. D. (1980). P h r a s e o l o g i e a l s o b j e k t d e r Universalienlinguistik. (=Linguistische Studien).
78. Farlex: The free dictionary by Farlex “Idioms and Phrases“ <http://idioms.thefreedictionary.com/>
79. Hopper, P. J., (1994). Fox B. Voice. – Amsterdam.
80. Hornby, A S. (2000). Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, Sixth edition, Edited by Sally Wehmeier.
81. Sukhishvili, T. (2000). Liver as a Life Symbol in Ancient Greek and Georgian World Vision, PHASIS, Greek and Roman Studies, Volume 2-3, “Logos”, Tbilisi Ivane Javakhishvili State University. 391-394.
82. Weber, H. (1954). Das Tempussystem des Deutschen und des Französischen, Bern.
83. Westerberg, Ch. (2015). The Esoteric Codex, Medieval European Legendary Creatures, Chapter, 34.
84. Wood, M. M (1986). A Definition of Idiom. Bloomington: Indiana University Linguistics Club.
85. Ахманова, О. С. (1966). Словарь лингвистических терминов.
86. Бахтин, М. М. (1986). “Формы времени и хронотопи в романе”, кн. “Литературно-критические статьи”, Москва.
87. Ведерникова Н.М. (1980). Эпитет в волшебной сказке. - Фольклор как искусство слова, М.: МГУ, вып. 4.
88. Веселовский А.Н. (1940). Из лекций по истории эпоса. - Веселовский А.Н. Историческая поэтика. Л.: «Гослитиздат».

89. Караулов Ю.Н. (2010). Русский язык и языковая личность. М.: Издательство ЛКИ.
90. Кибрик А. Е. (1992). Очерки по общим и прикладным вопросам языкознания. М.,
91. Кинэн Э. Л. (1982). К универсальному определению подлежащего. Новое в зарубежной лингвистике. М. 236-276
92. Комлев Н. Г (2006). Словарь иностранных слов.
93. Косериу, Э. (1989). "Контрастивная лингвистика и перевод: их соотношение". "Новое в зарубежной лингвистике", вып. XXV, М.
94. Кравчук И. А. (1970). О некоторых особенностях словорасположения в современном русском языке на сверхфазовом уровне. АКД. М.
95. Кунин А. В. (1972). Фразеология современного английского языка. Опыт систематизированного описания. Москва: Международные отношения.
96. Успенский Б.А. (1973). Поэтика композиции. М.: «Искусство».
97. Фрейденберг, О.М. (1936). "Античные теории языка и стиля" Ленинград, ОГИЗ.
98. Шемякин Ф. Н. (1967). Язык и чувственное познание.- Язык и мышление - М. Наука.
99. <http://www.etymonline.com>
100. <http://ena.ge/explanatory-online>
101. <http://www.slideshare.net/RalphPilkington/englishidioms>

საანალიზო წყაროები:

1. ზღაპარი „ირმისა“ (1987). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
2. ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“ (1987). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი.
3. რაზიკაშვილი, თ. (1952). ქართული ხალხური ზღაპრები. გამომც. „საბლიტგამი“.
4. ქართული ხალხური ზღაპრები, (1976). იყო და არა იყო რა, კომენტარები დ. გოგოჭურისა, „ნაკადული“, თბილისი.
5. ღლონტი, ალ. (1974). ქართული ხალხური ზღაპრები. თბილისი.
6. ღლონტი, ალ. (1975). ქართული ხალხური ზღაპრები II გამოცემა, „განათლება“, თბილისი.
7. ხალხური ზღაპრები (1976). „იყო და არა იყო რა“ გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.
8. Joseph Jacobs. English Fairy Tales
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs.html>
9. Wardrop. M. (1894). “Georgian Folk Tales”, published by David Nutt in the Strand, London.

დანართები

დანართი №1, ცხრილი №ა

გულთან დაკავშირებული სიმბოლოები ქართულ ხალხურ ზღაპრებში

მოწონება / მოხიზვლა	განცდა	გამხიზვება/დაიმედება	წყენა /ტკივილი/ ჯავრი
ვისიმე გულის მოგება	გულზე შემოყრა	გულის გაკეთება	გულის შურით ავსება
ვისიმე გულში ჩავარდნა		გულის გამაგრება	გულზე ბოდმის შემოწოლა
		გულის მობრუნება	გულის ამოსკვნა
		გულის არ გატება	რისამე გულში ჩადება
		გულის გადაყოლება	გულის დაწყვეტა
		გულში იმედის ჩასახვა	გულის გახეთქვა გულის მოსვლა
			გულის დაწვა გულის შეღონება

ცხრილი № ბ

გულთან დაკავშირებული სიმბოლოები ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში

გულწრფელობა	სევდა / მწუხარება	განცდა	სიყვარული
With all one's heart - სულით და გულით	aching heart მწუხარება, სევდა, ნაღველი, ჭმუნვა.	move smb's heart გულის აძგერება	lose one's heart to smb გული მისდის ვინმეზე
to one's heart's content რაც გაგიხარდეს სულო და გულო	Take heart გული გაიმაგრე; გულს ნუ გაიტებ	harden one's heart	set one's heart on - Strongly desire something სწრაფვა, ლტოლვა, გულით ნდომა
from one's heart - გულწრფელად, გულით	with a heavy heart – დამძიმებული გულით		give one's heart to smb გულის მიცემა
	out the heart ცუდ გუნებაზე		







ცხრილი № 6

თვალი / eye -ის გამომხატველი იდიომები ქართულ და ინგლისურ ზღაპრებში

გაკვირვების გამომხატველი იდიომები	ტყუილის გამომხატველი იდიომები	შურისა და არაკეთილმოსურნეობის გამომხატველი იდიომები	სილამაზის / მშვენიერების გამომხატველი იდიომები	სურვილის გამომხატველი იდიომები
თვალ (ებ) არ დაჯერება	თვალიდან ბეწვის გამოცლა	ცალი თვალთ შეხედვა	თვალის სინათლე	თვალის დარჩენა
		თვალი დაუდგება	თვალის ჩინი	have got one's eye on smb. or smth. თვალი დაადგა (ვინმეს, რამეს)
		evil eye - ეშმაკის თვალი	თვალ - ტანადი	
		to have a wink of eye at თვალის არიდება	თვალ-წარბის შუქი	







დანართი №2 ცხრილი №1








სამკომპონენტური ინგლისური სახელური იდიომების სტრუქტურული ხეები.



ცხრილი №2










ოთხკომპონენტური ინგლისური სახელური იდიომების სტრუქტურული ხეები












ცხრილი №3

სამკომპონენტური ინგლისური ზმნური იდიომური გამოთქმების სტრუქტურული ხეები



ცხრილი №4

ოთხკომპონენტური ინგლისური ზმნური იდიომური გამოთქმების სტრუქტურული ხეები



ცხრილი № 1

გულთან დაკავშირებული სომატური იდიომები ქართულ ხალხურ ზღაპარში

1. გულის გამაგრება	გამხნელება, დაიმედება, წახალისება, გულის გაკეთება (ონიანი, 1988:38)
2. გულის შეღონება	გრძნობის დაკარგვა, გულის შეწუხება, გულს შემოყრა (ონიანი, 1988: 47) მაგ; ქალს შიშით კინაღამ გული შეუღონდა, იმავე წამს სირბილით გამობრუნდა უკან და მამას უთხრა, - ასე და ასეა საქმეო (სამი და, 1976: 414)
3. გულში გადაწყვიტა	იხ. გულში ჩახვევა (რისამე) დაფარვა, გულში ჩამარხვა (რისამე); დახსომება (რისამე)(ონიანი, 1988: 53) მაგ; გულში მისი წყენა გადაწყვიტა (სამი სიბრძნე, 1976: 391)
4. გულის მოხება	გულის მოჯერება; დარდის, მწუხარების გაქარვება (ონიანი, 1988:44) მაგ; შემოიკრა კაცმა თავში ხელი და მორთო ხმამაღლა ტირილი, ბევრი იტირა, მოიოხა გული (სამი სიბრძნე, 1976: 391)
5. გულში იმედის ჩასახვა	იხ. გულში ნათელის ჩადგომა გახარება, დაიმედება, გულის განათება, შვებით ამოსუნთქვა (ონიანი, 1988: 51);მაგ; უცბად ბრძელი ხელმწიფის ნათქვამი მოაგონდა: „რაც შენი თვალით არ ნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო“, _ და გულში ისევ იმედი ჩესახა (სამი სიბრძნე, 1976: 391)
6. გულის გადაყოლება	გართობა, თავის შექცევა (ონიანი, 1988: 37) მაგ; ერთმანეთისთვის აღარაფერი გვიამბნია, ვთქვათ რამე, გული გადავაყოლოთ და დამეც შევიმოკლოთო (ამხანაგს ნუ უღალატებ, 1976: 379)
7. გულის ავსება შურით	მაგ; გაიგო იმისმა ამხანაგმა ეს ამბავი და გული შურით აევსო (ამხანაგს ნუ უღალატებ, 1976: 378)
8. გულის მოგება	-(ვისიმე) მიმხრობა, გადაბირება; თავის სასარგებლოდ განწყობა (ვისიმე), გულის მონადირება (ონიანი, 1988: 43) მაგ; ავი სულის გულის მოსაგებად ხელმწიფემ გლოვა გამოაცხადა და იმ დღიდან მაძებნი არავის გაუხდია (ამხანაგს ნუ უღალატებ, 1976: 375)
9. გულში ჩავარდნა (ვისიმე, რისამე)	მოწონება, შეყვარება (ვისიმე, რისამე) (ონიანი, 1988: 52) მაგ; გოგო ძალიან ლამაზი იყო, გულში ჩამივარდა (სიმდიდრე ჯობია თუ სიღარიბე, 1976: 350)
10. გულში თქმა	გაფიქრება, აზრად მოსვა (ონიანი, 1988: 53) მაგ; _ ეს მეცხვარე უთუოდ ჩემი ცოლის დარიგებულია, - თქვა გულში (ხელმწიფე და გლეხის ქალი, 1976: 337)
11. გულზე ბოღმა (შე) მოწოლა	დადარდიანება, დანაღვლიანება, შეწუხება (ონიანი, 1988: 29) მაგ; ცხენის პატრონს გულზე ბოღმა შემოაწვა.
12. გულის მოჯერება	რაიმე მოთხოვნილების, სურვილის დაკმაყოფილება, გულის მოხება (ონიანი, 1988: 45) მაგ; კარგად რომ დანაყრდნენ და ლაპარაკითაც გული იჯერეს, დაწვნენ

	და დაიძინეს (ხელმწიფე და გლეხის ქალი, 1976: 335)
13. გულის აცრუება (ვინმეზე, რამეზე)	რისამე ან ვისიმე მიმართ ინტერესის დაკარგვა, გულის გატეხა, გულის აყრა (ონიანი, 1988: 36) მაგ; ქმარზე და ოჯახზე გული აიცრუა (მამასახლისი და გლეხის ბიჭი, 1976: 295)
14. გულის გაკეთება	გამხნეება, დაიმედება, ნუგეშისცემა, დამშვიდება, გულლის გაკეთება (ონიანი, 1988:38) მაგ; ცოლმა გული გაუკეთა: _ ნუ გეშინია, მოგიძვია, არარაფერს გეტყვისო (უქნარა, 1976: 287)
15. გულზე შემოყრა	გრძნობის დაკარგვა, გულის შეწუხება, გულის წასვლა (ონიანი, 1988: 50) მაგ; ბიჭს კინაღამ გულს შემოეყრა, ერთი კოკა ღვინო რომ დავლიო, ხომ მოვკვდებიო (სტუმართმოყვარე ცოლი, 1976: 262)
16. გულში აქვს (რამე)	განზრახული აქვსრამე, ფიქრობს (რასმე) (ონიანი, 1988: 50) მაგ; თან გულში ყასბის ჯავრი ჰქონდა და სულ იმის ფიქრში იყო, სამაგიერო როგორ გადაეხადა (კომბლე, 1976: 340)
17. გულის დაწყვეტა	წყენა, შეწუხება, გულის ტკენა (ონიანი, 1988: 42) მაგ; მეპატრონე სოვდაგარს წივიანი საპალნების დანახვაზე გული დასწყდა, მაგრამ წყენა არ დაიმჩნია (ჭკუა მაქვს და ფული- არა, 1976: 245)
18. გულის ამოსკვნა	ბევრი ტირილი, ქვითინი, გულის ამოჯდომა (ონიანი, 1988: 35) მაგ; მთელი ქალაქი მოედანზე შეკრებილა და გულამოსკვნით ტირის (ალალი ორი შაური, 1976: 240)
19. გულის გახეთქვა	შეშინება, შეძრწუნება (ვისიმე); გაბრაზება, გაჯავრება (ვისიმე) (ონიანი 1988: 40) მაგ; შეეშინდა ემანდ ეშმაკები არ იყვნენო და გულგახეთქილი ტრაპეზში დაიმალა (ორი მეგობარი, 1976: 209)
20. გულის მოსვლა	გაჯავრება, გაბრაზება, წყენა (ონიანი, 1988: 44) მაგ; ერთიც ვნახოთ, და ჭიანი გამოდგეს, ხელმწიფეს გული მოუვიდეს და გაბრაზებულმა მთელი კაკალი თავზე გადაგამტვრიოს, როგორ ფიქრობ, გაუძლებს შენი თავი ხელმწიფის ასეთ პატივისცემასო? (სოვდაგარი და მისი ცოლი, 1976: 195)
21. გულის გასკდომა	შეშინება, შეძრწუნება. (ონიანი, 1988: 39) მაგ; მე თან გული მისკდება შიშით, თან ვფიქრობ, ნეტა დამაჭერინა- მეთქი (ობოლი და ქოსატყუილა, 1976: 182)
22. გულის დაწვა	- წყენა, შეწუხება, გულის ტკენა ... (ონიანი, 1988: 42) მაგ; _ მართალი ხარ, შვილო, და მეც მჯერა, ისე დაგეწვა გული, რომ ეგ მანეთი ნამდვილად შენი შრომით ნაშოვნია (ზარმაცი შვილი, 1976: 173)
23. გულის მობრუნება	წყენის დავიწყება, კვლავ კეთილად განწყობა. (ონიანი, 1988: 43) მაგ; _ წადი, შვილო, მთელი დღე თუნდ ბეწვსაც ნუ გაწყვეტ, ოღონდ სარამო ხანზე ირბინე და დაღლილ-დაქანცული, ოფლიანი რომ მოხვალ, იქნებ დაგიჯეროს, რომ შენი ნაშოვნია და გული

	მოუბრუნდესო (ზარმაცი შვილი, 1976: 172)
24. გულზე ცეცხლის მოკიდება	გაბრაზება, გაჯავრება (ონიანი, 1988: 53) მაგ; ხელმწიფეს ჯავრისაგან გულზე ცეცხლი მოეკიდა (სამი ტყუილი, 1976: 153)
25. გულის (არ) გატეხა	იმედის, რწმენის არ დაკარგვა, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნა. (ონიანი, 1988: 39) მაგ: ძმები გულს არ იტეხდნენ (ძმობა, 1976: 138).

ცხრილი № 2

თავთან დაკავშირებული სომატური იდიომები ქართულ ხალხურ ზღაპარში

1. თავის (ვერ) დახსნა	ვერ განთავისუფლება, ვერ გადარჩენა (რაიმე არასასურველისაგან) (ონიანი, 1988: 80) მაგ; დღე და რამე მუსაობდა მაგრამ სიღარიბიდან თავი ვერ დაეხსნა. (ხარბი ოქრომჭედელი, 1976: 140)
2. თავის შეკავება	რაიმე გრძნობის შეზღუდვა, მოთმენა, თავშეკავება, თავის შემაგრება (ონიანი 1988: 82) მაგ; ეშმაკუნამ დროზე ანიშნა, არ შეცდო, და ძუნწმაც თავი შეიკავა (ეშმაკის ლაგამი, 1976: 175)
3. თავს იცემს	ძალიან ნაწილს (რასმე), ჯავრობს (ონიანი, 1988: 88) მაგ; დაბრუნდა უკან გაწბილებული, დაჯდა ერთ ხის ძირას და დაიწყო თავში ცემა (დედაკაცი და ეშმაკი, 1976: 183)
4. თავზე კაკლის დამტვრევა	დატუქსვა, შავი დღის დაყრა ((ონიანი, 1988: 75) მაგ; გაბრაზებულმა ხელმწიფემ მთელი კაკალი თავზე გადაგამტვრიოს, როგორ ფიქრობ, გაუძლებს შენი თავი ხელმწიფის ასეთ პატივისცემასო? (სოვდაგარი და მისი ცოლი, 1976: 195)
5. თავზარის დაცემა	შეშინება, შეძრწნება (ონიანი, 1988:73) მაგ; გულგახეთქილი და თავზარდაცემული ქურდები ფხაჭაგლეჯით გამოცვივდნენ ეკლესიიდან და უკან მოუხედავად მოკურცხლეს (ორი მეგობარი, 1976: 210)
6. თავის დაღწევა	თავის დახსნა, განთავისუფლება, გადარჩენა (რაიმე არასასურველისაგან), თავის აცდენა (რისამე) (ონიანი, 1988: 80) მაგ; იქნებ ბედმა გამილიმოს და ამ გაჭირვებას თავი დავაღწიოთო (ალალი ორი შაური, 1976: 238)
7. თავის გამოჩენა	სახელის გათქმა, სახელის მოხვეჭა (ონიანი, 1988:79) მაგ; ყველას უნდოდა თავის გამოჩენა და ყველა მოზრდილ სასმელს ეტანებოდა (სტუმართმოყვარე ცოლი, 1976: 262)
8. თავის დაჭერა(როგორმე)	მოქცევა (როგორმე); თავის შეკავება (ონიანი, 1988: 81) მაგ; იცოდა, რომ ქალს ქმარი მკვდარი ჰყავდა და მეორე ოთახში ესვენა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ არაფერი იცოდა (სტუმართმოყვარე ცოლი, 1976: 264)
9. თავს იკლავს	მეტის-მეტად წუხს, ღელავს; თავგამოდებით ცდილობს რასმე; ზედმეტი ჯაფით იტანაჯება (ონიანი, 1988: 86) მაგ; ქმარი შრომით თავს იკლავდა, დღე და ღამეს

	ასწორებდა (ჭკუამხიარული ცოლები, 1976: 275)
10. თავის მოკატუნება	თავის უცოდველად, მიამიტად მოჩვენება; თავის დამცირება, თავის მოსაწყლება (ონიანი, 1988:81) მაგ; ადგა უქნარა, წაწვა ტახტზე, დახუჭა თვალები, გაინაბა და მოიმკვდარუნა თავი (უქნარა, 1976: 288)
11. თავი აღარ აქვს (რისამე)	არ შეუძლია (რამე), უნარი არ შესწევს (რისამე) მაგ; სადამოზე ცოლმა საჭმელი მოუტანა, მაგრამ ჭამის თავი სადღა ჰქონდა (უქნარა, 1976: 287)
12. თავზე ხელის მოსმა	მოფერება, დაყვავება; დაფაცურება, საქმის შედგომა (ონიანი, 1988: 76) მაგ; წყალსაც ასე ცოტა- ცოტაობით ასმევდა და ბოლოს ისე შეიჩვია, რომ თავზე ხელიც კი გადაუსვა (მორჯულებული ცოლი, 1976: 314)
13. თავს შემოვლება	განსაკუთრებული მზრუნველობის გაწევა, ყურადღების მიქცევა, მოვლა, სამსახურის გაწევა, თავის შეწირვა (ონიანი, 1988:87) მაგ; დედა და შვილი თავს ევლებოდნენ ხელმწიფის ასულს (მორჯულებული ცოლი, 1976: 314)
14. თავის მოჭრა	შერცხვენა, კისრის მოჭრა, სახელის გატეხა (ონიანი, 1988:82) მაგ; შეეშინდა სოვდაგარს, ემანდ მართლა არ მიჩვილოს და საქვეყნოდ თავი არ მომჭრასო და ათი ტომარა ვერცხლის ფული გადმოულაგა (ხახუტა 1976: 320)
15. თავის მინებება	იხ. თავის დანებება -დატოვება, მოშორება, გაცლა, მიტოვება; შეწყვეტა (რაიმე საქმიანობისა), თავის მინებება (ონიანი, 1988: 80) მაგ; გლეხმა ჩოხის კალთით გააპრილა ოქროს ფილი, ხარგუთანს იმავე წამს თავი მიაწება და სახლისაკენ მოკურცხლა (ხელმწიფე და გლეხის ქალი 1976: 332)
16. თავზე ტრიალი	თავს დასტრიალებს მუდამ მასთან არის და მზრუნველობას უწევს, ემსახურება, უვლის, თავს ევლება (ონიანი, 1988:85) მაგ; ერთხელ ეს მდიდარი კაცი აივანზე იჯდა და სამხარს შეექცეოდა, წინ გულხვი სუფრა ედგა, თავზე მსახურები დასტრიალებდნენ და ეკითხებოდნენ (სიმდიდრე ჯობია თუ სიღარიბე, 1976: 346)
17. თავის დღეში	არასდროს, ვერასდროს; მუდამ, ყოველთვის (ონიანი, 1988:81) მაგ; რომ იცოდე, როგორ და რა გზით შეამიძენია ეს სიმდიდრე, მაშინ არარ შეგშურდება და აღარც ჩემს დღეში ყოფნას ინატრებო (სიმდიდრე ჯობია თუ სიღარიბე, 1976: 346)
18. თავ-ქუდ მოგლეჯილი	იგივეა რაც თავ-პირის გლეჯით - იხ. თავ-პირის მტვრევით ძალიან სწრაფად, გამალებით, ჩქარა, თავ-პირის გლეჯით (ონიანი, 1988: 84) მაგ; მოვკრიფე რაც ოქრო-ვერცხლი ჰქონდა ხორცს აკრული, მუცლიდანაც გამოვიღე და თავქუდმოგლეჯილმა მოვკურცხლე (სიმდიდრე ჯობია თუ სიღარიბე, 1976: 348)

19. თავზე დაცემა	დედაბერმა ფულები რომ დაიგულა, მაშინვე ხალხს შეატყობინა და მთელი სოფელი თავზე დამცა (სიმდიდრე ჯობია თუ სიღარიბე, 1976: 348)
20. თავის მომძინერება	ერთი სიტყვით, მეგობარი გავწირე და თავი მოვიმძინერე (სიმდიდრე ჯობია თუ სიღარიბე, 1976: 352)
21. თავის მოყრა	შეგროვება, ერთად შეკრება; (ონიანი, 1988: 82); მაგ; მთელმა სასახლემ ხელმწიფის შვილის ოთახთან მოიყარა თავი (ამხანაგს ნუ უღალატებ, 1976: 377)
22. თავის გატანა	გაძლება, (გაჭირვებისა, განსაცდელისა...); თავისდარჩენა, თავის გამოტანა (ონიანი, 1988: 80); მაგ; დაადგა ეს საწყალი კაცი თავის სოფლისაკენ მომავალ გზას, მოდის მშიერ-ტიტველი და თვალცრემლიანი, ერთგან საჭმელს ითხოვს, სხვაგან - ძონძებს და თავი ასე გააქვს (სამი სიბრძნე, 1976: 386)
23. თავზე დადგომა	ვინმესთან ყოფნა და ყურადღების მიქცევა, მოვლა, კონტროლის გაწევა (ონიანი, 1988: 74) მაგ; ცელშემართული სიკვდილი დასდგომია თავს და თვალებს უბრიალებს (სიკვდილი და ყაჩაღი, 1976: 410)
24. თავის მოძულება	ისე გაგიხდი საქმეს, რომ თავი მოგძულდეს და თვითონვე მეხვეწებოდეთ (სიკვდილი და ყაჩაღი, 1976: 413)
25. თავის შენახვა	თავის რჩენა; თავის მოვლა (ონიანი, 1988: 82) მაგ; _სამუშაოს ვეძებთ, გვინდა მოჯამაგირედ ვისმეს დავუდგეთ და თავი შევინახოთო (ხუთკუნჭულა, 1976: 453)
26. გაუელვა თავში	თავში გარბენა (რისამე) გაფიქრება, უცებ აზრად მოსვლა (რისამე) მაგ; „ეს ხომ პეტრეაო!“ - გაუელვა თავში (ხარბი და ალალ-მართალი, 1976: 283)
27. თავის (ვერ) შემაგრება	თავის ვერ შეკავება. მაგ; წყალს რომ დაეწაფა, თავი ვეღარ შეიმაგრა და შიგ გადავარდა (ოქროსტარიანი ცული, 1976: 177)

ცხრილი № 3

თვალთან დაკავშირებული სომატური იდიომები ქართულ ხალხურ ზღაპარში

1.თვალ- გულს მოსვლა	ჩემს სახლში რაც უფრო მოგწომს და თვალ-გულს მოგდის, აირჩიე და ისიც ან წაიღეო (ხელმწიფე და გლეხის ქალი, 1976: 337)
2.თვალ-წარბის შუქი	ძვირფასი . მაგ: დღევანდელი ქართველი ასულები, ასე რომ ხიზლავს ყველას მათი თვალ-წარბის შუქი. (ხალხ. ზღაპ, 1976: 129)
3. თვალ - ტანადი	მაგ; მის ცოლს ერთი თვალ-ტანადი ჭაბუკი დაუსვია გვერდით და ეალერსება (შერცხვენილი მონადირე (ხალხ. ზღაპ, 1976: 150)
4. თვალის ჩინი	მხედველობა, ხედვის უნარი; ძვირფასი, ძალიან საყვარელი არსება, თვალის სინათლე (ონიანი, 1988: 93) მაგ; ჩემო თვალის ჩინო საცაა ძლიერი სეტყვა უნდა მოვიდეს (ქვის სეტყვა, 1976: 159)
5. თვალის დარჩენა (ვინმეზე, რამეზე)-	ძალიან მოწონება (ვისიმე, რისამე) მაგ; შევიდნენ თუ არა ბაზარში, ვირმა ისე მოიღერა კისერი და ისეთი ხტუნვა კუნტრუში ატეხა, რომ გამვლელ- გამოვლეს თვალი ზედა რჩებოდა (გლეხი, მოლა და ემმაკი, 1976: 199)
6. თვალი უჭირავს (რამეზე, ვინმესკენ, რამისკენ)	მზრუნველობას უწევს, ყურადღებას აქცევს, თვალყურს ადევნებს (ვინმეს, რამეს); გული მიუწევს (საითკენმე, რამისკენ) (ონიანი, 1988: 91) მაგ; ამ პურზე თვალი გეჭიროს, რომ არ დაიწვას (ნაცარქექია, 1976: 236)
7.თვალის დახამხამებაში	უცბად, სწრაფად, მყის, ელვის სისწრაფით (ონიანი, 1988: 92) მაგ; დაერია თავგებს და თვალის დახამხამების უმაღლესი მუსრი გაავლო (ალალი ორი შაური, 1976: 241)
8.თვალიდან ბეწვის გამოცლა	იხ. თვალსა და თვალს შუა ბეწვის გამოცლა ოსტატურად მოტყუება (ონიანი, 1988: 94) მაგ; რომ იტყვიან, კაცს თვალიდან ბეწვს ამოაცლისო, სწორედ ისეთი იყო (ორი ქურდი 1976: 290)
9. თვალის მოტყუება	წათვლელმა ცოტა ხნით დაძინება (ონიანი, 1988: 93) მაგ; მამი, შინ გავიქცევი და, სანამ შენ თვალს მოატყუებ, ისევ მოვალო (მამასახლისი და გლეხის ბიჭი, 1976: 296)
10. თვალ (ებ) არ დაჯერება	გაოგნება რაიმეს გამო, ან ვინმეს გამო მაგ; ამდენ ქონებას რომ ხედავს, გაოგნებულია და თვლებს არ უჯერებს (სამი სიბრძნე, 1976: 390)
11. თვალი შეასწრო - თვალი მოჰკრა	მაგ; ნელა მიეპარა ჩიტს და დაუპირა ხელის წავლება, ჩიტმა თვალი შეასწრო და ზედა ტოტზე გადაინაცვლა (სამი სიბრძნე, 1976: 390)
12. თვალი დაუდგება	შურით გულზე გასკდება, გაამწარა (ვინმე) (ონიანი, 1988: 91) მაგ; _ თვალი იმასაც დაუდგეს და იმის ცოლად გამყოლსაცო,- თქვა უფროსმა გოგომ (სამი და, 1976: 415)

13. ცალი თვალით გახედვა	მაგ; აგე ილიაში ჯოხივით რომ უჭირავს რაღაცა, იმისი მეშინია, რომ დამინახოს, იმას მოიმარჯვებს, ცალითვალით გახედავს, ჩხაკანს დაამახებინებს და სულს გამაფრთხოვინებსო (კაცის ძალა, 1976: 427)
14. თვალის გახელა	- რისამე მიხვედრა, გაგება, გათვითცნობიერება; ჭკუაში ჩავარდნა, გამოფხიზლება, თვალის ახელა (ონიანი, 1988: 92) მაგ; მართლაც ცოდოა ამისთანა ვაჟკაცი რომ მეწისქვილეობას შეაბერდეს, წავიდეს ქალაქში, თვალს გაახელს, ქვეყანას გაიცნობს ცოდნას, გამოცდილებას შეიძენს და ჩვენც გამოგვადგება და თავის თავსაცო (ბედისწერა, 1976: 430)
15. თვალის სინათლე	ძვირფასი, სათაყვანებელი არსება, თვალის ჩინი (ონიანი, 1988: 93) მაგ; - ნუ სტირი, ჩემო თვალის სინათლევ, თუ ყოჩაღად მოიქცევი, იმ ვაშლს შენ თვითონ იშოვი (ხელმწიფის დედა, 1976: 443)
16. თვალსა და ხელს შუა	უეცრად, შეუმჩნევლად, მოულოდნელად, თვალწინ (ონიანი, 1988: 94) მაგ; კონკიას ეშინოდა დედინაცვალმა არ მიცნოსო, და საჩქაროდ გამობრუნდა. დაედევნენ კარისკაცები. მაგრამ აბა იმის რაშს რა ცხენი დაეწეოდა! დაეკარგათ თვალსა და ხელს შუა (კონკია, 1976: 516).

ცხრილი № 4

ხელთან დაკავშირებული სომატური იდიომები ქართულ ხალხურ ზღაპარში

1. ხელ-ფეხის შეკვრა	შეზღუდვა, დაბრკოლების შექმნა, შებოჭვა, შევიწროება (ონიანი, 1988: 192) მაგ; მისცვივდა ხახი მოლას, გახადეს ტანსაცმელი და ხელ-ფეხშეკრული ტახტზე გაშოტეს (გლეხი, მოლა და ეშმაკი, 1976: 201).
2. ხელის გა (მო) წოდება	დახმარების გაწევა, შველა (ონიანი, 1988: 189) მაგ; ისე დაბადებულიყო, დედამ ვერც კი გაიგო, იდგა ხელეგაწვდილი და ეუბნებოდა, - მომეცი, დედი, ხურჯინი, მომეცი, მე წამოვიღებო (ცეროდენა, 1976: 203).
3. ხელის აღება (ვინმეზე, რამეზე)	- თავის მინებება, მიტოვება; გაწირვა (ონიანი, 1988: 188) მაგ; ძველ ადგილ-სამყოფელზე ხელი აიღეს დასაბოლოოდ იქ დარჩენა გადაწყვიტეს (ხალხ. ზღაპ., 1976: 129).
4. ხელის არ აღება	თავის არ მინებება, არ მიტოვება, არ გაწირვა მაგ; მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ხიდისთაველს თავის აბაზზე ხელი არ აელოს (ორი მეგობარი, 1976: 209); ექიმებსაც ხელი აელოთ: სულ ერთია, აღარ გადარჩებაო (ხარბი და ალაღ-მართალი, 1976: 281).
5. ხელის განძრევა	შრომა, გარჯა, საქმიანობა (ონიანი, 1988: 189) ხელის (არ) განრევა - უშრომელობა, უსაქმურობა მაგ; -

	ღმერთი რას მოგცემს, თუ ხელი არ გაანძრიე (მეცხვარე, 1976: 213).
6. ხელს არ მისცემს	ხელსაყრელი, სასარგებლო არ იქნება მისთვის (ონიანი, 1988: 192) მაგ; შენისთანა რეგვენტან მგზავრობა რა ხელს მომცემს, მე ჩემთვის წავალ (ხარბი და ალალ-მართალი, 1976: 282)
7. ხელის შეშლა	შეფერხება, დაბრკოლება (ონიანი, 1988: 191); მაგ; - რატომ არ დაანებე ჩემი ბრძანების ასრულება, ან როგორ გაზედე ხელის შეშლაო? (ჭკვიანი ნავეზირალი, 1976: 366)
8. ხელის ჩაქნევა	იმედის დაკარგვა, გულის გატეხა, ყველაფერზე ხელის ალება (ონიანი, 1988: 192) მაგ; „სადაც ამდენი რამ მაკლია, ეგ ერთი პურიც იქ იყოსო“, - თქვა გულში, ჩაიქნია ხელი და წავიდა თავისი გზით (ამხანაგს ნუ უღალატებ, 1976: 371)
9. ხელის მოცარვა	დარკოლება, ხელის შეშლა, იმედგაცრუებული დარჩენა (ონიანი, 1988: 191) მაგ; ამხანაგისათვის ლუკმა ვერ გაიმეტე და უცხო გზაზე მშიერი გამისვი, ხელი სწორედ ამიტომ მოგეცარა და ვერაფერი ისარგებლო (ამხანაგს ნუ უღალატებ, 1976: 378)
10. ხელის გამართვა	დახმარების გაწევა, შეწევნა, ხელის შეწყობა, ხელის მომართვა (ონიანი, 1988: 188); მაგ; - წადი, ეგებ ღმერთმა ხელი მოგიმართოს (სამი სიბრძნე, 1976: 381)
11. ხელიდან გამოსვლა	მაგ; დღე და რამე არ ისვენებს, რა გინდა, რომ იმისი ხელიდან არ გამოვიდეს (სამი სიბრძნე, 1976: 382)
12. ხელის მოკიდება (რისამე)	- რისამე გაკეთების დაწყება, საქმის შედგომა, წამოწყება; მისაკუთრება, დაუფლება (ონიანი, 1988: 191); მაგ; - რისი გაკეთების იმედიც არა გქონდეს, იმ საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებ და მიუწვდომელს ნუ წაეპოტინები (სამი სიბრძნე, 1976: 382)
13. ხელის ალება (ვინმეზე, რამეზე)	თავის მინებება, მიტოვება (ონიანი, 1988: 188) მაგ; კაცი დაფიქრდა, - ვაითუ მართლა დაიჭიროს და ამდენ სიმდიდრეზე ხელი ამალეზინოსო (სამი სიბრძნე, 1976: 389)
14. ხელში ჩავარდნა	(ვისიმე) მფლობელობაში გადასვლა, (ვისიმე) საკუთრებად ან ტყვედ გახდომა (ონიანი, 1988: 193) მაგ; მალრიბის ხელმწიფე კი არ ისვენებდა და ქალის ხელში ჩასაგდებად სულ ახალ და ახალ ხრიკებს იგონებდა (სიზმარა, 1976: 469).

ცხრილი № 5

ფეხთან დაკავშირებული სომატური იდიომები ქართულ ხალხურ ზღაპარში

1. ფეხის მოცვლა	წასვლა, დაძვრა (საიდანმე)
2. ფეხის (არ) მოცვლა	არ წასვლა, არ დაძვრა (საიდანმე) (ონიანი, 1988: 154) მაგ; - ას თუმანს, ფეხს არ მოვუცვლიო, _ უპასუხა გლეხმა (გლეხი, მოლა და ეშმაკი, 1976: 200)
3. ფეხების გაფშეკა	სიკვდილი, სულის დაღევა (ონიანი, 1988: 151) მაგ; მერე სახეც გაულურჯდა და ბოლოს ფეხებიც გაფშეკა (გლეხი, მოლა და ეშმაკი, 1976: 202)
4. ფეხზე დადგომა	მომაგრება, მოღონიერება გაძლიერება; სამოქმედოდ, საბრძოლოდ მომზადება, ამოძრავება, გამოცოცხლება (ონიანი, 1988: 151) მაგ; ქალაქელები ხომ იცით, რა ხალხია, ოღონდ გასაცვლელ- გასაყიდი რამე დაინახონ და უმალ ფეხზე დადებიან (ხახუტა, 1976: 322)
5. ფეხის მოდგმა	- იხ. ფეხის მოკიდება დამკვიდრება, მომაგრება, განმტკიცება, გავრცელება, ფეხის გადგმა (ონიანი, 1988: 153) მაგ; სანამ დანაპირებს არ მომიტან, ჩემთან ფეხი აღარ მოსდგაო (ჭკვიანი ნავეზირალი, 1976: 363)
6. ფეხის მოცვლა	წასვლა, დაძვრა (საიდანმე) (ონიანი, 1988: 154) მაგ; - ოღონდ ეგ მეღირსოს და აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო (უკვდავი კაცი, 1976: 435)
7. ფეხების გაჭიმვა	სიკვდილი, სულის დაღევა (ონიანი, 1988: 151) მაგ; - მე დავბერდი, დღეს თუ ხვალ ფეხებს გაჭიმავ და ქვეყანა უპატრონოდ დარჩება (ხელმწიფის დედა, 1976: 446).

ცხრილი № 6

ყურთან დაკავშირებული სომატური იდიომები ქართულ ხალხურ ზღაპარში

<p>ყურების ჩამოყრა</p>	<p>დასვედიანება, მოწყენა; ქედის მოხრა (ონიანი, 1988: 164) მაგ; დგას დაღონებული და ყურებჩამოყრილი (შერცხვენილი მონადირე, 1976: 150)</p>
<p>ყური არ ათხოვა</p>	<p>ყურადღება არ მიაქცია, ანგარიში არ გაუწია, არ მოუსმინა (შდრ. ყურის თხოვება) (ონიანი, 1988: 165) 1. მაგ; კეთილმა სოვდაგარმა სოვდაგრების დაცინვას ყური არ ათხოვა და ტავის ნოქარს ყველაზე საუკეთესო ქარვასლა დააუქირავა (გვ. 245 ჭკუა მაქვს და ფული- არა) 2. მაგ; ეს მენახშირეები ნამდვილად გიჟები არიან, თორემ ნახშირში წონა ვერცხლს ვინ მისცემსო, და ყურიც არავინ ათხოვა (ხახუტა, 1976:321)</p>
<p>ყურის მოკვრა</p>	<p>გაგონება (ონიანი, 1988: 165) მაგ; ხელმწიფემ ყური მოკვრა გლეხის ნათქვამს (ხელმწიფე და გლეხის ქალი, 1976: 333)</p>
<p>ყურის (და) გდება</p>	<p>მოსმენა, ყურის მიპყრობა; ყურადღების მოქცევა (ონიანი, 1988: 165); მაგ; _ ნამდვილად ყურს ვიღაც გვიგდებდა, ჩვენი ნალაპარაკევი სიტყვასიტყვით აკრიფა და გამოიყენა კიდევო (ამხანაგს ნუ უღალატებ, 1976:381)</p>

დანართი №4 ცხრილი № 1

გული / heart დაკავშირებული სომატური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში

1. With all one's heart - სულით და გულით	very sincerely [English idioms dictionary 204, http://www.slideshare.net/RalphPilkington/englishidioms] eg; yes, friend, replied she with all my heart (the three heads of the well)
2. Break smb's heart - გულის გატეხა	feel considerable grief, mental anguish, disappointment etc (esp in matters of love and personal relationships, business affairs, etc); weep inconsolably [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 77]. eg; last she sat down and cried as if her heart would break (The Well of the World's End)
3. Take heart - გული გაიმაგრე; გულს ნუ გაიტეხ	lose/ take heart – feel one's courage, hope enthusiasm weakened / strengthened A: (take heart) from that, from these words, from his example [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 365]. eg; then she took the heart and liver of the little girl, and she stewed (the rose tree)
4. one's heart is in one's mouth - ენის ჩავარდნა	one feels strongly emotional (about someone or something) – [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; Fin, in the meantime, had gone into the cradle, where he lay very quietly, his heart at his mouth with delight that Cucullin was about to take his departure (A Legend of Knock many)
5. to one's heart's content - რაც გაგიხარდეს სულო და გულო	To one's complete satisfaction, without limitation [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; they ate and drank to their heart's content (Beauty and The Beast)
6. lose one's heart to smb - გული მისდის ვინმეზე, ყურების ჩამოყრა	to fall in love with someone [http://idioms.thefreedictionary.com] eg: the young lord at once lost his heart to her (Catskin)
7. from one's heart - გულწრფელად, გულით	from a deep and sincere emotional source [http://idioms.thefreedictionary.com]. Eg; she was obliged to him from her heart for all kindness (Guleesh)
8. light heart - უიღბლო	In a sad or miserable state, unhappily [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; off the trudging, with a light heart and an eager step (Hudden and Dudden and Donald O'Neary)
9. aching heart - მწუხარება, სევდა, ნაღველი, ჭმუნვა.	the feeling of pain because of love that is lost or has faded away [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; he gave out of him would make your heart ache (Jack and his Comrades)
10. set one's heart on - სწრაფვა, ლტოლვა, გულით ნდობა	Strongly desire something [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; he had many a time set his heart on the fine cattle (The Story of the McAndrew Family)

11. harden one's heart - გულის გაქვავება ვინმეს მიმართ	to make yourself stop feeling kind or friendly towards someone; Feel no sympathy for [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; the richer you get, the harder he heart; yet one of them, more hard of heart (the children in he wood)
12. his heart failed him - გულმა უღალატა	eg; when he got stricken in years, his heart failed him and he was los entirely (King O'Toole and his goose)
13. with a heavy heart – დამძიმებული გულით	In a sad or miserable state, unhappily [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; he went out with a heavy heart o find his daughters (Punchkin)
14. listen to one's heart –	eg; but one of them listened to her heart and said: she lives! (snowwhite)
15. a heart of stone_ქვის გული	an unfriendly and unkind character [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; put in a heart of stone (Tamlane)
16. out the heart_ ცუდ გუნებაზე	eg: what should he see coming out of the heart of the western airt towards him (the black horse)
17. at heart - სულის სიღრმეში	in one's real nature, wheather this is apparent or not; at bottom (qv) [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 36]. In one's deepest feelings, as a great concern; in one's heart of hearts [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; then was Lir melancholv and sad at heart hearing this things (the fate of the children)
18. bless sb's heart	an expression of admiration, affection, close attachment [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983 : 69] god bless you - may God reward you for your kindness; thank you [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 69]. eg god bless you on your heart (the wise men of Gotham)
19. know by heart - ზეპირად იცოდა	to know something perfectly; to have memorized something perfectly [http://idioms.thefreedictionary.com]; eg; he knew them by heart (Childe Rowland)
20. move smb's heart - გულის აძგერება	eg; her words moved the heart of Raja Rasalu (Raja Rasalu)
21. give one's heart to smb - გულის მიცემა	eg; he gave his full heart's weight of love to her (The Story of Deidre)

ცხრილი № 2

თავი / head დაკავშირებული სომატური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში

1. take it into head – მოპრიანება	to decide to do something, often something that seems silly or surprising [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; when Fin, who was very fond of his wife Oonagh, took it into his head that he would go home and see how the poor woman got on in his absence (A Legend of Knockmany)
2. scratch one's head - თავის გატანა	Express puzzlement or perplexity, think hard [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; he scratched his head , and thought and thought (A Pottle O’brains)
3. comes into head -	something comes into your head you think or remember something[http://idioms.thefreedictionary.com]. eg: "The plan that has come into your head is not bad," said the miller. (Conall Yellowclaw)
4. raise its head - გამოჩენა	if something unpleasant raises its ugly head, it becomes a problem that people have to deal with [http://idioms.thefreedictionary.com]. eg: when I raised my head what was it but the boat over (Conall Yellowclaw)
5. put it one’s head - თავში აზრის მოსვლა	to give ideas to someone who might not have thought of them without help [http://idioms.thefreedictionary.com]. Eg: The kitchen door opened, and a miserable old beggar man with a big wallet on his back put in his head. (Jack the Cunning Thief)
6. head over heels – თავდაყირა, ყირამალა	With one’s body circling, or turned upside down; (fig) helplessly, completely V: fall, roll; be, go [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 279]. eg: The Stongirya came up and he made at Paddy O’Kelly, but Paddy turned him head over heels. (Paddy O’Kelly and the Weasel)
7. from head to foot- თავიდან ფეხებამდე	over the whole length of one’s body; in every part of one’s being, nature, character [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 208]. eg; to cover her from head to foot and to hide her fine clothes (cap o’ rushes
8. turn sb’s head - თავბრუსხვევა	Cause sb to become vain, ambitious, or infatuated with sb/sbth [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 568]. eg; turning his head a little to one side (Jonny cake)
9. lose one's head - თავგზის აბნევა; თავის დაკარგვა (კონტროლის დაკარგვა)	Eg; she kissed last night, or lose his head (jack the giant killer)
10. off one’s head - ფეხზე არ დგას	eg; spun up this night, off goes your head (tom tit tot)
11. over one’s head -გაგებას აღემატება	too difficult for someone to understand [http://idioms.thefreedictionary.com]. გაგებას აღემატება eg; a raven over his head cried to him to look (the red ettin)

ცხრილი № 3

თვალი / eye დაკავშირებული სომატური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში

1. with an eye to	With a view to eg; with the right eye to be sure said she (fairy ointment)
2. out of sight - თვალიდან დაკარგვა	not visible; too far away to be seen. eg: after they had gone and were out of sight, the henwife came to the kitchen (Fair, Brown and Trembling)
3. to have a wink of eye at – თვალის არიდება	To pretend not to see eg: he winked the far – off eye at the same time (The Lad with the Goat –skin)
4. thrust it into his eye	eg: I then went and gathered the embers together, and put the bar in the fire, and made it red, and thrust it into his eye ; and from the cry that he gave I thought that the rock had split
5. cock of his eye – თვალის დაჭერა	he gave him e cock of his eye and a grin of his teeth (Andrew Caffey) keep an eye cocked
6. take eyes off -	to cease looking at someone or something. Eg: I wouldn't have the heart to take an eye out of a rat itself (jack and his master)
7. keep one's eye on someone or something - თვალი გეჭიროს ვინმეზე ან რამეზე	to have one's attention directed to someone or something. Eg: he kept his eye on her however all through until he saw her (Paddy O'Kelly and the Weasel)
8. to keep an eye on - მიხედვა	watch carefully; look after
9. have got one's eye on smb. or smth - თვალი დაადგა (ვინმეს, რამეს)	Look at, especially attentively or continuously; watch. eg: I see you've got an eye on that boy (the little bull calf)
10. in a twinkling of an eye - თვალის დახამხამებაში	eg: she was on earth in the twinkling of an eye (the sea maiden)
11. evil eye - ეშმაკის თვალი	1. The power to cause injury or misfortune. Today the term is generally used figuratively or ironically, as above, and also in the form give someone the evil eye, which means "glare malevolently at someone" [http://idioms.thefreedictionary.com] 2. The evil eye – the (alleged) ability to cast an evil spell, to do sb harm, by means of a malevolent look or glance [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 171] Eg: going to sell cows that the evil eye has long been set on? (the story of the Mc Andrew)

ცხრილი № 4

ხელი / hand დაკავშირებული სომატური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში

1. hand in hand - ხელი ხელ	side by side with hands linked V: sit, walk, come in, go off [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 249]. eg; so they went there hand in hand (binnorie)
2. to turn one's hand - ხელის მიყოფა; ხელი მიჰყო რაიმეს	Apply oneself to, begin <u>working</u> at [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; He worked here and he worked there, and turned his hand to this and to that, but it always went agee, and 'twas all Yallery Brown's doing.
3. By hand – ხელით	[A (PrepP)] by personal messenger, rather than through the official postal service; using one's hands rather than some form of machinery V: send, deliver, despatch; make, do, sth [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 85] - Eg; the giant got up and gripped her by the hand (molly whoppie)
4. At hand	Close; by; near. Soon in time; imminent [http://idioms.thefreedictionary.com]. eg; I fear his end is near and destiny at hand (The Red Ettin)
5. At sb's hands –	[A (Prep P)] from sb; through the action or agency of sb (almost always with the implication that sb has been unjust, cruel etc) V: endure, undergo, suffer, sth [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 35] eg: However, you may be pleased to accept something at his hand (The Charmed Ring).
6. off one's hands	No longer under one's jurisdiction, within one's responsibility, or in one's care [http://idioms.thefreedictionary.com] eg; your sword and hacked off the poor lady's hand to get the ring (mr fox) off hands - adj. (disapproving) not showing much interest in sb/ sth [A S Hornby Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, Sixth edition, Edited by Sally Wehmeier, 2000: 879].
7. lay (one's) hands on - ხელში ჩაგდება -	To get possession of; acquire or obtain [http://idioms.thefreedictionary.com] 2. Lay/ get your hands on sth – to find or get sth [A S Hornby Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, Sixth edition, Edited by Sally Wehmeier, 2000: 582]. Eg: when they rose to lay hand on the brown horse, said Conall "You shall not do that. (Conall Yellowclaw)
8. give somebody a hand - დახმარების ხელი გაუწოდა	to help someone do something, especially something that involves physical effort (often + with) [http://idioms.thefreedictionary.com] eg : well! I have promised to give my daughter's hand and half the kingdom to the man (A Dozen at One blow)
9. on the other hand - მეორე მხრივ	1. As another point of view; from another standpoint [http://idioms.thefreedictionary.com] 2. On the one hand... on the other (hand) - [Conj (PrepP)] used to indicate contrasting facts, opinions, procedures etc [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 433] eg: on the other hand he walked round his patron three times (Soothsayer's son)

ცხრილი № 5

ყური/ear დაკავშირებული სომატური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში

1. behind the ears - ყურის ძირში, ყურს უკან	eg: he stretched out his neck towards Johnny-cake, and put one paw behind his ear (johnny cake)
2. in one ear and out at the other - ცალ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა	eg: It all seems to go in at one ear and out at the other! (the tiger, the Brahman and the Jackal)
3. over head and ears - ყელამდე	eg: he plumped over head and ears into the batter (the history of Tom Thumb)
4. cock an / one's ear (s) ყურების დაცქვეტა	erect one's ears; (start to) listen attentively; have one's interest aroused by sth heard; cocked his ears - to catch the sounds from the outside world [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983: 108]. eg: he cocked his ears and the next thing he heard was the maaing (Jack the Cunning Thief)

ცხრილი № 6

ფეხი / foot დაკავშირებული სომატური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში

1. under foot (feet) - ფეხქვეშ გაგება	on the ground; on the surface where one walks [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983:571] eg: he heard that the breaking of the traneeens under his feet as often as he moved (Guleesh)
2. drag one's feet –ფეხის ათრევა	[V+O]proceed unwillingly, or with delaying tactics, in a course that one must or should take [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983:156]. postpone doing what one should be doing [http://idioms.thefreedictionary.com] eg: he crawled away, dragging one foot after another, till he reached the wood (Jack and his Master)
3. fall on one's feet - ფეხებში ჩავარდნა	eg: When Jihva heard this, she thought, in her terror, that she had been discovered by this wise man, and she managed to get in where he was, and falling at his feet, she said to the supposed wizard (Harisarman)
4. with his right foot -მარჯვენა ფეხით	eg: with his right foot he kicked him – that stuck too (the demon with the matted hair)
5. put /have (one's) feet on the ground - ფეხის მოკიდება	to be sensible and practical about one's situation [http://idioms.thefreedictionary.com] eg: I put in

	the one foot and the other foot was on the ground (Conall Yellowclaw)
6. foot in one's mouth, put one's - ხათაბალაში გაბმა	say something foolish, embarrassing, or tactless [http://idioms.thefreedictionary.com] Eg: when he was riding she bent her head down to take hold of her feet with her mouth, in hopes he would speak in ignorance (morraha)
7. from head to foot - თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე	through the whole length of a man; completely; throughout [http://idioms.thefreedictionary.com] Eg: he will become marble from head to feet (john the true)

ცხრილი №7

პირი / mouth დაკავშირებული სომატური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში

1. open one's (big) mouth - პირი მოაღო	[V + O] (informal) say something (the implication often being that sb speaks too readily or indiscreetly)[A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983:441] eg: so, the Rohu opened his mouth wide and the jackal jumped down the throat (loving laili)
2. smb's heart at his mouth – (სიტყვასიტყვით -გულის პირში ამოვარდნა); გული გაუსკდა	eg: Fin, in the meantime, had gone into the cradle, where he lay very quietly, his heart at his mouth with delight that Cucullin was about to take his departure, without discovering the tricks that had been played off on him

ცხრილი № 8

ენა /tongue დაკავშირებული სომატური იდიომები ინგლისურ ზღაპრებში

to hold one's tongue- ხმის არ ამოღება	[V+O] say nothing; remain silent [A P Cowie, R Mackin & I R McCaig oxford dictionary of current idiomatic English volume 2, 1983:287] eg: but he being unable to hold his tongue (the talkative tortoise)
to find one's tongue - საერთო ენის მოძებნა; გამონახვა	eg: but he found his tongue at last and well, he said (the three wishes)
to wag one's tongue - ენის ტარტარი	eg: I reckon they did talk! their tongues wagged at home and at the inn (the buried moon)

ცხრილი № 1

სახელადი იდიომური გამოთქმების კომპონენტური სტრუქტურა

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში

ორკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
IN + N	at heart; at hand; by hand; under feet	3 ერთეული
JJ + N	evil eye	1 ერთეული
N + N	light heart	1 ერთეული
NUM + N	one day	1 ერთეული

სამკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
IN + NN + NN /NNs	from one's heart; off one's head; over one's head	3 ერთეული
IN + DT + NN / NNs	out the heart; behind the ears	2 ერთეული
IN +PRP + NNs	off my feet	1 ერთეული
NN + JJ + NN	smb's right hand	1 ერთეული
NN + IN + NN	head over heels; hand in hand; day after day	3 ერთეული

ოთხკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
IN + NP = (DT + NN+ POS) + NN	with all one's heart; out of one's hand	2 ერთეული
IN + NP = (DT + JJ) + NN	with a heavy heart; on the other hand	2 ერთეული
IN+ NP = (DT+ NN) + TO	with an eye to	1 ერთეული
IN + NP = (PRP + JJ) +NN	with his right foot	1 ერთეული
IN + NP= (NN + CC + NNs	over head and ears	1 ერთეული
IN + NP= (NN) + PP= (TO + NN)	from head to foot	1 ერთეული
IN + NP= (DT +NN) + PP = (IN)	on the face of	1 ერთეული
NP = (DT + NN) + PP= (IN+ NP)	a heart of stone	1 ერთეული
NP = NN + IN + NP = (NN + IN)	day in day out	1 ერთეული
NP = IN + NP = (NN + POS) +NN	foot in one's mouth	1 ერთეული
NP= NN +IN + NP (CD+POS) + NNs	fall on one's feet	1 ერთეული
NP= (JJ + NN + POS) + NN	open one's big mouth	1 ერთეული
TO + NP= (NN+ NN+ POS)+ NN	to wag one's tongue	1 ერთეული
TO + NP = (CD+POS) + NP (NN+POS)+NN	to one's heart's content	1 ერთეული

მრავალკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
NP = NN + IN +IN +NP (NN+POS) +NN	(Jump out of one's skin)	1 ერთეული
NP = (JJ +NN) + PP = (IN +PRP +NN) +NN	(smb's heart at his mouth)	1 ერთეული
IN + NP = (DT + NN) + PP = (IN) +NP (DT +NN)	in a twinkling of an eye	1 ერთეული
IN+ NP= (CD+NN) +CC +PP +IN +PP +NN +NP= (DT +JJ)	in in one ear and out at the other	1 ერთეული

ცხრილი № 2

ზმნური იდიომური გამოთქმების კომპონენტური სტრუქტურა

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში

სამკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
a (VB) + b (PRP) + c (NN)	bless your heart; raise its head	2 ერთეული
a (VB) + b (IN) + c (NN)	know by heart; comes into head	2 ერთეული
a (VB) + b (NP) + c (NN/NNs)	lose one's head; drag one's feet; break smb's heart; move smb's heart; open one's mouth	5 ერთეული
a (VB) + b (NN) + c (IN)	lay hands on; take eyes off	2 ერთეული

ოთხკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
TO + VB + NP + NN	to hold one's tongue; to turn one's head; to turn one's hand; to find one's tongue	4 ერთეული
VB+ NN + DT + NN	give somebody a hand	1 ერთეული
VB+ PRP + NP + NN	put it one's head	1 ერთეული
VB + TO + NP + NN	listen to one's heart	1 ერთეული
VB + PRP + IN + NN	take it into head	1 ერთეული
PRP +NN +VBD +NP	his heart failed him	1 ერთეული
VBN + PRP+ NN+ IN	set his heart on	1 ერთეული
NP + NP + VBP + AD/JP	one's blood run cold	1 ერთეული

მრავალკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
VB + NP= (NN + POS) + NN + TO + NN	give one's heart to somebody	1 ერთეული
VB + PRP + IN + NP= (PRP +NN	thrust it into his eye	1 ერთეული
VB + NP = (NN+POS) + (NN+POS) + IN +NN	keep one's eye's on something	1 ერთეული
VB + VBD +NP = (CD+NN) +PP = (IN +NN	have got one eye on somebody	1 ერთეული
TO +VB +NP= (DT +NN) +PP = (IN) NP= (DT+NN	to have a wink of an eye	1 ერთეული
NP = (NN +POS) + NN + VBZ +IN + NP= (NN +POS) +NN	one's heart is in one's mouth	1 ერთეული

ცხრილი №1

სახელადი იდიომური გამოთქმების კომპონენტური სტრუქტურა

ქართულ ხალხურ ზღაპრებში

ორკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
N + N	თვალ - ტანადი, თვალის ჩინი, თვალის სინათლე, დღითი დღე	4 ერთეული
ADJ + N	შავი დღე	1 ერთეული
NUM + N	ერთი სიტყვით	1 ერთეული
სამკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	მაგალითი
N + N + N	თვალ წარბის შუქი	1 ერთეული
ოთხკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
NUM + N + N + N	სამოცი უღელი ხარის ღონე	1 ერთეული

ცხრილი № 2

ზმნური იდიომური გამოთქმების კომპონენტური სტრუქტურა

ქართულ ხალხურ ზღაპრებში

ორკომპონენტური იდიომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
N + V (არს. სახელი + ზმნა)	<ol style="list-style-type: none"> 1. გულის გამაგრება 2. გულის შეღონება 3. გულში გადაწყვიტა 4. გულის მოხება 5. გულის გადაყოლება; 6. გულის მოგება; 7. გულში თქმა; 	61 ერთეული

	<ol style="list-style-type: none"> 8. გულის მოჯერება; 9. გულის აცრუება; 10. გულში ჩავარდნა; 11. გულის გაკეთება; 12. გულზე შემოყრა; 13. გულის დაწყვეტა 14. გულის ამოსვენა 15. გულის გახეთქვა 16. გულის მოსვლა 17. გულის გასკდომა 18. გულის დაწვა 19. გულის მობრუნება; 20. თავის შეკავება 21. თავს იცემს; 22. თავზარის დაცემა 23. თავის დაღწევა 24. თავის გამოჩენა 25. თავის დაჭერა 26. თავს იკლავს 27. თავის მოკატუნება 28. თავს შემოვლება 29. თავის მოჭრა 30. თავის მინებება 31. თავზე ტრიალი 32. თავზე დაცემა 33. თავის მომძინერება 34. თავის მოყრა; 35. თავის გატანა 36. თავზე დადგომა 37. თავის მოძულება 38. თავის შენახვა 39. თვალის დარჩენა 40. თვალი უჭირავს 41. თვალის მოტყუება 42. თვალი შეასწრო 43. თვალი დაუდგება; 44. თვალის გახელა; 45. ხელის გა (მო) წოდება 46. ხელის აღება; 47. ხელის განძრევა; 48. ხელის შეშლა 49. ხელის ჩაქნევა 50. ხელის მოცარვა 51. ხელის გამართვა 52. ხელიდან გამოსვლა 53. ხელის მოკიდება 54. ხელის აღება 55. ხელში ჩავარდნა; 	
--	--	--

	56. ფების მოცვლა; 57. ფების გაფშეკა; 58. ფებზე დადგომა 59. ფების მოდგმა 60. ფების მოცვლა 61. ფების გაჭიმვა	
V + N (ზმნა + არს. სახელი)	მოიოხა გული; დაგეწვა გული; მოიყარა თავი; გაუელვა თავში; თქვა გულში; ჩაიქნია ხელი	6 ერთეული
ADJ + V (ზედ. სახ. + ზმნა)	ცარიელზე დარჩენა	1 ერთეული

სამკომპონენტური იდომების სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
a (N) + b (N) + c (V)	გულზე ცეცხლის მოკიდება; გულში იმედი ჩაესახა; გულის ავსება შურით; გულზე ბიდმის შემოწოლა; თავზე კაკლის დამტვრევა; თვალთან ბეწვის გამოცლა; პირიდან ცეცხლს ყრიდა; თვალ-გულს მოსვლა; თავზე ხელის გადასმა; ხელ-ფების შეკვრა	10 ერთეული
a (NUM) + b (N) + c (V)	ერთი სული აქვს; ცოტა არ იყოს	2 ერთეული
a (ADJ) + b (N) + c (V)	შავი დღის დაყრა; შიშის ზარი დაეცათ; ცალი თვალთ შეხედვა;	3 ერთეული
a (PRO) + b (N) + c (V)	რა ხელს მისცემს	1 ერთეული
a (N) + b (PTC) + c (V)	ფების არ მოცვლა; ხელის არ აღება; თავის ვერ შემაგრება; გულის არ გატეხვა; თავის ვერ დახსნა; თავი აღარ აქვს; თვალეების არ დაჯერება;	7 ერთეული